

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

3. 1980

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

**ს ა რ ე ლ ა ძ ი ო ო რ ე ნ ე ბ ი ა :** ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)  
პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტა

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамквелидзе Т. В., Гвахарва А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

*Ответственный секретарь* Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია,  
1980, № 3, გვ. 1—192

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19 ტელ. 37-24-07  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

---

გადამცემის წარმოებას 6.V.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.X.80; უე 14086;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>7/16</sup>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 16, 80; სააღრიცხვო-  
საგამომცემლო თაბახი 15,80; ტირაჟი 2000; შეკვ. 1735;

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## წ მ რ ი ლ ე ბ ი

რედაქცია წარბიშვითი

### 30-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ქუჩისწერიანი „მნათობი“

ქართულ საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკას მყარი საფუძველი 30-იან წლებში ექმნება. ეს ის პერიოდია, როდესაც მთელს საკავშირო მწერლობაში სრული ძალით მკვიდრდება ახალი შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი.

ეურნალობა „მნათობში“, როგორც ქართული ლიტერატურული პერიოდიკის ფლაგმანი, იმთავითვე აუბა მხარი ახალი შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრებას. მის ფურცლებზე დაბეჭდილი ლიტერატურული თუ კრატეული ნაწარმოებები, რომელთა სიღრმე ანკარა და შესამჩნევი იყო, სოციალისტური რეალიზმს ეფუძნებოდა. ამ მეთოდის ერთგულნი იყვნენ აღნიშნული პერიოდის ქართველი კრიტიკოსები შალვა რადიანი და დიმიტრი ბენაშვილი, ბენიტო ბუაჩიძე და ბესარიონ ჟღერტი, გიორგი ნატროშვილი და ერემია ქარელიშვილი და სხვ.

ზემოთ დასახელებულ კრიტიკოსთა შემოქმედების მეცნიერული ანალიზი გარკვეულ შეხედულებას შეგვიქმნის არა მარტო მათს შემოქმედებითს პროფილზე, არამედ ეურნალ „მნათობის“ საერთო სახეზე, მის ფურცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული პროდუქციის საერთო ტენდენციებზე, ეურნალის როლზე 30-იანი წლების ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

30-იანი წლების „მნათობში“ ხშირად იბეჭდებოდა შალვა რადიანის კრიტიკული წერილები. კრიტიკოსის აქტიური თანადგომა ეურნალს საჭირო ატორიტეტს უქმნიდა მრავალრიცხოვანი მკითხველის თვალში. 30-იანი წლების ქართული კრიტიკის არსებითი ტენდენციების გამომხატველია შალვა რადიანის მიმოხილვითი ხასიათის სტატია „ქართული პოეზია თორმეტი წლის თავზე“<sup>1</sup>. კრიტიკოსის მიზანი და ამოცანა ნათელია. სწორი ლიტერატურულ-კრიტიკული შეფასება მისცეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შექმნილ პოეტურ პროდუქციას. 1921 წლის თებერვლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიული ხანიდან, ქართულმა პოეზიამ თვისებრივი სიახლე განიცადა. ამ სიახლეთა აღნუსხვა და ფიქსირება თანამედროვე კრიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ძირითადი ყურადღება მანც ლექსის შინაარსობრივ ანალიზს ეთმობოდა. ლექსის იდეურ-შინაარსობრივი ანალიზი, კრიტიკოსთა აზრით, მწერალთა არა მარტო ლიტერატურულ,

<sup>1</sup> ეურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2.

არამედ პოლიტიკური პოზიციასაც გამოხატავდა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე.

შ. რადიანის ზემოთ დასახელებულ წერილში ძირითადად ეს პათოსი გამოასტევივის. ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს ავტორი თავისი დროისათვის ცნობილ პოეტს კოტე მაყაშვილს<sup>2</sup>. კრიტიკოსი წერდა: „პროლეტარული რევოლუციის მოწინააღმდეგე კლასების განწყობილება ყველაზე უფრო რელიგიურად თავის პოეზიაში ასახა პოეტმა კოტე მაყაშვილმა. მთელი წყება მისი ლექსებისა გამოხატავდა პროლეტარიატის დიქტატურისადმი მტრობის გამოაქლავნებას, დაცემულ განწყობილებებს და გამოუსვლელ უიმედობას“<sup>3</sup>. დასკვნა. როგორც ვხედავთ, მეტად მკაცრია. თუმცა, შესაძლოა, ასეთი ზოგადი დასკვნის გამოტანის უფლებას არც იძლეოდეს ის ლექსი, რომლის სტრიქონები იქვე მოაყავს წერილის ავტორს:

„გაქრა კვალი! ბნელა, ცოცა ... მოკვდა მზე!  
გულში გასწყდა რაღაც... მტკიცა!.. მოკვდა მზე!  
შავი ნისლი ბურავს არეს, შიშის მკერდს!  
სულის ფიფქი გულზე მცვივა... მოკვდა მზე.  
ეინ ხარ? რა ხარ? გახსენ კრიკა, სტეკი!  
ბნელში ჩემი ხმა ვერ მოვა, მოკვდა მზე!  
მოდის ჩემთან, ერთად მოვევლეთ!.. არსით ხმა!  
ისევ მართო... მცვივა... მტკიცა! მოკვდა მზე!“

ამ სტრიქონებში, რასაკვირველია, ჩვენ ნაპდვილად ვხედავთ „დაცემულ განწყობილებას და გამოუსვლელ უიმედობას“, მაგრამ უთუოდ გადაჭარბებულად უნდა მივიჩნიოთ „პროლეტარიატის დიქტატურისადმი მტრობის გამოაქლავნების“ ბრალდება. სხვას რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია კოტე მაყაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეკვის თვლით შევხედოთ: „კოტე მაყაშვილი 1917 წლის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე განახლებული საქართველოს მწვერალთა კავშირს ჩაუდგა სათავეში, როგორც თავმჯდომარე 1926 წლამდე, ხოლო შემდეგ, სიკვდილამდე, როგორც გამგეობის წევრი. და დიდი გატაცებით, გაორკეცებული ენერგიით ემსახურებოდა ახალი საქართველოს კულტურული და იდეური აყვავების დიად საქმეს“<sup>4</sup>.

ანევე ცალმხრივადაა შეფასებული ი. გრიშაშვილის ზოგიერთი ლექსი, აქედან გამომდინარე თვით პოეტის იდეური მრწამსიც, მისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პოზიცია.

როგორც ვიცით, ი. გრიშაშვილის შემოქმედებისადმი კარგა ხანს არსებობდა მერყევი პოზიცია, ხშირად — მცდარი შეხედულება. კრიტიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი დაბეჭდვით უარყოფდა ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში სამოქალაქო მოტივების არსებობას და პოეტის მთელ პოეზიას სამიჯნურო მოტივებით განსაზღვრავდა. თავის დროზე შალვა რადიანიც ამ პოზიციაზე იდგა. მას თვალში ხედებოდა ინტიმურ თემაზე დაწერილი ლექსების სიუხვე და ვერ აფასებდა იმ ლექსებს, რომლებშიც საკმაოდ შეიმჩნეოდა პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია საზოგადოებრივი ცხოვრების მტკიცენეული პრობლემებისადმი. კრიტიკოსი წერდა: „იმევე ბანაკთან (პროლეტარიატის დიქტატურის მტრე-

<sup>2</sup> კოტე მაყაშვილი გარდაიცვალა 1927 წელს.

<sup>3</sup> ქურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2, გვ. 176.

<sup>4</sup> მხივილ ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, თხზულებანი, 1. 1972, გვ. 497.

ბის ბანაკთან, — რ. ჩ.) იყო დაკავშირებული ი. გრიშაშვილი. თავიდანვე იგი პოეზიაში გამოვიდა, როგორც წერილობრივუზიური შემჩანობის გულის მესაიდუმლე. გრიშაშვილმა სრულიად განდევნა პოეზიიდან სამოქალაქო მოტივები. ხელოვნება გრიშაშვილმა თვითმიზნად გახადა. ხელოვნების ეს თვითმიზანი ნაწილობრივ ეროტიზმში, ფუქსავატურ სიყვარულში. მთელი მისი პოეზია — ეს იყო „ოქროს ფეხი“ და „კოცნა“<sup>6</sup>.

დღეს, როცა ძველი შეხედულებები წარსულს ჩაბარდა და გარკვეული გადაფასებები მოხდა მწერლობაში, მართებულად არის შეფასებული ი. გრიშაშვილის შემოქმედება და ლიტერატურულმა კრიტიკამ პოეტს კუთვნილი ადგილი დაუმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ახლა, ცხადია, ღია კარის მტვრევა იქნება იმის მტკიცება, რომ ი. გრიშაშვილის ადრინდელ, რევოლუციამდელ პოეზიაშიც კი მკაფიოდ იგრძნობოდა პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი ლექსები უხვად შეიცავდა სამოქალაქო მოტივებს, პოეტი ცოცხლად ეხმაურებოდა ყოველდღიურ სინამდვილეს. მით უფრო უხვად იგრძნობოდა სამოქალაქო მოტივები იმ პერიოდის ლექსებში, როცა ჩვენს ქვეყანა სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგა. როგორც ცნობილია, ი. გრიშაშვილი არც ერთ იმ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, რომელთა არსებობა 20-იან წლებში ბევრწილად აბუნდოვანებდა სწორ ლიტერატურულ-პოლიტიკურ პოზიციას. აქედან გამომდინარე, სრულიად ზედმეტი იქნება იმის მტკიცება, რომ ი. გრიშაშვილი 20-იან წლებში „პროლეტარიატის დიქტატურის მტრების ბანაკთან“ იყო დაკავშირებული. რასაკვირველია, გადაჭრით არც იმის მტკიცება შეიძლება, რომ ი. გრიშაშვილი დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებშივე ამოუდგა გვერდში საბჭოთა სინამდვილეს, მაგრამ მის ლექსებში ყოველთვის იგრძნობოდა მშობლიური ქვეყნის სიყვარულით ანთებული პოეტის დიდი გული.

პროფ. გ. იმედაშვილი მართებულად აღნიშნავს თავის მოგონებაში ი. გრიშაშვილზე: „რევოლუციის შემდეგ მისი ცხოვრებაცა და შემოქმედებაც რამდენიმედ შემობრუნდა. მთავარი ის იყო, რომ მის თემატიკაში ჭიკაბაძის მოტივმა შესამჩნევად დაიწია უკან — თავდებოდა „ოქროს ფეხის“ ხოტბისა და „კოცნის პოეზია“, მის ადგილს თანადროული სოციალური სინამდვილის მოტივები იჭერდნენ“<sup>6</sup>. სინამდვილისადმი ობიექტური დამოკიდებულება, სოციალისტური სინამდვილის აღქმა პოეტის შემოქმედებაში ხელშეახები ზღვებოდა. მხოლოდ და მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს მისი საუკეთესო ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“ და არა „ნაციონალისტური ხასიათის“ პოზიციიდან, როგორც ამას კრიტიკოსი აღნიშნავდა. „ოქტომბრის შემდეგ გრიშაშვილის პოეზიის ძირითად მოტივს — ეროტიკას, — წერდა შ. რადიანი, — მიემატა ახალი მოტივი, რომელიც გარკვეულად ნაციონალისტურ ხასიათს ატარებდა“<sup>7</sup>.

პოეტის შემოქმედებისადმი ამგვარი მიდგომა იმ ხანებში იშვიათი როლი იყო. ყოველივე ეს, ცხადია, ქართულ სალიტერატურო კრიტიკას შესამჩნევ ხარვეზად დაჰყვებოდა.

<sup>6</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2, გვ. 176.

<sup>6</sup> აღმანახი „კრიტიკა“, 1979, № 4, გვ. 124.

<sup>7</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2, გვ. 176.

რამდენადაც კრიტიკოსის მიერ აღებული საანალიზო პერიოდი ჭერ კიდევ გაურკვევლობისა და ბუნდოვანების პერიოდი გახლდათ ზოგიერთი ქართული მწერლის შემოქმედებითს გზაზე, ამდენად აუცილებელი იყო სწორი იდეურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით შეიარაღებული კრიტიკოსის დროული ჩარევა მერყევ პოზიციასზე მდგარ მწერალთა შემოქმედებითი გზის გაკვლევაში. ამ მიმართებითაც იმსახურებს ყურადღებას შალვა რადიანის წერილი.

ამავე წერილში კრიტიკოსი განსაკუთრებული სითბოთი ლაპარაკობს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე, მის მოქალაქეობრივ პოზიციასზე, პოეტის აქტიურ დამოკიდებულებაზე სოციალისტურ სინამდვილესთან: „გ. ტაბიძემ პირველ ხანებში პროლეტარიატის დიქტატურა მიიღო როგორც რევოლუციონერის რომანტიზმის გამოხატულება. რევოლუცია მასთვის გახდა დასაწყისი რაღაც არაჩვეულებრივი „მარადილი ორკესტრის“. „მარადილი ნგრევის“, „მეცხბრე ზვირთის“. უკანასკნელ ხანებში გ. ტაბიძე ზოგად რევოლუციონერ მოტივებიდან თანდათან გადადის პროლეტარული რევოლუციის კონკრეტულ დამახასიათებელ მომენტების პოეტურ ასახვაზე“<sup>8</sup>. ამ დებულების საილუსტრაციოდ კრიტიკოსი სავსებით მართებულად ასახელებს პოეტის ისეთ ლექსებს, როგორცაა: „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. „პაციფიზმი“. „ეპოქა“. „რევოლუციური საქართველო“ და სხვ. აქვე კრიტიკოსი ზოგადად მამოხილავს რამდენიმე მათგანს და კონკრეტულ შეფასებას აძლევს მათ. მიუხედავად გ. ტაბიძის პოეზიის საერთო მაღალი შეფასებისა, კრიტიკოსი საფუძვლიან შენიშვნებს გამოთქვამს პოეტური ნაწარმოებების როგორც იდეურ, ისე მხატვრულ მხარეზე: „გ. ტაბიძის პოეტურ კონცეფციაში ჭერ კიდევ ძლიერად მოისმის ძველი ნოტები, ჭერ კიდევ ღრმად ვერ გარდაუქმნია თავისი შემოქმედებითი მეთოდი ახალი მასალის შესატყვისად. გ. ტაბიძე ხშირად ვერ ნახულობს სათანადო სიტყვიერ საშუალებებს, რათა მხატვრულად გააფორმოს მოცემული მანალა“<sup>9</sup>.

კრიტიკოსის შენიშვნები უფრო კონკრეტულ ხასიათს ღებულობს საანალიზო პერიოდის ლექსების მიმოხილვისას. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი დებულებების საილუსტრაციოდ წერილის ავტორი არც ერთ ლექსს არ ასახელებს. ეს კი მის შენიშვნებს ზოგად ხასიათს აძლევს. „გ. ტაბიძის მიერ პროლეტარული რევოლუციის პირობებში შექმნილ პოეზიაში უსათუოდ არის საგრძნობი ნაწილი მაღალი მხატვრული ღირსების, ხარისხობრივად გამართული ნაწარმოებები, რაც მთლიანად შევა საბჭოთა პოეზიის აქტივში, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას მთლიანად მთელ მის უკანასკნელი წლების ნაწარმოებებზე. ამ ნაწარმოებთა მხატვრული დონე და ხარისხი სხვადასხვანაირია. ხშირად მაღალმხატვრულ ნაწარმოებების გვერდით გ. ტაბიძის პოეტურ ფაქტებში შეხვდებით ყოვლად გაუმართლებელ, ზერეულ და დაბალი ხარისხის ფაქტებს. ამ უკანასკნელ მოვლენას განსაკუთრებით იქ ვხვდებით, სადაც პოეტი უფრო ყოფითი-კონკრეტულ მომენტებს ეხება. გ. ტაბიძე უფრო იმორჩილებს პროლეტარული რევოლუციის საერთო პათოსს. მის ზოგად რომანტიულ გაქანებას. ვიდრე კონკრეტულ ყოველდღიურობას“<sup>10</sup>.

დასახელებულ წერილში შ. რადიანი სიმონ ჩიქვანის პოეზიის საფუძვლიან ანალიზს იძლევა. კრიტიკოსი პოეტის შემოქმედებაში სამ ერთმანეთი-

<sup>8</sup> ურნ. „მნათობი“, 1933, გვ. 177.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 178.

<sup>10</sup> იქვე.

საგან განსხვავებულ პერიოდს გამოყოფს. თითოეული ეს პერიოდი ნიშნული და თვისებრივი იყო პოეტის შემოქმედებაში. თავისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში ს. ჩიქოვანი გვევლინებოდა რუსეთის ფუტურისტების (კრუჩონინის, კამენსკის და სხვ.) დაგვიანებულ ეპიგონად. ის მთელ თავს პოეტურ უნარიანობას ანდობებდა უსარგებლო და უაზრო „ზაღმნიეური“ პოეზიის შექმნას. ამ ხანებში ს. ჩიქოვანი უპირისპირდებოდა წინა-ლიტერატურის კონსერვატიულ თაობას, მაგრამ ეს დაპირისპირება, ეს ბრძოლა არ მოაღწიანარებოდა პროლეტარიატის იდეურ-კლასიურ პოზიციებიდან. იგი გარკვევით წვრილბურჟუაზიული ხასიათის იყო<sup>11</sup>.

კრიტიკოსის მიზანი ნათელი იყო: თვალნათლივ ეჩვენებინა პოეტის შემოქმედების ევოლუციური გზა. თუ პირველ ხანებში პოეტი მართლაც რუსული ფუტურისტების დაგვიანებულ ეპიგონად გვევლინებოდა საქართველოში და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ორთოდოქსალური ფუტურისტი იყო ქართველ პოეტთა შორის, შემოქმედების მეორე პერიოდი აშკარად განსხვავდებოდა პირველი პერიოდის პოეტური „ძიებებისაგან“. ს. ჩიქოვანი თანდათან უაზროფს აღზინდელ „მიგნებებს“, თავის პოეზიაში გადაჭრით შეაჭებს ბევრს ბრივი სიანს-ლეები. აფართოებს თემატიკას, სწვდება ცხოვრების სიღრმეებს, მეტ ყურადღებას აქცევს ყოველდღიურ სინამდვილეს, თანადროულ ყოფას. ერთი სიტყვით, აშკარა გარდატეხა ხდება მის მსოფლმხედველობაში, რაც თანამედროვეობასთან აახლოებდა პოეტს. ამ პერიოდში იგი წერს ლექსს „კავკასიიდან ტანგანროგამდე“, რომელშიც შეიმჩნევა პოეტის იდეური გარდაქმნა. კრიტიკოსის მართებული აღნიშვნით, „ამ ლექსით ს. ჩიქოვანი გარკვევით დაუპირისპირდა ნაციონალისტურ ინტელიგენციას, რომელიც ეროვნული კარჩაკეტილობას, სტეისადმი დაპირისპირების და შტრობის თეორიას ავითარებდა“<sup>12</sup>.

პოეტის შემოქმედებაში ამგვარ აშკარა მეტამორფოზებს ავტორი გადაჭრით მიჰყავდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებამდე. ყოველივე ეს პოეტის მსოფლმხედველობაში მომხდარმა არსებობმა ცვლილებებმა გამოიწვია, რაც სოციალისტური წინანდვილის შეგრძნებას ემყარებოდა. ჩვენი ცხოვრებია სინამდვილის აღქმამ დააწერიან ისეთი ლექსები, როგორცაა: „უშგულის კომკავშირი“, „შემოღამება ხახმატში“, „გმირი და წინ“, „ალანის ველი და აღაზნის ბამბა“, ხევსურული ძროხა“, „გმირის ძიებაში“ და სხვ. ეს ლექსები სწორედ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით დაწერილი ლექსებია. ამგვარი ხასიათის ლექსები უკვე ნიშნული იყო ს. ჩიქოვანის შემოქმედების შესამე პერიოდში, ანუ 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში. პოეტის შემოქმედებაში მომხდარი თვისებრივი სიხალეების აღნიშვნა კრიტიკოსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. იგი ხელს უწყობდა როგორც ქართული საბჭოთა პოეზიის ძირითადი იდეურ-მხატვრული მიმართულების განსაზღვრას, ისე ქართული სალიტერატურო კრიტიკის ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას.

შალვა რაღიანის წერილში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ცისფერ ყანწელთა პოეტური შემოქმედების გზების საფუძვლიანი მიმოხილვა. კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს ამ ჯგუფს აღრინდელი შემოქმედების თავისებურებებს, როცა მათთვის დამახასიათებელი იყო „სიმახინჯის კულტი, თვითმკვლე-

<sup>11</sup> ჟურნ. „მნათობი“. 1933, № 1—2, გვ. 179.

<sup>12</sup> იქვე.

ლობის და ლოთობის აპოლოგია, დაცემულობის განწყობილებები, წარსულის იდეალიზაცია და სხვ.<sup>13</sup> სინამდვილისაგან დაშორებული თემები და მოტივები დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც კარგა ხანს დაყვედობდა ცინფერ ყანწელთა შემოქმედებას, ისინი კარგა ხანს საზარდობდნენ ძველი თემებით, რაც თანდათან მიუღებელი ხდებოდა ახალი ცხოვრების ფონზე. კრიტიკოსის მართებული აღნიშვნით, „რამდენად უფრო ღრმავდებოდა და მწვავედებოდა იდეოლოგიურ ფრონტზე კლასთა ბრძოლა, იმდენად უფრო ნათელი ხდებოდა დეკადენტური პოეზიის შეუთავსებლობა სოციალისტური მშენებლობის რელსებზე გადასულ ქვეყნის კულტურასთან“<sup>14</sup>. ყოველივე ამის ნიადაგზე ცინფერ ყანწელთა შემოქმედებაში თანდათან იჩენს თავს ახალი თემებით დანტრერესების სიმპტომები, სინამდვილის ასახვის რეალისტური მეთოდები, რაც ბუნებრივად მიდიოდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებამდე. 30-იანი წლების დასაწყისში, რა თქმა უნდა, ცინფერყანწელები ჯერ კიდევ ვერ იყვნენ გამიჯნული თავიანთ ადრეულ შემოქმედებითს პრინციპებთან, მაგრამ რეალისტური ელემენტების ძალუმი შემოჭრა იმის უტყუარ საფუძველს ქმნიდა, რომ ისინი სულ მოკლე ხანში გაწყვეტდნენ კავშირს წარსულთან და სოციალისტურ სინამდვილესთან ორგანულად მივიდოდნენ.

ყოველივე ამას შ. რადიანი კრიტიკოსის მახვილი თვალით ამჩნევდა ცინფერ ყანწელთა ერთ-ერთი ლიდერის ტიციან ტაბიძის შემოქმედებაში. კრიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა: „უყანასქნელ პერიოდში (30-იანი წლების დასაწყისში. — რ. ჩ.) ტ. ტაბიძე ცდილობს თავი დააღწიოს ძველ, ანტირევოლუციონურ განწყობილებებს. ამის ილუსტრაციაა მისი „რიონ-პორტი“, „გულდაგულ“, „გემები ორიპირში“, „სომხეთში“ და სხვ.“ მაგრამ კრიტიკოსი იქვე შენიშნავდა იმ არსებით ნაკლს, რაც ჯერ კიდევ ახასიათებდა ტ. ტაბიძის იდეურ-მხატვრულ მსოფლმხედველობას: „ტ. ტაბიძეს დღესაც ძველი „ტიერთი“ ჯერ კიდევ ძლიერ აწევს მხრებზე. ამის შედეგად მის ამ უყანასქნელ ლექსებშიაც არის მისტიციზმი, ფანტასტიკა, სიმბოლისტური ნისლი“<sup>15</sup>.

შეჯარებით მკაცრად აკრიტიკებს შ. რადიანი პაოლო იაშვილს, რომელმაც კრიტიკოსის აზრით, ჯერ კიდევ ვერ უარყო ძველი გზა და ახალ სინამდვილეს ვერა და ვერ დაუახლოვდა, თუმცა დაახლოებმა სურვილი უთუოდ შეინიშნება მის ზოგიერთ ლექსში. პრაქტიკულად კი ამისათვის პოეტს ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია. მართალია, კრიტიკოსი ამ მიმართებით საგანგებოდ გამოყოფს ლექსს „ლენინ“, რომელს იდეურ-მხატვრული მაღალი ღირსება თვალსაჩინო და სამაგალითოა, მაგრამ, წერალის ავტორის აზრით, ეს ლექსი პოეტის იმ პერიოდის შემოქმედებაში სრულიად განმარტოებით დგას.

30-იანი წლების დასაწყისი მართლაც ვერ გამოიჩინევა პაოლო იაშვილის შემოქმედებაში ისეთი აქტიური შემოქმედებითი ნაყოფიერებით, როგორც 30-იანი წლების შუახანები. პოეტის მსოფლმხედველობის შემდგომ გარდაქმნას იქნებ შ. რადიანის წინამდებარე წერილმაც შეუწყო ხელი, როგორც პრინციპული ხასიათისა და სწორი ლიტერატურულ-კრიტიკული პოზიციებიდან დაწერილმა სტატიამ.

<sup>13</sup> ეურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2, გვ. 180.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 181.

<sup>15</sup> იქვე.



ცისფერ ყანწულთა ჭვუფის წევრებიდან კრიტიკოსის ყურადღება გამაზვილებულია ვ. ვაფრინდამვილის, გ. ლეონიძის, რ. გვეტაძისა და ნ. მიწიშვილის პოეტური გზების როგორც ადრეულ, ისე უკანასკნელი პერიოდის ნიშანთვისებებზე. კონკრეტული ლექსების მიმოხილვით კრიტიკოსი თითოეული პათჯანის ღირსება-ნაკლოვანებებზე მსჯელობს, მართებულად აღნიშნავს უკანასკნელი პერიოდის სასიამოვნო მხატვრულ სიახლეებს მათს შემოქმედებაში, რომელიც თანდათან უახლოვდება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს.

შალვა რადიანი თავის წერაღში უნდა შეხებოდა ამ პერიოდის მოღვაწე ყველა აქტიურ პოეტს, რადენადაც საანალიზო პერიოდი ქართული პოეზიის მთლიანობაში წარმოიჩინას გულსხმობდა. მართლაც, კრიტიკოსი ცდილობს ყურადღების გიღმა არ დარჩეს ს. შანშიაშვილი და ი. მოსაშვილი, გრ. ცეცხლაძე და ვ. გორგაძე, ვ. რუხაძე და ვ. ეურჯული, ალ. ქუთათელი და სხვ. რომელთა პოეტური შემოქმედება მეტ-ნაკლები სისრულით გამოხატავდა სოციალისტური მშენებლობის მღვლეარე ღღეებს.

შალვა რადიანი საგანგებო ყურადღებას უთმობს პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებს ნემოქმედებითი ნიმუშების საფუძვლიან ანალიზს. ამ მიმართებით წერილში ვრცელი ადგილი უჭირავს ს. ეულის, ნ. ზომღეთელის, ი. ვაკელის, პ. სამსონიძისა და ი. ლისაშვილის პოეტური ნაწარმოებების განხილვას. ამ პოეტთა ზოგადი შეფასება არსებითად დადებითია, მაგრამ კრიტიკოსი სერიოზულ შეწუთებას გამოთქვამს იმ მხატვრულ-ფორმალური სისუსტეებისა და შაბლონისა გამო, რომელთა სიუხვე ამჟარად საგრძნობი იყო მათს პოეტურ მოღვაწეობაში. კრიტიკოსის შენიშვნები კონკრეტული და პრინციპული იყო.

წ. რადიანის წერილის კრიტიკული პათოსი, შეიძლება ითქვას, ნიშნულ თვისებად დაჰყვებოდა 30-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკას, რასაც გარკვეული წვლილი შეჰქონდა მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში.

პროლეტარული მწერლობის უფროში თათობის პოეტური შემოქმედების ანალიზის შემდეგ კრიტიკოსი ვრცლად მიმოიხილავს ამავე ჭვუფის ახალგაზრდა თათობის პოეტების მხატვრულ ნიმუშებს. ეს ახალგაზრდა თათობა, რომელშიც შედიოდნენ ა. მაშაშვილი (მირცხულავა), კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე და სხვ., ამ ღროსათვის მოძავალ საიმედო ძალას წარმომადგენდა ქართული მხატვრული მწერლობისათვის. მათი პოეტური მოღვაწეობის სერიოზული შეფასება სალიტერატურო კრიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენდა.

წერილის დასასრულს შალვა რადიანი ვრცლად ლაპარაკობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების „სამხატვრო-სალიტერატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ შემდეგ განვლილ პერიოდზე, როცა ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ საგრძნობლად განიცადა თვისებრივი ცვლილებები როგორც იდეურ-მინაარსობრივი, ისე მხატვრულ-ფორმისეული თვალსაზრისით. წერილის ავტორი დაწვრილებით ლაპარაკობს აღნიშნული დადგენილების მიერ გამოვლენილ იმ უხეშ შეცდომებზე, რომლებიც ამჟარად ახასიათებდა პროლეტარული მწერლობის ასოციაციის ხელმძღვანელობას, აკრიტიკებს როგორც პოეზიის „მცირე ფორმის“ ეანრების უარყოფელთ, ასევე ამ ეანრების „ერთეულ დამცველთ“ და გადაკრით აც-

ხალებს: „დღეს ჩვენ გვესაჭიროება როგორც „მცირე ფორმის“, ისე „დიდი ფორმის“ ხელოვნება“<sup>16</sup>.

დრომ სავსებით გაანართლა შალვა რადიანის მოსაზრება. დღეს წარმოუდგენელია „კლასიფიცირებული“ ქართული საბჭოთა პოეზია.

1932 წლის „მნათობის“ პირველ ორ ნომერში (1—2, 3—4) ორ ნაწილად დაიბეჭდა ბესარიონ ელენტიის მიმოხილვითი ხასიათის წერილი „გადამწყვეტი წელი ქართულ ლიტერატურაში“. ფაქტიურად ეს წერილი მოიცავდა 1931 წლის მხატვრული ლიტერატურის მიმოხილვას. მხატვრული პროდუქციის მიმოხილვის დაწყებამდე კრიტიკოსმა წერილს ვრცელი თეორიული შესავალი დაურთო, სადაც შეფასებული იყო აღნიშნული პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული ცხოვრების საერთო ნიშნები. ამ ფონზე შენიშნული იყო ქართული სიტყვაეკავშეული მწერლობის არსებითი ტენდენციები, ავტორი აკეთებდა დასკვნას ქართული მწერლობის როლსა და მნიშვნელობაზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარებასა და წინსვლაში, რეალური სინამდვილის ობიექტურ ასახვაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. ელენტი მუდამ გამოირჩეოდა ცოცხალ ლიტერატურულ პროცესში აქტიური მონაწილეობით, ყოველთვის ცდილობდა ახალი ლიტერატურული ნიმუშები ობიექტურად დაეკავშირებინა რეალურ სინამდვილესთან, ახდენდა ფაქტების განზოგადებას, აკუთავდა სწორ დასკვნებს, იძლეოდა ობიექტური სინამდვილისა და ლიტერატურული ცხოვრების საერთო სურათს. ეს ნიშნები არსებითი და დამახასიათებელი იყო ბ. ელენტიის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. ამ ნიშნებით ხასიათდება ბ. ელენტიის 30-იანი წლების ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, რომელთა დიდი უმრავლესობა სწორედ ეურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა.

ამ თვალსაზრისით იქცევს ჩვენს ყურადღებას ზემოთ დასახელებული წერილი. როგორც აღვნიშნეთ, წერილში გაანალიზებულია 1931 წლის ქართული ლიტერატურა, უფრო სწორად, ქართველ მწერალთა ის ნაწარმოებები, რომლებიც 1931 წელს გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში. ანალიზის შედეგად კრიტიკოსი გარკვეულ დასკვნებს გეთავაზობს, მაგრამ მათ კრიტიკოსი წერილს დასასრულს კი არ იძლევა, არამედ შესავალ ნაწილში. იქნებ ამ მიზეზით არის გამოწვეული დასკვნებს შორის არსებული წინააღმდეგობა. კრიტიკოსი ჯერ კატეგორიულად წერს: „გადამწყვეტი წელს მუშათა კლასმა და მისმა ხელმძღვანელმა პარტიამ მწერლობას გარკვეული მოთხოვნა წარუდგინა — ხუთწლიდან გვირის ლიტერატურაში ჩვენების სახით... ეს დავლება გულისხმობს მწერლობის მიერ მიმდინარე წარმოებითი პროცესების ორგანულ ცოდნას, სოციალიზმის მშენებელი ახალი ადამიანის დიალექტიკურად ხილვას და მის გამოსახატავად საჭირო საშუალებათა დაუფლებას... გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ ვერ შეასრულა კლასისა და პარტიის მოთხოვნა. გასული წლის ერთი უმთავრესი ნაკლოვანებათაგანი ლიტერატურის ფართობზე სწორედ ამში მდგომარეობა. ჩვენ დღემდე არა გვაქვს არც ერთი ნაწარმოები, რომელიც თავის მხატვრული ძალით, სიღრმით და იდეური ხარისხით შეეფერებოდეს ამ ახალსა და რთულ თემას, ღირსეულად გამოხატავდეს ახა-

<sup>16</sup> ურნ. „მნათობი“, 1933, № 1—2, გვ. 192.

ლი ქვეყნის მამოძრავებელ ახალ ადამიანს<sup>17</sup>. ორიოდ გვერდის შემდეგ კრიტიკოსის დასკვნა ასეთია: „მთლიანად გასული წლის საბჭოთა მწერლობის მდგომარეობას შემდეგნაირი შეფასება უნდა მიეცეთ: გადამწყვეტი წლის სპეციფიურ გარემოცვინა და ამოცანების ნიადაგზე ჩვენი ლიტერატურა ავიდა ახალ, უმაღლეს იდეურ ეტაპზე“<sup>18</sup> (ხაზგასმა კრიტიკოსის ეკუთვნის. — რ. ჩ.). ეს წინააღმდეგობა მით უფრო თვალში საცემია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული წერილი არსებითად კრიტიკული ხასიათისაა. მასში მძაფრად არის მხილებული ის ნაკლოვანებები, რაც შესაძრწევად ახასიათებდათ ქართველ მწერლებს როგორც იდეური შინაარსის, ისე მხატვრული ფორმის თვალსაზრისით. ამასთან, ისიც საგულისხმოა, რომ ვიდრე ამ მეორე დასკვნას გააქეთებდა წერილის ავტორი, იქვე აღნიშნავდა ქართული დრამატურგიის ჩამორჩენილობას, დრამატულ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ სისუსტეს. მისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ წერილის ავტორი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ს. შანშიაშვილის პიესას „სამნი“ და შ. დადიანის ტრაგედიას „თეთნულდს“. კ. კალაძის, ა. გირცხულავას და გ. ბუხნიკაშვილის პიესების გამო („სახლი მტკვრის პირას“, „განგაში“, „ხანძარი“) წერდა: „რომ დაწვრილებით არ შევეუდგეთ აქ მათ მიერ გასულ წელს დაწერილ პიესების განხილვას, შეიძლება გარკვევით და კატეგორიულად ითქვას, რომ ავტორებმა საგრძნობი შემოქმედებითი ზრდისა და მიღწევების პირობებში ვერ შეძლეს მოცუათ (ხაზი ჩვენია. — რ. ჩ.) გადამწყვეტი წლის ბრძოლების და გამარჯვების შესაფერი დრამატურგიული ტილოები, რომლითაც ნამდვილი იმპულსი მიეცათ ჩვენი თეატრებისათვის, მართლაც წაეყვანათ ისინი სოციალურ რეკონსტრუქციის გზით“<sup>19</sup>.

ვფიქრობთ, ბ. ედენტის მიერ გაქეთებული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნა იმ ნაკლოვანებებიდან გამომდინარეობს, რომელიც, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად ახასიათებდა კრიტიკოსს თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ხშირად მისი დასკვნები ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი იყო, ხან ამჟამად დალატობდა ლიტერატურული ალლო ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასებისას, რაც საგრძნობ დაღს ასვამდა საერთოდ სალიტერატურო კრიტიკის ობიექტურ სახეს. ამის მაგალითად ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები შ. დადიანის „თეთნულდი“ გამოდგება, რომლის შესახებ კრიტიკოსი ვადაქრით აცხადებდა: „თეთნულდი“ ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირებას ახდენს კლასობრივი ბრძოლის მომენტის სრული იგნორაციით. მხედველობის არედან საჭსებით გამორიცხულია სოციალურ ცხოვრებაში წამოჭრილ წინააღმდეგობათა ეკონომიკური საფუძვლები. ნამდვილი ბრძოლის გამომხატულების მაგიერ ვლებულობთ კოლიზიების დაუსაბუთებელ აბსტრაქციას, რის შედეგადაც თანამედროვე სვანეთში წარმოებული მშენებლობისა და ბრძოლის პროცესები სრულიად ყალბდება და მახინჯდება პიესაში“<sup>20</sup>.

ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, უმართებულოა, რაც ლიტერატურული ალლოს ან გემოვნების მოღუწების შედეგად უნდა მივიჩნიოთ. „თეთნულდი“

<sup>17</sup> ეურ. „მნათობი“, 1932, № 1—2, გვ. 249.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 251.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე.

ერთი უბრალოდ ნაწარმოებია ქართულ დრამატურგიაში და არამარტო ქართულ დრამატურგიაში, იგი ერთი პირველი ტრაგედიაა მთელს საბჭოთა მწერლობაში<sup>21</sup>, რომელმაც „დიდი და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის განვითარებებს საქმეში“<sup>22</sup>. შემდეგ, როცა საგრძობლად დაიწმინდა საზოგადოებრივ-ლიტერატურული ატმოსფერო, თავად ბ. ელენტიც ერთ-ერთი პირველი აღიარებდა „თეთნულდის“ ქემმარიტ ლიტერატურულ-დრამატურგიულ ლირებულებას. ამგვარი ლიტერატურული გადაფასებები, უნდა ვაღიაროთ, რომ არცთუ იშვიათი იყო ბ. ელენტის შემოქმედებით პრაქტიკაში. თუმცა ამ საკითხებზე მსჯელობა სულაც არ შეადგენს ჩვენი შრომის მიზანს.

წერილის ძირითადი ნაწილი, განსაკუთრებით პირველი ნაწილი, მაშხილებელ-კრიტიკული ხასიათისაა. წერილის ავტორი თავს ესხმის და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს საბჭოთა მწერლების მემარჯვენე სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც, კრიტიკოსის აზრით, ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულან წვრილბურჟუაზიული შეხედულებებისა და ანტიპროლეტარული მსოფლმხედველობისაგან. ყოველივე ეს, წერილის ავტორის აზრით, საგრძობლად ატყვია ა. ჭუმბაძის, ალ. აბაშელის, ს. თავაძის, ვ. რუხაძის<sup>23</sup>, ს. შანშიაშვილისა და მ. ჭავჭავიძის ნაწარმოებებს, რის გამოც ისინი შორს დგანან სინამდვილის ობიექტური ასახვისაგან და გამოხატავენ „ანტიპროლეტარული კლასების განწყობილებებს“ (ბ. ელენტი).

თუმცა კრიტიკოსს მიაჩნია, რომ არისტო ჭუმბაძე ცდილობს თანდათან დაუახლოვდეს სოციალისტურ სინამდვილეს, მაგრამ, მისივე აზრით, „მისი ნაბიჯები მეტად ნელი და გაუბედავია“. ალ. აბაშელი კი იმიტომ იმსახურებს კრიტიკოსის საყვედურს, რომ პოეტი „სრულიად გაექცა გადამწყვეტი წლის ლიტერატურულ პრაქტიკას“.

კრიტიკოსის განსაკუთრებული რისხვა მიუხედავად ჭავჭავიძისა და მის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ რომანს „არსენა მარაბდელს“ ატყდება თავს. კრიტიკოსი მწერალს შემოქმედებით მეთოდს უწუნებს, სწორად ვერ აფასებს რომანის იდეურ-მხატვრულ პრობლემებს და კატეგორიულად ასკვნის: „მნელია იმის თქმა, თუ რა ხაზით განვითარებს ამ რომანს ჭავჭავიძელი. შეიძლება მან შესაძლოს შემდეგ ნაწილებში მდგომარეობის ცოტად თუ ბევრად გამოსწორება, აღებული გეზის რამდენადმე მაინც შეცვლა. ეს, რა თქმა უნდა, ნაწარმოების „ბედს“ დაეხმარება. მაგრამ ნაწარმოები მაინც ვერ იქნება ორგანულად, მთლიანად დამყარებული სწორ მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე. ამ რომანის მიხედვით ჩვენ არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მ. ჭავჭავიძელი დაიძრა მემარჯვენეობის პოზიციებიდან რევოლუციის ლიტერატურულ თანამგზავრობისაკენ“<sup>24</sup>.

<sup>21</sup> გ. უილიამსონი, შალვა დადიანი, თბილისი, 1974, გვ. 433.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 450.

<sup>23</sup> კრიტიკოსის შეხედულებით, ვ. რუხაძე „დემოკრატიული პოეზიის“ ბანაყის წარმომადგენელია, „თითქოს უფრო მეტად თანამგზავრული ტენდენციების მატარებელია, მაგრამ წერილის ავტორი თვლის, რომ მისი მხატვრული ალლო იმდენად ზოგად რევოლუციონურ ფრაზოთაა განსაზღვრული, იმდენად შორსაა მისი შემოქმედებითი პრაქტიკა დღევანდლობის კონკრეტული პრობლემებიდან, რომ დღევანდელ ეტაპზე მის ლექსებს არავითარი სასარგებლო და საკირო ფუნქცია არ გააჩნია“ (გვ. 253).

<sup>24</sup> ეურნ. „მნათობი“, 1932, № 1—2, გვ. 255.

ახლა ალბათ ზედმეტიც იქნება ამ დებულების კომენტირება. კრიტიკოსის ეს მცდარი მოსაზრება ისევ იმ ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი შეფასებებიდან გამომდინარეობს, ხანდახან ლიტერატურული ალღოს მოდუნების შედეგს რომ წარმოადგენდა. სხვათაგან ჩვენ ვერაფერს ვივარაუდებთ, რამდენადაც მოგვიანებით თვით ბ. ელენტი სრულიად საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს „არსენა მარაბდელსა“ და მ. ჭავჭავიძის შემოქმედებას საერთოდ<sup>25</sup>.

როცა კრიტიკოსი ამ პერიოდის მხატვრულ ნიმუშებზე ლაპარაკობს, ნაწარმოებებს ყოველთვის იდეურობის პოზიციიდან აფასებს, რაც, მთლად გამართლებული პოზიცია არ გახლავთ და კრიტიკოსის მარცხის მიზეზიც ხშირად ეს იყო. როგორც ვნახეთ, მხოლოდ ამ თვალსაზრისით იწუნებდა ბ. ელენტი „არსენა მარაბდელს“, თორემ რომანის მხატვრული ფორმის ღირებულება უდავო იყო, რასაც ბ. ელენტიც აღიარებდა. „რომანს აქვს ღირსებათა მთელი რიგი, — აღნიშნავდა კრიტიკოსი, — ჭავჭავიძისათვის ჩვეული ოსტატობით შენდება ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი: ტიპების მოხაზვასა და შესრულებაში, დიალოგის დამუშავებაში, საერთოდ სიტყვიერი მასალის ორგანიზაციასა და რომანის კომპოზიციის მხრივ, ეს ნაწარმოები უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა და მოწმობს ავტორის მხატვრულ კულტურას და შემოქმედებით უნარიანობას“<sup>26</sup>.

„არსენა მარაბდელის“ მხატვრული ფორმის ბ. ელენტისეული შეფასება არსებითად დღესაც ძალაში რჩება, ხოლო რომანის იდეურ-მხატვრული პრობლემები კარგა ხანია გარკვევით არის შეფასებული ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ.

წერილის შემდეგი ნაწილი ცისფერ ყანწელთა წარმომადგენლების საერთო შეფასებასა და მათი პოეტური ნიმუშების ანალიზს ეძღვნება. ეს შეფასება რამდენადმე მკაცრია, მაგრამ მართებულია, რამდენადაც 20-იან წლებსა და 30-იანი წლების დასაწყისში ცისფერყანწელთა სიმბოლისტური სკოლის ძირითადი ბირთვი დამეჭიბებით არ თმობდა პოზიციებს და აღრინდელი მსოფლმხედველობით განაგრძობდა პოეტურ მოღვაწეობას<sup>27</sup>. ამ ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავდა ბ. ელენტი: „რაც უფრო ღრმავდება, რთულდება და ახალ, უმძალეს საფეხურზე ადის იდეოლოგიურ ფრონტზე წარმოებულ კლასობრივი ბრძოლა, მით უფრო მწვავედ საგრძნობი ხდება ბურჟუაზიულ-დეკადენტური პოეზიის ქართული სკოლების — „ცისფერი ყანწების“ მხატვრულ-იდეური ორიენტაციის შეუთავსებლობა პროლეტარული რევოლუციის კულტურულ ტენდენციებთან. საბჭოთა საქართველოს არსებობის თერთმეტი წლის მანძილზე ამ ლიტერატურულ დაჯგუფების ძირითადად, ხელმძღვანელმა კადრმა ვერ მოახერხა ანტიპროლეტარული, იდეალისტური მსოფლმხედველობიდან განთავისუფლება, იგი ვერ გასცილდა პოლიტიკური დეკლარაციების სტა-

<sup>25</sup> ბ. ელენტი, მხატვრული თხრობის დიდიხელოვანობა, „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 4.

<sup>26</sup> ელენტი, „მნათობი“, 1932, № 1—2, გვ. 255.

<sup>27</sup> თუმცა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში აღიარებულა, რომ „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფი გაუქმდა 1931—32 წლებში (შ. აფხაძე, პირობა იმედი, „მნათობი“, 1960, № 12, გვ. 165). ამ თვალსაზრისის ოპირებს მ. აბულაძე („ლიტერატურულ მშენებარეობათა ისტორიიდან XX ს. ქართულ მწერლობაში“, 1977, გვ. 146).

დიას, ორგანულად ვერ მიუახლოვდა სოციალიზმის შვენივლი კლასის მებრძოლ პრაქტიკას და მისი პოეტური გამოხატულება ვერ მოგვცა<sup>28</sup>.

კრიტიკოსი კონკრეტულად ასახულებს, რომ სიმბოლისტური სკოლის ჯგუფში ბოლო დროს ტრადიციები შეირყა, გარკვეული ნაწილი აღრინდელ პოზიციებს თმობს და ლიტერატურული თანამგზავრობის პოზიციას დაადგა. ამ უქანასწველთა შორის კრიტიკოსი ასახელებს რ. გვეტაძეს, შ. აფხაიძეს, ს. კლდიაშვილს და სხვ. იმ მიზნით, რომ კონკრეტულად ნათელყოს სიმბოლისტური სკოლის ძირითადი ბირთვის მეთოდოლოგიური შეცდომები, კრიტიკისი დაწვრილებით ანალიზებს პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, ნ. მიწიშვილისა და ვ. გაფრინდაშვილის სიმბოლისტურ-დევკადენტური ნაკადის პოეტურ ნიმუშებს. პ. იაშვილის შესახებ კრიტიკოსი გადაჭრით აცხადებს, რომ პოეტი შორს დგას სინამდვილსაგან, ვერ იძლევა დღევანდლობის ნათელ და მართალ სურათებს, „ვერ მოგვცა ჩვენი ქვეყნის შრომისა და ბრძოლის ორგანულად გამგები და გამოხატველი პოეზია. ლექსის ოსტატობის თვალსაზრისითაც უქანასწველი წლის ლექსები ვერ შეედრებიან ამავე პოეტის პირველი პერიოდის მხატვრულ ფაქტებს“. ამის მიზეზს კრიტიკოსი პოეტის ძველ მსოფლმხედველობაში ხედავს. „ახალ თემატურ მასალასთან ძველი მსოფლმხედველობით და ტრადიციული მხატვრული მეთოდით მიდგომა იწვევს შემოქმედებით კრიზისს და პოეტს გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს“<sup>29</sup>.

ტრციან ტაბიძის შემოქმედებიდან კრიტიკოსმა ლექსების ციკლი „სომხეთში“ და ნარკვევების სერია „ახალი კოლხიდა“ განიხილა. დასკვნა კი, რომელიც შესაეალოშივე მოგვცა წერილის ავტორმა, ასეთია: „იგი (ტ. ტაბიძე. — რ. ჩ.) არ გაურბის საბჭოთა თემატიკას, მაგრამ აქაც პოეტის მსოფლმხედველობითი დაშორება რევოლუციონურ დღევანდლობისაგან და მისი ტყვეობა სიმბოლისტური მისტიციზმის რეალში საშუალებას არ აძლევს პოეტს აღებული თემატური მასალა შესაფერ ფუნქციონალურ განსხეულობაში მოგვეცეს“<sup>30</sup>. ტ. ტაბიძისა და მისი პოეზიის ირგვლივ კრიტიკოსი ანალოგიურ დასკვნას კვლავ გვთავაზობს: „ტ. ტაბიძე მომქმედი და ლიტერატურულად აქტიური ძალაა. იგი არ არასოდეს არ დამდგარა „შემოქმედებითი დუმილის“ პოზიციაზე. იგი არ გაქევივა საბჭოთა თემატიკას და უქან არ დაუხვეია რევოლუციონური დღევანდლობისაგან. ყოველივე ეს პოეტის ღირსებაა, რაც უნდა უქვევლად აღინიშნოს, მაგრამ პოეტის შემოქმედებაში უმთავრესი და გადამწყვეტი — მსოფლმხედველობაა და შემოქმედებითი მეთოდი. ამ მხრივ კი ტრციან ტაბიძე ისევ სიმბოლისტურ-დევკადენტური ტრადიციებს ტყვეობაშია. მას დასჭირდება ინტენსიური ბრძოლა და მუშაობა ამ გავლენიდან განთავისუფლებისათვის“<sup>31</sup>.

ამავე საზომით უდგება კრიტიკოსი ნ. მიწიშვილისა და ვ. გაფრინდაშვილის პოეტური ნიმუშების განხილვას. მათი პოეზიის შეფასებისას წერილის ავტორს უმთავრესად მომარჩებელი აქვს ერთადერთი კრიტერიუმი — იდეურობა. ამ პოზიციიდან კრიტიკოსი ხშირად ისეთ ლექსებსაც იწუნებს, სადაც საბჭოთა თემატიკა, რეალური სინამდვილეა ასახული, მაგ.: ს. თაყაიძის „ბაქოს პროლეტარიატს“, ს. შანშიაშვილის ლექსს, რომელიც 26 ბაქოელ კომისარ-

<sup>28</sup> ყურნ. „მნათობი“, 1932, № 1—2, გვ. 256.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 257.

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 259.

ზეა დაწერილი, პ. იაშვილის „ცხოვრება ალიოშა ჭაფარიძისი“ და „პოეტის საქმე“, ტ. ტაბიძის ლექსების რკალი თანამედროვე სომხეთზე და ნარკვევების ციკლი „ახალი კოლხიდა“, ნ. მიწიშვილის „თბილისიდან ორჯონიკიძემდე“, ვ. გაფრინდაშვილის „შაბათობაზე“ და „ოქტომბრის სტრიქონები“ და სხვ. ასეთ მხატვრულ ნიმუშებში კრიტიკოსი რატომღაც პროლეტარული მსოფლმხედველობის გამრუდებას ხედავს და ავტორთა ლიტერატურულ პოზიციებს ეპეის ქვეშ აყენებს. მაგალითად, ამგვარი მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. მიწიშვილისა და მისი ლექსის „თბილისიდან ორჯონიკიძემდე“ გარშემო: „ეს სტრიქონები ლექსში, სადაც ხშირად გვხვდება ახალი ცხოვრების აპოლოგია, გვიჩვენებენ, რომ პოეტს სწორად არ ესმის ამ ახალი ცხოვრების აზრი და მიმართულება. მთლიანად ეს ლექსი პოეტის ერთადერთი გამოხატულებაა გადამწყვეტი წლის ამოცანებისათვის. მიუხედავად ოსტატობის საკმაოდ მაღალი ხარისხისა და კვალიფიციურობის, ვერ იძლევა მიწიშვილის განვითარების რაიმე გარანტიას მისი პროლეტარული იდეოლოგიასთან (ხაზი ჩვენია, — რ. ჩ.) დაახლოების თვალსაზრისით“<sup>32</sup>. ამგვარი დასკვნები, ჩვენი აზრით, იმ სქემიდან გამომდინარეობდა, რომელიც წინასწარ იყო შემუშავებული საერთოდ კისფერყანწელთა მიმართ. სხვაგვარად ვერ ვიფიქრებთ, რამეთუ კრიტიკოსი თავის კატეგორიულ დასკვნებს ზოგჯერ სრულიად გამართული და მაღალმხატვრული ლექსის სტრიქონების ციტირების შედეგად აცეთებს. ასეა ნ. მიწიშვილთანაც. კრიტიკოსის ზემოთ აღნიშნული დასკვნა ამ სტრიქონებს ემყარება:

„იყოლე შენი ქვეყნის ბედო  
კვლავ აგრიალდა,  
ზურგიდან მახვილს ქართველ მუშას  
ველარ დაქრავუნ.  
და შენც დადექი მასთან ერთად  
აქ დარიალთან“.

ჩვენი აზრით, ერთობ ძნელია ამ სტრიქონების გამო ავტორს პროლეტარული მსოფლმხედველობისაგან დაშორება ან მისი იგნორირება დავწამოთ. პირიქით, აქ ავტორს შესაძლოა ვეკამათოთ პოეტური ოსტატობის ხარისხზე, მხატვრული ჩანაფიქრის განსხეულების დონეზე, რასაც ასე თავგამოდებით იწონებდა კრიტიკოსი, და არა ლექსის იდეური მხარის სისუსტეზე.

ამგვარი საკამათო ადგილები, პირდაპირ უნდა აღინიშნოს, რომ არცთუ იშვიათი იყო 30-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რაც თავისებურ ზეგავლენას ახდენდა მის საერთო ტენდენციებზე.

წერილის მეორე ნაწილი, რომელიც მომდევნო ნომერშია დაბეჭდილი (№ 3—4), იწყება ლიტერატურულ მოკავშირეთა ნაწარმოებების განხილვით და მათ გარშემო მსჯელობით. კრიტიკოსის განმარტებით, „პროლეტარიატის შემოქმედებითი მოკავშირე ისეთ მწერალს გულისხმობს, რომელიც საბოლოოდ უკან დაუხეველად საბოლოოდ გაემიჯნა ძველ, ანტიპროლეტარულ იდეოლოგიას და მთელი თავისი შეგნებით და შემოქმედებით გაჰყვა პროლეტარული რევოლუციის მდინარეებს, გაჰყვა მას არა „რომელიმე სადგურამდე“,

<sup>32</sup> ტერ. „მნათობი“, 1932 წ., № 1—2, გვ. 260.

არამედ საბოლოოდ, გაიგო და მიიღო ეს რევოლუცია მძლავრად, მთელი თავისი მრავალმხრივობით და მრავალფეროვანებით. ლიტერატურული მოკავშირეობის არსი არსებითად ეს იყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთი მწერლები ახალი იდეოლოგიის მატარებლებად გამოცხადებულყვნენ. კრიტიკოსი ამას საგანგებოდ უსვამდა ხაზს: „მოკავშირე ჯერ კიდევ არ განმტკიცებულა პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე. ჯერ კიდევ მისი შემოქმედება მთლიანად არაა დამყარებული მუშათა კლასის მსოფლმხედველობაზე. მას ჯერ კიდევ მთელი სიღრმით ვერ მოუმარჯვებია მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდოლოგია, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მწერალმა შეძლოს სინამდვილის პროლეტარული თვალით ხილვა და გამოხატვა“<sup>33</sup>.

ამ თვალსაზრისით ეხება ბ. ელენტი ისეთ ლიტერატურულ მოკავშირეებს, როგორიც იყვნენ: გ. ტაბიძე და ს. ჩიქოვანი. ცნობილია, რომ გ. ტაბიძისათვის არასოდეს არ მდგარა ალტერნატივა: მიეღო თუ არ მიეღო რევოლუცია მაშინ, როცა ეს ალტერნატივა დიდხანს მძაფრად იდგა არაერთი ქართველი მწერლისათვის. გ. ტაბიძე ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტი იყო, რომელმაც მაშინვე იწამა რევოლუციური სიახლე. იგი იყო აგრეთვე ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც უშუალოდ იხილა და განიცადა რევოლუციის მღვდვარე დღეები და არაჩვეულებრივი პოეტური სტრიქონები უძღვნა მას („ღროშები ჩქარა“, „ჩონ რიდი“, „გემი „დალანდი“ და სხვ.). სწორედ ამიტომ სოციალისტური სინამდვილის რეალური ყოფის მხატვრული განსახილვება იმთავითვე იქცა გ. ტაბიძის შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად საგნად. ამიტომ გახდა იგი ლიტერატურული მოკავშირე, მაგრამ თუ იგი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მივიდა ნარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, ამის მიზეზი მის პოეტურ წარსულში უნდა ვეძიოთ: მისი რევოლუციანდელი შემოქმედება ხომ არსებითად გამსჭვალული იყო სიმბოლისტურ-დეკადენტური მსოფლმხედვებით. მაგრამ 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იანი წლების დასაწყისში გ. ტაბიძე უკვე სავსებით ძლევს მისი პოეზიისათვის დამახასიათებელ ადრეულ დეკადენტურ ელემენტებს და შეგნებულად უახლოვდება იმ ახალ შემოქმედებათს მეთოდს, რომელსაც შემდგომ სოციალისტური რეალიზმი ეწოდა.

ასეთივე გზა განვლო სიმონ ჩიქოვანმა. იგი ქართულ პოეზიაში მოვიდა როგორც ფუტურისტი. მაგრამ სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულმა საურათებმა და ახალი ყოფის ნათელმა პერსპექტივებმა ს. ჩიქოვანი საბჭოთა სინამდვილის გულწრფელ მომღერლად აქციეს.

ასეთი იყო გ. ტაბიძისა და ს. ჩიქოვანის შემოქმედებითი გზები. ამ ნიშნების საილუსტრაციოდ კრიტიკოსი დაწვრილებით მიმოიხილავს გ. ტაბიძის „რევოლუციურ საქართველოს“ და ს. ჩიქოვანის ორ ლექსს: „შემოღამება ხახმატში“ და „ალაზნის ველი და ალაზნის ბაშბა“. დასახელებულ ლექსებს კრიტიკოსი ავტორთა შემოქმედებითი წინსვლის ნიშნად მიიჩნევს, მაგრამ არ ავიწყდება კრიტიკული შენიშვნის გამოთქმაც. თუმცა შენიშვნა იმდენად ზოგადი ხასიათისაა, ვეტყობთ, იგი ქმედითი ყოფილიყო ავტორთათვის. აი, ეს შენიშვნაც: „ჩიქოვანის პოეზიაში უნდა გაღრმავდეს ყოველდღიურობის

<sup>33</sup> ეურნ. „მნათობი“. 1932 წ. № 3—4, გვ. 220.



და აქტუალობის მომენტი. მან მეტი პოლიტიკური სიმახვილე უნდა მისცეს თავის ლექსებს<sup>34</sup>. ამგვარ შენიშვნებს კონკრეტული დახმარების გაწევა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. იმეამინდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის უპირველესი ამოცანა კი სწორედ ის გახლდათ, რომ კონკრეტულად ეჩვენებინათ ავტორთათვის ის ნაკლოვანებები, რაც მათ მხატვრულ პრაქტიკაში შეინიშნებოდა.

წერილის შემდგომი ნაწილი თანმიმდევრულად ეხება პროლეტარული მწერლობის როგორც პირველი თაობის (ს. ეული, ნ. ზომღეთელი, ი. ლიპაშვილი, გ. ქუჩინვილი, ი. ვაკელი, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, ე. ზედგინიძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ბ. ჩხვიძე, ს. წვერავა), ისე ახალგაზრდა თაობის (ირ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, გ. კაჭახიძე, ა. ჩაჩიბაია, მ. გვახალია, გ. შატერაშვილი) მხატვრული ნაწარმოებების განხილვას.

ბ. ელენტიან ადნიშნულ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილს, მიუხედავად მასში გამოთქმული ზოგიერთი ნაჩქარევი და არასწორი დებულებისა, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 30-იანი წლების ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში და მას მხოლოდ ამ თვალსაზრისით უნდა მიეცეს შეფასება.

30-იანი წლების ქართველ კრიტიკოსთა შორის დიმიტრი ბენაშვილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური კრიტიკოსი იყო. ღრმა ერთდროული, ანალიტიკური უნარი, მყარი მარქსისტული მსოფლმხედველობა პარამონულად იყო შეხამებული მის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში, რომლებიც უთუოდ წარმოაჩენდა 30-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკის პათოსს. ამდენად, როდესაც ადნიშნული პერიოდის ქართული საბჭოთა კრიტიკის დამახასიათებელ ტენდენციებზე ვლაპარაკობთ, ამ ტენდენციების ძლიერი ძირები დიმიტრი ბენაშვილის კრიტიკულ წერილებში უნდა დავჭებოთ.

დ. ბენაშვილის ფრიად საყურადღებო წერილი „კონსტანტინე გამსახურდია“. რომელიც 1938 წლის „მნათობის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნდა, შეიძლება ითქვას, უტყუარი სიზუსტით გამოხატავდა როგორც მწერლის შემოქმედების არსებით მხარეებს, ისე ქართული კრიტიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშნებს. თუ რა დამახასიათებელ ნიშნებს ვგულისხმობთ დასახელებულ წერილში, ამაზე ქვემოთ, წერილის ანალიზის დროს ვიმსჯელებთ.

კონსტანტინე გამსახურდია ქართველ მწერალთა იმ ჯგუფის ერთ-ერთი თავკაცი იყო, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა ლიტერატურას. მართალია, მას ჯერ კიდევ არა აქვს დაწერილი „დიდოსტატიკის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, მაგრამ იგი ავტორი იყო „დიონისოს ღმილისა“ და „მთვარის მოტაცებისა“. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, ერთგვარად საეტაპო ნაწარმოები იყო კ. გამსახურდიას რთულ შემოქმედებითს გზაზე და არა მარტო კ. გამსახურდიას შემოქმედებაში. ამ რომანის ჰუმარატი ლიტერატურული ღირებულების წარმოჩენა ქართული კრიტიკის უპირველესი ამოცანა იყო. დიმიტრი ბენაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც ამ ამოცანის შესრულება იცისრა. ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებში ღრმა ხედვა და ამ პროცესებ-

<sup>34</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1932 წ., № 3—4, გვ. 226.

ში უშუალო მონაწილეობა კრიტიკოსს იმის უტყუარ გარანტიას აძლევდა, რომ ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართმევდა თავს.

წერილში თანმიმდევრულად, ზომიერად და მხატვრული გემოვნებით არის გაანალიზებული „დიონისოს ღიმილი“, 1930 წელს დაბეჭდილი მწერლის ნაშრომებს კრებული „მარცხენა თვალით“ და „მთვარის მოტაცება“.

წერილს დასაწყისში კრიტიკოსი ძალზე მოკლედ, მაგრამ ზუსტად მიმოიხილავს მწერლის შემოქმედებითს გზას. როგორც ცნობილია, კ. გამსახურდია ქართულ მწერლობაში რევოლუციამდე მოვიდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართულ ლიტერატურაში არსებითად გაბატონებული იყო დეკადენტობა, სიმბოლიზმი, მისტიციზმი; ქართველი მწერლები უმეტეს ნაწილს გადაჭრით ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი ქართულ კლასიკურ რეალიზმთან. „კლასიკურ რეალიზმს ამ მწერლებმა იმპრესიონიზმი დაუპირისპირეს, ხოლო ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილისა და ვაჟა-ფშაველას პროზას — მისტიციზმით გაყვანილი უიდეო ნოველები და მხატვრულ ღირებულებას მოკლებული უსიუჟეტო, დეკადენტური მინიატურები. ხელოვნება დასცილდა ხალხს და გაჩნდა უფსკრული მწერლების შემოქმედებასა და ცხოვრებას შორის“<sup>35</sup>. ხელოვნებაში უიდეო ნაწარმოებების ერთ-ერთი აბოლოგეტი და თეორეტიკოსი კ. გამსახურდია იყო. ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „კონსტანტინე გამსახურდია, თუმცა ზიგზაგებით, მერყეობით, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, მაგრამ არსებითად მაინც მობრუნდა რევოლუციისაკენ“<sup>36</sup>.

რევოლუციისაკენ მწერლის არსებითი მობრუნების ერთ-ერთ პირველ ნიშნად ერთ-ერთი პირველი ქართული რომანი „დიონისოს ღიმილი“ უნდა მივიჩნიოთ. სწორედ იმიტომ, რომ „დიონისოს ღიმილი“ მწერლის პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც თითქმის დაგმობილია ავტორის ადრინდელი შემოქმედებითი მეთოდი და არის ცდა სინამდვილის რეალისტური ასახვისა, რომანში მაინც შეინიშნება დეკადენტობის, მისტიციზმისა და დაცემულობის ელემენტები, რაც ნაწარმოებს რეალისტურობის მკვეთრ ფერებს უფერმკრთალებს. მიუხედავად ამისა, „დიონისოს ღიმილი“ კ. გამსახურდიას შემოქმედებაში სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაკენ აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. ამიტომ მართებულად უნდა მივიჩნიოთ კრიტიკოსის მოსაზრება ამ რომანის გარშემო. «„დიონისოს ღიმილი“ ერთსა და იმავე დროს ხარკს უხდის როგორც ლიტერატურულ რეალიზმს, ისე ექსპრესიონისტულ მისტიციზმს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში უნდა ჩაითვალოს უღელტეხილად მისტიციზმიდან რეალიზმისაკენ გადასვლის გზაზე»<sup>37</sup>.

ამ დებულების დასადასტურებლად კრიტიკოსი დ. ბენაშვილი დამაჯერებელი არგუმენტებით გვაძლევს რომანის მთავარი გმირის კონსტანტინე სავარსამიძის მხატვრული სახის ანალიზს, რის საფუძველზეც ნათელყოფილია „დიონისოს ღიმილის“ მხატვრული ღირებულება. კრიტიკოსის მართებული დასკვნით, ეს რომანი ჯერ კიდევ არ იყო მწერლის მხატვრული შესაძლებლობის სრული გამოშვებული, მასში ჯერ კიდევ იგრძნობოდა წარსულ შემოქმე-

<sup>35</sup> თურნ. „მნათობი“, 1938 წ., № 9, გვ. 96.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>37</sup> იქვე.

დებიან პრინციპებთან მწერლისეული კავშირი, ჭერ კიდევ ვერ იყო (ბუნებრივად) შეცნობილი სოციალისტური რეალიზმის პრინციპები — მწერალი ჭერ კიდევ ხარკს უხდოდა დეკადენტიზმსა და მისტიციზმს.

ამ ელემენტების გამოვლინებაა 1930 წელს გამოცემული მწერლის ნოველების კრებული „მარცხენა თვალით“. კრიტიკოსი მართებულად აღნიშნავს: „იდეებისა და ფორმალური ძიების თვალსაზრისით ამ წიგნით კონსტანტინე გამსახურდია უკანასკნელ ხარკს უხდის დასავლეთ ევროპის ექსპრესიონიზმს“<sup>38</sup>. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ კრიტიკოსი დაწვრილებით ასახლიზებს ნოველს „ტაბუს“ და დაასკვნის: „ნოველა „ტაბუ“ რამდენადაც ყალბია იდეურად, იმდენად სუსტია მხატვრულად. ამ ნაწარმოებში მოაზროვნე გამსახურდიამ დაჩრდილა მხატვარი გამსახურდია. მთელი ნოველა დაბნელებულია კონმარტული და ჩვენი ეპოქისათვის მიუღებელი იდეებით“<sup>39</sup>. შესაძლოა ნოველის ანგვარი შეფასება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, რამდენადაც ნოველაში ასახული დრო საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად რთულ პერიოდს მოიცავს, როცა აღამიანთა შეგნებაში ჭერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული რევოლუციონ შედეგად დანკვირებული ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურის ნათელი პერსპექტივები და აღამიანებს ჭერ კიდევ არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი წარსულთან, ამასთან, პრივილეგიური კლასის წარმომადგენლები ჭერ კიდევ მთელი ძალით ებლაუტებოდნენ წარსულს. ამგვარ აღამიანთა სულიერი სამყაროს ასახვა მეტ ფსიქოლოგიურ სიღრმეს მოითხოვდა, რაც გარკვეულ სიძრულეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს ნაწარმოების შინაგან და გარეგან მხატვრულ კომპონენტთა განსაკუთრებულ სტრუქტურას საჭიროებდა, რის გამოც ნოველის იდეური შინაარსი ბუნებრივად რთულდებოდა, ზოგჯერ ბუნდოვანებამდეც კი მიდიოდა.

მწერლის ამავე კრებულში დაბეჭდილია ნოველა „ღიღი იოსები“, რომელიც სწორედ ექსპრესიონიზმისა და რეალიზმის ზხავასაყარზე დგას. კრიტიკოსის დასკვნაც მართებულად მიგვაჩნია: „ღიღი იოსები“ ქრონოლოგიურად შემდგომი ხანის ნაწარმოებია. „ტაბუდან“ „ღიღი იოსებამდე“ ავტორი ევოლუციას განიცდიდა. ამ ნოველაში ექსპრესიონისტული ბნელი იდეები აღარ აღიზიანებენ მკითხველის გონებას. მხატვრულადაც ეს ნაწარმოები გაცილებით მაღლა დგას „ტაბუზე“. „ღიღი იოსები“ რეალისტური სტილის ნაწარმოებია, თუმცა სტრაქონებს შუა კიდევ დაქრის ექსპრესიონიზმის აჩრდილი“<sup>40</sup>.

წერილში ვრცელი ადგილი უჭირავს „მთვარის მოტაცების“ ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ბენამუილის ეს წერილი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელშიც გამოწველილი იყო გაანალიზებული რომანი. ამ ფაქტს საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. „მთვარის მოტაცება“ მრავალწახნაგოვანი ნაწარმოებია, მისი წაკითხვა მრავალი კუთხიდან შეიძლება. სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ რომანის ირგვლივ არა ერთი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოითქვა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ვერ ჩასწვდა თარამ ღმზუარის მხატვრული სახის ბუნებას, მისი ხასიათის განვითარების ლოგიკას, ზოგს არაზეყან ზემობიას სახის ფსიქოლოგიის მოტივაცია მიაჩნდა არადამაჯერებლად.

<sup>38</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1938 წ., № 8, გვ. 103.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 106.

<sup>40</sup> იქვე.

ზოგი კაც ზეამბაიას სახის შინაგან ლოგიკას იწუნებდა, მაგრამ მთავარს ვერც ერთი ვერ უარყოფდა — „მთვარის მოტაცება“ სრულიად ახალი ეტაპი იყო ქართული საბჭოთა რომანის განვითარებაში. სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, თანდათან რომ იკიდებდა ფეხს ქართულ მწერლობაში, შეიძლება ითქვას, მთელი სიმკვეთრით ამ რომანში გამოვლინდა.

სწორედ ამ თვალაზრისით იძლევა დიმიტრი ბენაშვილი რომანის ერთ-ერთ მთავარი გმირის თარაშ ემხვარის მხატვრული სახის ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ დღეისათვის სწორად შეფასებული თარაშ ემხვარის მხატვრული სახე არსებითად იმ შეფასების კრიტერიუმს ემყარება, რომელიც ჯერ კიდევ 1938 წელს მოგვცა დიმიტრი ბენაშვილმა. თარაშ ემხვარის პირადი ტრადიციის მიხედვით სოციალურ წარმომადგენლობაშია. ემხვართა უკანასკნელმა ნაწიერმა აღლო ვერ აღლო ახალ სოციალურ ურთიერთობას და სინამდვილეს მოსწყდა. საზოგადოებას მოწყვეტილი პიროვნების გარდუვალი დაღუპვა მხატვრული ლიტერატურის ნაცნობი თემაა, რომლის ახალი ასპექტებით დამუშავება ლიტერატურის ახალი მწვერვალების დაპყრობას უდრის. თარაშ ემხვარი ერთ-ერთი ასეთი ახალი სახეა ქართული ბელეტრისტიკის სინამდვილეში. ამ ფაქტის შესაბამისი არგუმენტირება დიმიტრი ბენაშვილის კრიტიკული წერილის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო.

ასევე ახალი სახეა არზაყან ზეამბაია. იგი 30-იანი წლების კომკავშირელის ტიპური წარმომადგენელია, რომელსაც ორგანულად აქვს შესისხლბორცებული თავდადება და ერთგულება სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრისადმი. ახლა იგი თავგამოდებული ენთუზიასტია სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისა. მაგრამ არზაყანის საზოგადოებრივი საქმიანობის გარდა მწერალი მუქი ფერებით ხატავს მის ინტიმურ დამოკიდებულებას თამარ შერვაშიძისადმი, ყოფილი თავადის ასულისადმი. ამ სიყვარულს სოციალური დაპირისპირებულობის გამო პერსპექტივა არ ეწერა, რის გამოც რთული და წინააღმდეგობრივი გახდა არზაყანის ხასიათი. კრიტიკოსი დ. ბენაშვილი არზაყანის ხასიათის ამ არსებით ნიშნებზე ამხვილებს ყურადღებას, ცდილობს მისი ბუნება ორგანულად დაუკავშიროს ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს, რაც, ჩვენი აზრით, წარმატებით არის მიღწეული. ამდენად, კრიტიკოსი არზაყანის მხატვრულ სახესაც ძირითადად სწორად ხსნის.

ასევე სწორი შეფასება მოგვცა კრიტიკოსმა კაც ზეამბაიას მხატვრული სახისა. ამ პერსონაჟთა ლიტერატურულ შეფასებას არსებითი ცვლილება არ განუცდია თანამედროვე ქართულ კრიტიკაში.

როცა დიმიტრი ბენაშვილის დსახელებულ წერილზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია შევანგებოდ არ აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო ადგილი: „მთვარის მოტაცება“ პირველ გამოცემაში კაც ზეამბაიას და არზაყანის კონფლიქტი მთავრდება იმით, რომ შვილმა მამა რევოლუციით მოკლა. კრიტიკოსი მახვილად შეინიშნავდა, რომ ამ კონფლიქტს არ ჰქონდა ისეთი საფუძველი. შვილს მამა მოეკლა. ანავე დროს იგი არ გამომდინარეობდა არც ფაქტების ლოგიკიდან და არც არზაყანის მხატვრული სახის ბუნებიდან. ეს იყო კრიტიკოსის მიერ აღნიშნული არსებითი შენიშვნა და ასე ასაბუთებდა მას: „მამის სიკვდილი პირველი ადამიანური შეცდომა იყო არზაყანისა და იგი

შევლაქად დაესვა მის ვაჟეაცობას. ჩვენი აზრით, რომანის ავტორს ეს სცენა ძლიერი ფერებით აქვს დახატული, მაგრამ ულოგიკოა იგი და მოკლებულია ჭეშმარიტებას. აქ არ სჩანს მოტივი, რომელიც აიძულებდა არზაყანს მამის, სისხლში გაესეარა ხელი. ნამა ხომ მხოლოდ არზაყანის სიკეთისათვის უშლიდა ნილის თბილისში წასვლას. ნუთუ არზაყანი იმდენად წინდაუხედავია, რომ ვერ მიხვდა მამის გულწრფელ სურვილს? განა კაც ზვამბაიას დამოკიდებულებაში შვილისადმი არის ისეთი გამაღიზიანებელი მომენტი, რომელიც არზაყანს აქეზებს ამ საშინელი დანაშაულის ჩადენისათვის? არა, სრულიად უსამართლოა არზაყანის მოქმედება და მოკლებულია საბუთს“.

„ამიტომ არის, რომ არზაყანი მკითხველთა თვალში თუ მამის მკვლევლობაზე იდეალური გმირია. — განაგრძობს კრიტიკოსი, — ამ მკვლევლობის შემდეგ იგი დიდების პიედესტალიდან ძირს ეშვება. მაინც რატომ უნდა მოეკლა შვილს საკუთარი მამა? კაც ზვამბაია ხომ ტიპური საშუალო გლეხია. თუ იგი მერყეობს კოლექტივისა და კერძო საკუთრებას შორის, თუ მას ჭერჭერობით კერძო საკუთრება უყვარს — ეს სრულიად ბუნებრივია. თუ ზოგჯერ ზვამბაია საკუთარ შვილს უსაყვედურებს კომუნისტობასა და რწმენას, არა იმიტომ, რომ ეჩაგრება პარტია და ხელისუფლება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ არლანის ანტიბოლშევიკურმა ხაზმა, არასამართლიანმა განკუთვლებამ კაც ზვამბაია გაამწარა. არლანის უკანონო მოქმედება საბუთს აძლევს მამას უსაყვედუროს შვილს პარტიულობა, მაგრამ ჩვენ ვერ დავწამებთ მოხუც ზვამბაიას, თითქოს მას შვილი სძაგდა. პირიქით: რომანის ავტორს მამის მოსიყვარულე გრძნობა დიდებულად აქვს დახატული. ამიტომ ვამბობთ, რომ სრულიად უსაბუთო და უსამართლოა არზაყანის, ამ კვიანი და ნიჭიერი ადამიანის მოქმედება მამის მიმართ“<sup>41</sup>.

ვფიქრობთ, რომ კრიტიკოსის შენიშვნა არსებითი იყო და უტყუარ ლოგიკას ემყარებოდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ დ. ბენაშვილის ეს შენიშვნა თავად კ. გამსახურდიამ უყოყმანოდ გაიზიარა და რომანის შემდგომ გამოცემაში მამისა და შვილის შეჭახების თავისთავად საინტერესოდ დახატული სცენა არსებითად გადაამუშავა — კაც ზვამბაია არზაყანის ნაცვლად მათ მოსისხლე მტრებს, ტარბებს მოაკვლევინა. ეს ფაქტი ორგანულად გამომდინარეობდა ლოგიკიდან, რამდენადაც ზვამბაიებსა და ტარბებს შორის ჩამოვარდნილი სამკვდრო-სასიცოცხლო შუღლი უეჭველად ტრაგიკულად უნდა დასრულებულიყო.

ყოველივე ეს იმის მყარ საფუძველს გვაძლევს, რომ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნოთ 30-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის როლი და მნიშვნელობა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

წინამდებარე სტატია ნაწილია ნაშრომისა, რომელშიც განზრახული გვაქვს უფრო ფართოდ და მრავალმხრივ შევისწავლოთ და გავანალიზოთ 30-იანი წლების ჟურნალ „მნათობის“ ქართული ლიტერატურული კრიტიკა. ჟურნალ „მნათობის“ კრიტიკული პროდუქციის შესწავლა და მისი ანალიზი ნიშნავს საერთოდ 30-იანი წლები სალიტერატურო კრიტიკის შესწავლას, რასაც თავისი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეხებთ შალ-

<sup>41</sup> ჟურნ. „მნათობი“, 1938 წ., № 8, გვ. 126—127.

ვა რადიანის, ბესარიონ ქლენტიისა და დიმიტრი ბენაშვილის თითო-თითო ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიას და ვერ შევეხეთ გ. ნატროშვილის, ბ. ბუაჩიძის, ე. ქარელიშვილის, ლ. ასათიანის და სხვათა წერილებს, რომლებშიც მკაფიოდ ვლინდებოდა 30-იანი წლებზეა ქართული ლიტერატურული კრიტიკის არსებითი ტენდენციები.

ამ ტენდენციების მეცნიერული ანალიზი ნათელყოფს ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებას ჩვენს საუკუნის 30-იან წლებში.

#### Р. Ч. ЧХАРТИШВИЛИ

### ЛИТЕРАТУРНАЯ КРИТИКА 30-х ГОДОВ И ЖУРНАЛ «МНАТОБИ»

#### Резюме

В труде дан анализ критических материалов, опубликованных в журнале «Мнатоби» в 30-х годах XX века, которые отражают основные тенденции грузинской советской литературной критики.

В журнале часто печатались известные грузинские критики Ш. Раднани, Д. Бенашвили, Б. Жгенти, Г. Натрошвили, Л. Асатиани и другие, в трудах которых были проанализированы художественные произведения грузинских писателей.

Дана также оценка вклада журнала «Мнатоби» в развитие грузинской советской критики.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ეურნალისტიკის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში.

## ბურამ ზვიენტაძე

## ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან

ილია ჭავჭავაძე 17—19 წლის ყმაწვილი იყო, როცა ლექსებს თხზავდა. მისი ლირიკის ერთ-ერთი პირველი ბრწყინვალე ნიმუში „ყვარლის მთებს“ 1857 წ. დაიწერა. იგი ლექსებს წერს გაზაფხულზე, ბუნების სურათები გადააქვს სახეებში და თარგმნის ა. პუშკინის „პატარა ჩიტს“. როგორც პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, ეს უკანასკნელნი დაწერილია 1852—1856 წლებში. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი მონაწილეების გასათავალისწინებლად ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა მისი ყრმობისდროინდელი ლექსი „ალბომში კნ. ანდრონიკოვისა“, რომელშიც თვითონ პოეტი აღიარებს, რომ სხვას ბაძავს:

„ნელ ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ენახე,  
არს შენი თვალნი განათალნი ქაბუკთთვის მახე,  
ტუჩთა ღიმილი, შენი სიცილი, გულსა ვისახე.  
ორთა ვით დათა, ცელქობ:მ კავთა, გიშვარს შენ სახე  
როს თამაზობა ქორწინ ბას მე შენი ენახე.  
გიძღენი ამ ლექსსა საალბომოდ, სხვათა მივბაძე.  
რომ მომიგონო, ძმად მიგონო მე ჭავჭავაძე.“

დაკვირვებული თვალი ამ ლექსის წაკითხვისას გრძნობს ბესიკის პოეტური სტრიქონების ზემოქმედების კვალს. ილია თვითონ ამბობს: „სხვათა მივბაძეო“. რაც ღრო გადიოდა, თანდათან ფართოვდებოდა ი. ჭავჭავაძის მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ ხედვათა არეები. ამ უკანასკნელის სიშფიფის მაუწყებელია შემოქმედებითი ინტერესების გადანაცვლება წმინდა ინტიმური სფეროდან სოციალურში. სოციალური გარემო განსაზღვრავს შემდგომ პერიოდში ილიას თხზულებათა თემატიკას.

ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავდა, როგორ ვითარებაში იყო მაშინდელი საქართველო სოციალური თვალსაზრისით: ბატონყმობა უკვე აღარ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი არსებობის იმ დონეს და ცხოვრების წინსვლის გაზაფხუვ შემდგრებლის როლში გამოდიოდა. ამიტომაც იყო, რომ როგორც სიტყვათ, ისე საქმით ილია იბრძოდა ბატონყმობის გაუქმებისათვის. საქვეყნოდაა ცნობილი მისი შეზღა-შემოსლის ამბავი ქართველ თავადებთან ბატონყმობის გაუქმების თაობაზე: „თავად-აზნაურთა სავანებო კრებაზე ილიამ თამაზად ვანაცხადა. რომ თავისუფლებასთან ერთად გლებს უნდა მიეცეს მიწებიო. ამ ღიღმა განცხადებამ საშინლად ააღელვა იქ მყოფი ფეოდალები. ერთმა მათგანმა იმიშვლა ბანჯალი და უცნაურის ლანძღვა-გინებით გაექანა ილიას მოსაყალავად, მაგრამ შშრომელი ხალხის მედგარი დამცველი არ შეუშინდა არც მახვილს და არც ნუქარას“<sup>1</sup>.

ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ატარებდა ბატონყმობის, როგორც სოციალური მოვლენის, საწინააღმდეგო თვალსაზრისს: განსაკუთრებით მტკიცედ იცავდა მას თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში, კერძოდ იმ დროს, როცა მთელი სინწრეებით იღგა ჩვენში ამ წყობის არსებობის მიძიმე შედეგების გამო წამოჭრილი საკითხები. თანადროული სოციალური პრობლემებისადმი ილიას შემოქმედებითს ინტერესებს ასაზრდოებდა პოეტის სიახლოვე ჩვენი ხალხის ყოველდღიურობასთან.

არსებობს ცნობა, რომ ილია პირადად შეხვედრია კაკო ყაჩაღის ორეულს და სწვევია კრდე მთა ბინაზე ტყეში. ამის შესახებ კონტა აფხაზი მოკვითხრობს: „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გზლავთ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ეპროლა თავის ბატონს (რომელიც ვაჩინაძეს) და ყაჩაღად გავარდა. ხმა და სახელი ღიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ ჭრით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უტბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია. გამოუცოთხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი... რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი. უცოთხავს: — ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო. ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აფხაზსთან მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გაშასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, ილია როდესაც ჩვენსა მოვიდა ბარბაცებდა და მარტო ამას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „ღამაძინეთ, ღამაძინეთო“. მერე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწვევლის და აგინებსო“<sup>2</sup>.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა აღნიშნავს: „კონტა აფხაზი მართალი უნდა იყვეს, როდესაც იგი ფიქრობს, რომ ილიას ამ შეხვედრას ყაჩაღ გაუხარაშვილთან გავლენა მოეხდინოს პოეტზე და კაკოს ტიპის დახატვის დროს მას აეღოს ზოგიერთი ხაზი გაუხარაშვილის ცხოვრებიდან. ამას გვაფიქრებინებს სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ ილიას მიერ გადაწერილს „კაკო ყაჩაღის“ უძველეს ხელნაწერში პოემას ეწოდება არა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, არამედ „მოთხრობა ქისიყელისა“. ხოლო გაუხარაშვილი, მართლაც ქისიყელი იყო (იგი, როგორც მოვისხენეთ, კარდანახიდან ყოფილა)“.

ამ საკითხს კრდე უფრო ნათელს ხდის 1968 წლის მერვე ნომერ „დროშაში“ დაბეჭდილი ალექსანდრე სიგუას წერილი „ვისაც შენებრი დაჰბადებია“. აქ ავტორი მსჯელობს ალ. მღვდლიაშვილის წერილზე „ილია კარდანახში“, რომელშიც გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გაუხარაშვილი იგივე ივანე ჩალათაშვილია, იგი ეთანხმება. ალ. მღვდლიაშვილის წერილიდან ირკვევა, რომ კარდანახელ გაუხარო ჩალათაშვილის თავადი ვაჩინაძე მოუკლავს და ტყეში გაჭრილა. აქ მოხმობილია ახალი მასალები, კერძოდ, ყაჩაღ ჩალათაშვილის შთამომავლის იოსებ ჩალათაშვილის ჩანაწერები: „კაკლის ხის ჩრდილში, სადილობისას მამამ დალია წანაწერების სადღეგრძელო და გვითხრა: პაპაჩემი სახელოვანი აღამაანი ყოფილა, არსენასავით კაცი, დაჩაგრულის შემწე და მუა-

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. ტ. 1, 1937, გვ. 699—700.

<sup>3</sup> „დროშა“, 1968, № 8, გვ. 15.



ველი, ბატონებისა და მეფის ჩინოვნიკების დაუძინებელი მტერი. კაბუჯობისას აოგებამწვილის ქალი შეურათავს. მეებატონეს, ვაჩნაძეს მარჯველი კაპის უფლება მოუთხოვია. ვაქაცმა ეს ითავილა და მოჰკლა ბატონი. ამის შედეგის უჩაღაუ გავარდნადა. ხოლო ვაჩნაძეებს მისი სახლ-კარი ვაღაუბრეგაუა.

ამრიგად, ამ პოემის ერთგვარ წყაროს წარმოადგენდა კონკრეტული ფაქტი. ლიტერატურული თვალსაზრისით პოემის ფანტაზიას შეიძლება გარკვეული ბაძგი მისცა არსენას თემამაც. ილიამ ხომ არსენა — სოციალური თვალსაზრისით ეს ქველმოქმედებრივი ხასიათი — კაკო ყაჩაღისა და ზაქროს იდეალად წარმოგვიდგინა. „არსენობა“ აქ ნიშნავს სამართლიანობისათვის ბრძოლას, დამატებულია ათვის დახმარებას, სიმამაცეს. სიქველეს, ზნეობრივ კეთილშობილებას:

...არსენა ჩენი, ის მხნე არსენა  
ჩენამდინ, ემაო, ზღაპრად მოსული...  
მიყარდა მე ის კეთილდღიანი  
და არსენობა მენატრებოდა.

პოემის გმირის იდეალის — არსენას ამბავი თურმე „ჩენამდინ ზღაპრად მოსულა“, ე. ი. ხალხის გადმოცემებით მოუღწევია. სწორედ ეს მომენტიც გეინსნის გარკვეულად „კაკო ყაჩაღის“ ერთი წყაროს საკითხსაც. იმ დროის საქართველოში, ხალხში ფართო პოპულარობით სარგებლობდა როგორც „არსენას ლექსი“, ისე მრავალი გადმოცემა არსენას შესახებ. ი. ჭავჭავაძე ზოგადად, მაგრამ ძირითადი შტრიხებით კარგად ხატავს ამ სახალხო გმირის პორტრეტს. ამ პორტრეტის ხატვისას, რა თქმა უნდა, იგი ხალხურ წყაროებს ეყრდნობა და სავსებით სწორად ითვისებს მას.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე პოემაზე მუშაობისას თავისი მხატვრული ნიჭისა და ფანტაზიის გარდა, იყენებს იმ საჭირო მასალას, რაც ხალხურ გადმოცემებშია თუ ყოფილთა სინამდვილეში მოიხილებოდა, და ქმნის „კაკო ყაჩაღს“. დაახლოებით ასეთია „კაკო ყაჩაღის“ შექმნის სოციალური, ფოლკლორული წყაროები.

ილია ჭავჭავაძის პოემა „კაკო ყაჩაღს“ უკავშირებენ მისსავე ორ ვრცელ მოთხრობას: „გლახის ნამბობისა“ და „კაცია ადამიანს“. ამას აქვს გარკვეული საფუძველი: გმირთა სახელების დამთხვევა, ზოგიერთი სიუჟეტური ხაზის მსგავსება. ამას გარდა, სამივე თხზულებაში ერთი და იგივე სოციალური საკითხი დომინირებს; სამივე ქმნილებაში მოცემულია კოლიზია ბატონსა და ყმაშა შორის და ეს კოლიზიები ფორმით სხვადასხვაგვარად, მაგრამ ხასიათით ერთნაირადაა გადაწყვეტილი: დაჩაგრული გლეხი გაურბის თავის ბატონს, რათა დაიქვას თავისი ადამიანური ავტონომია („კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნამბობი“), ანდა ბატონყმობის გამო მეებატონეთა საყოფიერო საგნების დანაშაულო ზღდება (ლამაზისეული, დათო — „კაცია ადამიანიდან“). მიუხედავად ამისა, ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ვქვის თვალით შევხედოთ იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „კაკო ყაჩაღი“ უკავშირდება „გლახის ნამბობისა“ და „კაცია ადამიანს“ ლიტერატურულ პირველწყაროს — „კოლასა“ და „კაკოს“ და არსებული თვალსაზრისის გასაბათილებლად წარმოვადგინოთ ჩენი მოსაზრება.

პაველ ინგოროყვა „ილიას ნაწარმოებთა კომენტარში“ წერს: «ეს მოთხრობები „კოლა“ და „კაკო“ წარმოგვიდგენენ შეერთებულს რედაქციას „კაცია ადამიანისა“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“. ავტორს თავდაპირველად ეს სამი ნაწარმოები — ერთი მოთხრობის სახით ჰქონია განსაზღვრული. ილიას დაუწერია კიდევ მოთხრობის რამდენიმე ესკიზი („კოლა“ — ორი ვარიანტის სახით და „კაკო“); მაგრამ შემდეგ ეს განსაზღვრა დაუტოვებია და უფრო გვიან ამ მოთხრობების ქარგაზე შეუქმნია ეს სამი ცალკე თხზულება — მოთხრობები „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და პოემა „კაკო ყაჩაღი“<sup>5</sup>. შემდეგ ასე აგრძელებს ილია ჭავჭავაძის მკვლევარი პ. ინგოროყვა „მოთხრობაში „კოლა“ წარმოდგენილია გლეხი ზაქრო. ბოლო მოთხრობაში „კაკო“ — გლეხი კაკო. ორივე ესენი, კაკო და ზაქრო. არიან პროტოტიპები პოემა „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟებისა — კაკოსი და ზაქროსი და მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ გმირისა — ყაჩაღად გაქრილის გაბროსი“. რამდენად სწორია ეს თვალსაზრისი?

ლეილა სანაძის შრომაში „ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ შემოქმედებითი ისტორია“ არის ცდა უარყოფს ეს თვალსაზრისი იმის გამო, რომ „კაკო ყაჩაღს“ სინამდვილეში ძალიან მცირე რამ აქვს საერთო აღნიშნულ მოთხრობებთან. აი, რას წერს ლ. სანაძე: „მიუთითებენ. რომ ამ მოთხრობებში („კოლა“, „კაკო“ — გ. გ.) გაერთიანებულია „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანის“ და „კაკო ყაჩაღის“ იდეა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებულ მოთხრობებს „კაკო ყაჩაღთან“ ძალიან ცოტა აქვს საერთო. შესაძლებელია, მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელი იყო ავტორს, „კაკო ყაჩაღის“ სიუჟეტური ხაზი განეფითებინა მოთხრობების (განსაკუთრებით „კაკოს“) ბოლო ნაწილში“<sup>6</sup>. „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ შემოქმედებითი ისტორიის მკვლევარი ასე ასკვნის: „რადიმე არსებობთ მსგავსება პოემასა და მოთხრობებს შორის არ შეინიშნება“<sup>7</sup>. მიუხედავად ამისა, საბოლოო გადაწყვეტა ამ საკითხისა არც ლ. სანაძეს მოუცია, რის გამოც ჩვენ სპეციალური დაკვირვების საგნად გავიხადეთ დაუმთავრებელი მოთხრობები — „კოლა“, „კაკო“ და პოეტის თხზულებანი — „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი“!

დასახელებული ნაწარმოებების ურთიერთშედარებამ უნდა გვანეწოს. თუ ი. ჭავჭავაძის პირვანდელი ჩანაფიქრი როგორ გააძლიერა და გაამრავალფეროვნა მაშინდელმა ცხოვრებამ, ბატონყმობისდროინდელმა საქართველოს სინამდვილემ.

ორკვევა, რომ ი. ჭავჭავაძეს იმ დროს ჯერ კიდევ არსებული მძიმე, სოციალური სინამდვილის ასასახავად გადაუწყვეტია დაეწერა მოთხრობა „კოლა“. „კოლას“ პირველი ვარიანტიდან მხოლოდ და მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა თუ შეიძლება, რომ ილია „კოლაზე“ მუშაობისას არსებითად აღგზნებული იყო „გლახის ნაამბობის“ იდეური მიმართულებითა და განცდებით. მოთხრობა „კოლაში“ „გლახის ნაამბობის“ წინააღმდეგობის გამომწვევი მთავარი ფაქტორი — ბატონის მუსუსის ხასიათი არ ჩანს. სწორედ ამ საკოლოზიო მასალის ძიებამ მიიყვანა მწერალი „კოლას“ მეორე ვარიანტამდე. საქართვე-

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, თბ., 1937, გვ. 699—700.

<sup>6</sup> ტექსტოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 6.

<sup>7</sup> იქვე.

ლან ბატონყმობის იმდროინდელი სურათები მწერალს ამ მხრივ შესანიშნავ მასალას აძლევდა. მას შეეძლო, ერთი მხრივ, ქართველ ბატონებში დაენახა ქალების უცხოური და ამ მხრივ დაეხატა მეზატონის თავგანსულობა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველ მეზატონეთავე აეღო ლუარსაბ თათქარიძისაიანა ტიპები და ეჩვენებინა მათი ცხოვრების ამაობა. ამ მოტივებითაა განსხვავებული „კოლას“ პირველი ვარიანტისაგან მეორე ვარიანტი და სწორედ ესაა ვარიანტთა სხვაობის განმსაზღვრელი. უნდა ითქვას, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ „კოლაში“ გლეხ გმირს პევიზა ზაქრო, სახელი „კაკო ყაჩაღის“ პერსონაჟისა, ხოლო „კაკოში“ გამოყვანილია გლეხი „კაკო“, რომლის სახელსაც ვხვდებით პოემისშიც. სახელთა ეს იდენტურობა არაფერს გვეუბნება ავტორის ჩანაფიქრის განვითარების პროცესზე.

სწორედ „კოლას“ მეორე ვარიანტი ასხვავებს ორივე თხზულების („გლახის ნაამბობისა“ და „კაცია აღამიანის“) ცენტრალურ მოტივებს და ახდენს მათს დიფერენციაციას. „კოლას“ მეორე ვარიანტის მეორე თავის დასაწყისში სპეციალური მსჯელობაა ბატონის ავხორცობაზე. აქ ირკვევა, რომ ბატონი „მეტის-მეტი მსუნაგია. თუ ქალს სადმე თვალი შეაშწრო, თუ პატარა პირწყლიანიც არის, აედევნება უკან. იმდენსა იქს, თავის ნებაზეც მოიყვანს, მერე ამოძულებს ისევ და თავ-განებებს“<sup>8</sup>. აქ უკვე ისახება იმის შესაძლებლობა, რომ შემდგომში ბატონი დაუპირისპირდეს თავისავე ერთგულ ყმას — ზაქროს, სწორედ ამგვარი შიშისაყენ მიყვავართ ავტორს, როცა დათოს ზაქროსათვის ათქმევინებს: „ყრმისთვისაც კი არ ვარგა უცოლო და მერე მაგისთანა დაუნდობარი ბატონი. რა ვიცი? თავზედ ლაფი არვის დასხას“<sup>9</sup>. აქ „დაუნდობარი“ არაფრითაა მოტივირებული. იგი ტექსტში ნათუბათევედ არის შემოტანილი და მიგვანიშნებს ავტორის მომავალ ჩანაფიქრზე, რომელიც „გლახის ნაამბობში“ ისახა. „კაცია აღამიანის“ მონახაზები უფრო გვიან ჩნდება. ჯერ ერთი, პირველ ვარიანტში იგი არსად არ იჩენს თავს, ხოლო მეორე ვარიანტში — დასასრულს. აი, ეს ბოლო აბზაცი „კოლას“ მეორე ვარიანტიდან: „როცა ან მეზობელი, ან ნათესავი ეტყოდა ხოლმე — შვილს ნუ აუბედურებო, გაგზავნე ქალაქშიო, ძალიან შორს დაიჭერდა ხოლმე. — ღვთის მადლით, ეგ ერთი შვილი მომეცაო, ვერ გამოვიმეტებო, ვისაც ექვსი შვილი ჰყავდეს, ეგ იმან უნდა ქმნასო“. «ხანდახან როცა ლამაზად მოძლებოდა და კმაყოფილი გადაგორდებოდა ხოლმე სუფრიდან ტახტზედ, დაიკრამდა მუტელებედ ხელს და იტყოდა: „მე თუ არ მისწავლია, მე ვიცი...“<sup>10</sup>.

უკვე სხვაგვარად დგას საქმე „კაკოში“. აქ თითქმის ყველაფერი ერთი საფეხურიითაა წაწეული წინ. თხზულების პირველ ნაწილში გამოყვანილია ლუარსაბ თათქარიძე და მისი მეუღლე ქეთევანი. ლიტერატურული პროტოტიპები „კაცია აღამიანის“ პერსონაჟებისა. სამაგიეროდ, „გლახის ნაამბობის“ მთავარი ქარგა მოცემულია თხზულების მეორე ნაწილში. ამრიგად, თუ „კოლაში“ პრიორიტეტი ჰქონდა „გლახის ნაამბობის“ მთავარ შტრიხებს, „კაკოში“ დომინირებს „კაცია აღამიანის“ შტრიხები, ხოლო „გლახის ნაამბობისა“ მეორე პლანს ავსებს.

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ ერთადერთი დასკვნა: ავტორს თავდაპირ-

<sup>8</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, თბ., 1937, გვ. 615—616.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 618.

ველაჲ „კოლაშა“ სურდა ბატონის თავგასული და უარსყოფილი სახე ეჩვენებინა „გლახის ნაამბობის“ მთავარი იდეით, მაგრამ თხზულებაზე მუშაობის პროცესში ცხოვრებისეული სიმართლისადმი ყურისგდება იგი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ შესაძლებელი იყო ეჩვენებინა „გლახის ნაამბობში“ გამოსაყვანი მებატონის გადაგვარების გენეზისი მისივე მშობლების სახეებში. ამიტომაც ავტორმა „კაკოში“ შემოიტანა ლუარსაბისა და მისი მეუღლის სახეები. ამრიგად, „გლახის ნაამბობის“ იდეური ხაზი დაუკავშირა „კაცია ადამიანის“ იდეურ ხაზს, ე. ი. „კაკოში“ ჯერ ასახა მებატონე მშობლების უაზრო ცხოვრება და მერე აჩვენა, რომ „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილი გადაგვარებული მებატონე არც შეიძლებოდა სხვანაირი გამოსულიყო, რადგან მსვავსი მსგავსსა შობს. მაგრამ „კაკო“ ავტორმა არ დაასრულა. რით შეიძლება ეს აინსნას?

თანაღროულმა ცხოვრებამ ილიას მისცა უხვი მასალა ახალ-ახალი ფართო ტილოებისათვის. ისიც ხელს ჰკიდებს მათ მხატვრულ ხორცმსხმას. „კაცია ადამიანში“ აჩვენა მებატონეთა უხნეო, მანკიერი და არაფრისმომტანი უაზრო ცხოვრება, რასაც საბოლოოდ ამ კლასის მოსპობამდე მიყვავართ (ლუარსაბის შვილი არ უჩნდება). „გლახის ნაამბობში“ დახატა თავგასული, გარყვნილი მებატონის სახე, რომელიც თავის საყვარელ ყმასაც კი არ ინდობს. კოლიზიის შედეგად იგი იღუპება და ღუპავს სხვებსაც (თამროს, გაბროსა და პეპიას). მასალამ, რომელსაც სხვადასხვა იდეური განზომილება ჰქონდა, მწერალი მიიყვანა თავისი ჩანაფიქრის გაფართოებამდე. მწერალი დარწმუნდა, რომ ამ მდიდარ მასალას არ ეყოფოდა მხოლოდ ერთი ვრცელი მოთხრობა — „კოლა“ ან „კაკო“, ხოლო უნარის თვალსაზრისით — მხოლოდ მოთხრობა და მას მთუძღვნა: ფსიქოლოგიური მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“, პოემა „კაკო ყაჩაღი“, რომანის ტიპის თხზულება „გლახის ნაამბობი“ და სხვ. ჩვენი თვალსაზრისის სისწორეში გვარწმუნებს ისიც, რომ „კაკოს“ ავტორგრაფზე ილიას წაუწერია „კაკო ყაჩაღის“ თავდაპირველი ესკიზი („ნიაგო, ჩემო ნიაგო...“). ეს რომანტიკული მანერით შესრულებული ლირიკული ლექსია, რომელშიც ყაჩაღად გავარდნილი კაკოსადმი ავტორისეული სიმპათიებია გამოხატული (რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ).

როგორც ვხედავთ, „კაკო ყაჩაღი“ ნაკლებ კავშირს ავლენს „კოლასა“ და „კაკოსთან“. რაც შეეხება „გლახის ნაამბობსა“ და „კაცია ადამიანს“, აქ მდგომარეობა ასეთია: პირველად ილიამ დაასრულა „გლახის ნაამბობი“. ეს ბუნებრივია. ილია „გლახის ნაამბობის“ იდეით იყო შეპყრობილი ყველაზე ადრე და ყველაზე ძლიერ. იგი თვითონვე აცხადებდა: „გლახის ნაამბობი“ ჩემი პირმშოაო“ და ძალიან უყვარდა ეს ნაწარმოები. პროფ. დ. გამეზარდა-შვილი მიუთითებს: „დაუმთავრებელ მოთხრობაში („კაკო“) განვითარებული სიუჟეტური ხაზების ცალკეულ ნაწარმოებად დამუშავების გზაზე პირველი ნაბიჯი „გლახის ნაამბობი“ იყო. ამიტომაც მწერალი ამ მოთხრობას თავის „პირმშოს“ უწოდებდა. „გლახის ნაამბობის“ წერა ილია ქვეკავაძემ 1859 წელს დაიწყო. ამავე წელს დაამთავრა მან მისი პირველი ნაწილის პირველი ვარიანტი“<sup>11</sup>. შემდეგ ილიამ დაიწყო და დაასრულა „კაცია ადამიანი“. ყოველგვამის შემდეგ მუშაობს ავტორი „კაკო ყაჩაღზე“ და ამ სამი თხზულებიდან ყველაზე გვიან ასრულებს მას.

ამრიგად, ყველაფრიდან ჩანს, რომ „კაკო ყაჩაღი“ მთელი თავისი ასრუ-

<sup>11</sup> დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკული რეალზმი, თბ., 1967, გვ. 233.

ბით აშკარად განსხვავდება „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანისაგან“. ჩვენ ვერაუთარ მსგავსებას ვერ ვხედავთ მათ შორის. „კაკო ყაჩაღის“ გენეზისი უკავშირდება სულ სხვა წყაროს. ეს წყაროა ი. ჭავჭავაძის შეხვედრა ყაჩაღ გაუხარაშვილთან.

„კაკო ყაჩაღის“ თემატიკური ფესვები ილიას ლექსითი ხასიათის თზულებადში ვლინდება. ასე, მაგალითად: ი. ჭავჭავაძე პოემის ტექსტზე მუშაობისას პირველ ხანებში ამუშავებს ექვსსტროფიან ლირიკულ ლექსს, რომელიც შემდეგ „კაკოს“ ერთ-ერთი ვარიანტის ეპიგრაფად გამოიყენა. როგორც აღვნიშნეთ, ცნობილია, რომ ეს ლირიკული ლექსი წარმოადგენს „პირვანდელ ესკიზს პოემისა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“<sup>12</sup>. ამ ლექსში ლირიკული საუბარი გაუბამს პოეტს ნივთთან:

„ნაყო, ჩემო ნაყო,  
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,  
მსტვინავო, ჩიტო მსტვინავო,  
შენ უაღერსე კაცოსა!

ბუღბუღო, ჩემო ბუღბუღო,  
გაიხეპირე სიტყვები,  
უთხარ უმისოდ უსულო,  
ცრემლებად ვშრები და ვცვივი...“

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძემ ეს რომანტიკული აღწერება-ლექსი არ შეიტანა პოემაში, რაც იმას გვიპტიცებს, რომ ამ უკანასკნელის დაწერის დროისათვის „ილია წარმომადგენელია რეალისტური მიმართულებისა, რომლის მთავარი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რამდენადაც შეიძლება თავისი პირადი გრძნობები დამალოს და არ გამოაჩინოს თავისი პირადი განწყობილება მოქმედ პირთადმი. შესაძლოა ამის მოსაზრებით ილიამ უხერხულად ნიჟინია ან ლექსის ჩართვა პოემის სათაურში და მით უფრო მოთხრობის შესავალში“<sup>13</sup>. — საკვებით მართებულად მსჯელობდა თავის დროზე კ. აბაშიძე.

ის ფაქტი, რომ ილიამ ეს ლექსი არ შეიტანა თავის პოემაში, ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ეპიკურ ქმნილებაში ილია მოერიდა რომანტიკული „მე“-ს წინა პლანზე წამოწვევას, რომანტიკოსისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალიზმს, საკუთარი სიმპათიის გამოვლენას პოემის ცენტრალური პერსონაჟის დახასიათებისას. ამით ის მტკიცდება, რომ ი. ჭავჭავაძე უკვე პოემას შექმნის პერიოდისათვის უკვე რეალიზმის პოზიციებზე იდგა. მიუხედავად ყოველივე ამისა, პოემაში გვხვდება რომანტიკული ელემენტები. ეს ხდება იმიტომ, რომ აქ ასახულია ცხოვრება, ხოლო, როგორც ბელინსკი ამბობს: „ცხოვრება იქ არის, სადაც ადამიანია. ხოლო სადაც ადამიანია — იქ რომანტიზმიც არის“<sup>14</sup>.

რომანტიკოსი შემოქმედისათვის დამახასიათებელია წარსულის იდეალიზაცია. ამგვარი მომენტი გვაქვს პოემის იმ ადგილებში, სადაც ზაქრო იგონებს ნახირში უდარდელად გატარებულ დღეებს:

„ქალი რა ტკბილად, რა უდარდელად  
ჩემი დღეები იქ მიდოდადნენ!  
არაა მქონდა იქ საფიქრულად“.

რომანტიკული სულით არის აღბეჭდილი არსენას გაიდელალებული სახე. ზაქრო კაკოს არსენას იდეალს დაუხატავს და მიუთითებს: აი, არსენა ასეთი იყო და შენც იგი ნიმუშად უნდა გაიხადო. ამ მომენტს ერთვის თვით ავტორის ჩივილიც:

<sup>12</sup> ი. ჭავჭავაძე, ტ. I, თბ., 1937, გვ. 603.

<sup>13</sup> კიტაბაშვილი, ილია ჭავჭავაძე, იხ. წიგნი: „ი. ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, ტ. II, თბ., 1958, გვ. 143.

..ნეტავ იმ დედას, ვისგანაც გაზრდილა  
მისებრი შვილი, ბევრიც იმართოს,  
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს...“

ეს ავტორისეული რემარკა აშკარა რომანტიკული ბუნებისაა და რომანტიკული სულსკვეთებით ემთხვევა ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ ცნობილ სიტყვებს:

..პოი, დედანო, მარად ნეტარნო,  
კუროხევა თქვენდა, ტკილსახსოვარნო,  
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
თქვენებრი სული გამოჰყოლოდათ?..“

როგორც ვხედავთ, ორივეგან რომანტიკული დამოკიდებულებაა წარსულისადმი, კერძოდ, ერთნაირად რომანტიკულად უპირისპირებენ ნ. ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთს წარსული დროისა და თავიანთდროინდელ დედებს.

ჩვენი აზრით, საბოლოოდ დადგენილია და უნდა ჩაითვალოს, რომ „კაკო ყაჩაღს“ საფუძვლად დაედო ილიას შეხვედრა ყაჩაღ გაუხარაშვილთან და ლირიკული ლექსი „ნიაგო, ჩემო ნიაგო“.

Г. Г. ГВЕНЕТАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ТВОРЧЕСКОГО ПРОЦЕССА ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

### Резюме

Идея создания «Разбойника Како» у Ильи Чавчавадзе зародилась именно при столкновении с жизненным фактом. Поэт встречался с разбойником Гаухарашвили, поносившим помещиков и крепостной строй. Эта встреча дала поэту толчок к созданию поэмы «Разбойник Како», в которой он вывел известного грузинского народного героя Арсена Одзелашвили.

Первоначальным источником «Разбойника Како» считают «Кола» Ильи Чавчавадзе (П. Ингороква). Это мнение подвергла сомнению исследователь Л. Санадзе. Строгое текстологическое сравнение названных трудов убеждает нас в том, что литературным прототипом «Разбойника Како» является «Како», а не «Кола». Это подтверждается и эскизным стихотворением «Ветерок, мой ветерок», где прослеживаются зачатки «Разбойника Како», и которое было использовано эпитафией к одному из вариантов «Како».

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი  
ქართული ლიტერატურის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

## გრიგოლ ბერიძე

## სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი იგავ-არაკის ხალხური პარალელები ჯავახეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით

ყოველი დიდი მწერლის შემოქმედება ხალხური სიტყვიერებით საზრდო-ობს. ასევეა ჩვენი სასიქადულო მფიგავის სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“.

ქერ კიდევ მე-19 საუკუნის ჩვენი კულტურის დიდმა კორიფეებმა — ილიამ და აკაკიმ — მიუთითეს დიდი მფიგავის შემოქმედების ხალხურობა და მაღალმხატვრულ ღირებულებაზე. ილია ქავეკავადის აზრით, „სულხან-საბა ორბელიანს ამის თქმა უნდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამტნობო“<sup>1</sup>. აკაკი წერეთელი პირდაპირ გვეუბნება: „საბას მისი იგავ-არაკები ჩვენს ქვეყანაშივე, საერთო ზეპირსიტყვიერებისაგან აულაია. „სიბრძნე სიცრუე“ ისე იყო გავრცელებული, რომ შეიძლება, პირიქით, ხალხში გავრცელდა და მისივე გემოზე გადაკეთდა, მაგრამ ის ნიმუშები ზეპირსიტყვაობის, რომელიც დღეს ჩვენ ხელშია, სულ სხვას ამტკიცებენ“<sup>2</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ „იგავ-არაკების“ არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულებიდან ამოღებული არ უნდა იყოს. ისინი ამოღებულია, მართლაც, ხალხის წიაღიდან<sup>3</sup>. ა. ბარამიძის აზრით, „სულხან-საბა ორბელიანის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო ფოლკლორი“<sup>4</sup>. გ. ლეონიძე სხარტულად ამბობს: «„სიბრძნე სიცრუისა“ არის კათეხი-ზმო ქართული გონებამახვილობისა»<sup>5</sup>. მ. ჩიქოვანის აზრით, „სიბრძნე სიცრუისა“ გამშენიერებულია მოკლე ლეგენდებითა და ანეგდოტებით, ანდაზებითა და აფორიზმებით, რომლებიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული ხალხში“<sup>6</sup>. ამ აზრს იზიარებენ სხვა მკვლევარებიც: ა. ცაგარელი<sup>7</sup>, ა. ლლონტი<sup>8</sup>, ქ. სიხა-

<sup>1</sup> ილია ქავეკავადე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, თბილისი, 1953, გვ. 40.

<sup>2</sup> „აკაკის კრებული“, 1898, № 9.

<sup>3</sup> ქ. ქაველიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბილისი, ტ. II, 1952, გვ. 651.

<sup>4</sup> ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 272.

<sup>5</sup> ს.ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“ გ. ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. XXVI.

<sup>6</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I, თბილისი, 1938, გვ. XXVI.

<sup>7</sup> С.-С. Орбелиани, Мудрость лжи. Тбилиси, 1939, გვ. XI.

<sup>8</sup> ა. ლლონტი, სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის ფოლკლორული წყაროები, „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 2, გვ. 54—58.

3. მ ა ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1980, №3

რულიძე<sup>9</sup>, ა. ცანავა<sup>10</sup>, ლ. მენაბდე<sup>11</sup>, ე. ვირსალაძე<sup>12</sup>, ს. იორდანიშვილი<sup>13</sup> და სხვები.

ჩვენი წერილის მიზანია ჭავჭავთში ჩაწერილი ოთხი<sup>14</sup> ხალხური არაკის სიუჟეტური მსგავსების ჩვენება სულხან-საბა ორბელიანის იგავებთან<sup>15</sup>: „ძუნწი ვაჟარი“ (გვ. 9—11), 2. „ენით დაკოდილი“ (გვ. 32), 3. „უნდაღლოთა მძებნელი“ (გვ. 35—43), 4. „კაცი და გველი“ (გვ. 126—127).

1. „ძუნწი ვაჟარი“. ფოლკლორში ამ იგავს „მებადღე და მდიდარი“ ჰქვია. იგი ასეთი შინაარსისაა: „ერთი კაცი ძალიან მდიდარი ყოფილა. ერთი მორი შოუჭრია. მთელი ოქრო შიგ ჩაუყრია და მორი წყალში ჩაუგდია, არავინ მომპაროსო. მებადღეს ბაღე უსროლია და ეს მორი ამოჰყოლია. წაუღია მებადღეს მორი. მორის პატრონი შემთხვევით მებადღეთან სტუმრად მისულა. ქმარს უთქვამს ცოლისათვის: ერთი გოძო ვიპოვნე, წადი, დააბე, ამ კაცს საკმე-ლი გაუკეთეთო. ცოლს გოძო დაუპია და შიგნიდან გამოცვივუნლა ოქრო.

მასპინძელს უთქვამს. ეს ოქრო ჩვენი სტუმრის ბედი ყოფილაო. ოქროს ნახევარი მასპინძელმა სტუმარს შეაძლია, მაგრამ სტუმარმა კივი უარი უთხრა, მასპინძელს უთქვამს ცოლისათვის: ქალო, ქალო, ერთი ფახათი (ფურჩის დიდი და მრგვალი პური. — გ. ბ.) გამოაცხე, ეგ ოქრო იმაში ჩაატანე, თორემ ვერ დავიყოლიაბთო. ცოლმა შეასრულა ქმრის საიდუმლო თხოვნა და სტუმარს გაატანეს სამგზავროდ ოქროჩატანებული პური. სტუმარმა გაიარა მინდორი და დაინახა სამი-ოთხი კაცი. ისინი ისხდნენ და სადილობდნენ. ამ კაცებმა მიიბატყეს ეს მგზავრი. მან შემხვედრთ ეს პური დაუტოვა. მათ ვატეხეს ფახათი და შიგნიდან ოქრო გადმოცვივდა, მერე თქვეს: მაგ კაცის ყისმათი არ ყოფილაო“<sup>16</sup>.

ხალხური იგავი აქ წყდება. პური მებადღეს არ უბრუნდება. სიუჟეტურად საბასეული და ხალხური იგავები ერთმანეთისაგან ძირითადად არ განსხვავდება, მაგრამ სხვაობა მაინც იგრძნობა. ჭერ ერთი, საბას იგავის სათაურია „ძუნწი ვაჟარი“; მეორეც, თუ ხალხურ არაკში ქონების დამგრძობლად გამოყვანილია საერთოდ მდიდარი ადამიანი, მწერალთან იგი დიდვანძობა; მესამე, საჯანბურის მპოვნელის როლში, ხალხურის მსგავსად, მებადღე (მებადღური. — გ. ბ.) ეი არაა გამოყვანილი, არამედ — შრომისმოყვარე ხურო ნაზარა. იგავის ბოლოს საბა ხუროს ათქმევიანებს: „ვისაც ღმერთი მისცემს, ეს-

<sup>9</sup> ქ. ს. ი. ბ. რ. ი. ძ. ე. ქართული მწერლები და ხალხური შემოქმედება, II, თბილისი, 1966, გვ. 82.

<sup>10</sup> ა. ცანავა, წიგნი „სიბრძნე სიკრუსა“ და ქართული ხალხური მახვილისტყუვობა, თბილისი, 1959, გვ. 3, 19, 21, 22.

<sup>11</sup> ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი, 1953, გვ. 103.

<sup>12</sup> ე. ვირსალაძე, რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1949, გვ. 485, 488, 491, 493, 495.

<sup>13</sup> С. -С. Орбелиани, Мудрость лжи..., გვ. 207.

<sup>14</sup> შესხეთში ჩაწერილი აღნიშნული ოთხი იგავი დართული აქვს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომს: გ. ბერიძე, ქართული ენის ჭავჭავთური ეკოლო, 1973. შრომა ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

<sup>15</sup> საბას იგავების კრებულის გვერდები მითითებულა: ს.ს. ორბელიანი, „სიბრძნე სიკრუსა“, გ. ლეონიძის წინასიტყვაობითა და ს. ორდანიშვილის რედაქციით. თბილისი, 1938.

<sup>16</sup> გ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 196—198. „მებადღე და მდიდარი“ გ. ბერიძის მიერ ჩაწერილია სოფ. ჩუჩხაში 1956 წელს.



რეთ მისცემსო, ვისაც წაართმევს, ესრეთ წაართმევსო“. თხრობის ასეთი მანერა ხალხურშიც დაცულია. მოქმედმა ეს იგავი ჩაურთო ოსმალთა შემოსევის ამბის თხრობისას, თან დაატანა: „ასევე ბევრი ხალხის ყისმათი არ იყო ქონება და არც შერჩათ; ყველაფერი თათრებ დაჩაათო“.

2. „ენით დაკოდილი“. ხალხური იგავის სათაურია: „ენით გაჩენილი იარა“. ხალხური იგავის მოკლე შინაარსი ისეთია, როგორც საბასეული იგავისა, ამიტომ ჩვენ პირდაპირ შედარებით დავიწყებთ.

საბასეული იგავი მოკლე და სხარტია, ხალხური კი სამჯერ ვრცელია. შინაარსში ორი განმასხვავებელი მომენტია. პირველი: საბასეული იგავის მიხედვით, გამომშვიდობებისას კაცმაც აკოცა დათვს და ცოლსაც აკოცნიან. ხალხურში კი, კაცმა როცა დათვი მიიწვია, ცოლი შინ არ დაუხვდა, მეზობლისას იყო. „კაცი წავიდა ცოლის მოსაყვანად. მოიყვანა იგი და უთხრა: —ქალო, მალე საქმელი გაგვიმზადე, თორემ მშვიერები ვართ მე და ჩემი სტუმარიო. ეს დათვიც იქვე, კუთხეში, მიტუხულიყო და უცდიდა, რას იტყოდა ანწხლი ღედაკაცი. —ეგ რა ძმობილია?! მეზ შენ ღეგეცა და შენს მაგ ძმობილსაცო... ერთი შენსავით ტუნძულა, ბანდიანიო“. ხალხური იგავის მიხედვით, არც კაცს უკოცნია პირველი სტუმრობისას დათვისათვის და არც ცოლს.

მეორე სხვაობა ასეთია: საბასეული იგავის მიხედვით, განაწყენებული დათვი წავიდა ტყეში. მერე ეს კაცი ეწვია დათვს სტუმრად და თან შეშის დასამზადებლად ცული წაიღო. დათვმა სწორედ ამ დროს „დააკოდინა“ ცულით თავი და შესამუდ შეხვედრისას უთხრა მიზეზი წყენისა. ხალხური იგავის მიხედვით, პირველად მისვლისთანავე მოატანინა დათვმა კაცს ხანჯალი და დაარტყმებინა თავში. თან დასძინა: „გამთელდა შენი ხანჯლით მოყენებული იარა, მაგრამ შენი ცოლის ენით მოყენებული იარა კი არ გამთელდა“.

შინაარსობრივად ერთია საბასეული და ხალხური არაქი, მაგრამ სიტყვიერად განსხვავდება არაკების დასკვნითი, აფორისტული თქმანი. საბასეულია: „მშაო, შენის ცულით დაკოდილი თავი კი გამიმთელდა, და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“; ხალხური: „გამთელდა ხმლის — ხანჯლის იარა და არ გამთელდა ენის იარაო“<sup>17</sup>.

3. „უნადლოთა მძებნელი“. ხალხურში ამ იგავს სათაურად აქვს: „უდარდელი კაცის ამბავი“. მოკლე შინაარსი ასეთია: ერთი კაცი ძალიან მდიდარი იყო. მან შეიღს უთხრა: დაქორწინდიო. შეიღმა უპასუხა: ვიდრე არ მოვძებნი უდარდელ კაცს, არ დავექორწინდებიო. ბევრი იარა და ნახა ერთი ძალიან მდიდარი კაცი, ესტუმრა მას და თავისი მისვლის მიზანი აუწყა. მასპინძელმა მიუგო: მართალია, ყველაფერი გამაჩნია, ცოლიც ულამაზესი მყავს, მაგრამ ჩემზე უბედური ღედამიწის ზურგზე არავინაა. მოუყვა თავის ამბავს. ამ კაცმა ცოლი როცა შეირთო, ცოლ-ქმარმა შექთიცეს ერთმანეთს: თუ ქმარი მოკვდება ადრე, ცოლი სხვას არ გაჰყვებოდა, ხოლო თუ ცოლი გარდაიცვლება, ქმარი სხვას არ შეირთავდა. გამოხდა ხანი. ცოლი ავად გახდა. ექიმებმა მას აუჯრძალეს ქმართან ურთიერთობა, ქმარმა თავი დაიკოდა. ქალი გამოჯანმრთელდა, ექიმებმა ნება დართეს მას ქმართან კავშირისა, მაგრამ ქმარი უკვე დასაჭურისებული იყო. ცოლმა დაჟინებით შოითხოვა მამაკაცი, ქმარმა ნება

<sup>17</sup> გ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. შრომა, გვ. 196—198. ჩაწერილია სოფ. ჩუნჩხაში 1956 წელს გ. ბერიძის მეორ.

დართო ცოლს ეცხოვრა მოქანაგირე არანთან, ოღონდ არ გათხოვილიყო. ასე საკლთარი თვალით უყურებდა „ბედნიერი“ კაცი თავისი ცოლის სხვასთან სიამოვნებას. „აი ჩემი უღარდელია“<sup>18</sup>, — უთხრა ლამაზი ცოლს პატრონმა. ამის შემდეგ ეს ვაჟი თავს ანებებს უღარდელი კაცის ძებნას და ქორწინდება.

პირველი, რაც თვალში გვეცემა საბასეული და ხალხური იგავების შედარებებში, ისაა, რომ საბასეული იგავის მოქმედი პირი მეფეა. მეფეები არიან ცხრამეტი ისინი, ვინც ბალში ნახა უნაღვლოთა მძებნელმა მეფემ. ხალხურში კი ზოგადად მდიდარ ადამიანზეა ლაპარაკი. საბა თავის სატირულ კალამს მიმართავს უზრუნველი და უღარდელი კაცის მძებნელი მეფის წინააღმდეგ. მეფე უნაღვლო კაცის სიტყვები ამზღვს მეფეს და მოუწოდებს: „...ოთხეცა ყმაანი უკეთათა მყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე“. მეფე რწმუნდება, რომ ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება იყოს უნაღვლო.

მეორე სხვაობა ისაა, რომ უნაღვლოთა მძებნელი მეფე შეხვდება ათ კაცს. ისინიც მეფეებია. თითოეული თავთავის ამბავს მოუთხრობს მას. ამ ამბავთაგან ზუსტად არც ერთის სიუყვეტი არ ემთხვევა ხალხური იგავის სიუყვეტებს, მაგრამ იდეური შინაარსი ერთია.

ადვილი შესაძლებელია ხალხურში იყოს ვარიანტებად გავრცელებული სხვა უნაღვლო ადამიანების ამბავიც, რომელიც ჩვენმა მოქმედმა არ იცოდა. მან მართლაც მოიბოდიშა: „მე დაებერდი, დამავიწყდა, თორემ ეს ამბავი დიდიაო“.

4. „კაცი და გველი“. ეს არაკი გვხვდება „ქილილა და დამანას“ კრებულშიც. ხალხურში ამ იგავს ეწოდება „გლეხი და გველი“.

ხალხური იგავის შინაარსი ასეთია: ერთი გლეხი გზაზე მიდიოდა. დაინახა, რომ ეკალს ცეცხლი ეკიდა, ზედ გველი იყო და იწვოდა. გლეხს შეეცოდა გველი, გაუწოდა ჭოხი და გამოიყვანა. გველი აცოცდა ჭოხზე, შემოეხვია გლეხს ყელზე. „გლეხმა უთხრა: სიკეთე გიყავ, გადაგარჩინე, რატომ მახრჩობო? გველმა უპასუხა: სიკეთეზე სიკეთე ვის უქნია, უნდა დაგახრჩოო. გლეხმა უთხრა: ვიდრე დამახრჩობდე, წაიციდეთ, ერთი ამხანაგი ხარი მყამს, იმას ვკითხოთო, გადაგვიტრას სამართალი და მერე დამახრჩეო. მივიღენ ხართან. ხარმა უთხრა: მოუკი, გველო, დაახრჩეო, სიკეთეზე სიკეთე ვის უქნიაო? მეც, სანამ, ახალგაზრდა ვიყავი, სულ მამუშავებდნენ და არ მაქმევდნენო. ახლა, როცა დაებერდი, არავინ მპატრონობს, მშვიერი ვარო. გლეხი შეეპყვია გველს: ერთი კიდე მპატიე და მერე დამახრჩეო. მოდი, ახლა აიბ ხეს ვკითხოთო. გლეხმა უთხრა ხეს: დაწვას გადავარჩინე და მახრჩობსო. ხემ უპასუხა: კარგათ შერება, სიკეთეზე სიკეთე ვის უქნიაო? — ნე ამ წყაროს ვიცავ, ჩემ ქოლგაში (ჩრდილში. — გ. ბ.) ყველა ისვენებს, რომ წავლენ, ტოტებ ჩამამტრევენო. სიკეთეზე სიკეთე ნიშნებიანო. მოუკი, გველო, დაახრჩეო! გლეხი მესამეთ შიებუწვა: ერთხელ კიდე მპატიეო. გაიარეს გზა. შემოხვდათ მელა. გლეხმა მელას ყველაფერი უამბო. მელამ უთხრა გველს: რაც თქვა მართალიაო? გველი დაეთანხმა. თუ ეგრეა, ჩამოდი ძირ და ისე გადავტრათ სამართალი, მოსამართლეს უზრდელათ ნუ ელაპარაკეაიო. გველი ჩამოვიდა ძირ, მელამ უთხრა გლეხს: რა გაგიღია პირი და მიყურამ? დასცხე ჭოხი და მოკალიო.

<sup>18</sup> გ. ბერიძე, დასახ. შრომა, გვ. 89, ჩაწერილია სოფ. აფნიაში 1956 წელს ა. მოსიძის მიერ.

გლენმა დაარტყა ჭოხი და გველს თავი გაუგალა (დაუქეპყა. — გ. ბ.). მერე მელამ გლენს უთხრა: ახლა წადი, ღმერთი შეგეწიოსო<sup>19</sup>.

საბასეული იგავი და ხალხური იგავი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება. სამაგიეროდ „ქილილა და დამანას“ იგავი საგრძნობლად განსხვავდება მათგან, თუმცა ძირითადი აზრი ერთია. ჭერ შევადაროთ საბასეული იგავი და ხალხური იგავი ერთმანეთს, ხოლო შემდეგ ესენი — „ქილილა და დამანას“ იგავს.

პირველი ორი იგავის სათაური ერთი და იგივეა; განსხვავება იმაშია, რომ ხალხურში კაცის ნაცელად გლენია. საბასეულია — „კაცი და გველი“, ხოლო ხალხური — „გლენი და გველი“. ხალხურის მიხედვით, ცეცხლი ეკიდა ეკალს, საბასეულში — ძებვს. საბასეულ იგავში კაცმა გველის გადასარჩენად შუბის წვერი გააწოდა, ხოლო, ხალხურის მიხედვით, გლენმა ჭოხით გამოიყვანა გველი. აღნიშნული სხვაობანი არსებითი არაა. ასეთი შესწორების შეტანა მთქმელსაც შეეძლო. მნიშვნელოვანი სხვაობა იგავების დასასრულსაა. ჭერ ერთი, გველს კლავს არა კაცი, როგორც ეს ხალხურშია, არამედ — მელა. ხალხურში გველის მოკვლით სრულდება არაკი. მელა გლენს გზას ულოცავს: წადი, ღმერთი შეგეწიოსო. ასე გაიყრებიან გლენი და მელა ერთერთის მადლიერნი.

საბასეული იგავი სხვაგვარად ბოლოვდება. ცხადია, გენიალურ მეიგავეს სხვა იდეური გააზრება შეაქვს იგავში. ეს სხვაობა ასეთია: გველისაგან განთავისუფლების შემდეგ კაცს მოეწონა მელას ბეწვი და მელას შუბის წვერზე აცმა მოისურვა. მელამ გაუგო ავი განზრახვა. გაიქცა და თან ინანა: დავაშავე, რატომ ვისხენიო. ხალხურში ეს სულ არაა. საკითხავია, რატომ დასჭირდა საბას ამ იგავის დასასრულის შეცვლა, უფრო სწორად, დამატება?

ხალხური იგავის დასასრული გვაუწყებს: სიკეთეზე სიკეთით უნდა ვუბახუხოთ. ვინც ამ წესს დაარღვევს, უნდა დაიანჯოს. საბასეული იგავი კი ვეუბნება: ქვეყნად მხოლოდ ბოროტება მძვინვარებს და სიკეთის წილ სიკეთის ქმნას არ უნდა ელოდოს ადამიანი. ასეთ დასკვნას საბა განგებ აყეთებს. ამ არაკის მთქმელა ხომ ბოროტი და აყვია რუქაა. საბას კრებულში რუქა ბოროტების სიმბოლოა. მას სიკეთის ქმნა არ შეეძლო და არც სხვისაგან ელოდა სიკეთეს. სწორედ ანიტომ დასჭირდა საბას ხალხური იგავის დასასრულის გადამუშავება. რუქას პასუხად ლეონი, მართლაც, ისეთ არაკს ანბიბს, რომლის მიხედვით სიკეთეს გველიც კი სიკეთით უხდის მგზავრს.

ახლა შევადაროთ საბასეული და ხალხური იგავეები „ქილილა და დამანას“ არაკს. ეს უკანასკნელი ოთხჯერ დიდია, ვიდრე პირველი ორი<sup>20</sup>. სათაურიც განსხვავებული აქვს: „სიკეთის მუქაფა“. ქვეშით დავინახავთ, რომ „ქილილა და დამანას“ იგავი საგრძნობლად განსხვავდება საბასეულს და ხალხურისგან. დავიწყოთ მოქმედი პირებით. ამ იგავში მგზავრი აქლემოსანია. წინა ორ იგავში კი ქვეითი (კაცი, გლენი). აქ გველმა, როცა იწვოდა, „ხმა ყო“: მიხსენიო. იქ კი თვითონ კაცმა და გლენმა შენიშნეს პირველად, გველი რომ იწვოდა. თანაც კაცმა და გლენმა გადაარჩინეს შუბის წვერითა და ჭო-

<sup>19</sup> ვ. ბ. ი. ი. დ. დასახ. შრომა, გვ. 3—4, ჩაწერილია სოდ. ჩუჩხაში 1956 წელს მ. ბერიძის შერ.

<sup>20</sup> „ქილილა და დამანას“, ქართულად დაბეჭდილი ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის შერ, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროვის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 245—248.

ხით, აქლემოსანმა კი ოროლის წვერზე ჩანთა დაამაგრა, გველი შიგ ჩაძვრა და ისე გამოიყვანა ცეცხლიდან. ასევე საგულისხმოა, რომ, თუ საბასეულსა და ხალხურში ძებნას და ეკალს ეკიდა ცეცხლი. აქ ვილაც მგზავრებს კაპაქინაგან ცეცხლი გაეჩაღებინათ, მერე არ ჩაეჭროთ და ქაზს გაეძლიერებინა. გველი ამ ცეცხლის შუაგულიდან ყვიროდა: „რა იქნება მომეხმარო, მოწყალებით შემივიდრო“. გადარჩენის მერე აქლემოსანი კაცი არიგებს გველს: ადამიანს არ აუნოს. საბასეულსა და ხალხურ იგავებში ასეთი გასაუბრება არაა. გველი ემუქრება აქლემოსანს კაცს, რომ უნდა უკბინოს აქლემსაც და მასაც, რადგან „ვიასთანაც სიავე საქმნელია, მასთან სიკეთისა ქმნასა რას აქნევდიო?“ გველის სიტყვებში ხაზგასმულია ის, რომ „ადამის ტომთა წესი ეგ არის: კეთილის წილ ბოროტის ქმნა“. საბასეულსა და ხალხურ იგავებში ამაზე ასე გამოკვეთილად არაა საუბარი. მოწმეებს ამ იგავში იხმობს გველი და არა აქლემოსანი. იმ იგავებში კაცი (გლეხი) ეძახის. პირველი მოწმე აქ კამეჩია, იქ კი ხარია ორივეში.

იგავის დასასრულს გველის მოკვლის ზეცენა სხვაგვარია და მთლიანად განსხვავდება საბასეული იგავის დასასრულისაგან.

„ქილილა და დამანას“ იგავის მიხედვით. მელამ თავისი ხერხიანი საუბრით გველი კვლავ ჩანთაში ჩაიტყუა და უბრძანა აქლემოსანს. მოეკლა იგი. ხალხურ იგავში ძირს ჩამოსულ გველს გლეხი კლავს ჭოხით. საბასეულ იგავში თვითონ მელა კლავს ტოტით (ფეხით, თათით).

ამ სხვაობათა შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია სამი მომენტი. პირველი, შევლას თვითონ გველი ითხოვს; გველი წინასწარ მაცდუნებლის როლში გამოდის. მეორე, მოწმეებს თვითონვე ეძახის. პირველი ორი მოწმე — კამეჩი და ხე — გველს ემხრობა, მესამე, მოწმე — მელია — აქლემოსანმა მოიკითხა. მელა ყურს უგდებდა მათ საუბარს და სამართალიც გაარჩია. იგი არც გველს მიუდგა და არც აქლემოსანს. მესამე, გველი უკიეინებს აქლემოსანს. რომ ადამის მოღგმის წესი სიკეთის სანაცვლოდ ავის ქმნაო. რატომ სურდა გველს აქლემოსს დაკბენა? აქლემი ხომ ადამის მოღგმისა არ იყო? „ქილილა და დამანას“ იგავის მიხედვით, გველი აბსოლუტური ბოროტების სიმბოლოა, იგი ყველაფერს მტრობს.

სამივე იგავში სიკეთეს უპირისპირდება ბოროტება, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა სხვადასხვაგვარია: ერთი და იგივე მასალა გამოყენებულია სხვადასხვა დასკვნისათვის. საბას იგავი გვეუბნება, რომ სიკეთის წილ სიკეთე უნდა იყოს, ამ კანონის გამრუდება მხოლოდ ბოროტთა საქმეა. გავიხსენოთ ლეონის პასუხი რუქასაღმი, როცა წითელმა გველმაც კი დაინახა სიკეთე. ე. ი. გველი ხომ გველია, — გვასწავლის საბა ლეონის პირით, — იმანაც კი იცის სიკეთის წილ სიკეთეო. მხოლოდ რუქას მსგავსი ადამიანები სჩადიან სიკეთის სანაცვლოდ სიკეთეს. თორემ სიკეთის წილ სიავე ვის უქნია?!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ქილილა და დამანას“ და საბასეული იგავების შინაარსობრივი მსგავსება იდეურ ნათესაობას არ ნიშნავს. პირველის მიხედვით, გველი იქ უფრო ბოროტების საწყისია, აქლემსაც კბენს, ადამიანებსაც კი უკიეინებს. სიკეთეზე სიკეთით პასუხობთო. საბასეული იგავი სხვაგვარად მთავრდება, ხოლო ქართული ხალხური იგავი ჰუმანურია, იგი სიკეთისაკენ ნიწოლებდა. ამბავიც მარტივად მთავრდება.

ასეთსავე ფაბულაზეა აგებული ერთი პოლონური ზღაპარი: „გლეხი, და-

ლც. ცხენი, კურდღელი და მელა, ანუ არის თუ არა ქვეყნად სამართალი?²¹. ამ კრეკლ სათაურში დასმულ კითხვას საინტერესოდ პასუხობს თვით ზღაპრის შინაარსი. ერთი გლეხი შეშავე წაიდა და წაქცეული ფიჭვის ქვეშ მოყოლილი დათვი ნახა. შეეცოდა გლეხს მხეცი და გაათავისუფლა. დათვი გლეხს შექმა დაუპირა. გლეხმა მოითხოვა სამართალი და მოსამართლის ძებნა დაიწყო. პირველად ცხენი შეხვდათ. ცხენმა დათვის სასარგებლოდ გადაწყვიტა სამართალი. გლეხმა სხვა მოსამართლის ძებნა დაიწყო. შემოხვდათ კურდღელი. კურდღელიც მიეხზო დათვს. დათვი და გლეხმა მესამე მოსამართლეს — მელას მიმართეს. მელა დაეთანხმა. გლეხმა ჩასჩურჩულა მელას: თუ სამართალი გადაჭრი, ჯილდოდ ექვს ქათამს მიიღებო.

მელამ წაიყვანა დათვი და გლეხი ისევ იმ წაქცეულ ფიჭვთან; ააწვეინა გლეხს ფიჭვი და დათვი ქვეშ მოაქცევინა, რომ საქმე ადგილზე ენახა და გაერჩია.

გლეხმა მადლობა მოახსენა მელას, მაგრამ მხოლოდ სამი ქათამი მისცა, ხოლო მეოთხე ქათმისათვის მოსულ მელას მეზობლისაგან ნათხოვარი თოფით დაუხვდა. მელამ მოკურცხლა და განაწყენებულმა მიამხა: შენც კარგი მადლობის გადახდა გკოდნიაო.

გასათვალისწინებელია ერთი დეტალი, რომელიც მხოლოდ პოლონურ ზღაპარს აქვს. გლეხი მელას ქრთამავს. მელამ სამართალი სწორად გადაჭრა. გლეხმა არ შეასრულა დანაპირები, გადამჩენი მელას მიმართ უმადურობა გამოიჩინა. ასეთი ვართ ჩვენ, აღამიანები; გაჯირვებისას ანგელოზებდამ მოვუაქვს თავი, დაღბნების დროს საკუთარი თავის მეტი არავინ გვახსოვს, ვფიწყებთ ყველას, ყველაფერს, ამიტომ სვამს კითხვას სათაურშივე პოლონური ზღაპარი: „არის თუ არა ამ ქვეყნად სამართალი?“

ეს წერილი კარგა ხნის (1958 წელს) გამოადებული იყო დასაბეჭდად, როცა გამოვიდა აფრიკული ზღაპრები. ჩვენ ძალიან არ გავკვირებდით, როცა აფრიკის მატერიკზე ბანტუს ერთ-ერთ ხალხს — სუტო-ჩუანას — ჰქონია ამ იგავის მსგავსი ზღაპარი: „მაიმუნი, პითონი და კურდღელი“²².

ზღაპარი მეტად ლაკონური, ამიტომ მოვიყვანთ მთლიანად.

„დიდი ხნის წინათ, მაშინ, როდესაც ცხოველები აღამიანებივით ლაპარაკობდნენ, ცხოვრობდა ერთი მაიმუნი. ერთხელ მაიმუნი საქმლის საშოვნელად წაიდა. მივიდა ერთ ბორცვთან და ასწია მზის გულზე დაგდებული ქვა. ქვის ქვეშ უამრავი ჭიკაყლა, მორიელი და ხოჭო იპოვა. შექამა ყველა და განაგრობა გზა. ცოტა ხნის შემდეგ უზარმაზარი, ბრტყელი ქვის ქვეშ მოყოლილ პითონს წააწყდა. პითონი მაიმუნს შეეხვეწა: ო, მამაჩემის შვილო, მიშველე რამე! გადააგორე ეს ქვა, რომ გამოვძკერო!“

მაიმუნმა გადააგორა ქვა და იხსნა პითონი. პითონი გამოაჭრა თუ არა, მაშინვე ეცა მაიმუნს. დაიჭირა და გადაყლაპვა მოუხდომა. მაიმუნი ყვიროდა. ეხვეწებოდა: შემობრალეო, მაგრამ პითონმა არ შეისმინა მისი თხოვნა. ამ დროს სრულიად შემთხვევით კურდღელმა გამოიარა. საცოდავმა მაიმუნმა კურდღელს სთხოვა: ნოდი. მე და პითონი მოგვარიგეო. პითონმა და მაიმუნმა უამბეს კურდღელს, რაც მოხდა. კურდღელმა თქვა: — თქვენი ნაამბობით ვე-

²¹ პოლონური ზღაპრები, თბილ-სა, 1970, გვ. 16—19.

²² აფრიკული ზღაპრები, თბილისი, 1974, გვ. 122—123.

რაფერი გავიგე. მოდით, ასე მოვიქცეთ, პითონი დაწვეს ისევ იმ ქვის ქვეშ, სადაც მაიმუნმა ნახა, რომ ჩემი თვალით ვნახო, სინამდვილეში საქმე როგორ იყო.

ასეც მოიქცნენ. პითონი დაწვა. მაიმუნმა ზედ დაადო უზარმაზარი ბრტყელი ქვა. მაშინ კურდღელმა მაიმუნს უთხრა: ახლა კი თავს უშველე, ჩემო დაო, აქედან გაიქეციო! ორიენი გაიქცნენ, პითონი კი ისევ ქვის ქვეშ დარჩა“.

როგორც დავინახეთ, აფრიკულ ზღაპარში საკითხი მოკლედ წყდება. სიკეთისმქმნელ მაიმუნს არ დასჭირებია მოწმეების ძებნა და სამართლის გადაწყვეტა: სრულიად შემთხვევით მათთან გამოვლილმა კურდღელმა „მოაგვარა“ მაიმუნისა და პითონის დავა. კურდღლის რჩევით პითონი კვლავ ქვის ქვეშ დაწვა, ხოლო მაიმუნმა და კურდღელმა გაქცევით უშველეს თავს.

თუ ქართულ ხალხურ, საბასეულ, სპარსულ იგავებში და პოლონურ ზღაპარში ორ-ორი მოწმე და მესამე მოსამართლე (სამივეში მელა) წყვეტს სამართალს, აფრიკულში მართო კურდღელი აგვარებს საქმეს.

ჩვენ განზრახული არ გვაქვს აფრიკული ზღაპრის ოთხივე პარალელის ფოლკლორული შეპირისპირებითი ანალიზი, მაგრამ ორიოდ დეტალს მაინც შევადარებთ. პირველია პერსონაჟთა საკითხი.

აფრიკული ზღაპრის გარდა, ოთხივე ზღაპრის პერსონაჟი თითქმის ერთი და იგივეა. სამართალს ყველგან მელა წყვეტს. სიკეთისმქმნელი ქართულ ხალხურ იგავში და პოლონურ ზღაპარში გლეხია, საბასთან — ქვეითი კაცია, სპარსულში კი აქლემოსანი კაცია.

უფრო საინტერესოა ზღაპრის ფინალი. ქართულ ხალხურ იგავში გლეხი კლავს გველს. ასევე აქლემოსანმა კაცმა მოუღო ბოლო გველს სპარსულ იგავში. საბასეულ არაქში თვითონ მოსამართლე მელამ დაუქვეყა თავი სიკეთე-დაუნახავ ქვეწარმავალს. პოლონურ ზღაპარში მელას მითითებით გლეხმა ისევ წაქცეული ფიჭვის ქვეშ მოაქცია უმადური დათვი. ასევე მოიქცა აფრიკულ ზღაპარში კურდღელი. რომელმაც მახრჩობელა პითონს ისევ ბრტყელი ქვა დაადო ზემოდან.

ინტერესმოკლებული არაა ისიც, რომ ქართულ ხალხურ, საბასეულსა და სპარსულ იგავებში ბოროტების ჩამდენი გველია, პოლონურ ზღაპარში — დათვი, ხოლო აფრიკულ ზღაპარში — პითონი. მაგრამ საბასეული იგავისა და პოლონური ზღაპრის დასასრულს ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. საბას მიხედვით, კაცმა მოიჭრა გადამრჩენელი მელას შუბის წვერზე აცმა (ბეწვი მოეწონა), ხოლო პოლონურ ზღაპარში — გლეხმა შეპირებული ექვსი ქათმიდან სამი უბოძა, ხოლო მეოთხე ქათმის მისაღებად მიხულ მელას თოფი ესროლა.

ქართულ ხალხურ და სპარსულ იგავებში და აფრიკულ ზღაპარში სიკეთედაუნახავი არსება ისჯება, იმარჯვებს დევიზი: „სიკეთის წილ სიკეთე“, მაგრამ საბასეულ იგავსა და პოლონურ ზღაპარში გადარჩენილი გადამრჩენს უპირებენ სიკვდილს. ეს მომენტი საბასთან განპირობებულია იმით, რომ იგავის მახრჩობელი პერსონაჟი ბოროტი რუქაა. პოლონურ ზღაპარში სათაურშივეა ეპისოქს ქვეშ დაყენებული საერთოდ მიღებული დებულება: „სიკეთის წილ სიკეთე“ და მას ცვლის: „არის თუ არა ამ ქვეყნად სამართალი?“ ანუ სიკეთის წილ სიკეთე ვის უქნიაო.

აქ განხილული იგავებისა და ზღაპრების შინაარსმა დაგვანახა, რომ ტერიტორიულად დამორჩებულ სხვადასხვა ხალხს შეუძლია შექმნას ერთი და იმა-

ვე სიუჟეტის მქონე ზღაპრები. სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლა იყო, არის და იქნება ადამიანთა ურთიერთობის თანმხლები, მარადიული მოვლენა.

1. ზემოგანხილული სიუჟეტური მსგავსებანი იგავენს შორის იმის მათუწყებელია, რომ სხვადასხვა ხალხს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ შექმნან მსგავსი შინაარსის ხალხური შემოქმედების ნიმუშები. ამიტომ ფაბულათა ნასესხობაზე ლაპარაკი ყოველთვის გამართლებული არ არის.

2. აქ განხილული იგავ-არაკების ოთხივე ნიმუში, განსაკუთრებით კი მეოთხე, ცხადყოფს, რომ სულხან-საბა ორბელიანს საკუთარ შეხედულებათა მიხედვით დაუმუშავებია არაკები.

3. დიდ მეიგავეს შეგნებულად გადაჰქონდა გმირთა მოქმედების ადგილსამყოფელი უცხოეთში. ამ მხრივ მისი „სიბრძნე სიცრუისა“ ეგეფხისტყაოსანს“ გვაგონებს.

4. ჩვენ მიერ განხილული იგავეების ხალხური პარალელები გახდა სათავე საბაჟს იგავ-არაკებისა. გამორიცხული არც ისაა, რომ რომელიმე იგავეს სიუჟეტი ღიღებულ მეიგავეს სხვა გზით მიეღო.

Г. М. БЕРИДЗЕ

## ПАРАЛЛЕЛИ МАТЕРИАЛОВ НАРОДНОГО ТВОРЧЕСТВА ДЖАВАХЕТИИ С БАСНЯМИ СУЛХАН-САБА ОРБЕЛИАНИ

Резюме

В научной литературе утвердилось мнение, что великий грузинский баснописец Сулхан-Саба Орбелиани переработал образцы народного творчества. Исходя из этого, мы в настоящей работе рассмотрели записанные нами четыре басни из народного творчества Джавахетии: «Скупой купец», «Раненный языком», «Искатель беспечных», «Человек и змея». Параллели последней встречаются в персидском («Каллила и Димна») и польском («Польские сказки», 1970) языках, в фольклоре народов Африки («Африканские сказки», 1974).

Анализ подтверждает, что сюжетное совпадение этих произведений доказывает возможность независимого создания сходных по основной идее текстов в совпадающих социально-экономических условиях общественно-политической жизни. Поэтому не всегда оправдана ссылка на заимствование фавулы.

Рассмотренные нами образцы народного творчества Джавахетии позволяют предположить их влияние на басни С.-С. Орбелиани. Не исключена возможность и того, что сюжет какой-либо басни дошел до писателя другим путем и был основательно переработан в его творческой лаборатории. Это обстоятельство несколько не снижает ценности этих известных басен.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის სექტორი  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ციციურმა

## ნ უ გ ზ ა რ ც ხ ვ რ ე ბ ო ვ

РУССКАЯ ЛИТЕРАТУРА И ПРОБЛЕМЫ СРАВНИТЕЛЬНОГО  
ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ПОЭЗИИ XX ВЕКА

Начало нового столетия в русско-грузинских литературных связях знаменуется более активным, многосторонним творческим контактом. Наряду с рецепцией классической литературы, единой по своему функциональному значению<sup>1</sup>, несомненный интерес представляет новая поэзия — творчество К. Бальмонта, В. Иванова, И. Анненского, В. Брюсова, А. Блока и др., различные декадентские течения конца XIX — начала XX столетия. Опыт многовековой грузинской поэзии оказался, в свою очередь, плодотворным для советских поэтов — П. Антокольского, Н. Тихонова, Б. Пастернака, Н. Заболоцкого и др.<sup>2</sup>

Качественно новый характер своего творчества многие видные писатели связывают с русской литературой, которая во многом определила общую направленность развития грузинской советской поэзии. Начинается новая, по-существу, страница отечественной словесности — она органично включается в русло европейского культурного развития, а до этого «пребывали в восточной лени и омархайдизме, если в этом и есть поэзия, все же она не одухотворена страданием мысли, чему и мы и весь мир обязан русской поэзии»<sup>3</sup>.

Основное внимание исследователей направлено было на контактные формы русско-грузинских литературных связей, их констатацию, а в последнее время и на вопросы их взаимообогащения: что же касается сравнительного, типологического изучения литературных явлений, осмысления самого литературного процесса в широком сравнительно-историческом контексте, то интерес к ним был значительно ослаблен. Между тем, поэзия начала века — творчество А. Абашели, Т. Табидзе, В. Гаприндашвили, К. Надирадзе, Н. Мицишвили, С. Чиковани, Г. Леонидзе, особенно же Галактиона Табидзе, знакомство которого с русской литературой весьма разнохарактерно и многообразно, заслуживает самого большого внимания.

<sup>1</sup> См. Л. Д. Хихадзе, Из истории восприятия русской литературы в Грузии, Тб., 1973.

<sup>2</sup> См. А. К. Тарасенков, Статьи о литературе, т. II, М., 1963; В. А. Шошин, Поэт и мир, М.-Л., 1966; А. М. Турков, Николай Заболоцкий, М., 1966; Т. К. Пугуридзе, Н. Заболоцкий и грузинская поэзия, автореферат кандидатской диссертации, Л., 1970 и др.

<sup>3</sup> Т. Табидзе. Статьи, очерки, переписка, Тб., 1964, с. 195.



Наше представление о связях Галактиона Табидзе с русской литературой неверно было бы ограничивать теми немногочисленными стихами, заметками, где он касается творчества А. Пушкина, М. Лермонтова, Л. Толстого, Ф. Достоевского, И. Тургенева, И. Бунина, А. Блока, В. Брюсова, А. Толстого и др. Новые материалы из архива Г. Табидзе, его личная библиотека, которая хранится в Государственном литературном музее Грузии, ставят вопрос об отношении поэта к русской литературе, связях с ней на более широкую основу, на многое позволяют взглянуть совершенно по-иному. Так, например, благодаря архиву поэта нам открылась, неведомая до последнего времени, сторона его деятельности — в тридцатые годы Галактион Табидзе намеревался выступить в роли историка, исследователя русской литературы. К этому времени относятся собранные им «Материалы к биографии и литературному портрету поэта и журналиста Петра Ивановича Шаликова (Шаликашвили) — 1768—1852». Г. Табидзе разработал только начальную часть монографии, озаглавив ее — «К истории одной эпиграммы», в которой речь идет о взаимоотношениях Д. Давыдова и П. Шаликашвили, даются подробные комментарии к их эпиграмам. Упомянутая тетрадь, как выясняется из записи, сделанной на двенадцатой странице, не единственная с материалами об издатель «Дамского журнала» и «Московского зрителя». Г. Табидзе разработан был раздел — «Взаимоотношения А. Пушкина и П. Шаликова (Шаликашвили)»<sup>4</sup>.

В сферу творческих интересов Галактиона Табидзе, наряду с писателями всемирно известными, попадали и такие, которые известны были лишь небольшому кругу читателей, однако и они, в свою очередь, заслуживают внимания, как свидетельство тех или иных склонностей, интересов грузинского поэта. Из архивных материалов мы узнаем о его интересе к революционной поэзии Серафимы Владимировой — авторе сборника «Братская могила», ее трудной судьбе. Стихи С. Владимировой, опубликованные на страницах рабочей газеты «Гудок», были известны самому незначительному кругу любителей поэзии.

Интересно здесь же отметить, что Г. Табидзе был не только почитателем поэтического таланта Ивана Бунина — в личной библиотеке поэта сохранился экземпляр сборника «Листопад», но и одним из первых переводчиков рассказов Бунина на грузинский язык<sup>5</sup>.

Галактион Табидзе хорошо, как выясняется, знал и новую поэзию. В одном из своих ранних писем к О. Окуджава он сообщает о своем личном знакомстве с И. Северяниным, поэтическая слава которого в определенных литературных кругах была огромной<sup>6</sup>. В архиве поэта нам удалось обнаружить перевод стихотворения Игоря Северянина «Поэза раскрытых глаз» — перевод этот не вошел в число переводов Г. Табидзе.

<sup>4</sup> Архив Г. Табидзе, фонд хр.: 021371—13.

<sup>5</sup> Архив Г. Табидзе, фонд хр.: 021371—57.

<sup>6</sup> Г. Табидзе, т. XII, с. 523.

дзе, впервые напечатанных в VII томе академического издания его сочинений<sup>7</sup>.

Литературный пласт — М. Лермонтов и Г. Табидзе — освещается в ряде работ. Это статьи и отдельные заметки Г. Гачечиладзе, Р. Мишвеладзе, Р. Тварадзе, Р. Бурчуладзе.

Имя М. Лермонтова встречается в многочисленных заметках грузинского поэта, дневниковых записях, в материалах его личного архива. В одной из записных книжек Г. Табидзе по памяти воспроизводится стихотворение Лермонтова «Завещание»<sup>8</sup>. В черновом автографе перевода «Ночной песни странника» Гете имеется немецкий подстрочник этого стихотворения, однако перевод выполнен не с немецкого подстрочника, а с русского перевода Лермонтова<sup>9</sup>.

В дневниковой записи тридцатых годов отразилась мысль поэта о том, что творчество Лермонтова, его судьба — это единая для него, внутренне неразсторжимая цепь восприятия, переживания, творческой рефлексии. «Перечел отдельные страницы книги «Как работал Толстой». Конечно же, Толстой работал гениально, вовсе не так, как я — метод моей работы совершенно иной. Толстой, в конце концов, литератор... Но чем была литература для Верлена, Лермонтова, или что есть литература для меня? Кто дал бы возможность Лермонтову работать в таких условиях, в каких работал Лев Толстой?»<sup>10</sup>.

Ссылаясь на своеобразие и метод собственного творчества, Галактион Табидзе усматривает близость с Лермонтовым, его стилем работы, жизненно, как известно, довольно неупорядоченным.

Другая запись Г. Табидзе о лермонтовской поэзии, ее настрое прямо указывает на ту сферу творчества русского поэта, где слышит он звуки близкие, родственные, не чуждые и ему самому. Поэт знакомится с новой, современной ему поэзией, проникнутой пафосом борьбы, геронки, в создании которой и он принимает участие. Но этим, замечает Г. Табидзе, искусство не исчерпывается — «оно должно быть всеобъемлющим, звучать должна каждая ее струна. Существует еще ведь и минорная струна? Так вот, мне кажется, что не грех, если даже такой человек, как я, иногда может расплакаться над книгой... Герои «Вепхвисткаосани» Автандил и Тариел часто плачут. Лермонтовский Печорин («железный человек») горько плачет среди ночи, когда под ним рухнула взмыленная лошадь»<sup>11</sup>.

Минорное звучание, скорбная «струна», недостижимость идеала земного счастья, иллюзорность гармоничной любви и т. д. и т. п. — все эти мотивы отчетливо выразились в стихах Галактиона Табидзе «Чем дальше от меня ты...», «Для чего?», «У окна», «Часто, мечтая, гла-

<sup>7</sup> Личный архив Г. Табидзе, фонд хр.: 11029—6.

<sup>8</sup> Архив Г. Табидзе, фонд хр.: 021370—(66).

<sup>9</sup> Ср. Г. Табидзе, т. VII, Тб., 1972, с. 195; М. Лермонтов, Собр. сочин. в четырех томах, т. I, М., 1975, с. 63.

<sup>10</sup> Речь идет о книге Н. К. Гудзия «Как работал Толстой», М., 1936.

<sup>11</sup> Г. Табидзе, т. XII, с. 175.

жу я на небо», «Элегия» и др. Названные стихотворения грузинского поэта необычайно близки и созвучны лермонтовским произведениям — «Молитва», «Оправдание», «Нет, не тебя так пылко я люблю», «Прости, мой друг! Как призрак я лечу...», «Одиночество», «Элегия», «Песня» и др.

К числу тех ранних произведений Г. Табидзе, которые отмечены печатью воздействия поэзии Лермонтова, следует отнести также его произведения, как стихотворение «Скульптура» (1909) и поэма «Сатана» (1915). Поэма «Сатана» лишь недавно стала известна читателю — она впервые напечатана в академическом собрании сочинений грузинского поэта. Факт литературного влияния здесь не осложнен, как это часто бывает уже в зрелой поэзии, когда в силу законченности творческой манеры, свособразия стилистических приемов автор отклоняется от первоисточника и создает нередко принципиально новую творческую модель, что затрудняет выявление генетических истоков.

Стихотворение Галактиона Табидзе «Скульптура» представляет несомненный интерес как по теме, так и по ее решению. Примечательно, что в стихотворении восемнадцатилетнего Г. Табидзе речь идет не о каком-либо историческом герое Грузии, а о Наполеоне Бонапарте. Трактовка самого образа, текстологическая близость дают нам все основания полагать, что стихотворение «Скульптура» навеяно чтением произведений Лермонтова «Воздушный корабль», «Наполеон», «Св. Елена» и др., где образ Наполеона трактуется в героико-романтическом плане — «Хоть побежденный, но герой!». Таким же героическим ореолом увенчан Наполеон и у Г. Табидзе. Своего героя в «треугольной шляпе» он наделяет острым, пронизательным взглядом; именно таким он изображен и у Лермонтова:

...Сей острый взгляд с возвышенным челом  
И две руки, сложенные крестом...

(„Наполеон“ (Дума))

...На нем треугольная шляпа  
И серый походный сюртук...

(„Воздушный корабль“).

...Здесь образ гения изображен.  
Он вдали глядит и на лице его  
Печаль... высоких дум и чувств исполнен.  
На нем треугольная шляпа...

(перевод подстрочный)

И далее, в стихотворении Г. Табидзе «Скульптура», то же, что и в стихотворении Лермонтова, упоминание о Франции — родном крае, славе, которая оказалась недолговечной.

У Лермонтова:

...Но вот глядит неведомая тень  
На тот восток, где новый брезжит день;  
Там Франция! — там край ее родной  
И славы след, быть может, скрытый мглой;

Там средь войны ее неслися дни...  
 О! для чего так кончились они!...  
 Прости, о слава! обманувший друг.  
 Опасный ты, но чудный мощный звук;  
 И скиптр...

(„Наполеон,“ (Дума))

У Г. Табидзе:

...Может, думы его о старой Франции,  
 О себе и о боге всевышнем?  
 Вспоминает ли родной край,  
 О нем ли тревога, о нем ли печаль?  
 А может, он помнит поле битвы—  
 Удивительное, объятые огнем?  
 Печалит ли утраченный скиптр...

(перевод подстрочный)

Поэма Г. Табидзе «Сатана» — произведение сложное, где наряду со своеобразной рецепцией, переосмыслением лермонтовской поэмы «Демон», угадываются и генетические истоки, лежащие в русле грузинской классической поэзии — стихотворении Николоза Бараташвили «Таинственный голос» и поэмы Важа-Пшавела «Змеед». Герой поэмы «Змеед» Миндия, желая свести счеты с жизнью, решил отведать змеиной похлебки, которой лакомятся полонившие его сказочные дэвы. Но вместо желаемого конца происходит неожиданное —

...И небо окинуло дол  
 Глазами в живом повороте.  
 Он новую душу обрел,  
 Очнулся под новою плотью,  
 Прозрел он, и точно замок  
 С очей и ушей его взломан...

(перевод Б. Пастернака)

Миндии становится доступным язык природы — трав, деревьев, птиц и т. д. В полночь Селима — героя поэмы «Сатана» — навещают феи. Они напоминают ему, как быстротечна человеческая жизнь — «Помни, и тебе не дано насладиться преходящей страстью... Волна сменяет неистовую волну, неукротим бег времени, и тебя затянет поток неминуемого страдания...» И действительно, Селим поддается искушению Сатаны, предлагающего ему испить чашу с чудодейственным зельем —

...Ну что ж, скорей! И в сердце человека  
 Прочтешь сполна ты все,  
 Что губит нежность и любовь.  
 Узнаешь друга ты, и недруга коварного узришь...

(перевод подстрочный)

Осушив чашу, Селим прозревает и, подобно Миндии, в душе его воцаряются «горечь и печаль, тоска, гнетущие мысли». Ему открывается коварство и лицемерие его возлюбленной Леле, которая делит лю-

бошь с другим. Торжество злого духа — «Увы! Злой дух торжествовал!» — это именно то начало разрушения и гибели, тот лейтмотив, который сближает поэму «Сатана» с лермонтовским «Демоном»:

...Соблазна полными речами  
Он отвечал ее мольбам.  
Могучий взор смотрел ей в очи!  
Он жег ее. Во мраке ночи  
Над нею прямо он сверкал,  
Неотаратимый, как кинжал.  
Увы! Злой дух торжествовал!...

Тамара погибает. Селим точно так же не устоял перед искушением Сатаны, что и ведет к трагическому финалу поэмы — гибели Леле.

Первоначально замысел поэмы «Сатана» носил, как об этом свидетельствуют черновые редакции, иной, более развернутый характер. Так, черновой вариант второй части поэмы — он почти не отразился в окончательной редакции — содержит исповедь Сатаны, которая во многом созвучна с вступительной частью поэмы Лермонтова — исповедью Демона:

Печальный Демон, дух изгнания,  
Летал над грешною землей,<sup>7</sup>  
И лучших дней воспоминанья  
Пред ним теснились толпой:  
Тех дней, когда в жилище света  
Блистал он, чистый херувим,  
Когда бегущая комета  
Улыбкой ласковой привста  
Любила помянуться с ним,  
Когда сквозь вечные туманы,  
Познания жадный, он следил  
Кочующие караваны  
В пространстве брошенных светил:  
Когда он верил и любил,  
Счастливым первенец творенья!  
Не знал ни злобы, ни сомненья,  
И не грозил уму его  
Веков бесплодных ряд унылый...  
И много, много, .. и всего  
Припомнить не имел он силы!...<sup>12</sup>

Печальный и озабоченный  
Сатана витал над вершиной скал,  
То к небу устремлялся его беспокойный  
дух,  
То низвергался в пропасть.  
Вспоминал он сладость минувшего  
И любовью увенчанные дни.  
Вспоминал он исполненные красоты  
Райские картины и своды собора.  
Вспоминал он, как среди сверстников  
Невинный резвился,  
И ласковой улыбкой горный зефир  
Овевал улыбку его губ.  
Вспоминал он, как преданно плел  
Для человечества вепок искренности.  
И добрых душ он, ангел покровитель—  
Хулитель зла...

(перевод подстрочный <sup>13</sup>)

Рецепцию творчества М. Лермонтова в ранней поэзии Г. Табидзе можно определить как контактно-генетическую форму, достаточно широкую по своему функциональному значению, однако мы ограничимся здесь приведенной аналогией.

Сравнительный анализ творчества Александра Блока и Галактиона Табидзе оправдан прежде всего теми социально-историческими пред-

<sup>12</sup> М. Лермонтов, т. II, М., 1976, с. 47.

<sup>13</sup> Г. Табидзе. т. VIII, с. 259.

посылками, которые во многом определили характер, направленность их творчества. В отличие от отдельных беглых и случайных параллелей, аналогий поэзии Г. Табидзе с русской литературой, настоящему вопросу отводится значительное место в критике, но, вместе с тем, он представляется нам и наиболее спорным. Были отдельные попытки истолковать поэзию Г. Табидзе как эпитаю А. Блока или В. Маяковского. В этой связи хотелось бы напомнить глубоко верное высказывание Б. И. Бурсова: «Обычно, сравнивая произведения Пушкина с источниками, от которых он отталкивался при создании их, устанавливают лишь то, насколько Пушкин обновляет тексты своих предшественников. Это, конечно, важно. Пожалуй, куда важнее разобраться в том, по какой причине он так часто прибегал к чужим сюжетам, разумеется, для выражения своих собственных мыслей и чувствований. Верно говорил Гоголь, что в Испании Пушкин испанец, а в Греции — грек и т. д. Не менее верно и то, что в любом подобном случае он остается гениальным русским поэтом, приобщая нас, своих соотечественников, ко всему духовному опыту человечества, внося в него свой неопределимый вклад»<sup>14</sup> (подчеркнуто мной. — Н. Ц.).

Необходимо прежде всего указать на неверную постановку самого вопроса, когда критики утверждают о влиянии на поэзию Г. Табидзе творчества А. Блока, В. Маяковского или В. Брюсова. Сам Г. Табидзе не раз возражал против таких утверждений. Такая классификация, когда говорится о «влиянии» одного автора на другого в прямом значении этого слова, возможна по отношению к писателю незначительному и мелкотравчатому, и, разумеется, она никак не может быть применима к Галактиону Табидзе — крупнейшему грузинскому лирику XX столетия. О характере литературного влияния, его сущности довольно точно сказано в работах М. Алексеева, Б. Томашевского, Б. Эйхенбаума, Ю. Тынянова и др. «Говоря о «влияниях», — пишет Б. Эйхенбаум, — мы забываем, что иностранный автор сам по себе образовать нового «направления» не может, потому что каждая литература развивается по-своему, на основе собственных традиций. Входя в чужую литературу, иностранный автор преобразуется и дает ей не то, что у него вообще есть и чем он типичен в своей литературе, а то, что от него требуют. Никакого «влияния» в настоящем смысле слова и не бывает, потому что иностранный автор прививается на чужой почве не по собственному желанию, а по вызову»<sup>15</sup>. Такой же точки зрения в вопросе о литературном влиянии придерживается Ю. Тынянов, который считает, что в результате известной трансформации верх неизменно одерживает национальное и индивидуальное начало. «Когда тот или иной элемент, тот или иной кусок художественного целого еще переносится в состав другого, личного или национального искусства, он, уже утративший после разрыва с почвой традиции цвет, обретает его,

<sup>14</sup> Б. Б у р с о в. Критика как литература, Л., 1976, с. 49.

<sup>15</sup> Б. Э й х е н б а у м, Лермонтов. Опыт историко-литературной оценки, Л., 1924, с. 28.

но уже не свой, а цвет, носящий оттенки своей второй среды — личного искусства, в которое он влетает, а вместе с тем и национальные традиции, на плане которой он появляется»<sup>16</sup>.

Сравнительный анализ поэзии А. Блока и Г. Табидзе следует вести с учетом идейно-художественной эволюции поэтов, которая во многом определилась грандиозными социально-историческими потрясениями трех революций. Не следует замыкаться в узкие рамки, ограничиваться только начальным периодом творчества Г. Табидзе. «Поэтика А. Блока и Г. Табидзе схожа постольку, поскольку это определяется их символическим генезисом»<sup>17</sup>.

Галактион Табидзе знал все наиболее значительные произведения автора «Двенадцати». В черновой рукописи незавершенной статьи «Рассказ старого каторжника» Г. Табидзе цитирует поэму А. Блока «Скифы»:

Идите все, идите на Урал!  
Мы очищаем место бою  
Стальных машин, где дышит интеграл,  
С монгольской дикою ордою!...

Третья строка строфы в рукописи дается не точно, что свидетельствует о том, что цитация приводится по памяти<sup>18</sup>.

Эпоха коренной ломки старого мира, рождения нового социалистического общества требовала новых форм, отвечающих новому содержанию. Вскоре после создания поэмы «Двенадцать» А. Блок писал: «Я боюсь каких бы то ни было проявлений тенденций «искусства для искусства», потому что такая тенденция противоречит самой сущности искусства и потому что, следуя ей, мы в конце концов потеряем искусство; оно ведь рождается из вечного взаимодействия двух музык — музыки творческой личности и музыки, которая звучит в глубине народной души, души массы. Великое искусство рождается только из соединения этих двух электрических токов»<sup>19</sup>.

Значение поэмы «Джон Рид» — произведения глубоко новаторского в грузинской советской поэзии — трудно переоценить. Сама форма поэмы Г. Табидзе совершенно не характерна для грузинской классической поэзии с ее тщательно проработанным сюжетом и последовательным исходом событий. Поэма «Джон Рид» написана свободным стихом, без сколько-нибудь четко выявленной сюжетной каппы; разворачивается она на авторском увидении явлений и событий, воплощается в форму, характерную скорее для кинематографа, с его наплывами и быстрой сменой событий.

В 1918 году Галактион Табидзе пишет стихотворение «Несколько дней в Петрограде», прозвучавшее как пролог к поэме «Джон Рид».

<sup>16</sup> Ю. Тынянов, Поэтика. История литературы. Кино, М., 1977, с. 388.

<sup>17</sup> И. Кенчешвили, Г. Табидзе и европейская литература, Тб., 1974, с. 50.

<sup>18</sup> Архив Г. Табидзе, фонд хр.: 021371—101.

<sup>19</sup> А. Блок, Собр. сочин. в восьми томах, т. VII, М.-Л., 1961, с. 364.

В этом революционном пафосе усматривает сам Галактион Табидзе созвучие, внутреннюю близость с поэмой А. Блока «Двенадцать»:

...Пустынный Петроград.  
 Маячит Смольный в тумане сером.  
 «Двенадцать» Александра Блока,  
 «Несколько дней в Петрограде» — мое...<sup>20</sup>  
 (перевод Е. Шер)

Время создания поэмы «Джон Рид» (1924) имеет в данном случае принципиально важное значение. Даль отгремевших революционных событий позволила поэту не только четко воссоздать грандиозность свершившихся событий, их драматизм, но и выявить идейную направленность, пафос поэмы в целом. Имя Джона Рида, прогрессивного американского журналиста, автора «Десяти дней, которые потрясли мир», прибывшего в Петроград, чтобы поведать о событиях русской революции, вынесенное грузинским поэтом в качестве названия произведения, во многом уже определило ее характер и звучание. В предисловии книги Д. Рида «Десять дней» В. И. Ленин писал: «Эту книгу я желал бы видеть распространенной в миллионах экземпляров и переведенной на все языки, так как она дает правдивое и необыкновенно живо написанное изложение событий, столь важное для понимания того, что такое пролетарская революция, что такое диктатура пролетариата».

Несмотря на известную общность сюжета, отразившего одинаковые во многом события, свидетелями которых были оба поэта, позволяющие говорить об их типологической общности, финал поэмы А. Блока «Двенадцать» несколько неожидан, не вяжется с ходом революционных событий, изображенных в поэме, их логической завершенностью — впереди идущих державным шагом красногвардейцев оказывается Иисус Христос. Типологическая общность поэмы Г. Табидзе «Джон Рид» и поэмы А. Блока «Двенадцать» наблюдается уже в самом обращении к материалу, его осмыслении и подаче. В поэме Г. Табидзе, так же как и в поэме Блока, изображаются представители различных социальных групп — солдаты, участвующие в революционных событиях, буржуа, поп и т. д. В этих поэмах нетрудно проследить целый ряд аналогичных мотивов:

У А. Блока:

... Стоит буржуй на перекрестье  
 И в воротник упрятал нос.  
 А рядом жметесь шерстью жесткой  
 Поджавший хвост паршивый пес.  
 Стоит буржуй, как пес голодный,  
 Стоит бездомный как вопрос...<sup>21</sup>

<sup>20</sup> Г. Табидзе. Избранные стихи, Тб., 1938, с. 49.

<sup>21</sup> А. Блок. Собр. сочин. в восьми томах, т. III, М.-Л., 1960, с. 355.



У Г. Табидзе:

Мечтой буржуа стало —  
Сварить обед,  
Стать в очередь  
За тухлой кониной...  
Прошло то время:  
Пили редер...

Стоит буржуй...  
Он жлоок, робок...  
Позвонок его сухой, костлявый —  
Знак вопросительный,  
Он смотрит в сторону  
Так жалко и просительно...<sup>22</sup>

(перевод Е. Шер)

И в одном, и в другом случае изображается растерянность буржуа, его неприкаянность, здесь схожа даже их внешняя вопросительная поза. В поэме «Двенадцать» Блок не изображает конкретных черт красногвардейцев, однако, по всему чувствуется, что люди эти скроены из твердого материала:

...Винтовок черные ремни,  
Кругом — огни, огни, огни...  
В зубах цыгарка, прямят картуз.  
На спину б надо бубновый туз!

Из того же материала скроен в поэме Г. Табидзе «Джон Рид» старый георгиевский кавалер —

...Лицо —  
Оловянный таз,  
На лбу — шрам.  
Вылуплен глаз.  
Крепок как сталь...

Блок несколькими штрихами, выразительными и емкими, набрасывает образ уходящей, отживающий свой век старой России.

... Пальнем-ка пулей в Святую Русь —  
В кондовую,  
В избяную,  
Толстозадую!

Картина кондовой, патриархальной Руси — «дряхлой старушки» получает свой как бы более развернутый характер в поэме Галактиона Табидзе «Джон Рид»:

...Стоит грандиозный стул,  
У которого обломаны три ноги,  
А на нем едва сидит все еще  
Старая Русь.  
У ног ее растерзанный ковер,  
А перед ней помятая миска  
С кашей...

(перевод подстрочный)

Поэму А. Блока «Двенадцать» принято считать вершиной его революционного творчества. В ней ярко выразились настроения Блока, его мировоззрение, идеалы. Не меньшее значение для грузинской советской поэзии имеет поэма Г. Табидзе «Джон Рид».

<sup>22</sup> Г. Табидзе, Избранные стихи, Тб., 1938, с. 39.

Кафедра русского языка и литературы Горьковского государственного педагогического института им. Н. Бараташвили

Представил Институт истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН Грузинской ССР

## გიორგი არაბული

## ნაწილი და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციები

რუსთველოლოგებმა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ინტერპოლატორის ვინაობა იციან. შათ შორის არის მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები ნანუჩა, იგივე მანუჩარ ციციშვილი<sup>1</sup>. მაგრამ გარკვეულა არ არის, თუ პოემის ჩანართების ან გაგრძელებათა რა ნაწილი ეკუთვნის მას. შეფე და პოეტი არაილე ზოგადად ამბობს: „ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევიაო“. მე-19 საუკუნის მოღვაწეს და მკვლევარს თეიმურაზ ბაგრატიონს კი მიაჩნდა, რომ ნანუჩას შეთხზული იყო „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა 13 თავი (ინდო-ხატაელთა ამბავი, ხვარაზმელთა ამბავი, გმირთა ანდერძები და სხვ.) და გაგრძელებათა გაგრძელება „ომანიანი“<sup>2</sup> როგორც ვიცით, შემდგომმა კვლევა-ძიებამ თ. ბაგრატიონის ეს აზრი არ გააპართლა.

უფრო კონკრეტული ცნობები თვით ხელნაწერებში გვაქვს. კერძოდ, B<sup>1</sup> (Q—1082) და C<sup>3</sup> (H—757)-ში ზოგ სტროფთან მიწერილია ნ, ნა, ნან და ა. შ., თითქოს იმის აღსანიშნავად, რომ ამ სტროფებს ავტორი ნანუჩაა. B<sup>1</sup> და მისი რედაქციის ხელნაწერები ნანუჩას მიაკუთვნებენ ავთანდილ-ს პირველ ანდერძსაც, ჩოლო C<sup>3</sup>—ხვარაზმელთა ამბავს, მთავარ გმირების გარდაცვალების ამბებს და შათს ანდერძებსაც.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, C<sup>3</sup> (H—757) ხელნაწერის მიხედვით „ნანუჩასეულად“ ითვლება 542 სტროფი. (აქედან 3 სტროფი მოდის შესავალზე, 213 — პოემის შუა ნაწილზე, 71 — ინდო-ხატაელთა ამბავზე და ინდოეთში გადახდილ ქორწილზე, 250 სტროფია ხვარაზმელთა ამბავი, ანდერძები და გმირების გარდაცვალება). ეს ცნობა სანდო არ არის. უფრო დაბეჭდვით ამის თქმა შეიძლება იმ 221 სტროფის შესახებ, რომლებიც პოემის ძირითად ნაწილზე მოდის (დასაწყისიდან ინდო-ხატაელთა ამბამდე). ახლა გარკვეულია, რომ ჩანართები ძირითადად ოთხ პლასტად იყოფა<sup>3</sup>. ნანუჩას ინციდენტით გამოყოფილი სტროფები მოიცავს I, II, III პლასტებს. ჩანართებს სხვადასხვა ნაწილი შეთხზულია სხვადასხვა დროს და თითოეული დამკვიდრებულია ხელნაწერთა ამა თუ იმ რედაქციულ ჯგუფში. ამიტომ შეუძლებელია, რომ ისინი ერთ პიროვნებას ეკუთვნოდეს.

ნანუჩას შეთხზულად ვერც ინდო-ხატაელთა ამბავი ჩაითვლება. ინდო-ხატაელთა ამბის გამო არაერთხელ ყოფილა მსჯელობა და ამაზე საკმარისი ლიტერატურაც არსებობს. საკითხი არსებითად გარკვეულია და ჩვენ მხოლოდ გავიმეორებთ რუსთველოლოგიაში მიღებულ დასკვნას, რომ პოემის ეს ნა-

<sup>1</sup> ნანუჩას ვინაობისათვის იხ. „მაენე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1979, № 4, გვ. 15—22.

<sup>2</sup> თ. ბაგრატიონის წერილის (მ. ბროსესადმი, 17-X-1834 წ.) რუსთველოლოგიური ნაწილი გამოაქვეყნა ვ. შარაძემ 1966 წელს კრებულში „შოთა რუსთველი“, ვგ. 405—410.

<sup>3</sup> ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 48—92. მ ი ს ი ე ვ ე, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 193—237.

წილი ოდესღაც დაზიანებულა და მისი ახალი, უფრო ვრცელი. ვარიანტი შეუქმნიათ მე-15 საუკუნის დასასრულს ან მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში<sup>3</sup>. ამ დროს მანუჩარ ციციშვილი დაბადებულიც არ იქნებოდა. ხოლო თუ დამტკიცდება, რომ ინდო-ხატაელთა ამბის რესტავრატორი საარგის თმოგველია<sup>4</sup>, მაშინ აღნიშნული თარიღი უფრო წინ გადაიწევის.

ახლა მოკლედ ინდო-ხვარაზმელთა ამბის გამო. აკად. ა. შანიძე ერთგან წერს: ინდო-ხვარაზმელთა ამბავი უეჭველად დანართია და იგი ნანუჩა ციციშვილს უნდა გეუთვნოდესო<sup>5</sup>. ეს მოსაზრება გამოთქმულია სხვათა შორის და დასაბუთება არ ახლავს. მისი პირველი ნაწილი ექვს არ იწვევს, ნანუჩას ავტორობა კი სადავოდ რჩება. ვინაიდან ამ დამატების შექმნისა და ხელნაწერთა სხვადასხვა რედაქციის საერთო პროტოგრაფში დამკვიდრებინა დრო არ შეესაბამება მანუჩარ ციციშვილის ცხოვრების დროს. ეს თვალსაზრისი რომ მივიღოთ, მაშინ უნდა გადაისინჯოს „ომანიანის“ ავტორის ვინაობასა და თხზულების დაწერის დროზე ამჟამად არსებული შეხედულებაც. როგორც ვიცი, „ომანიანის“ ავტორად ითვლება ქაიხოსრო ომანიანს ძე ჩოლოყაშვილი<sup>6</sup>, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა 1613 წელს დასრულდა. „ომანიანის“ შესავალში კი გადმოცემულია ინდო-ხვარაზმელთა ამბის შინაარსი. ე. ი. პოემის ეს დამატება მე-17 ს. დასაწყისისათვის უკვე არსებობდა. ამ პერაოდისთვის კი მანუჩარ ციციშვილის პოეტური მოღვაწეობა საეჭვოა, რადგან იგი 1590 წელზე ადრე დაბადებულად არ ივარაუდება<sup>7</sup>.

მაგრამ, თუ ეს ასეა, რატომ მიაკუთვნებს C<sup>3</sup>-ის კომენტატორი ყველა ჩანართსა და დანართს ერთ პიროვნებას — ნანუჩას? ეს რომ დავადგინოთ, უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ, როდის და რა მიზნით გააკეთა მინაწერები C<sup>3</sup>-ში? ბოლო კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილია: ამ მუშაობის მიზანი იყო რუსთველის ნამდვილი ტექსტის გამიჯვნა შემდეგდროინდელი დანამატებისაგან. სხვა კითხვებზე კი უნდა დავჯრდეთ მხოლოდ ვარაუდს, რაც შედეგ ფაქტებს დაემყარება: აღნიშვნები ხელნაწერში გაკეთებულია ტექსტისაგან განსხვავებული ხელით და სხვა მელნით (პოემის ტექსტი გადაწერილია შავი მელნით, მინაწერების მელანიც შავია, ოღონდ შედარებით ბაცი). აღნიშვნები იწყება მე-9 სტროფიდან და გასდევს პოემას თითქმის ბოლომდე. 184-ე გვერდიდან მინაწერების ხელი იცვლება (მელანი იგივეა). სტროფების გამომყოფი პირობითი ნიშანი ერთნაირი არ არის. უმეტესად იგი ორი ასოსაგან შედგება: ნა, ზოგან 3 და მეტი ასოა, მაგ.: ნან — 33, 74 სტროფებთან: ნანუ — 61, 69; ნანუჩ — 9, 57; ზოგჯერ კი სახელი სრულად წერია: ნანუჩას — 60, ნანუჩასა — 88. გვხვდება ასეთი მინაწერიც ნაჩ — 18, 21, 23, 30, 37, 43, 46, 50 სტროფებთან, ხოლო 42-ე სტროფის მარჯვენა მხარეს წერია: ნაჩუასა. 221, 230, 233 სტროფებს ფანქრით უწერიათ ნ, კიდევ სხვა ხელით

<sup>3</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ვაგარძელებანი, გვ. 287.

<sup>4</sup> იხ. ინდო-ხვარაზმელთა ამბის პროლოგი და ეპილოგი (სტროფები 187C, 202A).

<sup>5</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბ., 1966, გვ. 201.

<sup>6</sup> ე. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 366—367; აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ვაგარძელებანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 285; ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და მისი „ომანიანი“, ლიტერატურული ძეგლები, VIII, თბ., 1953, გვ. 179—196.

<sup>7</sup> იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1979, № 4, გვ. 20.

(230-ე სტროფთან არის მელნით მინაწერიც ნა, ნახევრად გადასული). 2030-ე სტროფთან (255 v.) მიწერილია: „ამას ქვევითაც სულ ნანუჩასი არის და შოთასიც ცოტა რამ“ და შემდეგ საგანგებო მინაწერით „შოთა“ გამოყოფილია რუსთველისეულად მიჩნეული ეპილოგის ოთხი სტროფი.

აქედან დგინდება, რომ ხელნაწერში მინაწერები გაუკეთებია სამ პიროვნებას (ორს — მელნით, მესამეს — ფანქრით). „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიისათვის უფრო მნიშვნელოვანია, როდის არის გაკეთებული სტროფების ეს გამორჩევა. ვახტანგის გამოცემის დაბეჭდვამდე, თუ მის შემდეგ?

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ხელნაწერი ვილაცამ შეადარა ვახტანგისეულ გამოცემას და ზედმეტი სტროფები ნანუჩას შეთხზულად ჩათვალა, მაგრამ, როგორც ს. ყუბანეიშვილმა შენიშნა<sup>8</sup>, ამ ვარაუდს შემდეგი დაბრკოლება ახლავს: ხელნაწერში მოიპოვება 13 სტროფი, რომელთაც არავითარი აღნიშვნა არა აქვთ და არც ვახტანგის გამოცემაში არის შეტანილი. კიდევ, ხელნაწერში ერთ სტროფს (1207) უწერია ინიციალი ნა, დაბეჭდილი კი არის ვახტანგის გამოცემაში. ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ისიც, რომ მინაწერები გაკეთებულია სხვადასხვა პირის მიერ.

ჩვენ უფრო იმ შესაძლებლობას ვემხრობით, რომ პოემის დასაბეჭდად მომზადების დროს ვახტანგ VI-ს და მის თანამშრომლებს ხელთ ჰქონდათ, სხვებთან ერთად, ეს ხელნაწერი<sup>9</sup> და პოემის სტროფული შედგენილობის გასარკვევად საკონტროლოდ მაინც გამოიყენებდნენ მას, როგორც ყველაზე ვრცელ და სრულ ნუსხას. პირობითი აღნიშვნებით ხელნაწერის კოდექსზე ამ დროს უნდა იყოს გაკეთებული რედაქციის წევრების მიერ<sup>10</sup>.

მიუხედავად იმისა, სარედაქციო მუშაობის დროს არის ეს კლასიფიკაცია გაკეთებული, თუ პოემის დაბეჭდვას შემდეგ, ჩანს, რომ ამ აღნიშვნების გამკეთებლები ნანუჩას გარდა სხვა ინტერპოლატორს არ იცნობენ, ან, თუ იციან, რომ ნანუჩა ერთადერთი არ იყო ამ საქმეში, მაშინ პირობითად ხმარობენ მის სახელს, როგორც ინტერპოლატორის ფხედლონიმს. გაეჩხინოთ, რომ ჭერ კიდევ არჩილმა განაზოგადა ეს სახელი და ცუდ-მეღელქსობას „ნანუჩაობა“ უწოდა: „...კარგადა ვთქვა ყველაკარი, არ მგონია ვნანუჩაო“<sup>11</sup>.

მაინც რას გვაძლევს C<sup>1</sup> ნანუჩას „ღვაწლთან“ დაკავშირებით? თითქმის არაფერს. ამ ნუსხის მინაწერები ადასტურებს არჩილს ნათქვამს, რომ ნანუჩამ ვეფხისტყაოსანს დაუმატა „ბევრი რამ“, მაგრამ კონკრეტულად რა ეკუთვნის მას, ამის თაობაზე მინაწერების ჩვენება სწორი არ არის.

ამ მხრივ უფრო სანდოა B<sup>1</sup> ხელნაწერი, რომელიც ნანუჩას მიაწერს პოე-

<sup>8</sup> ვეფხისტყაოსანი, ჩანაწი და დანართი ტექსტებში, თბ., 1956, გვ. 08.

<sup>9</sup> C<sup>1</sup> ხელნაწერი რომ ვახტანგის კოპიას ხელთ ექნებოდა, ეს სათუო არ არის. იგი გადწერილია 1671 წ. ვახტანგ მეხუთის „სალაროს მუშრების“ აღმუშავებელს გასპარას მიერ. გადამწერი თუმცა ანდრეაძის აღნიშნავს, რომ იგი ამ ნუსხას თეოსოვის (საყუთარის შეილის სასკლბე) წერდა, მაგრამ არ არის ეპილოგზე, რომ ხელნაწერში შემდეგ შეუეთა სახლს შეკეთებდა ვახდა. თუ არა, ვახტანგს შეეძლო, დროებით მაინც მიეღო იგი მოსახმარად მისი მფლობელისაგან. ამ ნუსხისადმი ვახტანგის დამოკიდებულებას მესახება იხ.: მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის, თბ., 1977, გვ. 56—58.

<sup>10</sup> დასაბეჭდად პოემის ტექსტის მომზადებაში უმჯობესი მონაწილეობაგან ამჟამად ცნობილი მხოლოდ ორი პიროვნება: თვით ვახტანგ VI და „ქედმაღლის კარის დეკანოზის შეილი მიქელი“.

<sup>11</sup> ა რ ი ლ ი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა, სტრ. 41.

მის ტექსტში 21 სტროფს ჩართვას და აეთანდლის ანდერძის 16 სტროფს. ეს ჩვენებანი მკვლევრებს, ძირითადად, სარწმუნოდ მიაჩნიათ, სხვადასხვა აზრით აქვთ მხოლოდ ანდერძის სტროფთა რიცხვის გამო<sup>12</sup>.

B<sup>1</sup>-ის ჩვენებანი ანგარიშვასაწევია იმიტომაც, რომ ამ ნუსხის გადამწერი ი. ტფილელი შესაძლოა პირადად იცნობდა ნანუჩას და იცოდა მისი ინტერესიც „ვეფხისტყაოსნისადმი“. ამას გარდა ხელნაწერის დამკვეთი და პირველი პატრონი იყო ნანუჩას (მანუჩარ ციციშვილის) სიმე, სარდალა ზაზა ციციშვილი<sup>13</sup>. ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ გადამწერი ეცდებოდა არ დაეკარგა ზაზას სიმამრის, ნანუჩას „ღვაწლი“. მას მართლაც გაუკეთებია სათანადო აღნიშვნები, მაგრამ ი. ტფილელს ყველა მანუჩერს ნანუჩას ავტორობის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია; ამ ხელნაწერს შიგადაშიგ ფურცლები აკლია, რომლებზედაც უნდა ყოფილყო სტროფები: 78—91, 179—240, 273—294, 315—415. 492—502, 990—1000, სულ დაახლოებით 200 სტროფი. შესაძლოა, რომ ნ ინიციალით აღნიშნული სტროფები ამათ შორისაც იყო (ჩანართთა მეორე პლასტიდან 20 სტროფი, რომლებიც უმეპველად უნდა ყოფილიყო ამ ხელნაწერში, სწორედ დაკარგულ ფურცლებზე მოდის).

რას წარმოადგენს ის 21 სტროფი, რომელთაც B<sup>1</sup>-ის გადამწერი ნანუჩას მიაკუთვნებს? ამათგან 18 არის ჩანართების ე. წ. მეორე პლასტიდან, ე. ი. იმ ინტერპოლაციებიდან, რომლებიც პირველად „ზაზასეულსა“ და მის ახლოს მდგომ ნუსხებში ჩანან. ამიტომ არა გვაქვს არც საბუთი და არც საბაბი იმისა, რომ ი. ტფილელის ჩვენებას არ ვენდოთ და ამ სტროფებს ნანუჩასადმი კუთვნილება უარყვიოთ<sup>14</sup>.

<sup>12</sup> კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ აეთანდლის პირველ ანდერძში, რომელიც სულ 16 სტროფს მოიცავს (ს. ყუბანეიშვილის გამოცემით: 2070—2078, 2050—2056), ნანუჩასია მხოლოდ 11 (2075—2078, 2050—2056). რადგან დანარჩენი 5 სტროფი (2079—74) არის ისეთ ხელნაწერებში (A<sup>9</sup> A<sup>10</sup>), რომლებიც ნანუჩასეულ სხვა სტროფებს არ იცნობს, კ. კეკელიძეს ისინი, ალბათ, უფრო ადრე ჩამატებულად მიაჩნდა (იხ. კ. კეკელიძის, ქართული ლტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 363). მაგრამ უნდა ვაეთვალისწინოთ, რომ A<sup>9</sup> A<sup>10</sup> (გადაწერილი 156-იან წლებში) მნიშვნელოვნად რედაქტირებულა: ამიტომ შესაძლოა, რომ მათში ნანუჩას შეთხზული სტროფები მოხვედრილიყო შერჩევით, თუნდაც მხოლოდ ამ ხუთი სტროფის სახით (2070—74).

<sup>13</sup> ამ ხელნაწერის პირველი მფლობელის ვნაობა დაადგინა გ. ლეონიძემ, — „ლტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, ტფილისი, 1935, გვ. 19—36.

<sup>14</sup> ამათგან ერთი, 462-ე სტროფი, თუმცა დაიბეჭდა ვახტანგის გამოცემაში და მისი გაკლენით შემდეგ მოხდებოდა, მაგრამ ამოთ ამ სტროფის ნაყალბეობის საკითხი არ მოხსნილა. სადაც სტროფი მოკვავქეს B<sup>1</sup>-ის წაიხიბით:

ალარა ეცი დამეოწყდეს თუცა დიადა წელია,  
გამბო ჩემი ამბავი განა რაზომცა ძნელია.  
ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყვი აეისა მქნელია,  
მისთა ნაკვეთთა წინწალი დამეცეს ხანგრძლად მქველია.

ვახტანგის გამოცემაში ამ სტროფის დაბეჭდვა უბრალო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს ეს უნდა მომხდარიყო იმის გამო, რომ B<sup>1</sup>-ში ამ სტროფის გასწერივ კიდევ ინიციალი ნითქმის არა ჩანს. იგი ზედ ორნამენტზეა დაწერილი და საგანგებო დაკვირვებს გარეშე არ იცოთხება. ვინაიდან სტროფი ზოგადი მსკელობისა და მშაბონური ფრაზებისაგან შედგება, სადაც გნებათ, იქ ჩასვით. ყველგან მოერებაა. ვფიქრობთ, ამიტომ მოხვდა იგი პოემის პირველ გამოცემაში და დღე ვანდლამდე ვერ მოხერხდა მისა სამუდამოდ განდევნა რუსთველის ტექსტიდან. როკორც ჩანს,

ცალკე დგას სამი სტროფი, რომელთაც ნანუჩას ვერ მივაკუთვნებთ.

888: ყმაძან რაცა არვის უთხრის. კითხვად ვინმცა გაუპირდა?  
მართალ ა, თუ საუბარსა ავირებდა, ძვირად ღირდა.  
სმა გარდახდა, გაიყარნეს, ყმა წაეღო, მი-ცა-სჭირდა,  
ველარ გასწლო, გული მისი აუჩუქდა, აუტირდა.

სტროფი გამოხატავს იმ სევდიან განწყობილებას, რომელიც ავთანდილს ჰქონდა მეორედ გამგზავრების წინ (ტარიელის საშველად). იგი არის ხელნაწერთა ოთხივე რედაქციაში, მოცემული ეპიზოდისათვის საჭიროა და თავის ადგილზე ზის<sup>15</sup>. ეს სტროფი ამჟამად შეტანილია პოემის ძირითად ტექსტში<sup>16</sup>.

1497: ეს სიტყვა მართალია, არ-კრელად და არ -ხესრულად,  
ნესტან-დარეჟე ჰქვიან ქალსა ქართულადცა, კელა სპარსულად,  
თავშიშველი ყაყაროსა აგავს, თუ იყოს ვარდი სრულად,  
ტარიელის გონებითა ალვა მქენარა დანასრულად.

ეს სტროფი თუმცა ჩანართია, მაგრამ ნანუჩასი არ უნდა იყოს. იგი ეკუთვნის ჩანართთა პირველ პლასტს, რომელიც უფრო ადრე სხვა პოეტს მიერ არის ჩამატებული რუსთაველისეულ ტექსტში. ეს სტროფი უკვე ყოფილა იმ ხელნაწერში, საიდანაც 1640-იან წლებში მამუკა მღვანმა გადაწერა ამჟამად A<sup>2</sup> ლიტერით აღნიშნული ნუსხა.

ნანუჩას ინიციალი უზის 1886 სტროფასაც:

ხვარაზით გამოემართა რევანოზ მეფის შვილიო,  
მთვარე კირჩხიბსა ზედა ზის, აწ არს ეტლი ცვლილო;  
მენავეთაყა უბრძანა: “დაკაჯმეთ ნავი მსხვილიო,  
წაეღე, მტერი დავადნო მე, ეთა ცეცხლმან ცვილიო”.

ეს სტროფი ხვარაზმელთა ამბის ნაწილია B, C, D რედაქციებში, A რედაქციის ხელნაწერებში კი (A<sup>2</sup> A<sup>4</sup> A<sup>5</sup> A<sup>10</sup>-ში) პოემის ძირითად ტექსტშია, ხვარაზმშას ძის ინლოეთში მოწვევის ეპიზოდში, 693-ე სტროფის შემდეგ, თუმცა განსხვავებული ვარიანტით:

ხვარაზით გამოემართა რამადან მეფის შვილიო,  
მენავეთაყა უბრძანა: -მოკაჯმეთ ყოვლგნით ნავიო,  
მთვარე კირჩხიბსა ზედან ზის, ჩააწყვეთ სამძმაროი”.  
მათსა ქებასა ვინ იტყვის, ენამ იკრძალოს თავიო. (693)

ცხადია, რომ ეს სტროფი ინტერპოლატორის ნახელავია. მაგრამ იმას მიუხედავად, თუ თავდაპირველად რომელი ეპიზოდის კუთვნილება იყო და შემდეგ როგორ შეიცვალა ადგილი, A რედაქციის ხელნაწერებში მისი არსებობის ფაქტი აძნელებს ნანუჩასადმი მიკუთვნების შესაძლებლობას<sup>17</sup>.

მკვლევართათვის ვახტანგის გამოცემის ავტორიტეტი და ტრადიციის ძალა ქუშმარიტებაზე უფრო მეტია, თორემ ამ სტროფის სიკალების საბუთად ისიც იგაზრებდა, რომ მას არ იცნობს A და D რედაქციების ხელნაწერები, აგრეთვე B<sup>2</sup>B<sup>3</sup>. წაყალბებულ არს მიჩნეული იგი ძიგნიყვე გამოცემებშიც, მის ჩანართობას აღსატურებებს ეპიზოდის მძმართ სტროფის ალოკუტური შინაარსი და ტექსტოლოგიური მონაცემები, რომელთა განხილვა აქ შეუძლებელია.

<sup>15</sup> ამის შესახებ იხ. გ. ა რ ა ბ უ ლ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის გამო. „მაცნე“, 1966, № 5, გვ. 71—76.

<sup>16</sup> „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 3, გვ. 125—156.

<sup>17</sup> შდრ. ბ. დ ა რ ი ა, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებთა მიხედვით, 1975, გვ. 178.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ სამ სტროფთან (888, 1497, 1886) ინიციალი ნ შეცდომით არის დასმული B<sup>1</sup>-ში. ამჯერად ნანუხა რჩება პოემაში სხვადასხვა ადგილას ჩართული 18 (B<sup>1</sup>-ში ნ-ით აღნიშნული) და ავთანდილის ანდერძის 16, სულ — 34 სტროფს ავტორად.

როგორც ვთქვით, ნ-ით აღნიშნული სტროფები B<sup>1</sup> ნუსხაში, უფრო მეტა უნდა ყოფილიყო. ასეთი მაქსიმუმ 20 რომ ვეარაუდოთ (რომლებიც B<sup>1</sup>-ის ამჟამად დაკარგულ ფურცლებზე იქნებოდა მეორე პლასტის ჩანართებთან), სულ 54 გამოვა. ცხადია, მხოლოდ ეს 54 სტროფი ისე ვერ ამღვრევდა რუსთველის პოეზიის წმინდა წყაროს, რომ არჩილ მეფეს ცნობაში საყვედურის საბაბი ჰქონოდა. როგორც ჩანს, არჩილი უფრო მეტს გულსხმობდა ნანუხას ნასაქმარად. არჩილმა იცოდა, რომ მისდროინდელი ხელნაწერებში დაცული ვეფხისტყაოსნის ბოლო თავები რუსთველს არ ეკუთვნოდა. იგი თეიმურაზს ათქმევინებს რუსთველს მიმართ: „ერთი ამბავი ააწყე, ბილაოც სხვათ შევითავყესა“. (ამ „ბოლოში“ უნდა იგულისხმებოდეს ხვარაზმელთა ამბავი და ანდერძები). ამავე დროს არჩილი უმეველად იცნობდა პოემის ისეთ ხელნაწერებს, რომლებშიაც, ხვარაზმელთა ამბისა და გმირთა ანდერძების გარდა, თვით ძირითად ნაწილში 200-მდე სტროფი იყო ჩამატებული და ამათ მართლაც ამღვრეული იყო რუსთველის გენიალური თზულება. მაგრამ საკვირველია, რომ არჩილი რუსთველის სხვა მიმბაძველებს არ ასახელებს და მთელ ცოდვას ნანუხას კისერზე აგდებს...

თანამედროვე ნეკლევარი ცნობილი პოეტისა და მეღის ამ აზრს ვერ გაიზიარებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღეისათვის დადგენილია, რომ ინტერპოლაციები შეთხზულია სხვადასხვა დროს და მათი ავტორებაც სხვადასხვა პირები უნდა იყვნენ, და არა მართლ ნანუხა. იგეგვ ითქმის პოემის გაგრძელებებზეც (ხვარაზმელთა ამბავი, ანდერძები და სხვა).

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ნანუხას შეთხზული უფრო მეტი უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ვიდრე B<sup>1</sup>-ში პირობითად აღნიშნული სტროფების რაოდენობაა, თუნდაც დაკარგულ ფურცლებზე სავარაუდოდ ჩანართებთან ერთად.

სად უნდა ვეძებოთ ნანუხას ნაღვაწი, ინტერპოლაციებს რომელ ნაწილში? ალბათ მიზანშეწონილი იქნება, ხელნაწერთა იმავე ჯგუფში და ჩანართთა იმ ციკლში მოიძებნოს იგი, სადაც კონკრეტული მითითება გვაქვს ნანუხას ნასაქმარზე.

როგორც ზემოთ დავინახეთ, B<sup>1</sup>-ში ინიციალი ნ მეორე პლასტის 13 სტროფს უზის. თუკი აღნიშნულს გარდა ნანუხას რაიმე არის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, ეს უნდა იყოს ამავე პლასტის სტროფები. რომელთაც B<sup>1</sup>-ში პირობითი მინაწერები არა აქვს, და ისინიც, რომლებიც ამ ნუსხას დაკარგულ ფურცლებზე უნდა ყოფილიყო ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი :

1. ერთი პლასტის ავტორად, საერთოდ, ერთი პიროვნება უნდა ვეარაუდოთ. აქ ძნელი დასაშვებია, რამდენიმე ავტორის ნამოქმედარი ისე შეერთებულიყო, რომ სისტემური სახით (უმეტ-ნაკლებად) დამკვიდრებულიყო ხელნაწერთა გარკვეულ რედაქციაში.

2. მოულოდნელია, რომ ნანუხას საკუთარი ლექსებს ჩამატებს სურვილი გასჩენოდა ვტ-ის სიუჟეტის შუალედზე და არა უფრო ადრე. საქმე ის არის, რომ B<sup>1</sup>-ის დაუზიანებელ ფურცლებზე ინიციალი ნ პირველად გვხვდეთ

ბა 456-ე სტროფთან. მაგრამ მეორე პლასტის ჩანართები იწყება ეტყვილი რედაქციის 42-ე სტროფიდან და სულ 70 სტროფს შეიცავს.

პოემის I—IV თავებში, სადაც ხელნაწერს შემოუნახავს II პლასტის 21 სტროფი, ნანუჩას ინიციალი არა ჩანს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ნუსხის გადამწერს, იოსებ ტფილელს, ნანუჩას სტროფების საფანჯრივ გამოყოფის განზრახვა თავიდანვე არა ჰქონია და პირიბითი ნიშნის ნაწერა დაუწვია 456-ე სტროფიდან, ან ცოტათი ადრე (წინა ნაწილში ხელნაწერს მიყოლებით აქვს ათი ფურცელი, 315—415 სტროფები, და ამ მოწვევითი ნიშნით იყა სადმე ნანუჩას ინიციალი თუ არა, არ ვიცით), ან ი. ტფილელს ზუსტი ცნობა არ მოუპოვებოდა ნანუჩას ჩანამატების შესახებ. ამ საქმეში მას ზოგჯერ შეეძლოდა მოსდინა<sup>18</sup>. ი. ტფილელს ცნობები უფრო სრულია გმირთა ანდერძების მიმართ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მასვე ეკუთვნის. აქ იგი გარკვევით უჩვენებს, თუ რა არის ნანუჩასი და რა — ი. ტფილელისა<sup>19</sup>.

3. ჩანართთა II პლასტი გაჩენლა B და C რედაქციების საერთო პროტოგრაფში ან ამ რედაქციათა დედნებში, ცალ-ცალკე. საერთო პროტოგრაფიდან B და C რედაქციათა დედნების აღმოცენება კი უნდა მომხდარიყო ქართლის სამეფო კარზე არსებულ ლიტერატურულ-სამწერლო გარემოში მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე პერიოდში ტრიალებდა სამეფო კარზე მანუჩარ ციციშვილიც. როგორც საბუნებრივად ჩანს, იგი ჯერ სსსამართლოს წევრი, მსაჯული ყოფილა. როსტომის მეფობაში კი სახლთუბუბუბო გახდა. მანუჩარს სწორედ აქ ექნებოდა უშუალო კონტაქტები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებთან და მათს გადამწერებთანაც მისი ნაღველიც აქვე აღუვლიდა შეემატებოდა იმ ნუსხებს, რომელნიც შემდეგ B და C რედაქციების საფუძვლებად იქცნენ.

4. სტროფები, რომელთაც ი. ტფილელი ნანუჩას შეთხზულად თვლის. მათი ლექსიკით, სტილითა და პოეტური სახეებით არ გამოირჩევა მეორე პლასტის დანარჩენი სტროფებისაგან. ესეც იმაზე მიგვიჩივებს, რომ მთელი პლასტის ავტორი ერთი პირივნებაა. აღნიშნული ფაქტი თავისთავად ძლიერი არგუმენტი არ არის. ვინაიდან ინტერპოლატორები მხატვრული ზეარებითა და პოემის ტექსტისადმი მიმართებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: უფრო სწორად, ყველა რუსთველს ჰბაძავს და ყველა მას ჰგავს. მაგრამ მეორე და მესამე პლასტებში მინც ვლინდება ისეთი ლექსიკური და სტილური თავისებურებანი, რაც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. ეს კი ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ მესამე პლასტის ავტორი სხვაა, ნანუჩას ნამოღვაწარი კი შეგვიძლია მეორე პლასტით შემოვფარგლოთ<sup>20</sup>.

ჩანართთა მეორე პლასტი პოემის ძირითად ნაწილში შეადგენს 70 სტროფს. ნანუჩა, როგორც ყველა ინტერპოლატორი, ემყარება რუსთველის ტექსტს. იმეორებს ამა თუ იმ ეპიზოდის აზრს, ან ქმნის რომელიმე სტროფის ვარიანტს.

<sup>18</sup> მაგ., ინიციალი უზრს 888, 1477 და 1686 სტროფებს, რომლებიც ნანუჩასი არ არის (იხ. ზემოთ, გვ. 56).

<sup>19</sup> იხ. სათაურები B1-ში 2263<sup>1</sup>, 2064, 2071, 2072 სტროფების წინ.

<sup>20</sup> მინცდამაინც მესამე პლასტზე იმიტომ ვამხვილებთ ყურადღებას, რომ მისი შექმნისა და ხელნაწერებში დამკვიდრების დრო უახლოვდება ან შეიძლება ემთხვევა კიდევაც ნანუჩას ცხოვრების ბოლო პერიოდს. იმიტომ სანტყრესთა ყველა მოსაყვამი, რომელიც კი ამ ნაწილსადმი ნანუჩას ავტორობას უარყოფს.



მას პოემის სიტუეტისათვის ახალი ეპიზოდი არ მიუმატებია. მხოლოდ ცდილობს უკვე მოცემულ აზრის გავრცობას და უმატებს ზოგიერთ ნაუნას, ამიტომ სტროფების შინაარსს ანალიზი, ვფიქრობთ, საჭირო არ არის, აქ მოვიყვანოთ იმ სტროფების რაღაც ნომრებს. ვრცელი გამოცემათ<sup>21</sup>. რომლებსაც ჩვენ ნანუჩას დამწერლად ვთვლით. დანტერესებული პირ-თვითონ შეაკვლევს, თუ სწორად რა არის მათში. ესენია: 42, 43, 46, 50, 57, 60, 69, 74, 94, 97, 100, 120, 123, 125, 153, 158, 165, 167, 170, 177, 129, 191, 200, 202, 208, 219, 251, 254, 255, 272, 286, 289, 302, 306, 316, 321, 331, 345, 346, 347, 349, 356, 360, 361, 362, 408, 459, 460, 461, 462, 464, 470, 506, 507, 520, 540, 542, 570, 571, 575, 810, 811, 857, 882, 1033, 1034, 1526, 1532, 1540, 1598.

ამ სტროფებში გვხვდება ასეთი მეტაფორები (თითოეტი): ცეცხლთა გზება (=სიყვარულით ტანჯვა), ცეცხლთა სახმილი, ცეცხლი ალთა (=სიყვარული), ცეცხლთა დაესება (=ტანჯვის განულება), გულის შეპყრობა. ყაჯახოს დაქვნიობა (=წუხილი, მოწყენა). დულილი (= დიდი მწუხარება: „კდულ და მომდის ცხელი ცრემლი“, აეთანდილი „შემხედველთა ადულებდა“), სიციცხლე ღაბ-ვართა ვახენი, კლიტე გახსენ მაჯლოშისა, მზისა შუქი მოგეფანოს (=სატრფომ შეგუყვაროს), დათონა (= უბედურებაში ჩავარდნა), ბეჯი გითოვლეს ზე ნაშსა (= ბედნურება გერგოს). მზე-წახდომითა (= ტარეულს მოშორებულთა, უსასოოდ მყოფი). სოფლის მზე (= ტარიელა). მზე (= აეთანდილი). მზე (= ნესტანი), მზე (= თინათნი, 4-ჯერ). ლომი (= ტარელა, 4-ჯერ). ლომი (= აეთანდილი, 3-ჯერ). მისი დამდაგველი, მისა მკველი (= სატრფო, 2-ჯერ), ცხელი ცეცხლი (= სიყვარული, ტანჯვა, 4-ჯერ), სისხლის ცრემლი (2-ჯერ), სისხლის ცრემლი გამოსეტყვა, ცრემლს მილა (= ძლიერ სტირი), სათქმლად-ცა საზარელა (= ღმერთი). ვარდის ნაცვლად ძეძეს რად ჰყრებსა (= წყალობის ნაცვლად ჩვენს წყრომას რად ირჩევს), აგოვეადეს შენ ვარდობა, ჩვენნი მბრძოლნი ავატარეთ. ზღვადცა მისცეს საქონელი (= დიდი საუნჯე მისცეს).

შედარება: აეთანდილა ჰგავს მზეს; ტარელა ჰგავს „პირად მზესა“. თინათინ „მზესა ითვალწინებდა“; „ლომი ტარიელ“; „შემხედსა მათთანა (ტარიელ-აეთანდილთან) ლალცა უმტვერდებოდა“.

ეპითეტი: ქალი ტანად სარო, (ქალი) ღამაზენი, ქალი მნათობი. ქალი შემხედთა სულის წანულები, პირმზე თინათინ (3-ჯერ); (ტარიელა) ტანად სარო, ტანად ალვა, ჯაგარ-სტული, ხელი: (აეთანდილი) ლალი. ლალი და შედგოველი, მეფე ლალი და უკადრი. მეფე გულ-მღელარო: ფრიდონ ლომ-გული. მელნის თვალი. ტბილი სული. უცხო ქარი, გული რეტი (გულთა რეტითა). გული წყლული (2-ჯერ). ცრუ სოფელი, მუხთალი სოფელი (2-ჯერ). ცხელი ცრემლი (3-ჯერ).

მიმერბოლა: ვანათებს მზეებრ ველსა (ტარელი), პირსა მზესა ანათებდა (აეთანდილი). შევკრა ერთვან მთა და ბარი, ცრემლნი მიგდან მორვეად, რედ დის სისხლისა ღვარები. დახოცილთა დევთა აივსო არემარეო.

მოყვანილი მაგალოებიდან ჩანს, რომ ჩანართი სტროფების ლექსი და ტროპების უმრავლესობა ნახესხება რუსოველისაგან. აქ არის რამდენიმე მხატვრული სახე. რომლებიც პოემის ძირითად ტექსტში არ გვხვდება. მაკ-

<sup>21</sup> ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით, ს. ყუბანიშვილის რედაქციით, თბ., 1956. სტროფთა სთვალად: „სეთვეა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებში“, ნაკვეთი 1-17, 1960-1963 წწ.

რამ ისინი არ გამოირჩევა ორიგინალობით და პოეტურობით. მაგალითად, მეტაფორა: **ყაყაჩოს დაქნობა** (167), რაც დანალღვიანებას, მოწყენას ნიშნავს. რუსთველი ხმარობს მეტაფორებს: ვარდის ქნობა, ვარდის დათრთვილება. ვარდის დაზრობა; ან ყვავილთა ქნობა, დაზრობა, მაგრამ ყაყაჩოს დაქნობა და, საერთოდ, სიტყვა **ყაყაჩო** რუსთველთან არ არის. იგი გვხვდება ინდო-ხატულთა ეპიზოდის ერთ სტროფში (1790):

მომკალ, ქალსა თავ-მოხდილსა თუ შვე ვითა უერჩოსა.

სული ვარდსა დაეამსგავსე, თავ-შიშველი—ყაყაჩოსა.

ვერ ვიტყვი, რომ ეს შედარება რუსთველისა იყოს, რადგან ჯერაც გაურკვეველია, ამ ეპიზოდში რა ეკუთვნის რუსთველს და რა — მას მიმზაძველ-გამგრძელებლებს. ნესტანი ყაყაჩოსთან არის შედარებული აგრეთვე ერთ-ერთ ჩანართ სტროფში: „თავშიშველი ყაყაჩოსა ჰგავს, თუ იუს ვარდს სრულად“ (1497)<sup>22</sup>.

ამრიგად, სიტყვა „ყაყაჩო“ ქალის სილამაზის აღსანიშნავად უკვე დამკვიდრებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში. როცა ნანუჟა რუსთველის პოემის „შევსებას“ შეუდგა, ამ შემთხვევაში იგი მზა პოეტურ სახეს იღებს და იმეორებს: მას.

აქვე გვხვდება მეტაფორა დათოვნა: „მზისა შუქ-მოგუფნოს, ვერვან ხელუოს დასათოვნად“ (191); „თუ არ გასწილდე, მაჭობო, ბედი გითოვდეს ზე ნამსა“ (94). რუსთველთან არის: ფიფქის დათოვა, ცრემლით დათოვნა, წყალობის მოთოვნება, ცა წყალობისა მთოველი. მიმზაძველი აქაც რუსთველის გავლენის ქვეშ არის, მაგრამ მისი მეტაფორა — „ბედი გითოვდეს ზე ნამსა“ — ვერ არის აზრით გამართული და ეფექტური.

ნანუჟას ეკუთვნის მეტაფორები (რომლებაც რუსთველთან არ გვხვდება): სოფლის მზე (123, იგულისხმება ტარიელი)<sup>23</sup>, დუღილა (251, 349, დღი მწუხარება), კლიტის გახსნა (170, „კლიტე გახსენ მაჭლიშისა“); ეპითეტები: გულმდღუღარი მეფე (158), ტყბილი სული (1634), უცხო ქარი (464), მელნის თვალი (255)<sup>24</sup>, შედარება: შემტევებელი ქარულად. გამთენებელი დარულად (46).

სალექსო საზომის ხმარებაში რაიმე კანონზომიერება ძირითად ტექსტთან მიმართებით არ შეინიშნება. მიმზაძველი წერს ხან მაღალა შიპრით (48 სტროფს), ხან დაბალით (24 სტროფს). ავტორს მაჯამიერისადმი მისწრაფება არ ეტყობა, მაჯამური რითმა ჩანს ორიოდე სტროფში (480, 1540).

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებებში შედის ვმირების ხუთი. სამაოდ გრცელი, ანდერძი. ამათგან ორი ეკუთვნის ი. ტფილელს: ერთი — ნანუჟას, ორი ანდერძის ავტორი კი უცნობია.

ი. ტფილელი მის მიერ გადაწერილ ნუსხაში (ბ) ვაკვევით მუთითებს. რომ ავთანდილის პირველი ანდერძი „ნანუჟას ჩამატებულია“. ასეთვე ბიბლიოგრაფიული ცნობა მოიპოვება B<sup>7</sup> B<sup>10</sup> B<sup>11</sup> C<sup>1</sup> ხელნაწერებში. სად-ც ეს ანდერძი შეიტაცეს 16 სტროფს: 2070—78, 2050—56. ასეთვე შედგენილობათა იგი წარმოდგენილი B<sup>6</sup> C<sup>1</sup> C<sup>4</sup> C<sup>5</sup> D<sup>1</sup> D<sup>3</sup> ნუსხებში. C<sup>3</sup> კი 2050—56 სტრო-

<sup>22</sup> ამ სტროფის შესახებ იხ. აქვე, გვ. 56.

<sup>23</sup> შედარებით რუსთველის: „სოფლისა მნათი მნათობი“ (44, 35).

<sup>24</sup> რუსთველთან არის მეტაფორები: მელნის ტბა, მელნის მოჭევა, მაგრამ ეპითეტად „მელანს“ არ იყენებს.

ფებს ტარიელის პირველი ანდერძის ნაწილად წარმოგვიდგენს, რაც სწორი არ უნდა იყოს. ეს სტროფები ტარიელის ანდერძისათვის შინაარსობრივად ზედმეტია და მათი აქ შეტანა უნდა მომხდარაყო დედნის ფურცლების ვადადგოლების ან სხვა რაიმე გაუგებრობის მიზეზით<sup>25</sup>.

B<sup>8</sup>-ის გადამწერი, ალბათ, გაგრძელებებისა ცხვადასხვა დედნიდან იწერდა და ამის გამო სტროფები 2050—56 ორივეგან აღმოჩნდა — ტარიელისა და ავთანდილის ანდერძებში.

ავთანდილის ნანუჩასეული ანდერძი იწყება „სოფლის“ მუხანათობაზე, სიკაბუჯისა და ბედნიერა ხანის სწრაფად წარმავლობაზე ჩივილით (2070—75), აქვე ავთანდილი იხსენებს თავის გმირობა-ვაჟაკობას (2073, 2076) და მიმართავს მიჯნურებს. ხასთა (დიდებულებს) და გამაზრდელ-გაზრდილთ, რომ იგლოვონ მისი გარდაცვალება (2077). შემდეგ გულმხურვალედ ეთხოვება თინათინს (2078, 2050—52). აქვე არის თხოვნა ღმერთის მიმართ, რომ მისი სული „მართალთა თანა შეპრაცხოს, ზრდიდეს მართ ეთა საროსა“ (2052—54.) ბოლოს — ცვლავ გლოვისათვის მოწოდება და სოფლის სამღერავი (2055—56).

შინაარსით, კომპოზიციითა და პოეტური სტილით ეს ანდერძი ძალიან ჰგავს ტარიელის პირველ ანდერძს (2025—2049, 2057—2063) და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ორივე ერთი ავტორის დაწერილი იყოს. მაგრამ, ვინაიდან არც ა. ტფილელმა და არც სხვა ნუსხების გადამწერებმა არავითარი ბიბლიოგრაფიული ცნობა არ დაგვიტოვეს, ამის მტკიცების საფუძველი არა გვაქვს. უფრო მართებული იქნება მოსაზრება, რომ ნანუჩამ ავთანდილის ანდერძი შეთხზა ტარიელის ანდერძის მიბაძვით.

ავთანდილის ანდერძში ნახმარია მეტაფორები: ვარდი დანასული, მიჯნურობის სახშილი, სვანე (= საიქიო), სიმათლის კარავი (= ღმერთის სამსჯავრო), ლომი, მზე, მზე მზეთა (= ავთანდილი), მზე, ცისა მნათობი, ვარდი და ია, მარგალიტი მკვირვალი (= თინათინი), ვარდი და მინა (= თინათინის დაწვები), ლალი, ბროლი, ძოწი, სათი, იაგუნდი (= თინათინი ან მისი სახის ნაკვებები).

ეპითეტი: სოფელი მუხანათი, სოფელი მოლიზლარი, სოფელი ნიავი, ქარი არავი, დღე უხვავიშნო, ტურფა თვალწამწამი, ისპანი ტურფად ქურვილნი, თაენი ნაზობით ბურვილნი, კარავნი ნაქრნი, ნახლებნი, [მცევალებულის სული] დამზრალ-დანასული.

შედარება: მსგავსია სოფელი ჩრდილისა, ოთაღნი მსგავსნი ეღეშთა. ავთანდილი მსგავსი გმირისა, ფერად მინა-ვარდი, ორბებრ მონავარდე.

მთელ ანდერძი დაწერილია დაბალი შაირით. მკამური რითმები არის 2 სტროფში (2078, 2055).

განხილული ჩანართების (მეორე პლასტის და ავთანდილის ანდერძის) ავტორი, ჩვენი ვარაუდით — მანუჩარ ციციშვილი, ქართული მწერლობის ტრადიციაზე აღზრდილი ჩანს. იგი საკმაოდ გამართულად წერს. თუმცა რუსთველის გენიალურ პოემას მან ვერაფერი შესძინა ვერც აზრისა და ვერც პოეტური ხელოვნების მხრავ. პირიქით, მან და სხვა მიმბაძელებმა აამღერეს რუსთველის პოეზიის წმინდა წყარო (ძალაში რჩება არჩილისეული შეფასება). მაგრამ ქართული მეტყველებისა და სტილის დაცვის თვალსაზრისით

<sup>25</sup> ეს ნუსხის მიხედვით არის გაკეთებული პოემის სტროფების სათვალავი და ამიტომ მიიღო საჩოთირო სახე ავთანდილის ანდერძის სტროფთა ნუმერაციამ.

იგი შესამჩნევად სჭობნის ზოგ თანამოკალმეს. მაგალითად III პლასტის C რედაქციის ჩანართების, ავტორს.

მესამე პლასტი სულ 48 სტროფს შეადგენს. ამათგან 12 (422—433, ერთ ეპიზოდს ქმნის და ვრცლად აღწერს ფარსადანის სამეფო კარზე გამართულ ლხინსა და ნადირობა-ასპარეზობას სარიდანის ქვეშევრდომად შეწყნარების გამო. დანარჩენი სტროფები ჩართულია სხვადასხვა ადგილას. პოემის პირველ ნესამედში. ესენია (დიდი სათვალავით): 53, 61, 81, 83, 86, 88, 89, 91, 104, 106, 109, 111, 113, 115, 117, 127, 131, 134, 136, 139, 140, 142, 143, 146, 221, 225, 227, 344, 419, 464, 486, 488, 498, 552, 553, 559. აქედან 29 სტროფი დაწერილია მაღალი შაირით, 19 — დაბალი შაირით. მკამურად გართმული სტროფები არ გვხვდება.

ეს ჩანართები, მათი ზოგადი სახით, სხვა პლასტებზე (A, B, D რედაქციების ჩანართებზე) უფრო სუსტია. მათს აზრობრივ და მხატვრულ უსუსურობაში დარწმუნებისათვის საჭიროა უშუალოდ წაიკითხვა. მაგრამ სტროფების სრულად მოყვანას შესაძლებლობა აქ არ არის. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ ენობრივად არასწორ და სტრუქტურად გაუმართავ ფრაზაზე. ასეთები კი ამ ნაწილში შესამჩნევად მეტია, ვიდრე სხვა პლასტებში. მაგალითად: ურწყავად აღვისა მორჩი ითხეო (53), სწავლა აოფლისა ზნებართა (83), გაფიცე ჩემი მხეზა (86), ვარდი შენი არ ვაქემიო (89). მორიენა (ან: მოირიენა) დღემ ღამესა, მისად კურეტად ჩარი ვიდა (111). ახრალობს, იკვირობდა, საბოძგარიც მისკენ რბოდა (117). მხეტია ჰმოცდეს ორმოც-ოცდეს (427), მე მივეგებე მეწისა (486), ლაშქართა სიმრავლითა მთა და ბარი აღულდების (559). ამ მაგალითებს „უკეთესი“ (უფრო გამართული ან უფრო მისაღები) ვარიანტება ხელნაწერებში არა აქვთ. ისინი ავტორისეულია და რომელიმე გადაშწერის უცეცობის ან უნებლიე შეცდომის შედეგად ვერ მივიჩნევთ. ასეთი გამოთქმები კი, თითქოს, მოულოდნელია ქართველ საზოგადოებაში და ქართულ მწერლობაზე აღზრდილი კაცისაგან.

ამავე პლასტში უფრო ხშირად გვხვდება უცხოური (არაბულ-სპარსული) წარმოშობის სიტყვები. მაგალითად, **ღრიშოზ** (86) უნდა მოდიოდეს არაბული-ლრმ ან ყრმ-სიტყვებიდან, რომლებიც ყვირილს. ყაყანს ან თავხედობას, უხეშობას ნიშნავს. „ტირილსა შიაცა ხვისია“ (136), ჰვეს (—ავეს —ხვესი) — სურვილი, ცთუნება. „ნაძლევითა ავს ხხასა... ამოჰხიოდეს“ (427). ისპა, რაც მამაცს. მეომარს ნიშნავს, სხვა მწერლებთანაც გვხვდება. მაგრამ მოყვანილ ტაეებში გაუგებარია ნადირს ჭოგის მიზართ ამ სიტყვის სმარება. „ხატაელმან წიგნი მკადრა... ლაყბიანი, საუყადრო, დაწერილი ილაათითა“ (553). ლაყბი და ილათი (აქედან --- ილეითი) დიდა ხნის შემოსულია ქართულში, მაგრამ ამ სიტყვებს ჭერაც არ დაუყარავთ უცხოური უარი.

თუმცა ვერც **ნანუჩა** იცავს ყოველთვის ენის ნორმებს. ზოგჯერ ბუნებრივ გამოთქმას არღვევს ან სიტყვის ხელოვნურ ფორმას ქმნის. მაგალითად, აზრი ბუნდოვანია და ტაეები გაუმართავი 43, 235, 289, 345, 470, 2071 სტროფებში. მაგრამ ასეთი რამ მეორე პლასტში ისე ხშირად მაინც არ გვხვდება, როგორც მესამე პლასტის ჩანართებშია.

მოვიყვანთ ზოგიერთ ძველად გასაგებ ან გაუმართავ ადგალს ნაწილსაველა სტროფებიდან. მაგალითად, იგი თინათინის შესახებ ამბობს: რუსტეყანს „ესვა ქალ მნათობი, თვალთა თუთია დენისა, შემხედთა სულის წამლები. ვერ მხედთა ამაგზენისა“ (ვარანტი: ამაზრხენისა. 43).

ნანუჩა ავთანდილს ათქმევინებს თინათინის მიმართ: „ჰე, მოგშორდა, ჩემო მზეო, მომხედეს შენი თუ შოვება, იყოს ჩემთა ჳირთა ნაცვლად ნეტარ მე და იშოვება“ (286).

მკვლევარი გ. კარტოზია ბოლო სიტყვაში იშო-ს სხარულს გამომხატველ შორისდებულად თელის და საჭიროდ მიაჩნია, რომ ის ტარეთი გამოაყოს ვება-სავან, როგორც შინაარსით საპირისპირო შორისდებულსაგან, ამ ტაეპების აზრს კი ასე განმარტავს: „თუ შენ ვიშოვი, ჩემთა ჳირთა ნაცვლი რქნება ნეტავი, ვებას (= ვაების) ნაცვლი კი — იშო“. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარმა რედაქციამ გაიზიარა ეს გაგება და „იშო-ვებას“ ტირეთი დაწერა-ლობა მიიღო<sup>24</sup>: (ხელნაწერებში იგი ერთ სიტყვად იკითხება: იშოვება, იშოვება ან ისშოვება). ამ რედაქტირებით ტაეპების აზრი კი ლოგიკური გახდა, მაგრამ მათ სიტყვათა შეწყობასა და სტილს პოეტური მაინც ვერ ეთქმის.

ძნელად ასახსნელი გამოთქმაა 289-ე სტროფშიც, სადაც ტარიელის მთარახით „შემწიფებული“ ხატეღი მონადირენი ამბობენ ვითომ:

ჩვენ მისითა მიზეზითა აჲ ვართ, ლომო, შექირვებით,  
ცაცა მისად არა ჳკვირან, მიედლოდა თავის ნებით,  
შესაპყრობლად ხელი ეჲკადრეთ...

აჲ ცა შეიძლება გავიგოთ როგორც ღმერთის სინონიმი. შდრ. რუსთველის: „ცამცა მრისხავს“ (531), „ცა, წყალობისა მთოველი“ (857) და სხვ. მაგრამ წინადადების აზრი რა არის? — ცაც მის გამო არა ჳკვირს, ე. ი. ღმერთსაც მისი არაფერი უკვირს. თუ: იმ მოყმეს (ჩვენ კი არა) თვით ცაც (ღმერთიც) არაფრად მიაჩნია?

ბუნდოვანი ადგილები და გაუმართავი გამოთქმები სხვა სტროფებშიც გვხვდება, მაგრამ საერთო შთაბეჭდილებით, ნანუჩა უყეთესი ლექსის მკეთებელია, ვიდრე მესამე პლასტის უცნობი ავტორი.

Г. Х. АРАБУЛИ

## НАНУЧА И ИНТЕРПОЛЯЦИИ ПОЭМЫ Ш. РУСТАВЕЛИ «ВИТЯЗЬ В БАРСОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

В статье выясняется, какие из многочисленных интерполяций поэмы Руставели принадлежат Нануче (Манучару) Цицишвили, жившему в первой половине XVII века.

В рукописи С<sup>2</sup> (Н-757) к подавляющему большинству вставок и дополнений приписаны начальные буквы имени Нануча (ბანა, ნანაპი и др.), что вводит в заблуждение некоторых исследователей. Надо полагать, что эти приписки сделаны во время подготовительных работ первого издания «Витязя в барсовой шкуре» (1712 г.). В рукописи приписками помечены не только интерполяции Нанучи, но и все те строфы, которые редакторами считались позднейшими вставками.

Нануче принадлежит только второй пласт (по классификации проф. С. С. Цицишвили) вставок (70 строф) и первое завешание Абтадила (16 строф), наличием которых рукописи редакции В отличаются от рукописей редакций А и D.

<sup>24</sup> „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 4, გვ. 209.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზდიუმთან არსებული შ. რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ

ჯეფრი კარ-ჰარისი

## მაქსიმე აღმსარებლის პიროვნების ფოლკლორიზაცია

ჩვენი წელთაღრიცხვის 662 წელს მეშვიდე საუკუნის უთვალსაჩინოესმა ბიზანტიელმა თეოლოგმა მაქსიმე აღმსარებელმა თავისი ინტენსიური მოღვაწეობა და წინააღმდეგობებით აღსავსე<sup>1</sup> ხანგრძლივი ცხოვრება იმით დაასრულა, რომ საბოლოოდ იგი კონსტანტინეპოლში დააპატიმრეს და მწვალებლად გამოაცხადეს. ენის ამოგლეჯისა და მარჯვენის მოკვეთის შემდეგ იგი ფეხშიშველი მოატარეს ქალაქის თორმეტ უბანში და ბოლოს ლაზეთში გადაასახლეს, სადაც მან იმავე წლის ივნისის დამდეგს ჩაადწია. ამ დროისათვის ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, მაქსიმესა და სხვა ბიზანტიელ თეოლოგთა მსგავსად, დიოფიზიტური ორიენტაცია აირჩია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაქსიმეს აქ ცივად შეხედნენ. მოხუცი და დაუძლურებული მაქსიმე ხის ტოტებისაგან შეკრული საკაცით მიიყვანეს მთაზე მღებარე ციხეში<sup>2</sup>.

ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი იმდროინდელი წყარო — ეს არის წერილი, რომელიც ბერძნულად დაწერა მაქსიმეს ერთ-ერთმა მიმდევარმა ანასტასი აპოკრიზიარმა<sup>3</sup>. იგი მაქსიმეს თან გაჰყვა ლაზეთში, მაგრამ ჩასვლისთანავე ისინი დასცილდნენ ერთმანეთს. ეს წერილი უნდა დაწერილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ანასტასი მოაგროვებდა ცნობებს თავისი მოძღვრის სიკვდილის შესახებ. აღნიშნული წერილიდან ვიგებთ, რომ ამ ციხეში მაქსიმეს მცირე ხანი დაუყვია. ლაზეთში დიდი ხნის ჩასული არც იყო, რომ იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილის დღე და, მართლაც, დათქმულ დღესვე — 662 წლის 13 აგვისტოს — აღესრულა. ანასტასის თქმით, მაქსიმე უენოდაც კარგად ატეხებდა ქვეშაირების ქადაგებას<sup>4</sup>. მაქსიმეს დაკრძალვის შემდეგ მის საფლავს კარგა ხნის განმავლობაში ლამამობით სამი სასწაულებრივი ლამპარი ანათებდა. ანასტასი იმასაც აღნიშნავს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იგი გაესაუბრა ამ ციხის მახლობლად მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთ, მათ დაიფიცეს, რომ მოწმენი იყვნენ მაქსიმეს სასწაულთმოქმედებისა<sup>5</sup>. მართალია, ანასტასი ვალდებული იყო, კიდევ მოეთხორო ამ წმინდა კაცის სიკვდილთან დაკავშირებულ სასწაულთა შესახებ, მაგრამ ჩვენთვის თვით ეს ფაქტიც მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმეს სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგაც ადგილობრივი მცხოვრებლები კვლავ ამ სასწაულებზე ლაპარაკობდნენ. სულ მცირე დროც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მაქსიმე ლეგენდარულ გმირად ქცეულიყო: ადვილი შესაძლებელია, იგი ხსოვებოდათ როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ადამიანი, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავის მრწამსს და რომელიც შეიძლებოდა ეწამებინათ, მაგრამ ვერ გაეჩუმებინათ, ვერც დაეოკებინათ და ვერც მოეკლათ — მან (უენოდ, უტყვად) იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და თავისითვე მოკვდა.

როცა დროის ასეთ დიდ პერიოდებთან გვაქვს საქმე, ძნელია ზუსტ თა-

რიდებზე ლაპარაკი, მაგრამ გვერდს მაინც ვერ აუღვლით ერთ მეტად საგულის-ხმო ისტორიულ დამთხვევას, რომელმაც შეიძლება ერთგვარად ახსნას ის მოვლენა, რომელზედაც გვიხდა ვიწმაცლოთ მაქსიმეს პიროვნების ფოლკლორიზაციასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი ცნობილი ქართული გამოკვლევის მიხედვით, მეშვიდე საუკუნემდე ძველი ქართული წარმართული კალენდარი 14 აგვისტოდან იწყებოდა. ეს იმას გვაუბრუნებინებს, რომ მაქსიმე უნდა გარდაცვლილიყო ძველი ქართული წარმართული წლის ბოლო დღეს. ი. ჭავჭავაძის „ქართველი ერის ისტორიის“ I ტომში მოყვანილი აქვს იმავე თარიღთან დაკავშირებული წარმართული დღესასწაულები: „სოფ. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიყიდან, თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავს“<sup>7</sup>. ამ დღესასწაულის ერთ-ერთი ელემენტი ისაა, რომ თეთრი გიორგის ერთ-ერთი მონათავანი დაეცემა ეკლესიის კარების წინ. ი. ჭავჭავაძის ფიქრობს, რომ ეს მონა შეწირულ მსხვერპლს უნდა წარმოადგენდეს. „დასასრულ, როგორც სტრაბონის დროს მთვარის ტაძრად მოსული მლოცავები მსხვერპლად შეწირულ მონას ფეხს დაადგამდნენ ხოლმე, რომ ამზიგად ცოდვებისაგან განწმენდილიყვნენ, ამნაირადვე ეხლაც თეთრი გიორგის საყდარში შემავალმა ხალხმა კარებს წინ დაცემულ მონას ზედ უნდა გადააბიჯოს ხოლმე და ფეხი დაადგას“<sup>8</sup>. ი. ჭავჭავაძის აქვს სხვა მაგალითებიც დასაყრდენ საქართველოდან და ცხადია, რომ ძველად, იმ დროს ყოფილა წლის ბოლოსთან დაკავშირებული ამგვარი რიტუალები, რომლებსაც ვხვდებით ზეერი ხალხის წეს-ჩვეულებებში, ე. ი. საზოგადოების განწმენდა ძველი წელიწადის წარმომადგენლის მსხვერპლად შეწირვით. თუ ეს ასეა, მაშინ მაქსიმეს სიკვდილი შეიძლება ბუნებრივად დაუკავშირდეს კოსმოსურ მოვლენას.

ბერძნულ წყაროებში მოხსენიებული მთის ციხე-სიმაგრის აღგოშნულობა ამ საუკუნის დამდეგს მეცნიერების ყურადღების საგანს წარმოადგენდა როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. კ. კეკელიძემ<sup>9</sup> პირველმა შეკრიბა და გამოაქვეყნა ბერძნული და ქართული წყაროების ყველა სათანადო ნაწყვეტი. მის კვალს მიჰყვება მ. ბრილიანტოვმა<sup>10</sup>, რომელმაც ეს მასალა კიდევ უფრო განავრცო.

ამ მეცნიერთა დასკვნით, ბერძნულ წყაროში მოხსენიებული აღგოშნულობა ამ საუკუნის დასაწყისში სავარაუდოდ მდებარე მურის ციხეს. მას ჩაუდის ცხენისწყალი, რომელიც ლეჩხუმში სწორედ მურის ხიდან შემოდის. მის მარცხენა ნაპირზე, ვაკეზე, შემორჩენილია ნაეკლესიარი, რომელიც მაქსიმეს სახელზე აუვიათ მისსავე საფლავზე. უფრო მოშორებით, იმავე მხარეს, დამა ცაგერის გადმოღმა, რამდენიმე პატარა სოფელია, რომლებიც სადებვიროში (სოფ. დეხვირის საზოგადოებაში) ერთიანდება. კ. კეკელიძემ პირველმა გამოაქვეყნა თავისი შეხედულების დასამტკიცებლად ლეგენდა ერთ დებვირელზე, რომელსაც თითქოს წმინდა მაქსიმე მოუკლავს<sup>12</sup>.

ლეჩხუმში დღემდე შემონახულია ხსოვნა წმ. მაქსიმეს ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ<sup>13</sup>. ლეჩხუმელები იცნობენ მაქსიმეს ცხოვრების ამბავს და შეუძლიათ კიდევ მისი უკანასკნელი განსასჯენებელი აღგოშნის ჩვენება. რწელია იმის თქმა, რამდენად შეეფერება ლეჩხუმელთა მონაცოლი სინამდვილეს, მაგრამ ეკლესიის ნანგრევებს შორის ყურადღებას იქცევს ერთი ნიში,

სადაც წმ. მაქსიმეს სახელზე სწირავენ ხურდა ფულს, სანთლებს, კვერებს. ყოველივე ეს ცოცხალი მოწმეა ცამეტი საუკუნის წინათ გარდაცვლილი წმინდანის ხსოვნისა. ადგილობრივ ინფორმატორთა ცნობით, ერთი დეხვირელის ოჯახის ქალები, იმის გამო, რომ მათი ოჯახის ერთ-ერთ წინაპარაგანს წმ. მაქსიმე მოუკლავს, დღემდე ყოველწლიურად დადიან მაქსიმეს საპლოცველოში მათი საუკუნო დანაშაულის გამოსასყიდად.

საოცარია ამ კაცის ხსოვნის სიციხველე, რაც ამ ხნის მანძილზე გადაეცემა თაობიდან თაობას. დამაფიქრებელია ისიც, რომ ჩვენამდე მან მოაღწია როგორც მოკლულმა — თუმცა სინამდვილეში იგი თავისი სიკვდილით მოკვდა — და იმთავითვე სწორედ ამიტომ მიიქცია კიდევ ყურადღება.

ამ პრობლემების გადაჭრა სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, ხელთ რომ არ გვქონოდა მ. ჩიქოვანის მიერ მოპოვებული ფოლკლორული მასალა მაქსიმეს შესახებ, ისევე როგორც მის მიერვე აღწერილი, აწ უკვე გადავარდნილი რიტუალი „მურობა“, რომლისთვისაც აქამდე სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ<sup>14</sup>.

მაქსიმესთან დაკავშირებული ლეგენდები და რიტუალები შეიცავს მრავალ საინტერესო მოტივსა და ელემენტს, რომელთა ახსნა და ინტერპრეტაცია საგანგებო კვლევას მოითხოვს. რამდენადაც წინამდებარე წერილის მიზანია აჩვენოს და შეძლებისდაგვარად ახსნას ისტორიული მაქსიმე აღმსარებლის ტრანსფორმაცია ლეგენდარულ წმინდა მაქსიმედ, ჩვენ ამ უბე მასალას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ ზოგად ხაზებში განვიხილავთ. კერძოდ, ჩვენ აქ არ შევეხებით ცაცხვისა და მაქსიმეს ურთიერთდამოკიდებულებას, ანდა მაქსიმეს საადრო ღრუბლად ქცევის მიზეზსა თუ მნიშვნელობას, რაც უკავშირდება ამ რიტუალში მის მოვლინებას წვიმის ღვთაებად<sup>15</sup>, და ა. შ. მაქსიმეს ვინაობის გასაღებს თვით ეს ლეგენდა გვაწვდის: თუმცა ამ რიტუალს შემოუნახავს ზოგიერთი თავდაპირველი სტრუქტურული ნიშან-თვისება, მაგრამ, იმის გამო, რომ ეს რიტუალი თანდათანობით დაეწეებას მიეცა და ახლებურად იქნა გააზრებული, იგი ჩამოყალიბდა როგორც ტაროპის რიტუალი.

აქ თანამიმდევრულად წარმოვადგენთ მხოლოდ ნაწილებს<sup>16</sup> ამ ლეგენდიდან, „მურობის“ რიტუალი კი ცალკეა შესასწავლი.

ა) მაქსიმე: „წმინდა მაქსიმე (ვინ იყო და საიდან იყო, არავინ იცის) დადიოდა სოფლა-სოფლა“ (I, 1—2); „მისი ერთ ადგილზე გაჩერება არ იქნებოდა“ (VIII, 1—2); „წმინდა კაცო ყოფილა (V, 1); კეთილი კაცი, ღვთისმორწმუნე, და კაცთმოყვარე“ (X, 4—5); „მოხვდა დეხვირში... მარამობის თვე იყო, კალოობა, ხალხი პურს ლეწავდა“, (ალ. 3—4, შდრ. VIII, 5—6); „მაქსიმე ცაცხვის ღრუში ცხოვრობდა“ (IX, 1, შდრ. VI, 1).

ბ) ჭ ა ბ უ კ ი ა ნ ი (ქ ა რ ე მ ვ ე ი ლ ი): „ავი (მავნებელი, უკეთური, უსამართლო) კაცი ცხოვრობდა დეხვირში“ (I, 3; III, 1—2; V, 1—2; VII, 11; X, 2—3); „ორნაირი გვარი ჰქონდა“ (II, 5—6, შდრ. VII, 7—8); „ჩვეულება თუ ჰქონდა, რომ საქონელს სხვის ყანაში შედენიდა და აკმევდა, უქმესაც ტეხდა“ (VIII, 4—5).

გ) მაქსიმე უპირისპირდება ბოროტს: „მაქსიმე (უხილავად) ხარებს გადმორეკდა“ (I, 5, 11, შდრ. X, 5—7, ალ. 8—9, 13); „მავნებლობას რო კაცი იზამდა, მაქსიმე ხეობდა: უქმის ქნაც და კინაზულის წახდენაც სწყინდა“ (VIII, 2—3).



დ) შე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ა: „ჭაბუკიანი თანახმა არ იყო და თავისას აგრძელებდა“ (II, 11—12); „მტრობაც შენიშნა“ (VIII, 10); „მაქსიმე... კიდევ სხვა სასჯელს აყენებდა იმ ავ კაცს“ (I, 6—7); „როცა ის (ჭაბუკიანი) კალოს ჩაიდგამდა, მაქსიმე ნისლად იქცეოდა და პურს უტევარავდა“ (I, 7—8).

ე) ჭ ა ბ უ კ ი ა ნ ი კ ლ ა ვ ს მ ა ქ ს ი მ ე ს: „ჭაბუკიანმა ვერავინ დინახა და ნისლს ესროლა თოფი“ (I, 13—14); „გადმოვარდა კი კაცი“ (IV, 2—3).


ვ) ჭ ა ბ უ კ ი ა ნ ი ც დ ი ლ ო ბ ს დ ა მ ა რ ხ ო ს გ ე ა მ ი: „მეინდომა მიში დამოღვა. დაფლა ისეთ ადგილას, რომ არავის მიგნებდა არ შეეძლო, მაგრამ არ გაჩერდა. შემდეგ მეორე ადგილას გადაასვენა... ყოველთვის ზეით ანოდოდა მისი გვამი“, (I, 15—18); „ასე ეწაზა მკვლელი!“ (X, 12). (ვარიანტებიდან ჩანს ათიოდე სასაფლაო ადგილი, სახელდობრ: ცაცხვის ხეებთან, ცხეთის და ჩხუტელის ეკლესიასთან. მოის წვერებზე მდებარე და ა. შ.).

ზ) მ ა ქ ს ი მ ე ა რ ი გ ე ბ ს ხ ა ლ ხ ს, რ ო გ ო რ მ ო ი ქ ც ე ს: „ჩვენება ნახა“ (VIII, 15); „გამოუტყდა მეზობლებს (ლდეღს), რაც დაემართა“ (აღ. 33, 1, 22—23); „წმინდა მაქსიმე გამეცხადა და უთხრა: დამაქარით მარხილზე, დოუბით ურა, გაუხედნელი (დაუწმენდელი, I, 20) ხარები, და სადაც ესენი მივიდენ და გაჩერდენ, იქ დამასაფლავეთო“ (II, 33—35); „იქვე დაკალით შექამონო“ (I, 25—27).

თ) ხ ა ლ ხ ი ა ს რ უ ლ ე ბ ს მ ა ქ ს ი მ ე ს ს უ რ ვ ი ლ ს: „მართლაც, ასე მოიქცენ... ხალხი დაქაყოფილდა და წავიდენ“ (I, 27—29); „ხალხმა შექამა ხორცი“ (II, 40).

ხალხური წარმოდგენის მიხედვით, მაქსიმე აშკარად უცხოელი, სხვა სამყაროდან მოსული, ღვთის მოვლენილი კაცია. იგი მუდმივ მოძრაობაშია და მასთანაა დაკავშირებული წესრიგი და ტრადიციული სამართალი. მაქსიმე სჯის მამაპაპურ წეს-ჩვეულებათა დამრღვევთ და ღრმად განიცდის, როცა პური ნადგურდება. ქარემვილი-ჭაბუკიანი მავნე არსებება — რენეგატია. იგი მარცვლეულს ანადგურებს (ხარებს უშვებს ყანაში მის შესაჭმელად ანდა ლეწავს) და წინაპართა ადამ-წესებს უფულებელყოფს. მაქსიმე პურის მხარეზეა, როცა გლეხს ებრძვის: იგი ხარებს მიერეკება პურის ყანიდან და წვიმას მოუფლენს, რათა გლეხს ლეწვა შეაწყვეტინოს. ქარემვილი კლავს მაქსიმეს, ე. ი. ისევე ექტევა მას, როგორც პურს მოექცა<sup>17</sup>, ბოლოს კი მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად მაქსიმე მოითხოვს (ორი) ხარის დაკვლას.

ურთიერთობათა სტრუქტურა ასეთია:



ამ სქემის პირველ სვეტში მაქსიმე გათანაბრებულია პურთან. მაქსიმე, ჩვენი ფიქრით, არის თვით „მარცვლეულის სული“ და არა „მარცვლეულის სულის წარმომადგენელი“, როგორც ფიქრობს ფრეიზერი მაქსიმეს მსგავს მითოურ პერსონაჟებზე<sup>18</sup>. მიწათმოქმედთა საზოგადოებაში მარცვლეულის სული თავს კი არ იკლავს. არამედ იგი აუცილებლად სხვამ უნდა მოკლას. მარცვლეულის სულის მკვლელად კი უნდა ვიგულისხმოთ მისი წარმომადგენელი, ანდა მარცვლეულის სულის ხელახლა დაბადებისათვის საჭირო მსხვერპლი, რომელიც ორი ასპექტით არის აქ წარმოდგენილი — ჭაბუკიანისა და ხარების

ასპექტით. ჰაბუკიანს ხარები ჰყავს, და მათი ჰმევეა თუ გამოყენება ჰურის ლე-  
წვანი („მოკვლანი“) -- ეს იგივეა, რაც ჰაბუკიანის მიერ მაქსიმეს მოკვლა  
(ანდა „ლწწვა“), ოღონდ სხვა სიბრტყეზე.

ჩვენი სტემის მესამე სვეტში მაქსიმე გაცოლებულია წვიმასა და საზოგა-  
დოებასთან. ლეგენდა აშკარად გვაუწყებს, რომ მაქსიმე იქცევა ნისლად ან  
სააუღრო ღრბლად, მაგრამ მისი კავშირი საზოგადოებასთან ნაკლებ გამოკვე-  
თილია. მაქსიმე მოძღვრავს ხალხს, თუ როგორ უნდა დაამყაროს მშვიდობია-  
ნობა. რასაც ხალხი აღასრულებს კიდევ მაქსიმეს სახელით. მიუხედავად ამისა,  
ზინანდილეში საზოგადოება, ჩანს, უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გლებ  
ქარემშვილთან: მისი, როგორც გამანადგურებლის. ვინაობა—ნის ან ბო-  
ბლის ლეწვა და ჰამა, წინააართა კანონების უგულებელყოფა („უქმის ტეხა“)   
ნაკლებად განასხვავებს მას საზოგადოების სხვა წევრთაგან მიწათმოქმედთა  
საზოგადოებაში. საგულისხმოა, რომ მაქსიმე წვიმად მოველონება მხოლოდ  
ქარემშვილის კალოს. ეს იმიტომ ხომ არ ხდება, რომ მას სხვა სახელიც ჰქვია—  
ჰაბუკიანი? განა არ შეიძლება დაუფშვათ, რომ ქარემშვილი რაღაც განსაკუთ-  
რებული ნიჭუნის გამო მაინც გამოირჩევა საზოგადოების დანარჩენი წევრე-  
ბისგან და შემკულია „ჰაბუკის“ ეპითეტით, რომელიც მოიცავს ახალგაზრო-  
ბის, სიმამაცისა და თვითნებობის ცნებას? თუნდაც ვერ მოხერხდეს ჰაბუკისა  
და ხარის უშუალო დაკავშირება, ჰართული ეთნოგრაფიული მასალა იძლევა  
მათი დაკავშირების საშუალებას<sup>19</sup>. ამგვარად, „ჰაბუკი“ იქცევა „განტეგების  
ვაცად“, რომელიც თავის თავზე იღებს მთელი საზოგადოების ცოდვებს და  
თავისი განდევნილობისა და მსხვერპლად ქცევის მეოხებით გამოისყიდის სა-  
ერთო დანაშაულს. ამ რიტუალის შესრულებით საზოგადოება თავს აღწევს  
„ჰაბუკში“ განსახიერებულ სიავეს და კვლავ აღორძინდება. ამის შემდეგ სა-  
ზოგადოებას უკვე შეუძლია მიიღოს მაქსიმეს სახით წარმოდგენილი წმინდა  
სიკეთე.

ეს რიტუალ-მიტოზი, ჩვენი ლეგენდის მიხედვით, ძალიან უახლოვდება  
მ. ელიადეს მიერ განხილულ „პირველი ნაყოფის“ რიტუალებს<sup>20</sup>. იგი მიუთი-  
თებს, რომ ახალი მოსავლის ჰამას თან სდევს გარკვეული საფრთხეც: არსე-  
ბიონს არ ჰირნახულის დაღვეის საშიშროება და, ამდენად, შურისძიების საფრ-  
თხეც ამ მოსავალში არსებული „ძალისაგან“. ჰირნახულის ჰარქვას უნდა მო-  
ჰყვეს განწმენდის რიტუალი (მაგ. განტეგების ვაცის მეშვეობით), მსხვერპლ-  
შეწირვით საზოგადოება ხელახლა უნდა აღორძინდეს და საწყისი დრო ისევ  
უკან უნდა მობრუნდეს. სისტემა საკმაოდ მარტივია: „პირველი ნაყოფის“ ჰა-  
მის შიში გულისხმობს მოსავლის მჰამელის, შურისძიების ობიექტის (წყლით  
გაუღენთა ან მკვლელობა, რაც გვხვდება როგორც ფრეიზერის მიერ დამოწმე-  
ბულ მოსავლის აღების ჩვეულებებში, ასევე ჩვენს ლეგენდაში), ამორჩევას და  
საზოგადოების განწმენდას მისი დანაშაულთაგან განდევნისა და მსხვერპლშე-  
წირვის საშუალებით. ხარისათვის ან „ჰაბუკისათვის“ „პირველი ნაყოფის“ და-  
ტოვების ანალოგიური რიტუალი იძებნება ჰართულ ეთნოგრაფიულ მასალა-  
შიც, რომლის მიხედვით ჰორწინების ღამეს საქმრომ რაიმე განსაცდელის თა-  
ვიდან ანაცილებლად ღვთაება „ჰაბუკს“ უნდა დაუთმოს საცოლე<sup>21</sup>. ჰაბუკი  
ცოდვას სჩადის, ცოდვას თავის თავზე იღებს და, ამრიგად, საზოგადოებას  
წმენდს დანაშაულისაგან; დედამიწა, ვითარცა საცოლე, ხარის ან ჰაბუკის სი-  
სხლს საჰიროებს მანამდე, ვიდრე განაყოფიერება არ მოხდება.

„პირველი ნაყოფის“ შექმნის შემდეგ სარები სოფლიდან უნდა განიდე-  
ნონ, ჩათა საზოგადოება განიწმინდოს. ეს მოტივი მხარს უჭერს ქ. ფრეიზერის  
კარგად დასაბუთებულ მსჯელობას „სიივის განდევნის“ თაობაზე<sup>22</sup>. მარხილი  
სიმბოლურად ყოველგვარი სიივის მატარებელია, ხარებს კი, თავის მხრივ, იგი  
საზოგადოების გარეთ გააქვთ. მოსალოდნელი იყო, რომ ამ მარხილით კვაბუი  
განიდევენობდა და მსხვერპლად იქნებოდა შეწირული მურის ხიდის მახლო-  
ბელ მინდორში, მაგრამ მაქსიმე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებას-  
თან (ე. ი. განმდევნელთან), ბოლოს როგორცაც თვითონ მიხვდება ამ მარ-  
ხილში. მაქსიმეს ორგვარი როლი აქვს დაცისრებული: ერთი მხრივ, პასიური,  
როცა იგი მოკლული მარცვლეულის სულს ასახიერებს, მეორე მხრივ კი —  
აქტიური, როცა იგი გველინება რიტუალის შემსრულებლად (ე. ი. სეკლე-  
ლად). მაქსიმე ამასაც არ სჯერდება და მსხვერპლის პოზიციას იკავებს. სწო-  
რედ ამ გაწვევებს უნდა გაუთანაბრებინა წმინდანი სარებთან თა კვაბუთან  
და, ამრიგად, მიიღოს უნდა დაცლილიყო თავისი შინაარსისაგან. გ. კ. ფრეი-  
ზერი აქ უთუოდ აწვობინებდა მაქსიმესთვის მარცვლეულის სულს წარმომა-  
დგენელი გლოდებისა, მაგრამ ჩვენი მიზნის არ იქნება ამის საშუალება. მწე-  
ლი არ არის იმის გაგება, თუ რატომ უნდა ახლდეს ხორბალი თავის წარმო-  
მადგენელსა თუ მსხვერპლს (ეს ჩვენს მითოსშიც ასეა და მოსავლის აღებასთან  
დაკავშირებულ ფრეიზერისეულ მასალებშიც); ეს იმიტომ ხდება, რომ გან-  
წმენდის აქტი მხოლოდ მკვლელის განდევნას კი არ გულისხმობს, არამედ ავ-  
რეთვე მოკლული შებნული (შაბილწული) ნაყოფის განდევნასაც (იხებდა  
იგი განტეების ვაცის მუცელში, ხარის ფიტულსა თუ ტიკინაში, თუ მარხილ-  
ში). ხორბალი და ხარი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ვად-  
რე ხარი (კვაბუი) არ მოკვლება, მარცვლეული (თუ მაქსიმეს სხეული) ვერ  
დაითესება (ან დაიმარხება). ქ. ფრეიზერი გვაძლევს იმის მაგალითებს, რომ  
ხორბალი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ მოკლული ხარიდან<sup>23</sup>. მაქსიმე  
დროებით კვაბუიანის (თუ ხარების) „შიგნითაა“ და ამ (ურჩხულებრივი) ხა-  
რების (მუცლიდან) მოკვლისას, მაქსიმეს შეუძლია ხელახლა დაიბადოს, ხორ-  
ბალს კი — ხელახლა აღმოცენდეს.

ბერძნული რიტუალი ბუფონია („ხარის მოკვლა“) ნათლად ადამტურებს  
ხორბლისა და ხარის ამგვარ ურთიერთობას. ყოველწლიურად იმ დროს, როცა  
ატიკაში ლეწვა თავდება, აკროპოლისის საკურთხეველზე მარცვლეულს  
დადებდნენ და ხარებს გარშემო შემოატარებდნენ. თუკი ხარი შესაწირავ მარ-  
ცვლეულს შეჭამდა, მას მოკლავდნენ, შეჭამდნენ, გამოშიგნული ხარის ფი-  
ტულს ისევ რითიმე დატენიდნენ, დადგამდნენ და გუთანში შეაბამდნენ; შემ-  
დეგ ასრულებდნენ რთულ რიტუალს ხარის მკვლელის „დასასჯელად“. ხოლო  
დასაჯლავ იარაღებს (ცულსა და დანას) ზღვაში ყრიდნენ<sup>24</sup>.

ეს რიტუალი ერთმანეთს უკავშირებს მოსავლის აღებასა და ხენას. ამ  
უკანასკნელს ვერ დაიწყებდნენ. სანამ ხარს არ დაკლავდნენ (და ვიდრე იგი  
არ აღდგებოდა). ძველი ქართული კალენდარი, როგორც გარკვეულია, თავ-  
დებადა მოსავლის აღებით და იწყებოდა ხორბლის თესვით აგვისტოში<sup>25</sup>. ას-  
ტორიული მაქსიმეს ლეჩხუმში ყოფნა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა: იგი  
ცხოვრობდა მოსავლის აღების დროს, მიიცვალა და დაიმარხა ხენა-თესვის  
დაწყების წინა დღეს, ხოლო მისი ფოლკლორული სახე, წმ. მაქსიმე, მოკვარ  
როლს ასრულებს წელიწადის დროთა ამავე ცვალებადობაში.

ხარის მკვლელის დანაშაულთან დაკავშირებული რთული და გაზვიადებული რიტუალი ატიკაში ავლენს საკრალურობასა და ღიდ მნიშვნელობას, რომელსაც ანიჭებენ ამ მოვლენას. ეს ერთ-ერთი ელემენტთაგანია იმ რიტუალისა, რომელიც თავისთავად კი არ სრულდება, არამედ ხალხზეა დამოკიდებული. მოსავალს ყოველწლიურად იღებენ, მარცვლეული თავისით მწიფდება და იღუპება (ამ რიტუალში ხარები თვითონ ჰამენ მარცვლეულს), მაგრამ ხარის მოვლა, რაც აუცილებელია ახალი მოსავლის მისაღებად, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ თვით ხალხზე. რომ ასსოვდეს ან წმინდა საჭმის ყოველწლიური მსხვერპლშეწირვის — აღსრულება.

ადამიანის გაუცნობიერებელი შიში — არ დაივიწყოს ზოგიერთი ძირითადი მითოსი — უმთავრესი ფაქტორია ამ რიტუალთა შესრულებისას. „პირველი ნაყოფის“ რიტუალში ადამიანს, შესაძლოა, ასსოვს ნაყოფის თავდაპირველი განადგურება. უკმელად ადამიანი ვერ იცოცხლებს, ჰამა კი (პურისა თუ ყოველწლიურად დასათესი სხვა მარცვლეულისა) იგივეა. რაც განადგურება. ჰამა არის სიკვდილი და დაზღვევა ბუნების უწყვეტობისა, სიკვდილისა, სიკვდილისა და ხელახალი აღმოცენების მუდმივი ციკლისა. ჰამა ჰაოსს წარმოშობს: მაჭიმეს „დათესვა“ შეუძლებელი ხდება. თუ მარცვლეული ბუნებრივად ცოცხლობს და თავისთავად, აუცდენელი სიკვდილით კვდება, თესლი დედაშიწას უნდა დაუბრუნდეს, რათა მიზღვევო წელს ისევ აღმოცენდეს. მაგრამ მარცვლეულს, რომელიც ერთხელ უკვე შეიჭამა, უკან აღარ მიიღებს მისი მშობელი მიწა: იგი აღარ აღმოცენდება.

ადამიანმა მაშინ შექმნა ჰაოსი, როცა პირველად გაბედა წლიური მოსავლის შექმნა. მაგრამ მან მალევე ისწავლა, ხელახლა როგორ უნდა შეექმნა განადგურებული მოსავალი. ეს ხელახალი შექმნა უნდა დამსგავსებოდა პირველ შექმნას: „შექმნა მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლად შეწირული არსებისაგან უნდა მომდინარეობდეს. საკვები მცენარეები მსხვერპლის სხეულიდან აღმოცენდება“<sup>26</sup>. თუ ბუნების თავდაპირველი უწყვეტი ციკლი ერთხელ მაინც შეწყდება, იგი შეიცვლება ახალი ციკლით, რომელიც ემყარება ყოველწლიური მსხვერპლშეწირვის „ხელოვნურ ბიძგს“, ანუ პირველჩადენილი მკვლელობის ყოველწლიურ იმიტაციას.

ეს ხელოვნურად შექმნილი უწყვეტობა თუ ცივილიზაციის (ე. ი. მიწათმოქმედების) ახალი წესრიგი დაფუძნებულია მკვლელობასა და ჰამაზე, ოღონდ იგი დამოკიდებულია ხალხის ხსოვნაზე ამ ციკლის მიმდინარეობის შესახებ. მ. ელიადე კელოგიურ კოდვად მიიჩნევს ხალხის მიერ ამ პროცესის დაიწყებას: „მთელი მათი რელიგიური ცხოვრება — ეს არის ხსოვნა, რომელსაც რიტუალები (პირველჩადენილი მკვლელობის იმიტაციით) ხელახლა აცოცხლებს და ვადამწყვეტ როლს ასრულებს. ის, რაც პირველად მოხდა, არასდროს არ უნდა იქნეს დავიწყებული. დაიწყებაა ნამდვილი კოდვა“<sup>27</sup>.

საინტერესო მაგალითი იმისა, რომ ადამიანს არ ძალუძს მითოსური მკვლელობის დაიწყება, არის კენისა და აბელის ამბავი. „და იქმნა აბელ მწყემსი ცხოვართა, ხოლო კან იყო მშრომელი ჭუეყანისა“ (შესაქმის წ. 4, 1). ეს არის ცნობილი დაპირისპირება ცხოველურისა და მარცვლეულისა. პირველი ბრძოლა ღვთის გულის მოგებას ისახავს მიზნად. ამ ბრძოლაში ცხოველური სული სძლევს მარცვლეულისას, ისევე როგორც ბუფონიის დროს ხარი

ქამს მარცვლეულს, და ჩვენს ლეგენდში ჰაბუკიანი კლავს მაქსიმეს. შემდეგ კაენი აბელს იწვევს ქალაქის გარეთ — მინდორში, რამაც მითოსი შეაქვს განწმენდის ელემენტით. „სწორედ ამ მინდორში, მოხნულ მიწაზე, რომელიც მოცემულ სიტუაციაში უნაყოფოა, კლავენ მწყემსს. და როგორც ვარაუდობენ. ეს მკვლელობა რიტუალური მოვლენაა. და არა იმპულსური, რაც შეიძლება ზურით ყოფილიყო გამოწვეული. ეს არის კოლექტიური რიტუალური მკვლელობა, რომლის მიზანი იყო მიწის განაყოფიერება მსხვერპლის სისხლით შორწყვის საშუალებით, ანუ, როგორც წერია: „...ქუყყანისაგან, რომელმან განიღო პირი თვისი შეწყყარებად სისხლსა ძმისა კელისაგან შენისა“ (იქვე, 4, 11)<sup>28</sup>.

მოსავლის აღებასთან დაკავშირებით ჯ. ფრეიზერის მსჯელობაში უამრავი შედარებითი მაგალითია მოხმობილი ზემოთქმულის დასადასტურებლად და ყველა მათგანის აქ მოყვანა საჭირო არ არის, მაგრამ საგულისხმოა ერთი ინგლისური რიტუალი, რომელიც „ცეცხლწაიკლებული ბართლე“ (Burning Bar-tle) სახელითაა ცნობილი. იგი მოგვაგონებს ჯ. ფრეიზერის მიერ აღწერილ მრავალ რიტუალს და სრულიად უპირისპირდება ჩვენს ლეგენდას<sup>29</sup>. 24 აგვისტოს, წმ. ბართლომეს დღეს, იორკშირის საგრაფოში სოფლად დატარებდნენ დიდ ტიკინას, შემდეგ კი სოფლის გარეთ გაიტანდნენ და დაწვავდნენ. რიტუალური სიმღერიდან ვიგებთ, რომ „ბართლე“ საღლაც კლდიან ქარაფებში დაჭრილა, მთის მდინარეში კისერი მოუტეხია და ბოლოს მდელოზე დამწვარა. სახელი „ბართლე“ უთუოდ წმ. ბართლომედან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა არავითარი კავშირი არა ჩანს ამ „ღვთაებასა“ და წმინდანს შორის, გარდა იმისა, რომ წარმართობის დროს ეს დღე ამ ღვთაებას ეძღვნებოდა, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ კი წმ. ბართლომეს დღედ გადაიქცა. წარმართულ ღვთაებას თავისუფლად შეიძლება გადაარქმეოდა სახელი მას შემდეგ, რაც უფრო მისაღები ქრისტიანი წმინდანი მოახერხებდა წარმართული კულტის ლეგალიზებას ახალი რელიგიის ფარგლებში.

ასეობოზს რამდენიმე თეორია ბართლეს ვინაობისა თუ რაობის შესახებ. ზოგიერთის მიხედვით, იგი იყო საქონლის ქურდი გოლიათი, რომელიც გლეხებმა მოკლეს; სხვათა მიხედვით, ეს იყო ტყის სული და უკავშირდებოდა მოსავალსა და ნაყოფიერებას. ბართლე ჩვენთვის ნაცნობი პერსონაჟია: იგი ხეებთან და მოსავალთანაა დაკავშირებული, მას საქონელი ჰყავს, იგი გლეხებმა მოკლეს, მდინარეში ჩააგდეს და მინდორში დაწვეს. იგი მსხვერპლია, ანდა ჩვენი ჰაბუკის მსგავსი პერსონაჟი. თუ დავუშვებდით მსგავსი რიტუალების არსებობას იორკშირსა და ლეჩესტერში სათანადო წმინდანების გამოჩენის დროს, ისმის კითხვა, რატომ და როგორ უნდა შეთავსებულ იყვნენ ბართლომე და „ჰაბუკი“, მაშინ როცა მაქსიმე დაუპირისპირდა ამ უკანასკნელს?

„პირველი ნაყოფის“ ხელახლა შექმნის ეს რიტუალი ორ მკვლელობაზეა დაფუძნებული: მარცვლეულის ჰამა-მოკვლასა და მკვლელის კოლექტიურ მოკვლაზე. ბუფონიის რიტუალში ორივე „მკვლელი“ მონაწილეობს, თუმცა ხაზი უფრო ხარის მკვლელს გაესმის. მოსავლის აღების წეს-ჩვეულებებში ხშირად იჩენს თავს პირველადი მკვლელობა — მარცვლეულის სულის მოკვლა. მაგრამ რიტუალთა უმეტესობა პურის „მკვლელის“ ამბავს ეხება. ბართლეს თავდაპირველი „მკვლელობა“, რომელსაც საქონლის მოტაცება შეენაცვლა, ისევე დავწყებულა. როგორც კაენისა და აბელის მითოსში, ღმერთმა აბელს წყალობის თვალთ გადამოხედა: კაენის (ანუ მარცვლეულის სულის) „მოკვლისაგან“ ეს

ნაშთი და რჩა ნხოლოდ. მაქსიმეს რიტუალ-მითოსი ყველა დანარჩენისაგან იმით განსხვავდება, რომ „პირველი ნაყოფის“ მკვლელობა გაცილებით ცხოვრულად შემორჩა ლეჩხუმელთა ხსოვნას, ვიდრე ჩვენ მიერ განხილული „მსხვერპლის მოკლა“. მხოლოდ ფაქიზი და დეტალური სტრუქტურული ანალიზი გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ თითქმის დავიწყებული „ჭაბუკის“ მკვლელობის რეკონსტრუქცია.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საერთოდ რიტუალებში მეორე მკვლელობას უფრო დიდი ყურადღება ეთმობა: მიზეზი პასუხისმგებლობა ეცისრება ხალხს, რომ არ დაივიწყოს ეს ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა. მარცვლეულის მკვლელობა. მეორე მხრივ, შეიძლებოდა დავიწყებულიყო — როგორც ეს ბუფონიის რიტუალშია: ეს დამოუკიდებლად შეიძლებოდა მომხდარიყო. მარცვლეულის მკვლელობის დავიწყება ცოდვად არ ითვლებოდა. ამ რიტუალის თვალსაზრისით, საოცარია, რომ მაქსიმე მაინც ახსოვთ, მით უმეტეს, თუ მას შეეხვდებით, როგორც მოკვდავ ლეთაებას, რომელიც ვერ გახდება ლეგენდის „გმირი“, ვინაიდან ერთადერთი, რაც შეუძლია ჩაადინოს, ესაა სიკვდილი — და ეს მისი სიკვდილი ბუნებრივია<sup>30</sup>. როგორც „მოკვდავი-ღმერთი“, იგი ვერც კი მიიღებს მონაწილეობას საზოგადოებასა და ხარ-ჭაბუკს შორის გამართული ბრძოლის სილექტურ კონფლიქტში.

ასეა, რომ მაქსიმეს რიტუალ-მითოსი არ „ჯდება“ იმავე პარადიგმაში, რაც ზემოაღნიშნულ ნიმუშებში გვქონდა. ამდენად, იძულებულნი ვართ წარმოვიდგინოთ კიდევ უფრო დიდი მითოური პარადიგმა, რომელიც ამ ორ მკვლელობას მოიცავს, თუმცაღა პრიორიტეტს იგი „პირველ მკვლელობას“ ანიჭებს. ორი შესაძლო ვითარებიდან ერთი უნდა არსებებულიყო ლეჩხუმში მაქსიმეს ჩასვლის დროისათვის: პირველი შესაძლებლობა ისაა, რომ ხალხის ცნობიერებას უნდა შემოენახა უძველესი დაპირისპირება არაყულტივირებულ (საკვების შეგროვება) და კულტივირებულ ბუნებას შორის (რაც ემყარება ჭაბუკის შეწირვის ხსოვნას). ისტორიული მაქსიმე სულ თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ამ კონფლიქტის მონაწილე — არაყულტივირებულ ბუნების მხარეზე: იგი წინასწარმეტყველურად მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით, რათაც უშუალოდ დაუპირისპირდა მიწათმოქმედთა მიერ მკვლელობის ახალ სისტემას. მითოსის კვანძი, რომელსაც ამგვარი კონფლიქტი წარმოქმნიდა, უნდა ყოფილიყო მიწათმოქმედთა მიერ პირველხადენილი მკვლელობა და ერთწლიანი მარცვლეულის პირველი ჭამა ანუ, სიმბოლურად, მაქსიმეს მოკვლა, მისი იძულებითი შეყვანა ბუნების ახალ ციკლში, რომელიც ჭაბუკის მკვლელობაზე დაფუძნებული.

ეს დასკვნა აპრიორული ხასიათისაა, მაგრამ საგულისხმო დამადასტურებელი ეთნოგრაფიული მასალაა ლეჩხუმურ აგრარულ სინამდვილეში, რომელიც „მახის კრეფის ჭაბუკობის“ სახელითაა ცნობილი<sup>31</sup>. აღსანიშნავია, რომ მახს ითვლება კულტურული ხორბლის ინიციალურ ანუ პირველად სახეობად, რომელსაც ველური მცენარის თვისებებით შემორჩენია (იგი მტვრევად-თავთაინიანია, და არ იმკება. მის მოსავალს კრეფენ)<sup>32</sup>. ამდენად, განსაკუთრებით საინტერესო ჩანს სწორედ მისი აღების დროს შესრულებული წესის დაკავშირება ჭაბუკთან, რაც, თავის მხრივ, იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ რიტუალს ფესვი შორეულ წარსულში აქვს გადგმული — იგი უნდა წარმოშობილიყო მოსავლის შემგროვებლობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლის ეპოქაში.

მეორე შესაძლებლობა გულისხმობს იმას, რომ ხალხს თითქმის უცვლელად დარჩეული ჰქონდა „პირველი მკვლელობა“ და მითოსურად მას აკმაყოფილებდა მიწათმოქმედთა სისტემა, მაგრამ მაქსიმე აღმსარებლის ისტორიულმა პიროვნებამ გამოიწვია ამ მითოსის განახლება.

ძველი გასარკვევია, რომელი ვითარებაა ამოსავალი — რაღაც კინისი ან დაუქმყოფილებლობა მიწათმოქმედთა მითოსურ სისტემაში თუ შავგვსი წინააღმდეგობის წარმოშობა ისტორიული მაქსიმეს არსებობის საფუძველზე. მაგრამ ნაწილი ვითარება ვერ დაარქვეს ჩვენს არგუმენტაციას: მაქსიმე, იქნება ის საზოგადოების ძველი მტრის მოკავშირე (საკვების შემგროვებელთა თვალთახედვა), თუ სრულიად ახალი მოვლენა, იგი თავიდანვე საზოგადოების ვარჯიშა და ამ სისტემისათვის საფრთხეს წარმოადგენს, და ყოველგვარ შერიგებას მიწათმოქმედთა საზოგადოებასთან (მაქსიმეს მოვლის შემთხვევაში) ახალ რიტუალ-მითოსში მთავარი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა.

ისტორიულად მაქსიმე „ქაბუკია“, მითოსში კი (ლეჩხუმელთათვის) — პირიქით. მაქსიმე მთელს კონსტანტინეპოლში ათრიეს, შეზღვევ კი მოიკვეთეს, ვითარცა განტევების ვაცი. იგი საკაცით მიიყვანეს თავის საბოლოო სამყოფელში, სადაც მან სული განუტევა იმავე დროს, როცა ქაბუკიც მარხილით უნდა განდევნილიყო და მსხვერპლად შეწირულიყო. ისტორიული მოვლენები მოთხოვს მაქსიმეს გათანაბრებას ქაბუკთან და ამას რიტუალური პრეცედენტები ნათლად უნდა ადასტურებდეს, მაგრამ ხალხმა იგი სხვანაირი თვალთახედვით დაინახა: ისტორიული მაქსიმე სხვა სამყაროს კაცი იყო, წმინდა და ნიადაგ მოძრავი — მიმერატორების, პაპებისა და პატრიარქების მტერიცა და მოყვარეც, რომელიც უენოდ ქადაგებდა და წინასწარმეტყველებდა: წამებული, მაგრამ მოუქვლადი.

აუცილებელი არ არის, რაიმე ანტიწარმართული ბრძოლა იგვარაუდოთ იმ დროისათვის ლეჩხუმში. ღინაიდან ასეთი დიდი „უცხოელის“ ამ ჩაყვით თემში ჩამოსვლამაც კი და, მით უმეტეს, მისმა მეტად სიმბოლურმა სიკვდილმა უფრო ძლიერად შეარყია წარმართული მსოფლმხედველობა. ვიდრე ამას მისიონერთა და ჭვაროსანთა მთელი არმიები ახერხებდნენ. მაქსიმე ამ შეგნებას ვერ შეიტანდა იმ ბრძოლა-მკვლელობის გარეშე, რომელიც ასე ცოცხლად შემოინახა ლეჩხუმურმა ზეპირსიტყვიერებამ.

საგულისხმოა, რომ ამ მკვლელობის ცხოველმა ხსოვნამ ხალხს დაავიწყა უნდა მნიშვნელოვანესი რამ, რომლის დავიწყებაც ცოდვად ითვლებოდა: თავდაპირველად ქაბუკის სიკვდილი ნიშნავდა სიცოცხლეს (ხელმეორედ დაბადებას) მარცვლელისათვის (ხოლო შემდეგ — მაქსიმესათვის), და ამგვარად, როცა მაქსიმეს მოკლა (და არა მისი აღდგომა) გახდა მთავარი. ქაბუკს უცვლელად ეცოცხლა. უდიდეს ცოდვას და შეუგნებელ (გაუცნობიერებელ) დანაშაულს. რაც ქაბუკის მკვლელობის დავიწყებაში მდგომარეობდა. აღიიღად შეგნაცვლა ახალი ცოდვა და დანაშაული, რომლებიც მაქსიმეს მკვლელობის ხსოვნას დაუკავშირდა. ეს არის ვადასვლა აუცილებელი მკვლელობის ყოველწლიური ხსოვნიდან ერთხელ მოკვლისა და მკვდრეთით აღდგომის ხსოვნაზე, რაც გაქრისტიანების ტოლფასია. „...ქრისტე აღდგა მკვდრეთით, არღარა მოკვდა. და სიკვდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“ (რომ. 8, 9; შტრ. გამოცხ. 1, 17—18). მაქსიმე ვიველდება წმინდა კაცად, რომელიც ხალხმა მოკლა და რომლის სიკვდილმა განწმინდა ეს ხალხი ცოდვებისაგან და მას მძის

კვლავ ხელი ააღებინა. დიდ ქრისტიან ღვთისმეტყველს მაცხოვრის მისია დაეკისრა.

ეს ჩვენ გვშეგლის „მურობის“ რიტუალში განვსაზღვროთ მაქსიმეს როლი, რასაც მსჯელობაში არ შეეხებიყარათ: ლეწვის დროს მაქსიმე ნისლიან ამიხდს უგზავნის სჯულს. ანათა გაახსენოს, თუ როგორ მოკლეს მათ იგი და ამრიგად, აიძულეს ხალხს, სააღსარებო რიტუალი გამართოს და თვითგვემით გამოისყიდოს თავისი ცოდვა მაქსიმეს წინაშე. ამგვარად, იგი ხელახლა აალორძინებს საზოგადოებას და კალობისას კარგ ამინდს უგზავნის, ზუსტად ისევე, როგორც თავის დროზე ქაბუჯი აკეთებდა ამას — განაახლებდა ბუნებას. საბოლოოდ მაქსიმე მსხვერპლის როლში გამოდის, ოღონდ სხვა პარადიგმით.

მაქსიმემ ძველ მითში დაიჭირა ის ერთადერთი შესაძლებელი ადგილი. რის სწავლაობას მისი ფიზიკური და ისტორიული არსებობა იძლეოდა: იგი ქაბუჯის ბუნებრივი ნეტოქე უნდა გამხდარიყო. ეს უკანასკნელი აუცილებლად ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, მამრული და სალი (უტანჯველი), სხვა რომ არა იყოს — იმავე თემის წევრი. მაქსიმე კი — ბიზანტიელ ქრისტიანთა განტევების ვაცი — ასეთი ვერ იქნებოდა ადგილობრივი საზოგადოებისათვის, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო წარმართობის ექო, მაგრამ მისმა ლეჩხუმში გამოჩენამ მანც გამოიწვია სარწმუნოებრივი გარდატეხა, რამაც იქამდე გასტანა, სანამ მაქსიმეს თვისებებმა არ სძლია ქაბუჯისას. ამ უპირატესობამ კი მიწათმოქმედთა ძველი მითოსი ახლებურად გააახრიაან და, ამგვარად, ახალი რელიგია უბტყავნულად იქნა შემოღებული. ერთგზის მოკლული უცხოელი ხდება მარადიული განტევების ვაცი და მხსნელი. როცა ადგილობრივ დრომოკმულ წარმართობას პირისპირ შეეჯახება სხვა (უფრო განვითარებული) ცივილიზაცია და მსოფლიო რელიგია, ძველი მითოლოგიური ჩარჩო ვედარ ითავსებს ამ უცხო სხეულს და მსხვერპლად იწირება, რათა აღმოცენდეს ახალი სამყარო, ახალი მითოსი, ახალი რელიგია.

### შენიშვნები

1. მაქსიმე აღმსარებლის მოღვაწეობის შესახებ იხ. კ. კეკელიძის მოკლე ცნობა, ვტოლები, III, თბილისი, 1955, გვ. 271.
2. ვრცელ მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების შესახებ, იხ. ქ. მ. უ. ჯ. უ. ლ. ი. ა. ნ. ი, ლეჩხუმი ფეოდალიზმის ხანაში, ქუთაისი, 1974, გვ. 36—45.
3. იხ. R. Devreese, La Lettre d'Anastase sur la Mort de S. Maxime, Anal. Boll., LXXIII, 1955, გვ. 5 და შმდ. ამ წერილის ნაწილობრივი თარგმანი გამოქვეყნებული აქვს ს. ყაუხჩიშვილს. გეორჯია, IV, თბილისი, 1941, გვ. 41—51.
4. იხ. R. Devreese, La Vie de S. Maxime le Confesseur et ses Recensions, Anal. Bell., XLVI, 1928, გვ. 40 და ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.
5. ს. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 50—51.
6. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5—8 საუკუნის ძეგლებში, საქართველოს მცზეულის მოამბე, VI (1929—1930) გვ. 373 და შმდ. და VII (1931—1932), გვ. 260 და შმდ. იხ. ავრთვე VI: გვ. 320, 326.
7. იხ. ყაუხჩიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 51.
8. იქვე, გვ. 52.
9. იხ. J. G. Frazer, The Golden Bough, Macmillan, 1970, Th. Gaster, Thespis, New York, 1961, გვ. 25 და შმდ.; M. Eliade, Patterns in Comparative Religion, New York, 1974, გვ. 321 და შმდ.



10. К. Кекелидзе. Сведения грузинских источников о препод. Максиме Исповеднике, Труды Киевской дух. Академии, 1912. гв. 1—77.

11. А. Бриллиантов. О месте кончины и погребения св. Максима Исповедника, „Хр. Восток“, VI. Вып. 1, 1922.

12. К. Кекелидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

13. 1979 წლის ზაფხულს ამ სტრუქტურებს ავტორმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ ხუშტში (ხელმძღვ. გ. ჭალაბაძე).

14. მიხეილ ჩიქოვანი, მაქსიმე აღმსარებელი VI—VIII სს. ქართულ ლეგენდებში: ბერძნული და ქართული ეთნოლოგიის საკითხები, თბილისი, 1971. გვ. 62—91.

15. მაქსიმეს დაკავშირება ხევეთან და შეიშასთან ერთი დასტურებაა მისი მცენარის სულად არსებობისა. ხეებისათვის იხ. Frazer-Gaster, The New Golden Bough, New York, 1959, გვ. 408 და შმდ. M. Eliade, დასახ. ნაშრომი, გვ. 265 და შმდ.; H. Frankfort, Kingship and the Gods, Chicago, 1948. გვ. 290—გვიჩვენებს კავშირს მცენარის სულსა და წყალს შორის. Frazer-Gaster-თან (მაგ. გვ. 475—478) საკმაოდ ძლიერია წყლის მოტივი მოსავლის აღების ჩვეულებებში. ი. სურგულაძის გამოუქვეყნებელ სტატიას ი. გვალვისა და დედამის საწინააღმდეგო რიტუალები საქართველოში, კარგად აქვს აღწერილი წმ. მაქსიმესის ერთ-ერთი სახე, რომელიც უკავშირდება ამინდის ღვთაებას.

16. ქვემოთ მოყვანილი ციკლები მ. ჩიქოვანის მიერ დაბეჭდილი ვარიანტების მიხედვითაა (მითითება ვარიანტი და სტრუქტურა). ხოლო „აღ.“ ვარიანტი აღებულია: მიხეილ აღაძე, ლეჩხუმური ზემორისტიყვიერება. თბ., 1951, გვ. 31—32.

17. ცხადია, რომ ხალხის შეგნებაში ლეწვა გაიგივებულია მარცვლული სულის მოკვლასთან (იხ. Frazer-Gaster, დასახ. ნაშრომი, გვ. 395 და „შეიშვნა“ გვ. 468). თუ მაქსიმე აქ პურთან არის დაკავშირებული. მისი სიკვდილი შეიძლება განვიხილოთ როგორც მარცვლული სულის მოკვლა. რაქა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიულ მასალაში მოიპოვება შემდეგი წეს-ჩვეულება: „პირველ კალონაზე ხარბის შეშვებაზე თოფს გაისროდა ოჯახის უფროსი“ იხ. ნ. ბრეგაძე, შემინდვრობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი რაქა-ლეჩხუმში, მაცნე, 1964, № 2, გვ. 129. ეს გვეჩვენება მარცვლული სულის მოკვლის გვიანდროინდელ ვარიანტად; ამითვე შეიძლება აიხსნას თოფის გაჩენა ჩვენს ლეგენდაში.

18. იხ. Frazer-Gaster, დასახ. ნაშრომი, გვ. 497 და შმდ.

19. იხ. მ. შაკალაძე, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის, მასალების საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XVI—XVII, თბილისი, 1972, გვ. 302; „როგორც მოტარნო მასალიდან ჩანს, ნაყოფიერების ღვთაება ქაბუკი ოჯახის მფარველი უნდა ყოფილიყო და როგორც მამაკაცური ბუნების მქონე ნაყოფიერების ღვთაებას თავის დროზე ხარის ატრიბუტიც უნდა ეტარებინა“.

20. M. Eliade, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

21. მ. შაკალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 302.

22. იხ. Frazer-Gaster, დასახ. ნაშრომი, გვ. 602 და შმდ.

23. ზოგიერთი მითარსტული ძეგლის მიხედვით, ხარის კუდი ბლოკდება სამთავთაიანი ღვთაება ერთ-ერთ ასეთ ევკლომის თვითაებას ასახიერებენ მითრას მიერ მოყვნიებული ქროლობიდან გამონადენ სისხლს: იხ. J. Frazer, დასახ. ნაშრომი, გვ. 614. ჩრდილო ამერიკის ერთ-ერთ ინდიელ ტომს მიაჩნდა, რომ „ღმინდი თვალპირველად აღმოცენდა სისხლის წვეთისაგან ანდა დედაპურის გვამიდან. Frazer-Gaster, დასახ. ნაშრომი, გვ. 486.

24. იხ. W. Robertson Smith, Religion of the Semites, Edinburgh, 1889, გვ. 286—291; Frazer-Gaster, დასახ. ნაშრომი, გვ. 523—524; J. E. Harrison, Prolegomena to the Study of Greek Religion, Cambridge, 1908, გვ. 111—112;

25. იხ. N. Bregha, Des Relations Existantes Entre le Calendrier Populaire Agricole et le Calendrier Païen Géorgien, Tradycja i Przemiana, Poznan, 1978, გვ. 147—156. ბევრ ახლო აღმოს. ლეწვის ახალი წლის ზეიმის უკანასკნელ დღეს ახნადენ, თესვადენ, ეპრობადენ ახალი მოსავლის უზრუნველსაყოფად. H. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 333.

26. W. C. Beane and W. G. Dety, eds., Myths, Rites, Symbols—A Mircea Eliade Reader, Harper and Row, 1975, გვ. 250.

27. იქვე, გვ. 255.

28. S. H. Hooker, Middle Eastern Mythology, Penguin, 1976, გვ. 124.

29. იხ. Christina Hole, British Folk Customs, Hutchinson and Co., 1976, გვ. 35.

30. იხ. Н. Frankfort, დასახ. ნაშრომი, გვ. 287—286.

31. ფ. გარდაფხაძე, ლეჩხუმური ხალხური დღეობები, გვ. 100, ი. ქავახიშვილის სახელობის ისტორიის... ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

32. ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 39.

## ДЖЕФФРИ КАРР-ХАРРИС

### ФОЛЬКЛОРИЗАЦИЯ ЛИЧНОСТИ МАКСИМА ИСПОВЕДНИКА

#### Резюме

Греческие исторические источники содержат описание обстоятельств, сопровождавших смерть знаменитого византийского теолога Максима Исповедника. Искалеченный пытками и изгнанный в Азику старик, несмотря на вырезанный язык, продолжал там свою проповедь. Он предсказал дату своей кончины и умер в назначенный день, 13 августа 662 г. в Лечхуми.

Люди, живущие в тех местах, до сих пор чтят память «святого Максима», показывают его могилу, а женщины из рода Чабукиани по-прежнему раз в год посещают ее в память о грехе, якобы совершенном их предком, убившем св. Максима. В начале XX в. жители еще соблюдали теперь уже забытый ритуал (приуроченный к периоду сбора урожая), имевший целью вымолить у святого прощение и обеспечить хорошую погоду на время молотбы.

Тщательный анализ устной легенды о битве между пришельцем-святым и местным крестьянином (престарелый божий человек — защитник зерна от молодого отступника-скотовода) приводит к убеждению, что Максиму (=зерно) погибает от руки (=съедается) Чабукиани (=волами), и для того, чтобы получить возможность похоронить (=предать земле, «посеять») убитого, необходимо изгнать из деревни чабуки (=волов), принести в жертву и съесть. Сопоставляя элементы обрядов, связанных со сбором урожая, в фольклоре разных народов, мы пытаемся доказать, что в определенную эпоху в Лечхуми существовал ритуал ежегодного принесения в жертву «чабуки». Соответствующий ритуалу местный миф тем отличается от рассмотренных в исследовании мифов других народов, что в нем акцентируется убийство святого крестьянином Чабукиани, а не убийство последнего.

Прибытие Максима Исповедника в Лечхуми и его смерть связаны с приходившимся на конец года ритуалом умерщвления «чабуки», игравшим важную роль в верованиях местных жителей. Максиму по своей природе был противопоставлен ритуалу и потому явился причиной мифологического (религиозного) кризиса. Новая мифология могла возникнуть лишь при условии «принесения в жертву» Максима: воспоминание об однократном убийстве Максима позволяло людям забыть не подлежащее забвению — ежегодное принесение в жертву чабуки. Таким образом, воспоминание о совершенном грехе — убийст-

вс человека, на самом деле, умершего естественной смертью, — сохраняется в Lechkhumi до сегодняшнего дня.

GEOFFREY CARR-HARRIS

## THE FOLKLORIZATION OF MAXIMUS THE CONFESSOR

### Résumé

In Greek sources we find the historical circumstances surrounding the death of the famous Byzantine theologian, Maximus the Confessor. He was an old, tortured holy man of world significance who was exiled to Lazica, where he prophesied (without a tongue) the day of his death (Aug. 13, 662 AD) and died accordingly in Lechkhumi.

Today, in this area of Georgia, the folk remember «St. Maximé» and point out his grave; the women of the Dchabukiani clan still make an annual visit to this grave to atone for the fact that their ancestor killed St. Maximé. At the turn of this century, the people still performed a now forgotten ritual during the harvest season entreating Maximé to forgive them and send them the necessary good weather for the threshing.

From a careful analysis of the oral legend about the battle between the foreign saint and the local farmer—the aged man of God who defends traditions and protects the grain against the youthful, renegade cattle-man—we argue that Maximé (or grain) is killed (or eaten) by Dchabukiani (or bulls), and then in order that the former be buried (or re-planted), the 'Dchabuki' figure (or bulls) must be driven outside of the village, sacrificed and eaten. We use comparable elements from harvest customs in the ancient world and Europe to support our hypothesis that there once existed yearly sacrifice of a 'Dchabuki' figure in Lechkhumi. The myth, however, connected with the ritual strikingly differs from comparable myths, since the emphasis is on Dchabukiani's murder of Maximé rather than on that which is generally primary—the murder of the Dchabuki.

Maximus the Confessor's historic arrival and death coincided with a year-end Dchabuki ritual which was central in importance to the religion of this agricultural people. Maximus, by his nature, represented opposition; he caused a mythological (religious) crisis. A new mythology could only be created by 'sacrificing' Maximus: remembering the one-time murder of Maximé allowed the people to forget that which had been sinful to forget—the yearly sacrificing of Dchabuki. Thus has the guilt-ridden memory of the murder of a man—who historically died his own death—remained so vivid to the present day in Lechkhumi.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## ლია კობახვილი

## ბერნარდოსელი კოლექციის XI ზღაპარი

„ბერნარდოსელი კოლექციის (XVII ს.) ზღაპრებში“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს XI ზღაპარი „ჩუმი ვაჟი“. პროფ. მ. ჩიქოვანი „მრავალთავში“ ასე შენიშნავს: „ფოტობირების გადაკითხვისთანავე გაირკვა, რომ თამარაშვილისეული ცნობა კრებულში 10 ზღაპრის არსებობის შესახებ შესწორებას მოითხოვდა. ათის მაგიერ 12 აღმოჩნდა, რამაც სიუჟეტებს რაოდენობა ორით გაზარდა, ჩვენ არ ვიცით, რომელი ტექსტი გამორჩა ბერნარდოს არქივის პირველ აღმოწერს, ბოლო ორი თუ შუანაწილის ტექსტები! ასეთი უნებლიეთი გამორჩენა დასაშვებია, რადგან ხალხურ მოთხრობებს, გარდა უკანასკნელისა, საკუთარი სათაური არ გააჩნიათ და დასაწყისი ფორმულით უნდა იქნან გამოყოფილი. არის ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება აქ შეცდომასთან არც გვეკონდეს საქმე. აი რა: მოსალოდნელია მ. თამარაშვილმა უკანასკნელი № 12 მოთხრობა „არაკი ქიშმარის კელმწიფის ქალისა“ თავისი სათაურის კვალობაზე მწიგნობრულად მიიჩნია და ხალხურ ნაწარმოებებს აღარ მიათვალა. თუ ეს ასეა, მაშინ რომელია ის მეორე ტექსტი, რომელიც აგრეთვე სათვალავში არ მიიღო?“<sup>1</sup>.

პროფ. მ. ჩიქოვანის მიერ წამოყენებულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გამოყოფს XII ზღაპარს („არაკი ქიშმარის კელმწიფის ქალისა“), ასევე განსაკუთრებული თავისებურებებით უნდა გამოვარჩიოთ XI ზღაპარი („ჩუმი ვაჟი“).

საქმე ის არის, რომ ფოლკლორისტიკაში აღნიშნულია რელიგიური და საწეს-ჩვეულებო ზღაპრების თავისებურებანი იმის მიხედვით, ასახავენ თუ არა ისინი სოციალურ ინსტიტუტებს. მაგალითად ვ. პროპი წერს: «Уже давно замечено, что сказка имеет какую-то связь с областью культов, с религией. Строго говоря, культ, религия также может быть назван институтом. Однако подобно тому, как строй манифестируется в институтах, институт религии манифестируется в известных культовых действиях: каждое такое действие уже не может быть названо институтом, и связь сказки с религией может быть выделена в особый вопрос, вытекающий из связи сказки с социальными институтами»<sup>2</sup>.

მეთერთმეტე ზღაპარი — „ჩუმი ვაჟი“ [გვ. 100—103] რთულსიუჟეტია. იგი განსაკუთრებულია თემატიკით. აქ მხოლოდ დასაწყისია სტერეო-

<sup>1</sup> მე-17 საუკუნეში: ჩაწერილი ქართული ზღაპრები, გამოსცა. გამოკვლევა და ვარიანტები დაურთო მიხეილ ჩიქოვანმა („მრავალთავი“. საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, 1, თბ., 1964. გვ. 119; (შემდგომ „მრავალთავში“ მოყვანილი ზღაპარი დამოკიდებულ იქნება ფრანგილენის თვით ტექსტში).

<sup>2</sup> В. Я. П р о п и, Исторические корни волшебной сказки, М., 1946, гл. 11.

ტიპული ზღაპრისა: „იყო ერთი...“, მთლიანად ამბავი კი შედგება რამდენიმე ეპიზოდისაგან, რომლებიც მოგვავაგონებენ წმინდანთა მოღვაწეობის რელიგიურ სიუჟეტებს.

1. ექსპოზიციაში ჩვენ ვეცნობით ხელმწიფის ერთადერთ ვაჟს, რომელიც „გაიზარდა ისეთი ჩუმი, რომ ვმას არავის ვასცემდის, არცა ლუინოსა დაღვედის. არცა ჯორცსა სჭამდის, არც ლხინი იამის. იარალი მოუტანიან — გარდაყრის, ცხენი მოგვარიან — არ შეჯდის“ [გვ. 100].

დასაწყისშივე შესაძლებელი ხდება ასეთი პარალელების მითითება რელიგიურ მოღვაწეთა ცხოვრებასთან: არსებობდა რელიგიური (ქრისტიანული და მაჰმადიანური) სექტები, რომლის მოღვაწენი ალუთქვამდნენ ღმერთს ღუმილს და მათ ქრისტიანებში ეწოდებოდათ „უსიტყვონი“. გარდა ამისა, თუნდაც ქართული ჰაგიოგრაფიიდან ცნობილია ასეთი შემთხვევა, როდესაც დიდი ნერსე ერისთავის ოჯახში ვაზრდილმა გრიგოლმა უარყო საერო ცხოვრება, ერისთავის შემკვიდრეობა და უბრალო ბერის ცხოვრება არჩია. ამქვეყნიური პატივისა და ქონების უარყოფელმა გრიგოლმა, სამღვდლო უმაღლესი ტიტული — ეპისკოპოსობაც კი არ ინდომა. საერთოდ კი „გრიგოლ ხახძელის ცხოვრებაში“ ნათქვამია: „...რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მწუთიანარ და ჭამადთა და გულის სათქუმელთა მოყუარე...“<sup>4</sup>. გრიგოლს „...ღუნოვ კულა სიყრმითგანვე არა ესუა და უმრავლესნი სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი ღმერთმან მხოლომან უწყისს“<sup>5</sup>. აქვეა ზენონის ამბავიც: რომელმან დათმო მშობლების მიერ დატოვებული დიდი ქონება, არ ინდომა ჭაბუკობა, (რაინდობა), მოიშორა საკურველი და ცხენი.

2. ჩუმ ვაჟს დაეხოცა დედ-მამა. ერთმა ურჯულო ხელმწიფემ იღროვა: „...ცმაწვილს მოვკლავ და საბატონო მე დამრჩება... მოვიდა, დაიჭირა საკელმწიფო... შეიტყო და გარდაეხვეწა ცმაწული ათინას“ (გვ. 100). აქ მან მხატვრობა შეისწავლა და დაუმეგობრდა ერთს მასავით მხატვარ ერისკაცს. ეს ეპიზოდი რამდენადმე მოგვავაგონებს პეტრე იბერის ბიოგრაფიულ დეტალებს. ისიც იძულებული გამხდარა ათინას გადახვეწილყო და თავი აეროდებინა პოლიტიკური ბრძოლისათვის. ქართველ მოღვაწეთა განსწავლულობა ათენის განთქმულ აკადემიაში ერთეული შემთხვევა არ ყოფილა. მხატვრობა, როგორც ხელოვნების დარგი, ერთ-ერთი მთავარი სასწავლო დისციპლინა იყო ათინაში.

3. ბერი და მისი მეგობარი ერისკაცი მოგზაურობენ. აქ საყურადღებოა რელიგიური ლეგენდა ღვთაებრივი სასწაულის შესახებ: ერთ ქვეყანაში ხელმწიფის ქორწილი იყო. ერთი ქალი „სამას იქმოდა“. ამ ქორწილში ბერი (ყოფილი ჩუმი ვაჟი) და მისი მეგობარი ერისკაციც არიან. მერიქიფემ შესთავაზა ღვინო ერისკაცს, რომელმაც დალია. „მოართო მეღვინემა ერისგანს ღვინო — დალივა, მიართო ბერსა და აღარ დალივა. მეღვინემა თავზედა დაასხა და წიხლი დააზილა. არაბულის ენით უთხრა: „ღ“თმა მოგცეს ამისი პასუხი“. ის მეღვინე კარში გავიდა: „მიეხვივნეს ძაღლები და გაგლიჯეს. თავი ერთმა შემოათრია, ტანი — შეორემ“ (გვ. 100).

<sup>3</sup> გორგიშვილი. შრომა და მოღვაწეობა ღირსადიდობისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა აღმშენებლისა და მის თანაჲსებთა მრავალთა მამთა ნეტართაჲ, „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 113.

ამგვარ სიუჟეტს ფოლკლორში არა ვხვდებით, მაგრამ საჭიროა ანალოგიების დაძებნა ბიბლიურ-სადღესასწაულო ლეგენდებში.

აქვე აღსანიშნავია ის, რომ „არაბულის ენით უთხრა: ღმთა მოგვეს აძისი პასუხი“ ამ ქალმა (მოსამავემ) უთარგმნა მეფე-დედოფალს და გახუცხა: „აჲ მე ამის რჯულზედა მოვიქცევი და თქვენ თქუენი იცით!“ ჯერ მოსამავე მოიქცა ქრისტიანად და მერე მეფე-დედოფალი. „ადგა დედოფალი და მეფე. მოიკადეს გუიორგუინი და თაყუანი სცეს და ქრისტიანად მოიქცეს მისი სახელმწიფოთა“ (გვ. 101).

ც. ლეველი პირებისა თუ მეფე-დედოფლის და მათთან მთელი სახელმწიფოს მოქცევა ქრისტიანად მრავლად გვხვდება ბიბლიურ სიუჟეტებში—წმინდათა ცხოვრებაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვევით არა ჩანს, მოცემულ ზღაპარში, თუ რომელი სარწმუნოების წარმომადგენლები „მოიქცნენ“ ქრისტიანად.

4. შემდეგი ეპიზოდია მხატვარი ბერისა და მისი ამხანაგის მოღვაწეობა ინდოეთში: „ინდოეთის კელმწიფის კაცი დაიარებოდა მხატურისთჳნი“ და ისინი მას გაუყენენ ინდოეთში.

ინდოეთის ხელმწიფის კაცმა ნახატი უჩვენა: „ვიცე ამისთანა სახლს დაუხატავს — მრავალს საქუნელს მისცემს“. იმათ უთხრეს: „ჩვენ უკეთესს დავხატავთ“. ხელმწიფემ დაუტოვა მთელი თავისი ქონება, მოლარეს უბრძანა: „რაც მოუნდეს, მიეციჲო“, — თვითონ კი სამი წლით სალაშქროდ გაემართა. „როცა მოვბრუნდები, ამუნებული დამახვედრეთო“.

მხატვრებმა ინდოთ მეფის ქონება გლახაკებს დაურიგეს: „არც სახლი აღუნეს, არც რა გაუკეთეს. ასე დაუხარჯეს საქონელი, ჯოგი და ცხვარი, აღარ შეარჩინეს რა“ (გვ. 101).

ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანები არაფრის მქონენი იყვნენ და მათი რელიგია ღარიბ-ღატაკთა სარწმუნოება იყო. რასაკვირველია, იმ დროს არც ქრისტიანობის განთქმული საკულტო ნაგებობანი იქნებოდა, თორემ მხატვრები რომელიმე ცნობილი ტაძრის ანალოგიურ შენობას ააშენებდნენ. ამ ეპიზოდში საერთოდ გამორიცხულია ასეთი აზრი და მხოლოდ სიზმრად შეიძლება ენახა ადამიანს ღვთაებრივი ტაძარი. ზღაპრული სიუჟეტების მიხედვით, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა მხატვრებს მეფის სურვილი რომ შეესრულებინათ.

5. ლაშქრობიდან დაბრუნებულ ხელმწიფეს ამუნებული არაფერი დახვდა, ქონება კი განიავებული იყო: „გაჯავრდა, ორიგენი საპურობილენი ჩააყრენინა“. ამ დროს აედ გაუხდა ის, ვისთვისაც უნდოდა მთელი თავისი ქონება — ერთადერთი და საყვარელი ძმისწული, ტახტის მემკვიდრე „სწორამდი უენო იღვა“. როდესაც ხელმწიფის ბრძანებით მხატვრები დასახოცად მიჰყავდათ, მოუბრუნდა ძმისწული და უთხრა: „მხატვრები ამოუშვითო და მოგახსენებთო, რაც საიჭიოს ვნახეო“ (გვ. 101).

რელიგიურ-მითოლოგიურ სიუჟეტებში ჩვეულებრივია უზენაესის უცარი ჩარევა მოკვდავთა საქმიანობაში, მაგრამ აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ბერი მოქმედებს ღვთის სახელით და მისი სახელის სადიდებლად. ზღაპრებშიც ხშირია, როდესაც ღმერთი უშუალოდ ერევა ზღაპრის გმირის ცხოვრებაში (შდრ. I და V ზღაპრები). თუმცა ეს მომენტი ჯადოსნურ სიუჟეტებში პერსონაჟის პირადი კეთილდღეობისათვის არის გააზრებული და არა სარწმუნოების გავრცელების მიზნით.

6. მძისწულმა ხელმწიფეს თხოვა: „ათს იმდენს მოგართომ, რაც დაგხარჯვიაო და რაც იქ ვნახე ნაშენები — მე მამყიდე!“ შემდეგ უამბო: „არის თქვენთვის ასეთი სამკუიდრო საყდარი აშენებული, მზთების მისმგავსებული არის. ოთხი წყარო დის და მრავალი უცხო და უცხო ხილი ყუავის და შროშანი და შეენიარნი ფრინველი ლამაზ ქმადა გალობენ, წამოსულა აღარ მამინდა, მავრამ ამ თურალოს მხატურებისა ცოდვამა მამაბრუნა. თუ მამყიდი, ახლავ წავალ, თუ არა და რა უქნა“ (გვ. 101—102). ხელმწიფემ მხატურები დააბრუნა.

აღსანიშნავია, რომ მთავარი რელიგიურ მოძღვრებაში არის ლეგინდა საიქიო ცხოვრებისა და სამოთხის შესახებ. ეს ლეგინდა-თქმულებანი მორწმუნეს ყოველდღიურად ესმოდა წირვა-ლოცვის დროს და ბუნებრივია, რომ ასახულიყო ზეპირსიტყვიერებაში. მეორე მხრივ კი, ფოლკლორის არც ერთ ნიმუშში არა გვხვდება საიქიო ცხოვრების ისეთი „მზახველი“, როგორც ხელმწიფის მძისწულია: იგი მძიმე ავადმყოფობის დროს ნახავს სამოთხეს, ხალხური ზღაპრის პერსონაჟები კი, თუმცა დაბრკოლებების გადალახვით, მაინც აღწევს საიქიოს და ისევ ბრუნდება, მაგრამ ზღაპრებში აღწერილი საიქიო სულ სხვაგვარია; ეს არის ჭურღმულების, ქვესკნელების, სულელების ქვეყანა. ე. ი. ეს სიუჟეტი არც ამ მხრივ შეიძლება ჩაითვალოს ფოლკლორის ნიმუშად. რაც შეეხება ზამოთხის აღწერას, ეს მომენტი ლიტერატურულ ტრადიციას უფრო ასახავს და უფრო შეეფერება.

7. ბოლო ეპიზოდია რომელიღაც ხელმწიფის ცოლისა თუ შვილის ამბავი: ინდოთ ხელმწიფის სიკვდილის შექმდე გამეფდა მისი მძისწული — ჩვენი მხატვრების მეგობარი. მან მრჩეველებად გაიხადა ისინი და ისეთ პირად საქმესაც ეკითხება მათ, როგორც არის ცოლის თხოვა: „მამანო და ძმანო, ყოველი ქვეყანა გინახავთ, ეგების ჩემი საყადრისი ქალი, კელმწიფისა ან დიდებულსა ქალი, გენახოს, მიაშბეთ და თქვენ არ გაგრჯიო“ (გვ. 102) ხელმწიფის თხოვნა ბერმა უარყო თავისი მოღვაწეობის ხასიათის გამო: „ამ დროთ მოყრილვარ დედაკაცისათვი თვალი არ გამიმართავს“. სამაგიეროდ, ერისკაცმა — მხატვარმა მოახსენა: „მე ვიცი, მაგრამ ძნელად საშოვნელია: ერთს მაგარს ციხეში ერთს უძლურს კელმწიფეს ერთი ძუძუ კოკობი შუენიერი ცოლი უზის. მრავალი კელმწიფენი ვმირნი ცდილან და ვერ აღლიათ და ლაშქარი მრავალი დაჰკოცია. დღისით სულ კალთაში უზის და ღამით გულზე იკრავს ცუდათ. მისი ქალის შვილია და ღმერთს საავკაცოდა არ დაუნებებია, არც სხვათათუნ ემეტება“ (გვ. 102).

თავისთავად ცხადია, რომ რელიგიური მორალი (უფრო კი ქრისტიანული) ვერ დაუნებებდა ასეთ ახლო ნათესავთა ქორწინებას. ამ ეპიზოდის ანალოგიის ძემა თავისთავად გვახსენებს „ვისრამიანს“ — შაჰი მოაბადი დაქორწინდა თავის ყოფილი სატრფოს ქალიშვილზე. და საერთოდ ირანელთა ძველი სარწმუნოების (ეცესლთაყვანისმცემლობის) მიხედვით ბუნებრივი ჩანს სისხლის აღრევა. ეს მომენტი კიდევ ერთ უძველეს ისტორიულ ფენას გვითვალისწინებს მოცემული თქმულებისათვის, კერძოდ, თუნდა ისლამამდელ ირანს.

8. საგულისხმოა, რომ ინდოთ მეფისათვის ცოლის მოყვანა და რაც მთავარია, უმართებულო ქორწინების დარღვევა იკისრა ქრისტიანმა — მხატვარმა (ერისგანმა). მან წაიღო ერთი რუმბი ზეთი, გაიყოლია დიდი ლაშქარი. ზეთი გამოიყენა ციხის კლდის დასაბრღებლად, რის შემდეგ „როგორც ყველსა ისე თლიან“. გამოიყენეს ქალი „მისი ჭონებითა და მსლებლითა... გამოეღვიდა ხელმწიფესა და ქალი რომ ვერ დაინახა... ეცა ელდა და მოკუდა“

(გვ. 102). იმ ქალის ხელის მძებნელმა გმირმა ნახა ნათხარი, გამწარებულ და-  
ედევან ინდოთ ლაშქარს და მიუსწრო ერთ ადგილზე დაბანაკებულს. როდენ-  
საც ყველას ეჩინა, ქალი „...წაიყვანა წვილ-კივილითა“. ლაშქარი დაედევნა  
გმირს. თავისიანებისათვის შესაგებებლად გამოსული ინდოთ ხელმწიფე  
შეესწრო მნათობი ქალისათვის გაჩაღებულ ომს. გმირს იარაღი არა ჰქონდა,  
„მუშტითა მრავალი ლაშქარი ამოწყუთა“. მაგრამ ბოლოს მაინც მოკლეს იგი.  
ინდოთ ხელმწიფემ იქორწინა.

როგორც ვხედავთ, ეს ბოლო მონაკვეთი წარმოადგენს წინა იდეის განხორ-  
ციელებას: „ღმერთს სააკაცოდ არ დაუნებებია“. რასაკვირველია, არც აქა გვაქვს  
სრული სიუჟეტური პარალელები, მაგრამ ამით დასტურდება ვ. ი. პროპის მიერ  
გამოთქმული მოსაზრება, რომ ფოლკლორში ვხვდებით ერთგვარ (какую-то)  
კავშირს (და არა სრულ დამთხვევას) კულტებთან და რელიგიასთან.

საგულისხმო პარალელად უნდა მივიჩნიოთ ი. ლოლაშვილის მიერ დამოწ-  
მებული ერთი რელიგიური ლეგენდა: „...იყო ვინმე კაცი ქრისტიანე და ესუა  
ასული. და დასნეულდა ქალი იგი სენითა ფიცხელითა. მაშინ წარვიდა კაცი  
იგი, მაშაჲ ქალისაჲ რამთა მოიყვანოს გრძნეული და განკურნოს ქალი იგი...“  
ქალის დედას არ მოეწონა ქმრის გადაწყვეტილება და ქრისტიან სასულიერო  
პირს სთხოვა დახმარება; „...ხოლო წმიდასა მას შეეწყალა დედაკაცი იგი...“  
და მან სასწაულებრივად განკურნა ქალიშვილი, მისივე სასწაულის შედეგად  
მოკვდა გრძნეული. რომელიც აპირებდა ქალიშვილის მკურნალობას. „...და  
განითქვა სახელი წმიდისაჲ მის ქალაქსა მას და გარემოჲსა სანახებთა მისთა“<sup>6</sup>.

კომპოზიციურად ეს ნიმუში შედგება სამი მთავარი სიუჟეტისაგან, აქედან  
პირველი ორი სიუჟეტი ეხება პიროვნებებისა და ქვეყნების ქრისტიანად მოქ-  
ცევას, ბოლო სიუჟეტი კი ზღაპრულია, თუმცა აქაც პერსონაჟი მოქმედებს  
ღმერთის სახელით და ასრულებს მის განგებას. მოცემულ ნიმუშში არა გვაქვს  
ჯადოსნური ელემენტი, ე. ი. ჯადოსნურად მიღებული რაიმე ეფექტი. აქ გად-  
მოცემული სასწაულები არა ჯადოსნურია (ზღაპრების გაგებით), არამედ ღვთა-  
ებრივი განგებით არიან ნაკარნახევი, როგორც ეს რელიგიურ სიუჟეტებშია.

როდესაც ლაპარაკია იმის თაობაზე, თუ რატომ არის მითითებული თით-  
ქოს 10 ზღაპარი იყოს ბერნარდოსეულ არქივში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ  
ვერც მ. თამარაშვილი და ვერც პატრი ბერნარდო ამ ნიმუშს ზღაპრად ვერ  
ჩათვლიდნენ, იმდენად ახლოს დგას იგი იდეით ოფიციალურ სასულიერო წიგ-  
ნებში გადმოცემულ ლეგენდებთან, ხოლო ეს ლეგენდები ეკლესიების მიერ  
ქვეშმარტობადაა აღიარებული.

რასაკვირველია, უნდა დავეთანხმოთ პროფ. მ. ჩიქოვანს, რომ „ბერნარ-  
დოსეული კოლექციის (XVII ს.) ზღაპრებში XII ზღაპარი, „არაკი ქიშმარის  
კელმწიფის ქალისა“, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა იმით, რომ დასა-  
თაურებულია, მ. თამარაშვილმა არ მიიჩნია ზღაპრად. ეს იმიტომ, რომ იგი თა-  
ვისი სტილით მწიგნობრულია, რაც დადასტურდა იმით, რომ არსებობს სპარ-  
სული დამთანი და მისი ქართული თარგმანი, რომელიც მ. თოდუას ეკუთვნის<sup>7</sup>,  
სადაც სიტყვასიტყვით არის გადმოცემული სიუჟეტი.

<sup>6</sup> ივანე ლოლაშვილი, არეოპაგოიკის პრობლემები, თბილისი, 1972, გვ. 142—143.

<sup>7</sup> „ქაშმარის“ მეფის ასული და ლაშაზი დიდვაჟარის, თარგმანი მ. თოდუასი, „ბაღდადელი  
თვალთმაქცი“, თბილისი, 1967, გვ. 372—388 (იგი აკვებს იმ ხარვეზს, რომელიც ბერნარდოსეულ  
ტექსტს გააჩნია ხელნაწერის დეფექტურობის გამო).



ხოლო მეორე ზღაპარი, რომელიც არ არის შესული მ. თამარაშვილის ათეულში, ჩვენი აზრით, უნდა იყოს XI ზღაპარი „ჩუმი ვაჟი“, რომელიც, როგორც ვხედავთ, გამოირჩევა იდეურ-შინაარსობრივი და სტილური თავისებურებებით.

Л. И. КОТАШВИЛИ

## XI СКАЗКА ИЗ КОЛЛЕКЦИИ БЕРНАРДО

### Резюме

Самым ранним датированным сборником грузинского сказочного эпоса является рукопись, которая хранится в архиве патра Бернардо в монастыре капуцинов «Torre del Greco» близ Неаполя.

Сборник считается первой фиксацией фольклорного материала на грузинском языке, не имеет единого заглавия и содержит различные образцы сказочного эпоса.

М. Тамарашвили в своей монографии указал на существование десяти сказок. Но при ознакомлении с фотокопией в сборнике их оказалось двенадцать, из которых озаглавлена лишь последняя. Установлено, что она является переводом персидского дастана.

М. Чиковани ставит вопрос о том, какая из сказок не была учтена М. Тамарашвили. Согласно нашим наблюдениям, одиннадцатая сказка не является в подлинном смысле сказкой; она скорее примыкает к циклу легенд, фигурирующих в официальных религиозных книгах, и отличается своими идейными и стилистическими особенностями.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.  
გ. შერეტლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის  
ინსტიტუტის ირანული ფილოლოგიის განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის შერე-კორესპონდენტმა კ. შერეტელმა

ვიანო ახალაია

### უიარაღოს თხოვლევათა სტილური თავისებურებანი

სინამდვილის მხატვრულ წარმოსახვას ყოველი მწერალი ენის მეშვეობით ახორციელებს. „ენა მხატვრული ნაწარმოების ფრთებია“<sup>1</sup>, მისი ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური კომპონენტი — გამოშასხველობითი მასალაა, მაშასადამე, შექმნილებითი მოვლენაა და, ამავე დროს, ყოველი ეროვნული ენის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორიც. ამიტომაც მწერლის ენის დაწვრილებით ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სალიტერატურო ენის ისტორიის პრობლემური საკითხების გადაწყვეტისათვის. როგორც ა. შანიძე წერს: „მწერლის შემოქმედების სრული და ყოველმხრივი დაფასება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გათვალისწინებულია ის ფორმა, რომელშიაც მწერალი თავის ფიქრებსა და გრძნობებს ასახავს, ე. ი. თუ შესწავლილია მისი ენა“<sup>2</sup>.

მხატვრული ნაწარმოების მიზანდასახულობის ასახსნელად აუცილებელია სტილური ნიშნების მატარებელი ენობრივი საშუალებების თავისებურებათა გათვალისწინება, რომელთაც ნაწარმოებში გარკვეული ესთეტიკური ფუნქცია აკისრიათ. ლიტერატურული ტექსტის ლინგვისტური ანალიზით შეისწავლება მწერლის შემოქმედებითს პრაქტიკაში გამოყენებული მხატვრული საშუალებები, ის, თუ გამოშასხველობით ფორმათა მრავალრიცხოვანი შესაძლებლობიდან ძირითადად რომელია გამოყენებული და რა მიზნით. ლინგვისტური ანალიზი ზღვს უწყობს მწერლის მხატვრული ენის სპეციფიკურობის სრულფასოვნად გამსაზღვრას. როგორც ე. ვინოგრადოვი აღნიშნავდა. „ლინგვისტური ანალიზის სპეციფიკურობა და ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის ტექსტის ზუსტი და ყოველმხრივი განმარტებიდან გამოდის“<sup>3</sup>.

თუმცა გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ენათმეცნიერებისათვის კვლევის ობიექტს არ უნდა წარმოადგენდეს ცალკეულ მწერალთა ენობრივი თავისებურება. ლინგვისტიკამ უნდა შეისწავლოს სტილი ენისა, მაგრამ არა სტილი ამა თუ იმ მწერლისა (ან ნაწარმოებისა). ამ თვალსაზრისს აეთარებდა და იცავდა გ. ვინოკური, რომელიც აღნიშნავდა, რომ „ერთია ენის სტილი, მაგრამ სულ სხვაა იმათი სტილი, ვინც წერს ან ლაპარაკობს. ასე. მაგალითად. ცალკეულ მწერალთა სტილის შესწავლა. რაშიც ელინდება მათი ავტორისეული პიროვნების თავისებურებანი ან მეტყვე-

<sup>1</sup> შ. ძ ი ბ ი გ ვ რ ი. მწერლის ენა, „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“, თბილისი. 1974, გვ. 10.

<sup>2</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე. ნ. ბარათაშვილის ენა: ნ. ბ ა რ ა თ ა შ ე ლ ი. ლექსები, პოემა, წერილები, თბილისი, 1939, გვ. 149.

<sup>3</sup> В. В. В и н о г р а д о в. Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика, Москва, 1963, გვ. 187.

ლებს ამა თუ იმ ელემენტის კონკრეტული ფუნქცია მოცემულ ნაწარმოებში, მთლიანად ლიტერატურის ისტორიის საზრუნავია და ლინგვისტურ სტილისტიკასთან უშუალო კავშირი ისევე არა აქვს, როგორც კულტურის ისტორიის სხვა პრობლემებს<sup>4</sup>.

საეჭოვნო არათულებს აგრეთვე ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, ღირს საკვლევ-საბიებო სფეროს გამოჩვენება, მეორე მხრივ, გარკვეული მეთოდით მიდგომისა და თვალსაზრისის დაკონკრეტება, მით უმეტეს ნაწარმოების მხატვრულობა, საზოგადოდ, მკაფიო, ნათელ და კონკრეტულ განსაზღვრას არ ექვემდებარება. ამასთანავე, რაც აღსანიშნავია, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრები შესასწავლი ობიექტის თვალთახედვით ჭერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვეთილი<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ ახლა შეიძლება ლიტერატურისმცოდნეთა და ენათმეცნიერთა ერთგვარი სურვილი — მხატვრული ენის ესთეტიკური ბუნების, მისი თავისებურების შესასწავლად ფართოდ გამოიყენონ ორივე სამეცნიერო დისციპლინის მიღწევები. „ლინგვისტური და ლიტერატურული სტრუქტურის თეორიების მიხედვით ენათმეცნიერება და ლიტერატურისმცოდნეობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან... მაგრამ თავისი ემპირიული შინაარსით — ამრიგად საგნის სტრუქტურის თვალსაზრისით კი ლიტერატურული თეორიები — გარკვეული აზრით დამოკიდებულნი არიან ენათმეცნიერების პოზიციასა და დებულებებზე“<sup>6</sup>.

1952 წელს ენათმეცნიერთა მე-9 საერთაშორისო კონგრესზე აღინიშნა ე. ბენვენისტის მანვილონიკური შენიშვნა იმაზე, რომ დღეიდან ყველა ლინგვისტური საზოგადოებისა და ჟურნალის სახელწოდებას უნდა დაემატოს სიტყვები „... და პოეტოლოგია“<sup>7</sup>.

ამერიკელი მეცნიერის რ. აბერნეტის აზრით, „ლინგვისტიკა ისეთივე ნათესაურ კავშირშია პოეტოლოგიასთან, როგორც ორგანული ქიმიკა ზოოლოგიასთან. პირველი მათგანი სწავლობს ცხოვრებისეულ „ნედლ მასალას“, უკანასკნელი კი თვით ცხოვრებისეულ ფორმებს“<sup>8</sup>.

უკვე ფორმულირებულა შესაბამისი ამოცანები იმ ენობრივი სისტემის საკმარად მკაცრი და სრული აღწერისა, რომელსაც ფილოლოგები სხვადასხვა გვარად უწოდებენ („მხატვრული ლიტერატურის ენა“, „პოეტური ენა“ და სხვა). პრობლემები და ამოცანები მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, კვლევის სპეციალურ მეთოდებს, დამუშავებულ თეორიას და ა. შ. უპირვე-

<sup>4</sup> Г. О. Винокур, О задачах истории языка, „Ученые записки“, каф. русск.-яз. Московского гос. пед. ин-та, вып. 1, т. V, 1941, гл. 17—18.

<sup>5</sup> იხ. ამის შესახებ 1954 წელს გამოქვეყნებული სადისკუსიო სტატიები ჟურნალში: «Вопросы языкознания», Р. П. Пятровский, О некоторых стилистических категориях, ВТЯ, 1954, № 1; Ю. С. Сорокин, К вопросу об основных понятиях стилистики, ВЯ, 1954, № 2; И. Р. Гальперин, Речевые стили и стилистические средства из., ВЯ, 1954, № 4; И. С. Илинская, О языковых и стилистических средствах, ВЯ, 1954, № 5, და სხვ.

<sup>6</sup> Iens I h w e, Sprache—Text—Literaturwissenschaft, «Grundzüge der Literatur und Sprachwissenschaft», Literaturwissenschaft Bd., 1. München, 1973, გვ. 34.

<sup>7</sup> «Новое в лингвистике», вып. IV, Москва, 1965, гл. 583.

<sup>8</sup> R. A b e r n a t h y, Mathematical Linguistics and Poetics, «Поэтика», Варшава, 1961, гл. 563.

ლესად აუცილებელია ყველა დანიტერესებული მეცნიერის ნების გაერთიანება, მნიშვნელობა არა აქვს პროფესიის მიხედვით ისინი ლინგვისტები არიან თუ ლიტერატურისმკვლევები<sup>9</sup>.

უკანასკნელ დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მწერლის ენის მონოგრაფიულ შესწავლას. მართალია, ადრე მხატვრული სიტყვის ოსტატების თხზულებებიდან ამა თუ იმ ენის მიმოხილვებსა და გრამატიკებში იმოწმებდნენ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული ენა იყო კვლევა-ძიების საგანი, ვიდრე კონკრეტულად მწერლის ენა. ქართულ სინამდვილეში მწერლის ენის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლას რამდენიმე შრომა მიეძღვნა<sup>10</sup>. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავდა, მწერლის ენის შესწავლის მიზანია: — „1. დადგინდეს არსებითი სხვაობა მწიგნობრულ-ლიტერატურულსა და სასაუბრო-ლიტერატურულ ენებს შორის, 2. გამოვლინდეს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია მხატვრულ ლიტერატურული ენისა, მაჩვენებელია მისი სპეციფიკურობისა, 3. გამოიყოს სხვადასხვა ენარის ნიშანდობლივი ენობრივი მოვლენები და, 4. რაც მთავარია, წარმოჩენილ იქნეს ამა თუ იმ მწერლის ენის გრამატიკულ-სტილისტიკური და ლექსიკური თავისებურებები, რომლებითაც იგი განსხვავდება მისი თანამედროვე სხვა მწერლებისაგან“<sup>11</sup>.

მწერლის სტილი, მისი ინდივიდუალური თავისებურებანი, რომელიც მას სხვა მწერლისაგან განასხვავებს, ყალიბდება ენობრივ შესაძლებლობათა მიხედვით და ცალკეული პიროვნების მიერ ამ შესაძლებლობათა გამოყენების უნარს შესაბამისად. „სიტყვიერი მასალა, რომლის ფორმათა მრავალფეროვნების შესაძლებლობაა მოცემული, გარკვეულ სახეს იღებს იმის მიხედვით, თუ ადამიანი რას აირჩევს, როგორ ფორმას მისცემს უპირატესობას, როგორ სახეობაზე შეჩერდება, რათა სიტყვიერად გამოჩატოს გადმოსაცემი შინაარსი“<sup>12</sup>.

მხატვრული ნაწარმოების, მწერლის სტილის შესწავლა ერთობ ძნელია, ინიტომ, რომ „მწერლის სტილის, ე. ი. მისი ენის დამახასიათებელ ნიშნთა კრებულის რაობა ერთაშად ძნელი გამოსარკვევია, რადგანაც მრავალია ის ნიშანი, რომლებიც მწერლის ენის თავისებურებას, მის სტილს ქმნიან. გრამატიკული ფორმების მომარჯვების უნარი, პარალელურ ფორმათაგან გარკვეული ტიპის უპირატესი ხმარება, სიტყვათა შერჩევა მათი აქუსტიკისა და სხვა ნიშნთა მიხედვით, მათი ერთმანეთთან შეწყობა და შეხამება, წინადადების გამართვა, აზრთა გარკვეული თანმიმდევრობით დალაგება, მათი ამა თუ იმ მხატვრულ სახეებში გადმოცემა (შედარებანი და სხვა), კონსტრუქცია ფრა-

<sup>9</sup> შინაიტყვაობა წიგნიდან „Лингвистика и поэтика“, Москва, 1979, № 3.

<sup>10</sup> მხედველობაში გვაქვს დ. გუქაძის საღოტორო დისტრტოცია: „სულხან-საბა ორბელიანის ენა“, საკანდიდატო დისტრტოცოები: ნ. გოგუაძის („გრიგოლ ორბელიანის ენა“), ო. ურდლიას („გიორგი ერისთავისა და მის კომედიათა პერსონაჟების ენა“), ე. კოშორიძის („ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით“), ე. სურგას („ქართულ ხალხოსანთა ენა“), ი. კიკნაძის („ეკატერინე გაბაშვილის თხზულებათა ენა და სტილი“), მ. ქაქარავას („ნიკო ლორთქიფანიძის ენა“), ი. ქეშიკაშვილის („თ. რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ენის გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი“), შ. ფუტყარაძის („შალვა დადიანის ენა და სტილი“), თ. ინჯას („ქ. გამსახურდიას „დღოსტატის მარჯვენის“ ენა და სტილი“), და სხვა.

<sup>11</sup> ვ. თოფურია, ბოლოსიტყვა: ე. კოშორიძე, ვასილ ბარნოვის ენა ისტორიული რომანების მიხედვით, თბლისი, 1955, გვ. 166.

<sup>12</sup> გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბლისი, 1957, გვ. 32.

ზინა და კომპოზიცია თხზულებისა და სხვადასხვა, — აი, რიგი საკითხებისა, რომლებიც სტილის სფეროს განეკუთვნებიან, რადგან თვითთელი ამ საკითხთაგანი თავის მხრივ მრავალი ნიშნის შემცველია. ამიტომ ცხადია, რომელიმე ავტორის სტილის გამორკვევა, მისი ენის ინდივიდუალურ თავისებურებათა აღნუსხვა არც თუ ადვილი საქმეა, ყოველ შემთხვევაში დიდ ღროს მოითხოვს<sup>13</sup>.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა უიარაღოს (კონდრატე თათარიშვილის, 1872--1929) თხზულებათა ზოგიერთი სტილური ნიშანი. ამ თხზულებებში (ან, შეიძლება, ერთი თხზულების ფარგლებშიც) დადასტურებულ ყოველ ენობრივ მოვლენას, ენობრივ-სტილურ განსხვავებას განმარტავს ნაწარმოებზე თემა და მისადმი ავტორის მიდგომა, ავტორის კონკრეტული მიზანდასახულობა. თემისა და სტილის ურთიერთობის საკითხს ვრცლად იხილავდა ვ. ვინოგრადოვი, რომელიც წერდა: „ნაწარმოების სტილი სტრუქტურულად უკავშირდება მის იდეურ შინაარსს... თემა და მხატვრული სახე ჰარმონიული უნდა იყოს ტანისა, ანუ მხატვრული ნაწარმოების საერთო ექსპრესიულ-სტილისტური შეფერილობისა“<sup>14</sup>.

ზემოთქმული ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რით არის გამოწვეული სხვადასხვა მწერლის შემოქმედებითს პრაქტიკაში (ან თუნდაც ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაში) განსხვავებული მხატვრული საშუალებების გამოყენება. შემოქმედი ჩვეულებრივ ენას თავისებური სახით იყენებს, თავისებური გამომსახველობითი შინაარსით, ემოციური და ესთეტიკური გარდასახვით ავლენს, რაც, ამავე ღროს, მხატვრული ენის ზოგადი არსის, კანონზომიერების თავისებურ გამოხატვასაც წარმოადგენს. შემოქმედებითს პროცესში ხდება ენობრივი მასალის სახეცვლილება და ამიტომაც ყოველი მწერლის ენა მკვეთრი ინდივიდუალობით ხასიათდება. მხატვრული საშუალება, ნაწარმოების მაღალ იდეურობას, თხრობის სიყვარულსა და სიზუსტეს რომ ემსახურება და ესთეტიკური ფუნქციითაა აღჭურვილი, არის მხატვრული სიტყვის ოსტატის მიერ ყველა იმ ენობრივი ფაქტისა და ნიუანსის ზუსტად წარმოჩენა, რომელიც უპასუხებს ნაწარმოების თემას, და, ამასთანავე, გამოხატავს მწერლის ინდივიდუალობას, მის სტილს.

უიარაღო ჩინებულად იყენებს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით გამოვლენილ მხატვრულ ხერხებს, რათა მოქმედი პირები, საგნები, ცხოვრებისეული მოვლენები ცოცხლად, მიმზიდველად, შთაბეჭდავად და ამაღლებულად დაგვისურათხატოს, ღრმამოციური ძალით გადმოსცეს სინამდვილის ფაქტი.

როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული არქაიზმები უიარაღოს თხზულებებში გვხვდება უმეტესად მაშინ, როცა მწერალს სჭირდება შექმნას წარსულის კოლორიტი, ამაღლებული და ზვიადი განწყობილება. მაშასადამე, აღნიშნული ენობრივი თავისებურება განსაზღვრულ ლიტერატურულ მიზანს ექვემდებარება. ამ მხრივ აღსანიშნავია ნოველები საერთო სათაურით „ბიბლიურ ჰანგზე“. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის ერნსტ რენანის (1823—1892)

<sup>13</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ი. ქ ა ვ ქ ა ე ა ქ — როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულს დამკვიდრებისათვის: ჯ ღ ი ა ჰ ა ე ქ ა ე ა ძ ე, სათბილეთო კრებული, თბილისი, 1939, გვ. 27.

<sup>14</sup> В. В. Виноградов, О языке художественной литературы. Москва, 1968, გვ. 29.

მსგავსად, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „ცხოვრება იესოსი“, უიარაღო უარყოფს ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას. მის ღმერთკაცობასა და სასწაულმოქმედებას, მის ნოველებში რაბი იიშუ (იესო ქრისტე) ჩვეულებრივი ადამიანია, ღარიბ-ღატაკთა მოსარჩლე და მფარველი.

მწერალი ზოგჯერ ეკლესიურ-წიგნური წარმომავლობის ენობრივ ფორმებს იმეველებს მოქმედი პირების მონოლოგებისა და დიალოგების გადმოსაცემად და თავისებური კოლორიტს შექმნით ნიღაბს ხდის რელიგიას, ღვთის სახელით მოქმედ ეკლესიასა და მის მსახურთ.

მაგალითად. „წმინდანო რაბუნო, — შემოილაპარაკა ლევიტელმა: — აჰა ესერა ძენი და ასულნი ისრაილისანი მოსულ არიან გალილით და იორდანით კერძო, ტვიროსით და სიდონით. ზვარაკები კამებული თან მოუყვანიათ, ეზოთ გარე ტაძრისა დგანან და მოელიან კურთხევასა თქვენგან და შეწირვად ღვთისა მიმართ“ (I, 209,37; 210.1)<sup>15</sup>.

ან: „ახლა მგონია, არ გავეწირავ სრულიად, რადგან მიაველინენ ჩვენდა შემწე წმლით შენით და საონით გამო ხელი აღვიბუყარ ჩვენ... რამეთუ შენ ერი მღაბალი აცხოვნო და თვალი ამპარტავანთანი დაამდაბლო“ (I, 367,17) და სხვა.

საინტერესოა იმდროინდელი კანცელარული სტილის წარმოდგენის ცდა არქაიზმის დახმარებით. ცნობილია, რომ ყოველგვარ ხატოვნებას მოკლებული ენობრივი სტანდარტები, კანცელარიზმები, გაქვავებული ენობრივი ფორმები ხშირად, და საკმაოდ გამოშსახველადაც, გამოიყენებიან მწერლების მიერ ისეთ ადამიანთა ხასიათების დასახატავად, რომელთათვისაც დამახასიათებელია კონსერვატიზმი და აზროვნების სტანდარტულობა<sup>16</sup>.

გამონაკლისი ამ მხრივ არც უიარაღოს შემოქმედებაა: „ჩ ყ წელსა, — დაიწყო ბართლომემ, — მარიამობისათვის კ დღესა, ესეთი ეამითი-ეამად და უჟუნითი-უჟუნისამდე უტყუარსა და ჭვარის სახედ ჩემს მიერ ხელმოწერილსა წიგნსა, გაძლევ ჭყონონას სოფლის მცხოვრები“... (II, 200, 32).

ან: „სია გადასაბურავთა ფულთა გარდაცვალებულის აზ-რის შერაბი მჭებრაქსი“ (II, 195,8) და სხვა.

დასახელებულ მაგალითებში და სხვაგანაც არქაიზმი მიღწეულია ძველი ლექსიკური ენობრივი ერთეულებისა და გრამატიკული ფორმების მოშვილიებით: ნარ-თანინი მრავლობითის უპირატესი ხმარება, უთანდებულო მოქმედებითის გამოყენება გამოსვლითის ფუნქციით, „კერძო“ და „გამო“ თანდებულებული მოქმედებით ბრუნვასთან, სიტყვათა წყობა წინადადებაში, მსახლერელ-სახლერულის არქაული წყობა და სხვა.

მაშასადამე, არქაულ ენობრივ ფორმებს მწერლის შემოქმედებაში მხატვრულ-იდეური მიზანდასახელობით გამართლებული სტილური ფუნქცია აკისრია, მათი გამოყენება შეპირობებულია ნაწარმოების თემითა და ეანრით.

საქვე სტილური ფუნქცია აკისრია დიალექტიზმებს, როგორც პერსონაჟ-

<sup>15</sup> საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია აკადემიური გამოცემის მახდებით: უ ი ა რ ა ლ ო, თხულებთა სრული კრებული, ორ ტომად. ს. ცაიშვილის რედაქციით. წინასიტყვაობითა და შენეღწებით. თბილისი, ტ. I, 1957; ტ. II, 1958, პირველი ციფრი აღნიშნავს ტომს, მომდევნო — გვერდსა და სტრიქონს.

<sup>16</sup> М. Б. Храпченко, Творческая индивидуальность писателя и развитие литературы, Москва, 1970, გვ. 140—141.

თა მეტყველებიან დახასიათების ერთ-ერთ ხერხს. ლექსიკურ და გრამატიკულ დიალექტიკურ ფორმათა ხმარება ქმნიან გარკვეულ კუთხურ კოლორიტს, ტიპურ ხასიათებსა და გარემოს. ნწერალი ენობრივი საშუალებით გვაგარბნობინებს, თუ რომელი კუთხის წარმომადგენელთან გვაქვს საქმე, ეს მას საშუალებას აძლევს ნათლად, ღრმად და სრულად გამოხატოს მოქმედ პირთა სახეები, ხასიათი და გამოკვეთოს ღრობა და ეპოქის მნიშვნელოვანი მოვლენები.

მაგალითად, დიალექტიზმებია: „ახლა ამ დალოცვილ სიოსში ვე ნ დ ე ვ ი“ (II, 302, 15); „ხმალამოწვილს მ წ ა ღ ი ა ნ ჩემ ძმებთან“ (I, 409, 34); „რ ა - ც ხ ა ცხელბაშეყრილ კაცს დაემგვანება“ (№10711, 229)<sup>17</sup>; „ძნელი სანდოა კაციზა“ (№10711, 30); „მანც ყოველი ქ ვ ე ყ ნ ი ზ ა უნდა გერჩიოს“ (№10711, 69); „ბ ა ნ ძ ღ ი არ მოხთეს“ (№10711, 105); „წერვაზე რო მიედიოდი“ (I, 18, 29); „მოიღხინე მ ა რ ა , რა მოიღხინე“ (I, 452, 36); „ღმერთმან კ ა ი გავახსენოს“ (II, 57, 5); „ორ-სამ ღ ი ვ ე რ ს წინ ვისერი“ (I, 64, 13); „შე კ ი ნ ჩ ხ მ ო ს ა ტ ე ხ ო სადა ხარ“ (II, 140, 20).

თურქი ზედამხედველის მეტყველებას მწერალი ასე გადმოგვცემს: „ა, ჰანუმი! თირილი რა თირილი, გაჩუჟდა, გაჩუჟდა... შენი არ ესმის“ (I, 394, 24).

უიარაღო პერსონაჟთა მეტყველებას იყენებს მოქმედ პირთა დახასიათების ერთ-ერთ საშუალებად. პერსონაჟთა ენის ჩვენებით ავტორი გვიქმნის წარმოდგენას მათს ხასიათზე, მისწრაფებებზე; სულიერ მდგომარეობასა და კულტურულ დონეზე.

გრამატიკული ფორმები ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ საშუალებებთან ერთად მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება, როგორც თავისებური ესთეტიკურ-სტილური ფუნქციის მქონე.

უიარაღოს შემოქმედებაში ენობრივ, მორფოლოგიურ საშუალებათაგან ემფატიკური „ა“ ხშირად გამოიყენებული სტილური ფუნქციით.

როგორც ცნობილია, ემფატიკური „ა“ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრუნვის ნიშნის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს... ბოლოკიდურ „ა“-ს დართვა ამჟამად — მეტ წილ შემთხვევაში — უფრო სტილისტურ საჭიროებას უკასუხებს, ვინც მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს“<sup>18</sup>. ძველ ქართულში კი „ა“ ჰ ხმარებას მკაცრად განსაზღვრული, სინტაქსიკური ხასიათი ჰქონდა. ემფატიკური „ა“ (სახელი „ემფატიკური“ მას ნ. მარმა უწოდა) დაერთოდა მხოლოდ საზოგადო სახელებს სამ ბრუნვაში: ნიციემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში. თანამედროვე ქართულში შეიძლება ვითარებით ბრუნვასაც დაერთოს. ახლა „ა“-ს აღარა აქვს განსაზღვრების თვისება, ის ერთნაირად დაერთვის როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებსაც, რადგანაც თვითონ ენა აღარ ასხეავებს მათ<sup>19</sup>.

<sup>17</sup> საილუსტრაციო მასალა დამოწმებულია ავტორაჟების ტექსტის მიხედვით. პირველი რიცხვი გამოხატავს ხელნაწერის ნომერს, მეორე კი — გვერდს.

<sup>18</sup> არნ. ჩ ი ქ ი ბ ა ე ა . ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქუეღ, I, თბილისი, 1950, გვ. 37.

<sup>19</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე . ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 48. თ. ხ უ რ ა ბ ა ი შ ვ ი ღ ი . ემფატიკური „ა“ ახალ ქართულში: იხ. კრ. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956, გვ. 231, ქ. ძ ო შ ე ნ ი ძ ე . ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში, დასახ. კრებული, გვ. 218. ა. ლ ო მ თ ა ძ ე . ემფატიკური ხმოვნები, „მაცნე“, ერსადა ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 133.

უიარაღო თავის თხსულებებში ემფატიკური „ა“-ს გამოყენებით მიზნად ისახავს ენობრივი კოლორიტის შექმნას. იგი უმეტესად მოქმედ პირთა მეტყველებაშია წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად ავტორისეულ რემარკებშიც გვხვდება. ეს ხმოვანი მეტყველების არქაიზაციას ემსახურება, როცა ამას მოითხოვს ნაწარმოების თემა. ემფატიკური „ა“-ს გამოყენებით თხრობას ეძლევა ამაღლებული ელფერი. მწერალი ვასაჩავს პერსონაჟის მეტყველების თავისებურებას, მის ინდივიდუალურ ხასიათს.

ემფატიკური „ა“ წარმოდგენილია წინადადების ბოლო სიტყვაში—ავტორისეულ რემარკაში: „მთვარე არ გაფიცხდა ღირფის ღრუბელის შ ე უ რ ა ც ყ ო ფ ი თ ა“ (მ. 1895, IX, 30)<sup>20</sup>; „ფრინველებსაც უკვირთ ამგვარი უხატობა ბ უ ნ ე ბ ი ს ა“ (I, 2, 17); „წითლად იყო შეღებილი ს ი ს ხ ლ ი თ ა“ (I, 135, 10); „მთლად მოედო მ ი ნ დ ო რ ს ა“ (I, 87, 6); „მდინარე რიგზე არ უგზავნის წ ყ ა ლ ს ა“ (II, 8, 11); „ხშირი სტუმარი არ იყო ამ ს ა ხ ლ ი ს ა“ (II, 52, 20); „დიასახლისი იყო შუათანა ტ ა ნ ი ს ა“ (I; 40, 27); ეს ველი ნაყოფია მოუსვენარი მდინარის ათი ათასი წლობით მ უ შ ა ო ბ ი ს ა“ (I, 336, 4).

ემფატიკური „ა“ ერთვის უშუალოდ ზმნა-შემასმენლის წინ მდგომ სახელს: „სამიციტნოში ღ ვ ი ნ ო ს ა სეამდა“ (I, 80, 37); „ორთავენი ეტლის თ ვ ა ლ ი ვ ი თ ა ტ რ ი ა ლ ე ბ დ ნ ე ნ“ (I, 77, 33); „ურთის ძირი ს ა რ კ ე ს ა ჰვავს“ (მ. 1895, VIII, 11); „პირგვარს იწერს და ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს ა ჰლოცავს“ (მ. 1895, IX, 18). „წისქვილი კი ძლიერ გ უ ლ ს ა მწვავს“ (II, 35, 19); „ქვეყანას მოწითანო ფ ე რ ს ა ჰფენდა“ (II, 101, 3); „ღღე და ღამე უ ფ ს კ რ უ ლ ს ა დაეყაო“ (II, 161, 12).

ორივე შემთხვევაში სავრცობის გამოყენებით თავიდან აცილებულია წინადადების აზრობრივად დაუმთავრებლობის შთაბეჭდილება და მიღებულია ე. წ. ჩაკეტილი კონსტრუქციები<sup>21</sup>.

მართულ მსაზღვრელთან ინვერსიული წყობის დროს წარმოდგენილია ემფატიკური „ა“: „ზუგდილის მომრიგებელი მოსამართლე სისხლის სამართლის გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს ა მოგიწვევთ თქვენ“ (II, 146, 2—3); „ვინ უნდა იყოს... თუ არ ნაყოფი ჩვენი კეთილი გზიდან ც თ ო მ ი ს ა, ჩვენი გა თ ა ხ ს ი რ ე ბ ი ს ა, გ უ ლ ქ ე ა ო ბ ი ს ა და გონების და ბ ნ ე ლ ე ბ ი ს ა“ (I, 375, 4); „დიდება ალლაჰს შ ე მ ო ქ მ ე ღ ს ა და მ ო წ ყ ა ლ ე ს ა“ (I, 414, 11); „ერთი ახლაც შთანთქანს ზღვასა ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა ს ა მტარვალი იროდი“ (I, 416, 3) და სხვ. „გაუბედავი კ ი ლ ო თ ა ვ ა დ ი შ ე ი ლ ი ს ა ექვს უბადებდა (I, 365, 26); „ზოგს სხვადასხვა ხელსაქსოვი შ ა ლ ი ს ა და ა ბ რ ე შ უ მ ი ს ა მიჰქონდა“ (I, 122, 10). ასეთ შემთხვევაში სავრცობი ამთავრებს და ხშავს კონსტრუქციას<sup>22</sup>, წინადადების რკალის ერთგვარ შემკვერელად გვევლინება<sup>23</sup>.

<sup>20</sup> საილუსტრაციო მასალა დამოუშებელია ქერნალ „მოამბის“ 1895 წლის მე-9 ნომრიდან, ბოლო ციფრი აღნიშნავს პერიოდული გამოცემის გვერდს.

<sup>21</sup> ე. თ. ო ფ უ რ ი ა, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965, გვ. 102—103.

<sup>22</sup> არ. ნ. ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეკელ, I, თბილისი, 1950, გვ. 037.

<sup>23</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ქვემო იმერეთის უხუთური მეტყველება, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1943, გვ. 16.



ჩვენი საკითხისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია სიტყვაწარმოების ის მზარე, რომელსაც საფნათმეცნიერო ლიტერატურაში კომპოზიციით ვიცნობთ. ქართული ენა ხშირად ნიმართავს ენის ლექსიკური შედგენილობის გამდიდრების ამ ხერხს.

შედგენილობის მიხედვით კომპოზიტთა ტიპების ტრადიციულ კლასიფიკაციაში არაფერია ნათქვამი ისეთი წარმოების კომპოზიტებზე, რომელთა ორივე წევრი არის მასდარი. საჭიროა კომპოზიტთა ტიპებს შედგენილობის მიხედვით დაემატოს მასდარული წარმოების კომპოზიტები, რომელთა ორივე კომპონენტი არის საწყისი. ასეთი მასდარული კომპოზიტები საკმაოდ გვხვდება უიარაღს თხზულებებში:

„ხ ე ვ ე ა-მ უ დ ა რ ი ს ა და ბოდიშის შემდეგ“ (I, 341, 25); „რ ხ ე ე-ა-ზ ნ ე ქ ი თ მილიოდა“ (I, 369, 16); „შენ მოუსწრაფე დღე... ძმათა ბოც ვ ა-ღ ლ ე ტ ი ს მოსურნეს“ (I, 337, 21).

ამგვარად აგებული სიტყვები მეტ ემოციურ შინაარსს ანიჭებენ სათქმელს. მწერალი აქ იყენებს შთაბეჭდილების გამაძლიერებელ შეხამებას, რითაც ინტენსიურ ზემოქმედებას აღწევს.

როცა კომპოზიტის ორივე წევრი ზედსართავი სახელია. სიტყვას ოდნაობითი ხარისხის თავისებური ნიუანსი ახლავს:

„შენ რომ ს ქ ე ლ-ს ქ ე ლ ი კაცი მოგყავს“ (I, 392, 24); „ვიღაც დაბა ლ-და ბ ა ლ ი კაცი გამოჩნდა“ (I, 357, 17); „მ ს ხ ე ი ლ-მ ს ხ ე ი ლ ი ცრემლი ვადმოყარა“ (I, 353, 8).

ზოგჯერ ავტორი საპირისპირო ან სინონიმური მნიშვნელობის სიტყვათა შეერთებით თავისებურ ეფექტს აღწევს:

„ნაბდის ტარება ზ ა მ თ ა რ-ზ ა ფ ხ უ ლ ი მან იცის“ (I, 340, 21); „ა ლ-ც ე ც ხ ლ ს უკიდებს მადლით მოსილი“ (I, 337, 4); „ჩემი ე ფ უ თ-ქ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი ... ჩვენი ცხოვრება“ (I, 367, 20); „ვთა დედამისს გამწარებულს, ც ე ც ხ ლ-გ ე ნ ი ა მოკიდებულს“ (I, 373, 13).

მსგავსი შთაბეჭდილება იქმნება, როცა კომპოზიტის ორივე წევრი არის მიმღეობა:

„მ ო წ ყ ე ნ ი ლ-შ ე უ ფ ო თ ე ბ უ ლ ნ ი მსჯელობდნენ“ (I, 351, 19); „მ ტ ა ც ე ბ ე ლ-ა მ წ ი ო კ ე ბ ე ლ ს არა ჰგავხარ“ (I, 344, 37); „მ ო რ თ უ ლ-მ ო კ ა ზ მ უ ლ ი თავქვე მოუქცევია“ (I, 385, 16); „ბრძოლაში გამობრძმე დი ლ-გ ა მ ო ჯ ე ჯ ი ლ მ ა მანმუტ-ბიომ შენიშნა“ (I, 421, 27).

ფართოდ შეგნებულად ცდილობს ახალი სიტყვები აწარმოოს. ვფიქრობთ, მწერლის ამ ნისწრაფებას ვარკვეული სტილური ფუნქცია აქვს. რთული სიტყვების ხმარებით იგი ფრაზას კი არ ტვირთავს, არამედ უფრო ლაკონიურსა და მოჭინაოს ხდის მას:

„ყოველგვარ ა ლ ი ა ნ ჩ ა ლ ი ა ნ ს აგვაცდინოს“ (I, 343, 2); „გ რ ე ხ ი ლ-შ ე მ ო ე ლ ე ბ უ ლ ი მოკლე ტანსამოსი რომ აცეიათ“ (I, 423, 14); „ასეთი ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ე ბ ა არ უნახავს კაცს“ (I, 345, 35); „ამართულია თ ა ვ წ ო წ ლ ო კ ი ნ ა შენობა“ (I, 420, 36); „ისეთი ჭაობები და პ ა პ ა ნ წ ყ ე ი ლ ი ა“ (I, 359, 30); „მეკი, ს ი ბ ე რ ე გ ა ძ ა ლ ე ბ უ ლ ი, საფლავში უნდა ჩავიდე“ (I, 353, 25); „დამისხი ის ძ ი რ კ უ რ თ ხ ე უ ლ ის მონასხამი“ (I, 339, 26).

უიარაღს ენობრივი სტილის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ, გარდა

(ცალკეული მეგრული ლექსიკური ერთეულებსა, იგი ხშირად მეგრული წარმოების კომპოზიტებს ხმარობს. მაგალითად: „ბადიღ-კაცს ფეხზე ზაწარს მოაბამს“ (I, 343, 29) „ბადიღი“ პოსტპოზიციური წყობის კომპოზიტია (არსებითი-ზედაართავი) და არსებითი სახელს მთელი მარცვლა დაკარგული. „ბადიღი“ — „ბაბა დიღი“, „ბადიღ-კაცი“ — ნოსტრუ კაცი, ხანდაზმული.

უიარაღო და მის ნაწარმოებში გამოყვანილი გმირები უმეტესად სამეგრელოდან არიან. მხატვრული სურათების უმრავლესობა სამეგრელოს ყოფაცხოვრებას ეხება. ამიტომაც მასში მეგრული ლექსიკური ერთეულებს ხმარება შეეჩვევითი არ არის. ისინი მწერალს ეხმარებიან ადგილობრივი კოლორიტის გადმოცემაში, რის საშუალებითაც ავტორი ახერხებს შთაბეჭდილებას გაძლიერებას და ამით გარკვეულ მხატვრულ ეფექტს აღწევს.

ადამიანის დამოკიდებულება საგნობაში შეიძლება გამოისახოს რამდენიმე ხერხით: 1. ლექსიკური, როცა მოცემული სიტყვა თვითონ ასახელებს დამოკიდებულებას (სასაცილო, სამწუხარო და სხვა), ან როცა სიტყვა გამოიყენება გაღატანითი მნიშვნელობით (ბედოვლათი); 2. ინტონაციურ-აინტაქტურით, როდესაც სიტუაციიდან გამომდინარე სიტყვა იწყებს ფუნქციონირებას განსაკუთრებული ინტონაციური შეფერვლობით („ააა და ააა, არ მოდის, აააო. ბედი, — ნაღვლიანად მიუგო უჯაროსმა“ (II, 302); 3. განსაკუთრებულ სიტყვათა ჯგუფით — შორისდებულებით; 4. მორფოლოგიურით, როცა სიტყვა გამოხატავს არა დამოკიდებულებას, არამედ საგანს.

სტილური ფუნქცია აქისრია სიტყვაწარმოებითს აფიქსებს. კერძოდ „ა“, „უკ“, „იკ“ სუფიქსებს. ამ მორფოლოგიური საშუალებით მწერალი კლასობრივ განსხვავებაზე მიუთითებს, ან ნაწარმოების ამა თუ იმ გმირისადმი თავის სიმპათია-ანტიპათიას ამჟღავნებს. ამკარად ჩანს „დამოკიდებულება მთქმელისა ობიექტისადმი. სიტყვას (ნიშანს) ახლავს ის გრძნობითი იერი, რომელსაც იწვევს საგანი (აღსანიშნი)“<sup>24</sup>. მაგალითად:

„ი ვ ა კ ი ა, გაეჩქარე წისქვილში“ (I, 239, 22) (ივკია-მოჯამაგირეა); „გადევიდე იმ ჩერჩეტ ფიღუას“ (I, 498, 12); „მოსეია, ოსეია და გარსევანა ზედიზედ გაკატრდნენ“ (II, 25, 7); „ჩვენ კინტირია ვაჟარს სიმინდი მოუტანე“ (II, 23, 29); „ჩვენც გვერდის წილი სიკოია და გატინიას ჭინაზე“. (II, 237, 1); „წისქვილში დარჩნენ მაძინია, მოხუცი გოძია, შვეწვერა კოხთაია, ნაბდის ქუდიანი თემა, რომელსაც შეტახელად კუდას ეძახდნენ“ (II, 14—23); „კუთხეში ბასილიკა, გვარად ჭაბია იჭა“ (II, 530, 13); „ბერუკას მეუღლე მარუკა“ (I, 40, 7); „საბრალო მერაბიკა ფირტვიას შვილი (II, 123, 3); „ვანიკოს ისე გრძნობიერად დაკაშკაშებს ცოლი“ (II, 546, 3).

შდრ: „თამადად ჩვენი თავადი ოთარი არჩიეს“ (I, 446, 32); მიხა ფარქანიძე... მოშორებით ცხოვრობდა (II, 459, 33); „სულ სუთი ძმა იყო, როსტომი, ირაკლი, პავლე, გელა და ბართლომე“ (II, 63, 24).

„გრძნობის შეშეცნების პროცესი აუცილებლად ეარუდობს მას აღნიშვნულს, მის სახელწოდებას, შესაბამისი სიტყვით. ნებისადაც ამ შეშეცნევაში შეიძლება განცდილი გრძნობა შეიმეცნოს“<sup>25</sup>.

<sup>24</sup> არნ. ჩიკობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945, გვ. 173.

<sup>25</sup> П. М. Якобсон, Психология, Москва, 1956, გვ. 41.

მწერალი დახასიათების ერთ-ერთ საშუალებად იყენებს მოქმედ პირთა სახელებსა და გვარებს. ე. წ. „მეტყველი გვარების“ ხმარება იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული იყო. ასეთი გვარები და სახელები პერსონაჟის სულიერ თვისებაზე მიუთითებენ ან მათი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობენ. მათ მიეძღოა აშკარაა — მოქმედი პირი დადებითია თუ უარყოფითი, თანუგრძობის ავტორი ნას, თუ კიცხავს.

ნაგალითად: „ნიკოია თოხიტარია ს შვილია“ (II, 12, 33) (ნიკოია დღენიადავ თოხით მიწას დასტრიალებდა, ამიტომაც შეარქვა ავტორმა მას თოხიტარია); „ვისთვის გინდა გეკათხა მღვდელი ივანე ქარბავა“ (I, 446, 9) (მღვდელი ივანე ქრთამად ფულს ბლომად იღებდა, აქედან გვარიც ქარბავა). „თანაფია წამხთარაძის კახბა ცოლს რომ უკან მისდევდა“ (II, 150, 21); „ის ცხენი თავად იოსებ ბაქიბუქაძეს არ მიჰყიდეთ“ (I, 450, 38); „თავადი გიორგი ჭორიშვილის ... დაახლოებული პირი“ (I, 376, 20); „ახნაური პავლე რომანოვის ძე უდიერაშვილი იყო“ (II, 181, 17); „ბატონმა მიჰყიდა როსტომ მძებრაძეს“ (II, 9, 35) და სხვა.

„გამოგონილი გვარები... თავისთავად პირობითი მეტსახელებია, მაგრამ უაღრესად ექსპრესიული ძალისა და ემოციური ზემოქმედების მქონე. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ მეტსახელებს თითქმის ნატურალისტური საწყისიც ედება საფუძვლად, მაგრამ სინამდვილის მოვლენათა წარმოდგენასა და დახასიათებას იგი ყველაზე უფრო მძაფრად და რეალისტურად ემსახურება, გარკვეული კონტექსტის სემანტიკურ ძალას განსაკუთრებით აღიღებს“<sup>26</sup>.

დიდი ხანია ნაწარმოებთა სათაურმა მიიპყრო ენათმეცნიერთა ყურადღება სტრუქტურულ-ფუნქციური თვალსაზრისით. სათაური, ისევე როგორც სინამდვილის ყოველი მოვლენა, წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას. იგი ორგანულად „შედის ნაწარმოების (წიგნის, ციკლის) მხატვრულ სტრუქტურაში“<sup>27</sup>.

სათაურის სამ ფუნქციას გამოყოფენ: ნომინატიურს, რეკლამურსა და ინფორმაციულს<sup>28</sup>. ნომინატიურის დანიშნულება არის ნაწარმოებში დასახელება, რაას ერთი ნაწარმოებო განსხვავებულ იქნეს მეორისაგან. იგი ფორმით ნომინატიურია და მცირე. რადგან, ერთი ნაწარმოები რომ მეორისაგან განვასხვოთ. საკმარისია პატარა ნიშან-თვისებაც კი. მაგრამ, ამასთანავე, სათაურმა მკითხველში უნდა აღძვრას გარკვეული ინტერესი, განწყობა, სურვილი გაეცნოს ნაწარმოებს. წიგნს. სათაურის ორიგინალური ფორმა იქვეყნს მკითხველის ყურადღებას. სწორედ ეს არის მისი რეკლამური ფუნქციის არსი: დაინტერესოს მკითხველი, მიიპყროს მისი ყურადღება.

სათაურის ინფორმაციული ფუნქციის მიზანია მოგვაწოდოს ინფორმაცია ნაწარმოების შინაარსზე. სათაური გვევლინება ერთგვარ მეკავშირედ წიგნის, ნაწარმოების შინაარსსა და მკითხველს შორის.

უიარაღო თხზულებებში ვხვდებით მხოლოდ მარტივ სათაურებს — მათ მარტივი წინადადების სახე აქვთ. მიუხედავად ამ სათაურების ერთი შეხედვით

<sup>26</sup> ივ. ქავთარაძე, ევ. ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები. „მნათობი“, 1959, № 7. გვ. 138.

<sup>27</sup> Э. Магазаник. Поэтика заглавия и оглавления, „Материалы XXIII научной конференции СамГУ“, Самарканд, 1966, гл. 14.

<sup>28</sup> А. С. Попова. Синтаксическая структура современных газетных заглавий. сб.: „Развитие синтаксиса современного русского языка“, Москва, 1966.

სტრუქტურული უსრულობისა, ისინი ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად, ზედმიწევნით გადმოსცემენ ნაწარმოებთა ძირითად აზრს, არა გვაქვს არავითარი ინფორმაციული უსრულობა.

მაგალითად, უიარაღოს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ყველაზე დიდ მხატვრულ ნაწარმოებში, რომანში „მაძიებელნი“ გადმოცემულია თავადაზნაურობის წოდების დამამტკიცებელი საბუთის ძიება. თავისი წოდების დამამტკიცებელი საბუთების მაძიებელნი არიან აზნაური ბასილ მძებრაძე და მისი მოგვარენი, რომელთაც ოდესღაც დადიანისაგან მოცემული სიგელი დაქვარავიან და ვერც ერთი თანამოგვარის ოჯახში ვერ აღმოუჩენიათ.

რომანის სათაური „მაძიებელნი“ ხაზგასმით გვაძლევს ინფორმაციას ნაწარმოების შინაარსზე. მისი სიუჟეტის მთავარი ლერძი ხომ „კეთილშობილთა წოდების“ დამადასტურებელი საბუთის ძიებაა. ე. ი. ამ შემთხვევაში სათაური ერთგვარად მოქმედების დინამიკას გვიჩვენებს და სინამდვილის არსებით ნაშანაყვამ გამოკვეთილად წარმოგვისახავს, ამასთან იგი არც სიტყვად და სინტაქსითაა მოკლებული.

იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა ნაწარმოებთა სათაურების მიმართ, როგორცაა: „მშვიდობით“, „ჩემი რა ბრალია“, „უსიამოვნო შეხვედრა“, „იმასაც შეეშინდა“, „დრუნჩას სიზმარი“, „ლამაზია“, „გაცრუებული იმედი“ და სხვა. მათში განსაკუთრებული შინაარსობრივი დატვირთვა იგრძნობა — ისინი ნაწარმოების ძირითად თემატიკურ რკალზე მიუთითებენ.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ უიარაღოს ნაწარმოებთა სათაურს ზოგჯერ არსებითი კავშირი აქვს ნაწარმოების დასაბრუნებლად. სწორედ ამის მიხედვით უფრო ნათელი ხდება მწერლის მხატვრული ტენდენცია, მისი იდეური განზრახვა და მიზანდასახულობა.

ამ თვალსაზრისით უიარაღოს ნაწარმოებთა შესწავლამ შემდეგი სურათი მოგვცა: მწერალი ნაწარმოებს ზოგჯერ ამთავრებს სათაურითვე, სიტყვასიტყვით, იმეორებს ან უმნიშვნელოდ ცვლის მას. ამით იგი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს სათაურის შინაარსობრივ დატვირთვას, მაქსიმალური ძალით ავლენს მის მხატვრულ ფუნქციას. ამასთანავე სათაურით ნაწარმოების დასრულება თვალსაჩინოდ ამოლანებებს მას კომპოზიციურად და ამთავრებს მოქმედების ძირითად ნაკადს. ამ გამეორების მხატვრული ფუნქცია და ქმედითი ძალაც ესაა.

მოთხრობაში „მშვიდობით“ გადმოცემულია ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელი სამეგრელოს ვითარება, თავადაზნაურთა ეკონომიურად დაქვეითების მიზეზები. მათი დიფერენცირება და სხვა. ნაწარმოები მთავრდება შემდეგნაირად: „დაიგრილა თოფმა. კაენამ რეტიანოვით გაახილა თვალები, მოიკრიბა ძალა და ცოტათი წამოიწია, — მშვიდობით, ბუხუ, მემართა აზნავს, მაგრამ ის უკვე გათავებულიყო (I. 142).

მეორე მოთხრობაში „ჩემი რა ბრალია!“ დახატულია ცხოვრებისაგან გაძარცვულ-გაძვალტყავებული ახალგაზრდა გლეხის ტრაგიკული მდგომარეობა. მოთხრობას მწერალი ასე ამთავრებს: „ზურაბამ არ იცოდა სად იყო ამ წუთში. ქოჩორიდან ფეხებამდე ყველაფერი უზრიალებდა, ამ წუთში ყველაფერი არეულად ეჩვენებოდა. მოაგონდა ერთხელ ქორწილში, დაირის დაკვრაში როგორ აჯობა ყველას, მოაგონდა ბიძის ნათქვამიც — ჩემი რა ბრალია, შვილო. მაშინვეს არაფერი დარჩენიაო. მოაგონდა აგრეთვე პროპოზიცი: — ჩემი რა ბრალია. ძმაო, მე ნაბრძანები მაქვსო. ჩემი

რალა ბრალია, მე რომ ღარიბი ვარ?“ — მაშ ვისი ბრალია, — ხმამალა წარმოთქვა ეს ბოლო სიტყვები და ცრემლმორეული ტახტზე დაეშვა“ (I 152).

მოთხრობა „უსიამოვნო შეხვედრა“ ასე მთავრდება: „ქალბატონმა ისევ გამოაჩინა ბრილიანტინი ხელი და გულგრილად ჩაიტრინა: მარია ივანოვნას ახალ ამბავს მაინც ვეტყვი, უსიამოვნო შეხვედრაა, უსიამოვნო“ (I, 184).

უიარაღოს მოთხრობათა ამ მხარის გათვალისწინებით კიდევ უფრო ნათელი ხდება მისი სტილის თავისებურება. სხვა ნაწარმოებთა დასასრულს მწერალი ვითარების დახასიათებას იძლევა ისე, რომ საგანგებოდ იკავებს თავს მისი შეფასებისაგან. ასეთ თხზულებებში შეიძლება დაგვესახელებინა: „ჩაიზე“, „რაბი იშუ“, „რეაქცია“, „შოლტი“, „მეფე“, „პროტექცია“, „ფარსევლები“, „პირუთვნელი დაფასება“, „უდაბნოში“, „შიში“, „გაცრუებული იმედი“, „მოაზროვნე ტრილობიტი“ და სხვ.

მასასაღამე, უიარაღოს თხზულებებში შემჩნეული ენობრივ-სტილისტური თავისებურებანი განპირობებულია ნაწარმოების თემით და მისადმი ავტორის მიდგომით, ავტორის კონკრეტული მიზანდასახულობით. ამ მიზნით მწერალი ხშირად იყენებს არქაულ ფორმებსა და დიალექტოზმებს. მათი სიუხვე კი უიარაღოს ენისა და სტილის ერთ-ერთ თავისებურებას ქმნის.

გრამატიკული საშუალებებიდან სტილური ფუნქცია აკისრიათ ემფატიკურ „ა“-ს, რთული სიტყვების — კომპოზიტების ხშირად ხმარებას, სიტყვაწარმოებით აფიქსებს.

პერსონაჟთა დახასიათების ერთ-ერთ საშუალებად გამოყენებულია მოქმედ პირთა გვარ-სახელები და ნაწარმოებთა სათაურებიც კი.

ყველა ისინი მწერალს ეხმარება შექმნას გარემომტყველი სინამდვილისა და ეპოქის შესაბამისი კოლორიტი. ჩამოაყალიბოს მხატვრულ სახეთა მთელი წყება და პერსონაჟთა ტიპიზაციითა და ინდივიდუალიზაციით მიაღწიოს გარკვეულ მხატვრულ ეფექტს.

В. К. АХАЛАЯ

## СТИЛИСТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ СОЧИНЕНИЙ УИАРАГО

Резюме

В сочинениях Уиараго (Кондрате Татаришвили, 1872—1929 гг.) языковые явления, языко-стилистические различия разъясняют тему произведения и отношение к нему автора.

С этой целью использованы архаичные формы и диалектизмы, избитые которых составляет одну из особенностей языка и стиля Уиараго. Из грамматических средств стилистическую функцию выполняют эмфатическая «а», частое употребление сложных слов-композиций, словообразующие аффиксы. Одним из способов характеристики персонажей являются их имена и фамилии, а также заглавия, которые иногда имеют непосредственную связь с концовкой сочинений.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

## რუსულან კუსრაშვილი

## ღამით გურამიშვილის ენის თავისებურებანი

მე-13 საუკუნის დიღმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა თავისი უკვდავი ნაწარმოებებით ბევრი რამ ახალი შესძინა და დაუშკვიდრა ქართულ ლიტერატურას და სამართლიანადაც დაიმსახურა ნოვატორის სახელი. დ. გურამიშვილი ერთ-ერთი პირველი პოეტია, რომელმაც ჩვენს პოეზიაში რუსთველური ლექსის გვერდით საფუძველი ჩაუყარა ლექსის ახალ წყობას (5, 6, 7, 11, 12, 16 მარცვლიან ლექსს) და გააბატონა იგი<sup>1</sup>. მან ქართულ ლიტერატურაში პირველმა გაუსხნა გზა ავტობიოგრაფიულ თემატიკას. დ. გურამიშვილმა ქართულ მწერლობაში შემოიყვანა გლეხი და ნწყემსი, რომლებიც შემდეგ ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირებად იქცნენ.

დ. გურამიშვილი მარტო ლიტერატურული თვალსაზრისით როდია ნოვატორი. მას არანაკლებ დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ენის განვითარებაშიც. მან პირველმა მოამზადა ნიადაგი ჩვენს მწერლობაში ხალხური მეტყველების საბოლოო განმტკიცებისათვის. დ. გურამიშვილის ენა ნამდვილი ხალხური ენაა. „მის შემოქმედებას აღუბეჭდავს ხალხური სიბრძნის სიღრმე და ხალხური მეტყველების სისადავე... გურამიშვილმა ლიტერატურაში განამტკიცა ქართული კილო... ქართული ხალხური ენა უდევს საფუძვლად გურამიშვილის სალიტერატურო ენას“<sup>2</sup>. ამიტომაც არის, რომ დ. გურამიშვილი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის მეტი ნაწილი სამშობლოს გარეთ, უცხო ნხარეს გაატარა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ მამამთავრად ითვლება.

ბუნებრივია, „ღავითიანის“ ლექსიკაც ხალხური ფონდიდან არის ასე გამდიდრებული და გამრავალფეროვნებული, რის გამოც, მიუხედავად ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჯერ კიდევ ძლიერი გავლენისა, დ. გურამიშვილის ენა მაინც ყველასთვის გასაგები და ახლობელია, სასიამოვნოა თავისი პარამონიულობითა და მუსიკალობით.

როცა პოეტის ენის ხალხურობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ეს ხალხურობა პირველყოვლისა მისი პოეზიის ლექსიკაში ელენდება. მართლაც, „ღავითიანში“ ხალხური გრამატიკული ფორმების გარდა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) უხედავ არის წარმოდგენილი სოფლის ყოდისა და მეურნეობის ამსახველი სიტყვები და ტერმინები (ჭირნახული, მჭადი, ურემი, ქერი, ბაღია, ფეტვი, პანტა, ხნავს, მკის, საბძელი, ვენახი, ქვევრი, ბადაგი, მეცხვარე, მენახირე, სახრე, ხელსაფქვალი...). ხალხური მეტყველებიდან უნდა იყოს შემოსული ისეთი სიტყვები, როგორცაა: შოლტი, უთო, ხინკალი, გლახა, მყარალი, ხვრინავს, დაღინდილებს, ჭიანი, უცხუნა, როტავს და სხვა.

აღსანიშნავია ფრინველებისა და ცხოველების აღმნიშვნელი სახელების უხვი ხმარება: ძროხა, ფური, ჭედლა, ვირი, სახელარი, იხვი, ბატი, დედალი, მამალი, კრუხი, ჩხიკვი, ხუნდი... და კიდევ მრავალი მსგავსი.

დ. გურამიშვილის ენა სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მასში ამ ხალხურობის გვერდით ჯერ კიდევ ბატონობს არჩეული, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სიტყვები ასევე არანაკლები სიუხვით: უვის, სიყმილი, ძალ-უძს, მიიქვა, მიულო, ჟერ-არს, მუცლად-ღება; იფქლი, საესავო, თნევა, განრინება, სახმილი, უღებო, უნა.

დამახასიათებელია ზოგი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით ხმარება: აგარაკი (ნადაგი), ცხოველი (ცოცხალი), ნიკი (მადლი, საჩუქარი), წრფელი (სწორი), თარგმნა (განმარტა), წიგნი (წერილი), შეცნეირი (მცოდნე), მცნე-ბა (ჭკუის დარიგება), ნობათი (დარაჯი) და ა. შ. ხოლო ზოგ სიტყვას პოეტი ძველი მნიშვნელობითაც ხმარობს და ახალი მნიშვნელობითაც: საყდარი (ტანკი და ეკლესია), ქვეყანა (მიწა და ქვეყანა), ხუცესი (მოხუცი და სასულიერო პირი), სოფელი (წუთისოფელი და სოფელი).

„დავითიანის“ ენის სიმდიდრეს ხელს უწყობს ხინონიშთა დიდი მრავალფეროვნება: ხარბი, ანგარი, გაუძლომელი, უძღები; სახედარი, ვირი, ყროყინა; თრთოლა, ბაბანი, წანწარი, ძრწოლა, კანკალი, ცახცახი, კრკის; ქშენა, სუნთქვა, ფშინევა; ქურდი, მპარავი; გაქურდვა, გაცარცვა, პარვა; ორსული, მუცლად-მღებელი, მუცელ-ქმნული და ა. შ.

თვალში საცემია კომპოზიციების სიჭარბეც (მათი რიცხვი 600-ზე მეტია), რომელთაგან გურამიშვილის მიერ შექმნილად უნდა ვივარაუდოთ: ოფლ-დანასხამი, სახლ-სამკვიდრო-დაკარგული, ვაჟ-ქალობა, მოღუქან-მობაზარობენ, თავ-ხვითქებული, ნიავ-ჩრდილობა, მახუმრ-მაიასხრო, მაცინ-მატირო, ლურს-მან-კეერ-გაზ-მარწუხები, ტახტ-საყდარ-დასაჯლომელი, გულ-ღვიძლ-დანაყული, ხანთ-დაცლილობა, ნალალატ-ნაეშმაკარი და ა. შ.

აღსანიშნავია წმინდა ქართულისათვის დამახასიათებელი გამოთქმები, რომელთაც ასე ოსტატურად იყენებს პოეტი: ფესს მოუჩქარა; ცხვირს წამედინა მმარი; ფერი ექვა; ბეწვი მწყდა; ფიცის გატეხა; გულსა ხვდა; გულზედ მომედვა ცეცხლად; თავს ვიდებ; სირცხვილი სჭრიდეთ თავებსა; არა გაქვს პირი; ამოიძროს პირში სული; პირი მისცა; პირი გატეხა; პირი შეკრეს; რა ხელი ეყრება; ხელს ნუ ახლებ; ხელი დარია; ხელმოკლეობა; რა ხელი გაქვს; ხელჩართული...

ამ მცირეოდენი მიმოხილვიდან აშკარაა, თუ რამდენად ყურადსაღები და საინტერესოა დ. გურამიშვილის ლექსიკა. რომელიც თავისთავად 6800-ზე მეტ სალექსიკონო ერთეულს ითვლის.

როდესაც ვამბობთ, დ. გურამიშვილის ენა ერთგვარი შერწყმაა ძველი, ახალი სალიტერატურო ენისა და კუთხური მეტყველებისაო, ამ მხრივ, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები პოეტის მიერ პარალელურ ფორმათა დიდი რაოდენობით გამოყენება (ეს ითქმის როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ ფორმებზე).

ჯერ თუნდაც ფონეტიკური თვალსაზრისით თუ გადავხედავთ დ. გურამიშვილის ნაწარმოებებს, ახალი ორთოგრაფიის გვერდით თვალში საცემია ძველი ასოების — კ, ტ, მ, ზ — ხმარება. მე-18 საუკუნის მწერლობაში ამ ასოების გამოყენების წესი უკვე დარღვეულია და შედარებით იშვიათად გვხვდება. ამ ასოთაგან დ. გურამიშვილთან უფრო სტაბილურია კ-არი, რითაც პოეტი განსხვავდება თავის თანამედროვე მწერლებსაგან. მათთან უმრავლეს შემთხვევაში უკვე ფხმოკიდებულია ასო ხარი (ვახტანგ VI, ბესიკი, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ II და სხვა)<sup>3</sup>. კ-სა და შემდეგ მ-ს გამძლეობას

დ. გურამიშვილის ენაში რეალური საფუძველი ჰქონდა. ეს ასოები დიდხანს შემონახა საქართველოს აღმოსავლურმა დიალექტებმა, ასევე ფერეიდულ-მაკ<sup>1</sup>, რომლის მეტყველებაში მას დღემდე შემორჩა სათანადო ბგერა. საერთოდ, დ. გურამიშვილის ენაში ფესვადგმულია გრამატიკულად ის ძველი ფორმები, რომლებსაც ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა აქვთ ხალხურ მეტყველებაში, კერძოდ, საქართველოს აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლ-ახურ, ფშავ-ხევსურულ დიალექტებში).

გვხვდება ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურად რსეთი სახეცვლილი სიტყვები, როგორცაა: მზგავსი, იმიზგან, შჰანდე, ღითხანს, ცარცვა, შამადგომა, ორჯელ, სიზრმად, ქრმის, მაგდონი, მოჰმპია, არცად, ვერცად, ძრახვა, გამოეშო, ნე უთხრა, ბძანა, რდის, ღმთის... ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ხშირად სახელების ფუძეშეუწყუმზავი ფორმით სმარება: კვლები, პირჯვარები, დაღალული, სომეხები და ა. შ.

შეიძლება ითქვას, რომ დ. გურამიშვილთან თითქმის ყველა ფონეტიკური მოვლენაა თავმოყრილი (ამ მხრივ იგი არ ჰგავს თავის თანამედროვე პოეტებს). დაეასახელებთ მათ თითო-ორთა მაგალითის მოყვანით: ანიმილაცია („ყოველი წული მშობელთა მზგავსი მზგავს ეშგავსებთან“), დისიმილაცია („ვის აქენდა ამიღბარობა“), მეტათეზისი („საქმე სკირს ბეზელბურიო“; „ნუ გსურს ქალთა ქრმობა“), სუბსტიტუცია („შეგასმენ შენის ყურებით, თუ ბანა გამოღებულა“; „ვის სიყვარული დაიპყრობს, ანიალას დაიკონებსა“); ჰგერის დაკარგვა („უფალო, უბერებელო, უკვდაო“... „არაოდეს ჯავრს არ ვიყრი“; „სარგებელს ვერას ნახაო“), ჰგერის გაჩენა-განვითარება („შუავალამ მივალს ის სიძე“; „საგრძალს წაიღებ მრავალსა“), კონტამინაცია („ჰკუფვა უხმარ არს ბრიყვთათვის“; „დავითის შრტომა ზედ გამოიბა კარგი ყურძენი“), რედუქცია („ამდენი სულის ხოციეთა რატომ არ დაილაღები“), კვეცა („ადე, ადე არ დასზარდე“; „მო, ყური მიგდე“...), აფრიკატიზაცია („არ ძალ-უც ენასა გამოთქმა ბაგითა“; „ხლვას შესეავს ნიაღვრები“).

დაბოლოს, ზოგიერთი ცალკეული სიტყვა, რომლებშიც სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის გამო სხვადასხვა ცვლილება ხდება და ამდენად ამოსავალი ფორმიდან რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი წარმოიქმნება. მაგალითად, ღმერთი გვაძლევს — სამღრთო, სამღვთო, სამღთო, ღრმთის, ღვთის, ღთის ვარიანტებს; საგზალი გვაძლევს — სამგალის, საგრძალის ვარიანტებს; ხტომა გვაძლევს — ზღდომა, ხტომა ვარიანტებს და სხვ. დ. გურამიშვილთან ყველა ეს ვარიანტი დასტურდება თავის ძირითად ფორმასთან ერთად.

ზენით ჩამოთვლილი თითქმის ყველა ფონეტიკური მოვლენის უმრავლესობას ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ქმნიან. ამიტომ არის დ. გურამიშვილის ენა ამ მხრივ ხალხური.

არანაკლებ საინტერესოა „დავითიანი“ მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით. ეს აშკარა ხდება ავტორის მიერ სახელისა და ზმნის უაღრესად მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით.

1. **სახელი.** საზოგადო ფუძეზმოვნიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ჩვეულებრივ ფუძის სახით იხმარება და ბრუნვის ნიშნით არ ფორმდება. ასეა დ. გურამიშვილთანაც. მაგრამ მართან უნიშნო ფუძეზმოვნიანი სახელების გვერდით სახელობით ბრუნვაში ი ბრუნვის ნიშანდართული სახელებიცაა („აქ ცხადად იქმის ყველაი დასაბამ-დასასრულისა“). ასეთი წარმოება დღე-



საც საკმაოდაა გავრცელებული ქართულსა და სხვა აღმოსავლურ დიალექტებში, რომლებშიც *o* *a*-ს სახითაც წარმოგვიდგება.

ფუძემხოვნია ნების საპირისპიროდ ფუძეთანხმოვნია ნი სახელები სალიტერატურო ქართულში მუდამ ბრუნვის ნიშანს ირთავს. დ. გურამიშვილთან ამის პარალელურად საპირისპირო ფორმებიცაა. ე. ი. ბრუნვის ნიშნის გარეშე წარმოგვიდგენს ფუძეთანხმოვნიან სახელებს (მოწყალებასა კარ შიღე, იესოს ქრისტეს მშობელი: ვეშაპ, ყოვლინი ქვემარომელი), რაც მეტ-ნაკლებად ფშავ-ხევსურული კილოსთვის არის დამახასიათებელი.

„დავითაჲნი“ სახელებს მოთხრობით ბრუნვაში ყველანაირი ფორმა ერთის (ძველი და ახალი): -მან, -შა, -მ, ამთგან ქარბობს ძველი ფორმა -მან (300-ზე მეტია): „წყეულმან, ცოქემან, მაცდურმან ფეხქვეშ ილინჯა მომიგო“.

მოქმედებით ბრუნვაში სახელები -ით დაბოლოების პარალელურად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი -ივ ფორმასაც იღებენ (შევამყო ერთი უფალი, ღვთივ ზეციით ქვეყნად მკობელი).

ასევე ვითარებითი ბრუნვის საწარმოებლად პოეტი იყენებს ყოველნაირ ნიშანს; -ად, დიალექტურ -ათ; მათ გამარტივებული სახეს -ა-ს და არქაულ -ავ-ს („ქმარმან... კარგად ნასუქარი დაკლა ფურბერწი“; „კუროს მიაართმევს... ვერრულს კარგათ ნასუქარს“; „რაც მათ უნდოდათ, ვერა ქმნეს კარგა“; „რა მოვიდა, ფიცხლავ მოსცა, გაიკეთა მუნ საფარი“).

ზოგჯერ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას მიცემითში დასმული სახელიც ასრულებს, რაც ამ ბრუნვით ისტორიულ ურთიერთობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფორმით გურამიშვილი მხოლოდ მშას სიტყვას ხმარობს, რის ანალოგიური შემთხვევა დღესაც დასტურდება ხევსურულში: „მშას არს ტურა და მელია“; მის პარალელურად გვხვდება: „აგერ სიკვდილი როგორ მშად გვიდგას ხრამალამოწვდილი“. „მე დღეს მშათა ვარ“.

წოდებით ბრუნვაშიც ხშირია პარალელური ფორმები: „ძევ, რად გამხადე ოხრადა“; „ძეო, შენს თავსა მნატრიდენ“.

საინტერესოა დ. გურამიშვილთან საკუთარ სახელთა ბრუნვაც. ძველი ქართულისა და მთის ზოგი დიალექტის მსგავსად პოეტი ძალიან ხშირად საკუთარ სახელებს სახელობით და მოთხრობით ბრუნვაში ფუძით წარმოგვიდგენს ყოველგვარი ბრუნვის ნიშნის გარეშე: „ერთ დღეს თამაზ-ხან თავის ჯარს მიუძღვა ასე ფერხითა“: „დავით რომ კარგად მასწავლა, მე იგი რასთვის მენასა“. თუმცა მათ გვერდით გვხვდება წოდებით ბრუნვაში დასმული საკუთარი სახელები, რომლებსაც, წესით, ბრუნვის ნიშანი არ უნდა ჰქონდეთ: „დავითს, დავითო, მიხამდა ვითო“; თომავ, დავით მეო, ამ წიგნს მოგართმეო“.

სალიტერატურო ქართულში, ჩვეულებრივ, არის სახელთა ერთი ჩგუფი. რომელსაც მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება. გურამიშვილთანაც გვაქვს ასეთი სიტყვები, მაგრამ მას ხშირად უყვარს მათი მრავლობით რიცხვში წარმოდგენა, რის შემდეგაც იღებს ასეთ ფორმებს: სეტყვები, ბედები, ვერები, პირჯვარები, ძილები, შიშები, კვლები, ძალები და სხვ. „მათაც კარგი ქმნეს ვერები“; „სიკვდილო... ნეტა რაში გაქს ძალები“; „აგებ გვეღირსოს ძილები“...

ამ მაგალითებში მრავლობითი რიცხვის წარმოება უფრო ხელოვნურია და რითმის დაუროველობის მიზეზით უნდა ავხსნათ („თუმც იყენენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები“).

მეტად საინტერესო სურათს იძლევა თანდებულთა მრავალფეროვნება.

„დავითიანში“ თანდებულის თითქმის ყოველწლიური სახე იყრის თავს. აქ განსაკუთრებით შეეჩერდებით ისეთ ფორმებზე, რომლებიც გამოირჩევა თავისი სიჭარბით ან თავისებურებით. ამ მხრივ, მართლაც, თვალში საცემია ახლანდელი ზე- თანდებულის ყველანაირი ფორმა, თავისი ხმარების წესებით: -ზე-დან, -ზედა, -ზედ, -ზე, ეს არის ის საფეხურები, რომლებიც ისტორიულად განვლილ ზე თანდებულმა. ამ თანდებულის ყველა ეს საფეხური დასტურდება „დავითიანშიც“, სახელთან დაუკავშირებლად (ძველი ვითარება) და სახელთან დაკავშირებულად (უკვე ახალი ვითარება): „წყებლასა ზედან ჯდომანი მიემზავსების ცხენოსანს“; „მაზედან გაბასრულისა“; „ძეს, მიკრულს ჭვარსა ზედაო“; „ავაზაკზედა გამცვალეს, ჰარაბა მათ ირჩესო“; „მისგან დარწყმული მახენი თავსა ზე გარდმომებადა“; „პეტრე პირველი ცხებული... რუსეთზე გადამწვარია“.

-ზედან ფორმა სალიტერატურო ქართულში გვხვდება საშუალო საუკუნეებიდან მე-19 საუკუნემდე. დღეს იგი მხოლოდ ზოგ კილოსლა შემორჩა. -ზე თანდებულის ყველა ეს ვარიანტი მე-18 საუკუნის მწერლობისათვის ცნობილია, მაგრამ ყველაზე სრულყოფილად მაინც დ. გურამიშვილი იყენებს (მათგან უფრო დიდი რაოდენობითაა -ზე თანდებული).

-ში თანდებულიც თავისი განვითარების ყველა საფეხურით უკლებლად არის წარმოდგენილი „დავითიანში“: -შინა, -შინ, -შიგან, -შიგა, -შიგ, -ში. ამათგან აქ უკვე ყველაზე ახალი -ში თანდებული ქარბობს. ეს თანდებულები სახელისაგან ხან დამოუკიდებლად იხმარება, ხან სახელს ზედ ერთვის: „თავი დაელუნე, უკუ-ვისძვერ შამბნარსა შინა ბურვილსა“; „სჯობს ბოლოს შინ დგომა“; „მალდებურხის ციხეშიგან დაძსვა კარებ-დანაკლეთი“; „ღმერთო... ჯოჯობეთშიგა ჩამაგდე“; „ვერას ვხედავ მაგაშიგ აეს“; „სახლში დამხვდა მე არაეინ“.

-ში თანდებულის ვარიანტები მე-18 საუკუნის მწერლობაში ცნობილი ფორმებია, მაგრამ არც ერთ მწერალსა თუ პოეტს ასეთი სრული სახით არა აქვს წარმოდგენილი, როგორც ეს „დავითიანშია“.

ზემთ მოყვანილ მაგალითებში -ში თანდებულიანი სახელები სადაობაზე მიუთითებს. ეს ქართულისათვის შედარებით ახალი მოვლენაა (ე. ი. თანდებულიანი მიცემითის ხმარება). ძველად ეს ფუნქცია ჩვეულებრივ მიცემითს ეკისრებოდა. ეს სიძველეს ასახულია „დავითიანში“, თუმცა ამის მაგალითები შედარებით მცირეა: „ჭირს მყოფი ლხინში შესული შვებად მიითვლი ვნებასა“; „მეფე მოსკოხ ჩამოვიდა“; „ჩაძერა ქვესკნეთს ზამთარი“ და სხვა.

-კენ თანდებული საინტერესოა იმით, რომ მის პარალელურად გვხვდება მისსავე დიალექტიური ფორმები -კე, -ყენა, -ყენ. დ. გურამიშვილი მათ არც თუ ისე ხშირად ხმარობს, მაგრამ რომ იცნობდა, ფაქტია: „რუსეთისაკე გავზავნის, იმოკლებ გრძელთა ბილებსა“; „შეშინდათ, დასამალად მირბიოდნენ შამბთაყენა“; „ნუ ეშურები ფეხთა უკეთურათაყე რბენასა“... ეს თანდებულები ახასიათებს გარეკახეთს, ფერეიდნულს, ხევსურულსა და მოხევეურს (ფერეიდნულში -ყე, -გან თანდებულის მნიშვნელობითაც იხმარება)<sup>8</sup>. დ. გურამიშვილთან ჩვეულებრივია -კენ, თუმცა მის ფუნქციას ზოგჯერ -და თანდებულიც ასრულებს: „დედოფალი, მეუფის დედა... ქვეყნით ზეცად აღმოვალს თქვენდა“. -და თანდებული ძველი ქართულიდანაა შემორჩენილი და -თან თანდებულის ფუნქციაც ეკისრება: „მოიხსენე, უფალო, სჯად შენდა მოსული დავით გურამის-შვილის უბადრუკი სული“.

მეტად ხალხურ იერს აძლევს დ. გურამიშვილის ენას -თვის თანდებულის პარალელური დიალექტური ფორმები -თვის და -თვი: „მზისათვის თავი ვახელო“; „დასთვი შენ შენთვი ესო“... რაც საკმაო რაოდენობით არის „დავითიანში“.

„დავითიანში“, როგორც წესი, გვხვდება რასათვის ან რასთვის სიტყვები რისათვის ან რისთვის სიტყვების ნაცვლად. ეს ფორმები მე-18 საუკუნის მწერლობისათვის კარგად ცნობილი ფორმებია (დღეს იგი ფერეიდნულში შემოინახება). ძველი ქართულისთვის უცნობია რასათვის და რასთვის. არის რაისთვის (აქედან არის მიღებული რასთვის ნათესაობით ბრუნვის მ- მ-ს ჩავარდნით). სამეცნიერო ლიტერატურაში რასთვის ფორმა კონტამინირებულ ფორმად არის მიჩნეული. რომელიც მიიღება რისთვის და რატომ-ის შერწყმით<sup>7</sup>.

-გან თანდებული „დავითიანში“ იმით არის საინტერესო, რომ პოეტი მას მუდამ ძველი ფორმით ხმარობს მოქმედებით ბრუნვის ნიშანთან ერთად (ითგან): „მალთიგან ნახა. სირბილით კიბეზე კაცი ახტოდა“: ორად-ორი შემთხვევაა, სადაც -იღგან ფორმა დასტურდება: „თავს თავიღგან გაუფრთხილდი“; „რაც სომეზობა თავიღგან, ბოლო-ვამ ისევე წამერთო“. რაც შეეხება ამ თანდებულს ბოლო საფეხურს (-ითგან-იღგან-იღან), ე. ი. ახალ -ღან თანდებულს, იგი დ. გურამიშვილისათვის უცხოა. იგივე არ ითქმის მის თანამედროვე პოეტებისა და მწერლების შესახებ. -ღან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მათ ენაში. საერთოდ კი იმდროისათვის დამახასიათებელი იყო -ითგან ფორმა.

დ. გურამიშვილის ენისთვის მოქმედებით ბრუნვასთან დამახასიათებელია -ღამ თანდებული, რაც მხოლოდ აღმოსავლური დიალექტების კუთვნილებად ითვლება. თანდებულის ეს ფორმა ყალიბდება საშუალო ქართულში და მიღებულია -ღაღმა||-ღაღმე ზმნისართისაგან, რომელმაც განვითარების შემდეგ საფეხურები გაიარა: -ღაღმა||-ღაღმე; ღამა||-ღამე, -ღამ<sup>8</sup>. დ. გურამიშვილთან იხმარება -ღაღმე, -ღამე, -ღამ თანდებულები. ამათგან კარბობს ახალი -ღამ ფორმა (იგი 130-მდე გვხვდება), დანარჩენი კი თითო-ორილამა: -დავითის ძევ, დავით მისხენ მე აქაღაღმეო“; „თერგიღამე სოლალს წაველ, სოლაღიღამ აშტარახანსა“. მე-18 საუკუნის მწერლობაში და ხალხურ მეტყველებაშიც -ღამ არის გავრცელებული. იგი ყველასათვის ცნობილია. -ღაღმეს კი გურამიშვილის გარდა თეიმურაზ II-ც იყენებს.

ზემოთ ხსენებულ თანდებულების გარდა „დავითიანში“ არანაკლები სიუხვით გვხვდება -მღე||-მღის, -ვით, -ვებრ, -გამო თანდებულები, რომელზედაც აღარ შევჩერდებით, რადგანაც მათი ხმარება ჩვეულებრივია.

ნაცვალსახელებიდან აღსანიშნავია ახალი, ჩვეულებრივი ფორმების (ეს ეგ, ის, იგი) პარალელურად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ეხე, ეგე, ისე ფორმები: „მოკლეა ეხე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ვრთი“; „ბრძანებთ: ეშმალი სოფელსა, ეგე რა დასამალია“; „დავიკრიფე ყოვის-ფჩხილა და ისი ესკამეო“. ახლა ეს ფორმები ქართულ დიალექტებსა და შემორჩა.

კავშირის ხმარება გურამიშვილთან იმით არის საინტერესო, რომ, რომ, მაგრამ ჩვეულებრივი კავშირების პარალელურად იხმარება რომე, მაგრამე, ფორმებიც: „რა რომე ლენო თავში შემეჩდა“; „ეგ მეც ვიცოდი, მაგრამე არ ვამოვიტხე განგება“.

რომე და მაგრამე შემთხვევით ხასიათს არ ატარებენ. რომე რომელი ფორმის გამარტივებული სახე უნდა იყოს (ძველ ქართულში რომ არ გვექონდა. მას რაიმე ენაცვლებოდა). ასევე ცნობილია, რომ რამე მიიღება რამმე (რამ+მე) ფორმისაგან. იგივე უნდა ითქვას მაგრამე-ს მიმართაც: მაგრამ კავშირი მომდინარეობს მაგრა სიტყვისაგან<sup>19</sup>. საფიქრებელია, აქაც -მე ნაწილაკია, რომელიც მაგრაში შეყვეცილი სახით წარმოგვიდგება. ამრიგად, ეს რომე და მაგრამე ფორმებიც გურამიშვილისათვის ცნობილი ფორმებია. ნაწილაკიან სახელებთან დამახასიათებელია ძველი ნაწილაკმეუ-ბირკებელი წარმოება: რასზე, ორნივე, ორსავე, დაცამლეწა, მოცაყვდინება და სხვა.

2. ზ მ ნ ა. ქართული ზმნა. როგორც ცნობილია, თავისი თავსართ-ბოლოსართებით, მასთვის დამახასიათებელი თვისებების აღმნიშვნელი ნიშნებით უაღრესად რთული და საინტერესოა. ზმნის ეს სირთულე „დავითიანში“, შეიძლება ითქვას, თითქმის სრულყოფილადაა წარმოდგენილი. ხოლო დ. გურამიშვილი აქაც ღრმად განსწავლულ პიროვნებად გვევლინება. ამის დამადასტურებელია თუნდაც ქართული ზმნისწინების ყველანაირი ფორმებით წარმოდგენა. „დავითიანში“ გვხვდება როგორც ძველი ქართულის, ისე ახალი ქართულისა და დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომელთა ზიდილში ძველი უკვე აშკარად უთმობს გზას ახალს, თუმცა ძველი მაინც საკმაოდ ფეხმოკიდებულია. ზემოთ თქმულის დასადასტურებლად საკმარისია ამ ფორმების მხოლოდ აღნუსხვა და სურათიც ნათელი იქნება (მათი ილუსტრირება ღიდ აღვიღს დაიჭერდა, ამიტომ თავს ვიკავებთ მისგან):

აღ-||ა- (აღსვლა||ასვლა), დღეს ხმარებული ა- ზმნისწინი ძველი აღ- ფორმის გამარტივებული სახეა. გურამიშვილთან აღ- 120-ჯერ გვხვდება, ა- კი 165-ჯერ.

წარ-||წა- წარვიდა||წავიდა) წარ-ძველი ფორმა 45-ჯერ, ხოლო ახალი წა- 300-ზე მეტჯერ.

შე-||შა- (შევიდა||შავიდა). შა- აღმოსავლურ დიალექტშია, გურამიშვილთან 80-მდეა ეს თანდებული. კარბობს შე- ფორმა.

შო-||შა- (მოიცა||მაიცა) შა- დიალექტური ფორმაა, რომელიც 130-ჯერ გვხვდება „დავითიანში“, თუმცა მას პოეტთა ხმარობს რთულ ზმნისწინებშიც: აშა- (ამო-), გაშა- (გამო-), ჩაშა- (ჩამო-), წაშა- (წამო-).

გან-||გა- (განმიღოს||გამიღოს). ამათგან კარბობს ახალი გა- ფორმა. მაგრამ გან- ფორმაც საკმაოდ იხმარება (193-ჯერ).

სამაგიეროდ გარლა-||გალა- ზმნისწინებიდან თითქმის სულ გარლა- ძველი ფორმაა (გარლაიქცა). გალა- კი 10-ჯერაც არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ გან-ის მსგავსად ზოგჯერ და-, ა-, ჩა-, წინდებულებასაც ნარიანი ფორმით ხმარობს პოეტი. თუმცა ეს ნ მათ ისტორიულად არ უნდა პქონდეთ. წა-ს აღბინდელი სახეა წარ-. ჩა-, როგორც ცნობილია, მომდინარეობს შედა-შდა-შმა-საგან, ე. ი. მათი წარმოშობა კანსხვევებულია გან-ისაგან. დ. გურამიშვილი დან-, ჩან-, წან- ფორმებს არცთუ იშვიათად მიმართავს (დანაკლებს, დანამარცხს, დანაყვირეს, დანამქობს, დანაბარებს, წანახუნს, წანაყენებს, წანაგებს, ჩანაწყო, ჩანაცვა, ჩანავო...), ან ვარუშობას ხაზს ეუსვამთ იმიტომ, რომ ეს ფორმები მხოლოდ დ. გურამიშვილთან არის ქართულმა ენამ იგი საერთოდ არ იცხს. რით აიხსნება ეს? ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ნარი ჩნდება მაშინ, როცა დუქვ ხმოვნია (ა-თი)

იწყება. ეს ნარი ყოველთვის ორ ხმოვნს შორის გამოჩნდება ხოლმე. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოეტს უყვარს ხმოვანთა გასაყარად თანხმოვნის ჩართვა (შეველაჲ, სრუფი, რუფით, ცხოვნება...), მაშინ, საფიქრებელია, რომ ეს ნარიც პოეტმა ხმოვანთა გასაყარად იხმარა. შეიძლება ამ შემთხვევაში გან-ის ანალოგიით (ვანგეაცდი, განვოიდო...), აქედან ის შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩან-, წან-, ჯან- ფორმებით ზმნისწინების შექმნა სუბიექტური მოვლენაა და მხოლოდ დ. გურამიშვილის ენის ნიშან-თვისებაა.

ყოველივე ამასთან ერთად საინტერესოა ისიც, რომ დ. გურამიშვილი წოგჯერ წინდებულთა ჩვეულო ფუნქციებიდან უხევეს ხოლმე და მათ სხვა, ახალ ფუნქციებს აკისრებს. უჩვეულოა, მაგალითად, მო-ს ხმარება სიტყვაში მოსავრილად, მაგრამ ყურს არ ხვდება, როცა მას ლექსში ვკითხულობთ: „მოწყვეტილა მოსავრილად წყლურზე წყალი დანახამი“ (ცხადია, მოსავრილად მოწყვეტილას ანალოგიით არის გაკეთებული). პოეტი ხშირად ანაცვლებს ერთმანეთს და-, გა-, მო-, მა-, ჩა- ზმნისწინებს, რაც ქართულ ენას არ ახასიათებს, მაგრამ დ. გურამიშვილის კალმიდან გამოსული ეს ფორმები თითქოს არც უცხოა მისთვის: „ალარა ვსტქვირა, ჩემთვის დავსჩუმი“ („დავსჩუმი“ ნაცვლად): „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“ („დასტანჯავს ნაცვლად); „პირს-შემდები არს სიკვდილი, არავეს დაფერების“ („მოფერების“ ნაცვლად). „გულში დაესკვნა საქნელად იგი პირველი წადილი“ („ჩაესკვნას“ ნაცვლად); „მკვდარს ვერ განაცოცხლებს თავს დაუვირილი“ და სხვა. თავისებურია ზოგი წინდებულის სხვაგვარი გააზრებაც: „როცა რომ მღრღელმა ჩამოილოცა, ბიჭსა და გოგოს ბძანება მოსცა“. აქ ჩამო- მოქმედების დასასრულს ნიშნავს და არა ზევიდან ქვევით მიმართულებას, რომელიც ამ წინდებულს აკისრია. მისი ანალოგიითაა მოსცა ფორმა, თუმცა იგი ხელოვნური არ არის. მართალია, სალიტერატურო ქართულმა იცის მხოლოდ მისცა ფორმა, განურჩევლად იმისა მთქმელთან არის თუ არა მესამე პირი, მაგრამ მოსცა ხალხური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი და პოეტიც ხშირად ოსტატურად სმარობს მას.

დ. გურამიშვილი შემოქმედი პოეტია იგი ქმნის ზმნის თითქმის ახალ ფორმებს ჯერ მხოლოდ ამ ზმნისწინების ახალი გააზრებით, რითაც პოეტი ალამაზებს და ორიგინალურს ხდის თავის ენას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამას დ. გურამიშვილი იყენებს არა ფორმალური მხრით, არამედ აზრობრივი თვალსაზრისით ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ამ მხრივ საინტერესოა, აგრეთვე, შე-წინდებულის ხმარებაც. პოეტი მას ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარობს მეტ შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ისე ლამაზად აკისრებს მას სხვა ფუნქციას, რომ მკითხველს ვეღარც კი წარმოუდგენია იმ წინადადებაში სხვაგვარი ფორმა: „მეთეს თვემდი მთა წყალს შესცილდა“; „ქმარი ... შესთხვის პურსა, (ყოლი) არას უგდებს ყურსა“; „ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე ვიტირე“ და სხვ. წინდებულთა ამგვარი ნიუანსებით ხმარება დ. გურამიშვილისათვის უფრო დამახასიათებელია და ჩვეულებრივი, ვიდრე სხვა რომელიმე მისი თანამედროვე მწერლისათვის.

რაც შეეხება პირის ნიშნებს, დ. გურამიშვილთან უმეტეს შემთხვევაში პირის ნიშანი ვ უ ხმოვნის წინ არ იხმარება („მე უთბრა: „მე რუსთველსა ლექსს არ უღრი“ ...), რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ დიალექტებში. როგორც ცნობილია, სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური ნესამე პირის ნიშანთა ხმარება ქართულ ზმნაში გარკვეულ კანონზომიერებას ქვეყნდება. ამ

შემთხვევაში პირის ნიშნები (პ, ს). როგორც წესი, უნდა მიუთითებდნენ მიცემით ბრუნებაში დასმულ მესამე პირის ობიექტზე და მეორე სუბიექტურ პირზე. მაგრამ იხილეთ ცნობილია, რომ ეს წესი ძველ ქართულშივე ირღვევა, რომელიც თანდათან ძლიერდება საშუალო საუკუნეებიდან მე-19 საუკუნემდე<sup>11</sup>. ხანებული პირის ნიშნების არაწესიერი ხმარების ნათელ მაგალითს იძლევა „დავითიანი“: „დავქარგე თვალთა ჩვენათა“: „შორს ველარ წაველ, უქუფსწევე“; „თბილნი ქარნი ჰბერვენ“; „კაცმან... დაჰკიდა თავი“... ასეთი არაკანონზომიერების მაგალითები დ. გურამიშვილთან, როგორც სხვასთან, ასობით დაიძებნება. წესიერი ფორმების ხმარება, რაც „დავითიანში“ დასტურდება, უფრო შემთხვევითი ხასიათისა უნდა იყოს. ამას მხარს უჭერს ზმნაში თვით პრეფიქსების არაწესიერი განლაგების შემთხვევებიც, კერძოდ, პირის ნიშნების შიგ ფუძეში ჩართვა, რაც ესოდენ თავისებურს ხდის პოეტის ენას: „მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატყვიარი არა ფაპრავს“; „შენ იმავ წავე სუყველას ნაჰხავ“; „ვინც გირჩევდეს ჩემს გაყრასა კჷარ და განაგდო“; „ვამე თუ, სულო, არ გაჰქენდეს მადლი“; „დავით რაც გჷრქვა“ და ა. შ.

დასაბრუნებელი. საინტერესოა თვით პირის ნიშნების ფონეტიკური სახეც-ვლილებანი. ს-ს პარალელურად პოეტი ხშირად იყენებს შ, ზ-ს (ეშჷამდე, შა-შჷგხა, მიზღვეს, სშჷამდნენ, ზღვენენ...), რაც „დავითიანს“ ენას ხალხურს ხდის. პირის ნიშნათა ამგვარი აღრევის მიზეზი ა. შანიძის აზრით, სალოტერატურო ენაზე დიალექტების ძლიერ გავლენაში უნდა ვეძებოთ. არ არის გამორიცხული ანტონ კათალიკოსის გრამატიკული სკოლის გავლენაც, რომლისთვისაც სავესებით გაუგებარი იყო ხანებული პრეფიქსების როლი. დ. გურამიშვილის ენაზე ამ მხრივ ანტონ კათალიკოსის სკოლის ზეგავლენა არ უნდა ჩანდეს (პოეტი სავესებით მოწყვეტილი იყო სამშობლოს). იგი ხალხური მეტყველებიდან უნდა მოდიოდეს. ხალხური მეტყველებიდან უნდა იყოს ისიც, რომ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი -ნენ სუფიქსის გვერდით „დავითიანში“ იხმარება -ენ- და ამ უკანასკნელის რიცხვითი რაოდენობა ბევრად სჭარბობს პირველს.

ასევე ლიტერატურული და დიალექტური თემის ნიშნების (-ავ||-ამ, -ებ||-ობ) კანონზომიერად ხმარების პარალელურად გურამიშვილი ზოგჯერ ისეთ ფორმებსაც იყენებს, რაც არც ძველ ქართულს მისდევს და არც ახალს: „ვაჰარი უნდა სარფისა, სამთვრალოს არა სემდესა“; „ღმერთი... არ დამადგემდა კარავსა“; „ბრმა თვალთ დიანახევდა“... (ასევე: ზედვდა, კურნევდა, უზემდა, სუნევდა და სხვ.). ამ და მსგავს ზმნებში, როგორც ჩანს. მათ ორიგინალობას ასეთი თემის ნიშნები ქმნიან. პირველ და მეორე პირის მსგავსად, მესამე პირშიც ისინი სრულ, ე. ი. შეუქუმშავ, სახეს ინარჩუნებენ. ზოგჯერ ავტორი -ეპოემის ნიშნით ხელოვნურ ფორმებს ქმნის და ამით ზმნას თავისებურ იერს აძლევს: „მაგრამ ვინ მოუსმინებდა“; „ტანთ მიჰირებენ ცხელ-ცხელ გაზებსა“: „დავითის ბაღის ხილი... მოწყენილს მოალხინებსა“.

თემის ნიშნების ხმარების ამ მოკლე მიმოხილვით ნათელია. რომ მათი გამოყენება დიდ სიჭრელეს ქმნის „დავითიანში“. იგი გამოწვეულია კუბურ-მეტყველებისა და არქაული ფორმების ხმარებით. აგრეთვე იმ ხელოვნური ფორმების სისწირითაც, რომლებსაც პოეტი რითორიკის მიზნით და რომლებიც, საერთოდ, ქართულმა არ იცის.

თავისებური წარმოებაა ზოგიერთ ზმნასთან კავშირებით მეორესა და წყვეტილში. მისი მაწარმოებლების ო-სა და ე-ს პარალელურად გვხვდება ა-ნიანი წარმოებაც (მისწრას, ვსცნათ, შევსწრა, ღარგა, დაიპყრა, და სხვ.).

ენებითი გვარის წარმოება იმით არის საინტერესო. რომ აწმყოში მესამე პირის ზმნები, უმეტეს შემთხვევაში, ძველი ფორმებით წარმოგვიდგება (დაეცარებეს, შეეკარებეს, წაერთმის, გენალღლებს...) -ის -ენ-იანი ენებითიც ნამყო ძირითად წყებაში ძველ ქართულს მისდევს მრავლობით რიცხვში (შევიყარეწით, განისწავლენით, ვიყვენთ, დაიწვენთ...).

საყურადღებოა პრეფიქსიანი ენებითის ხშირად დ-სუფიქსიანი წარმოება. ეს ტენდენცია გაცილებით უფრო მკვეთრად ვლინდება დ. გურამიშვილთან, ვიდრე მისი ეპოქის სხვა მწერლებთან (იგი კუთხური მეტყველები-სათვის არის დამახასიათებელი). ამის მაგალითები ბევრია: „შეებრალდი, გულზედ მივიქვა“; „სიკვდილო... რად არ შეგწყალოდი“; „კიღობანიცა... დადგა დაყენდა“; „იესე მეფეს მოხსენდა“; „მედ სიტყვა ღეთისა მოვლანდა“ და სხვ.

3. სიტყვაწარმოება. დ. გურამიშვილის ენის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ პოეტი სიტყვათა წარმოებაში ფართოდ იყენებს ფორმებს, რაც შეიძლება სალიტერატურო ენაში მცირერიცხოვანი იყოს ან სულ არ იყოს. ამ მხრივ საინტერესოა -ოვან||-თან მაწარმოებლის ხშირი ხმარება. თავმდაბლოვანი, ბეროვანი, სამართლოვანი, ცემლოვანი, გრილოვანი, დიდროვანი პოეტისათვის ჩვეულებრივ სახმარ სიტყვებად გამხდარა. „მოლაშქრე უნდა ჰაბუჯი თამამი, თავმდაბლოვანი“; „მეპატრონეთა ერთგული, მორჩილი, ერთგულოვანი“. -იან სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები ზოგჯერ მეტად ორიგინალურ სახეს იღებს: „უეცრად ალაგს ვივადექ, ტურფასა ლამაზაანსა“; „იქორწილთანს კაცთანა დახარჯის თვალის წაშია“. „ზედ გულზედ ვიბი იგი ხე, კიციანი და ღეთიანი“.

საერთოდ -ედ მაწარმოებელი დღეს რამდენიმე სიტყვაშია გვხვდება (უქრედი, კუთხედი, მცირედი). სუფიქსი -ე რომ ედ-ისაგან მომდინარეობს. ამას არნ. ჩიქობავა ვარაუდობს ერთი შემთხვევის საფუძველზე, „სადაც ეს პროცესი დოკუმენტირებულია, იგულისხმება ზედსართავი მცირე, რომელიც მცირედ ფორმისაგან მომდინარეობს. ამას გვაყარაულებინებს ძველ ქართულში ხმარებული მცირედი (მცირეს მნიშვნელობით)“<sup>12</sup>.

დ. გურამიშვილთანაც არის ამის დამადასტურებელი ფაქტები: „მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქვნდეს მცირედი ძალია“; მცირე||მცირედის გვერდით დ. გურამიშვილი ხმარობს მოკლე||მოკლედი, მორბედი ფორმებს (ეს უკანასკნელი მორბენალს ენაცვლება): „ცოდნაცა მაქვს მე მცირედი“; „წართმოდათ მოკლედი სამყოფი“; „მუხლმოკლედიც ვამაღლების“; „წყყარად მავალი, გინა მორბედი“ (დღეს შემორჩენილია მხოლოდ სიტყვაში წინამორბედი).

დანიშნულების მაწარმოებელიდან სა-ო ხშირად ენაცვლება სა-ე-ს ან პირიქით: „შენს საქათმოში კვერცხისმღებელი“; „დალივე საბრძოლო წამალი“; „სცან საწუთრო მუხანათი, საღმობიარეო“; „არ წესცვალ უბედურად საბედნიარეო“...

ბევლი ვითარებაა დაცული უფროსობით ხარისხის წარმოებისას უმწარე, უდიდე ფორმებში: „ვახტანგს ძიძმარის უმწარე, ეტკბილა, ვითა შაქარი“; „არაინა არს უფროსი ღეთისგან უდიდეო“...

სახელთა წარმოების დროს დ. გურამიშვილისათვის **საწყისის მრავლობითში** სწარება ჩვეულებრივი გამხდარა (საერთოდ კი საწყისის მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება). რაც უმეტეს შემთხვევაში ლექსის წყობით არის გამოწვეული და უკმალოსად სკლონურ იერს ატარებს: „გულმან დამიწყო ჭკარა-ნა“; „პარჯვარს დაწყეს წერანი“; „ყოველმან კაცმან საგზაოდ შეეკმენით მომზადებანი“... სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა ისეთი ფორმები. როგორცაა: უარობა, ბედობა, ვალობა: „შეშინდნენ, ტრფიალთ გაქქენენ. შეკადრეს უარობაო“; „რით გარდებიხადო... ეგვეითარი ვალობა“. „ეს არის ჩემი ბედობა“.

სახელთა წარმოების სიჭრელეს „დაკითხანის“ ენაში მიმღობათა თავისებური წარმოებაც კმნის: „მსჟეო, მჟმეო, ჩემო ტანთა მცმეო“... ასევე შამხე, მხადე, დამრხე და ა. შ.

ხელოვნური ფორმებია მშეშველი (მშიშარა), მლოთავი (ლოთი), მძმობელი, მდომელი და მისთანანი, რომლებიც ლექსის საპირობებისათვის შეუქმნია პოეტს. „ფეხებზე კაცუნდა შიშველი... არაბედ ვიყავ მშეშველი“; „პრქვა ღმერთმან აღაშს: რად ხარ მშეშველი, ვინ გითხრა შენა, რომ ხარ შიშველი“; „ღმერთი კარგსა რათ უზემდა მას ბილწს, მეძავს და მლოთავსა“.

აჩანაკლებ საინტერესოა თავისი წარმოებით სიტყვები სახედარო (დასანახავი), მოგონებულა (გამოგონილი), შეყვანებულა, სახარელი, ჩანადინარი (ჩადენილი) და ა. შ. „შენ თვალზე ღმერთმან მისთვის მოგცა-ხედო სახედარი“; „გაქვს საწყინარი ჩანადინარი“.

ენებითი გვარის მიმღობის წარმოებისას ხშირად სა-პრეფიქსიანი სიტყვები -ელ სუფიქსით რთულდება, რაც ლექსის რითმით უნდა იყოს გამოწვეული: „ხარ საძაგელი... დასაკარგელი“; „ისეო ქრისტე სახელად, ეწოდა დასაძახელად“.

სურათსალებია გურამიშვილთან ნახახელარი ზმნების წარმოება. ამ ფორმათა სიხშირე და ამავე დროს მათი თავისებურება (წარმოების მხრივ) დ. გურამიშვილის ენაში ბევრ სიახლეს კმნის. საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითები: იწიგნებს (—წიგნი) — წიგნად მიიჩნევს: „მეფე ვახტანგ ამ რაყმსა არც იძმენს და არც იწიგნებს“. განაწიგნა — წიგნად აქცია (=გა-ლექსა): „ღმერთმან ყველა მას უცხოვნოს.../ ვინც ეს წიგნი განაწიგნა“. იხილა (—ხილი) ხილის გემო ნახა: „ევა სცდა, ჰამა, ხილი იხილა“. აბანე (—ბანი) — ბანი მიეცო: „ეს სიმღერა მის თქმას, მოძახილს აბანე“. ახეველა (—ხე) გაიზარდა: „იგი ჩჩილი ასაკით/ სახით აღმოჩნდა, ახეველა“. ვითმე (—თმა) — თმად მოვისხი: „ამად ქაჩალმან მას თმის ნავარცხნი/ ქოჩრად მოვისხი, თავზედა ვითმე“. მსგავსი ფორმებია: ენაობთ (ენადან). ასუნდა (—სუნი); იმხატვარე (მხატვარი); ვასერო (სერი), ისამა (სამი). ახორცა (—ხორცი) და სხვ. ესენი გურამიშვილისეული ფორმებია. რომლებიც თავისთავად მეტად ჭრელ სურათს იძლევა ქართული ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნების თვალსაზრისით.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, „დაკითხანის“ ენის მრავალფეროვნება მისი კომპოზიტებითაც განისაზღვრება. აღსანიშნავია აქ კომპოზიტთა ისეთი წარმოება, როცა პოეტი კომპოზიტის პირველ შემადგენელ ნაწილში ბრუნვის ნიშანს იცავს (სრულად ან ნაწილობრივ) სახელობით, მიცემდა, ნათესაობით ბრუნვებში: „უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების“; „საბრალოს ბერს-კაცს არ შერჩა სიკვდილის თავს-აცილება“; „დაკითხანი ვსთქუო დავიდა. გურამის-შვილმან გვარადო“; „გაშინჯე... შენც ნახე ჩემი პირის-სახე“.



ზოგჯერ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები ერთსა და იმავე ბრუნვაში; გვხვდება: „წუთო-სოფელო, ფუ შენ და შენს მოყვარესა“; „ავადმყოფს მამას-შენსა ეწინა“; „აქ ნაწეთ წუთის-სოფლისა სიბნელი“ და სხვა.

ასეთი ფორმის კომპოზიტები უცხო არ არის იმდროინდელი სალიტერატურო ენისათვის, რადგანაც კომპოზიტები თავისი განვითარების ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და საბოლოო სახე არ ჰქონდათ მიღებული. მაგრამ დ. გურამიშვილი ისე თავისებურად „აკომპოზიტებს“ ზოგ სიტყვას. რომ ისინი უდავოდ ნოს შემოქმედებას უნდა მიეწეროს მხოლოდ: „იმან თვალტვინოს, მე კი ავადრტვინოს“, „კაცმან იყავისმკვლელა“; „იესო ქრისტე ერგენა... გვარდჭრილი, ხელ-ფეხ-ნალურსში“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისეთ კომპოზიტთა სიმრავლე, რომლებიც უარყოფითი ნაწილაკით იწყება. ამით პოეტს თითქოს სურს ერთი თქმით გამოთქვას უფრო რთული აზრი, რომელსაც, წესით, შეიძლება ერთი წინადადებაც დასჭირდეს: „პკვის უკეთესი საქონლად... არადვილსაშოვნელია“; „უმჯიავსო მტილო... ნეხვით გავსილო, არგახვეტილო“; „კაცი... სხვის არმკრძალავს რად ემღერის“; ასევე: არაწყნარი, არსაადვილო, არჯერეთა, არსუბუქი. არპირფერობა და ა. შ.

4. ს ი ნ ტ ა ქ ს ი. სინტაქსური თვალსაზრისითაც აღვნიშნავთ მხოლოდ ისეთ მოვლენებს, რაც „დავითიანის“ ენას თავისებურს ხდის, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ტიპური არ იყოს ქართული სინტაქსისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი. კერძოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში თანაბრად გამოიყენება ორი წყობა: პირდაპირი და ირიბი. ამგვარი შეთანხმების დროს თითქმის იმარჯვებს ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი კანონზომიერება („კინც მონათლავს, მე მას ვლოცავ, ცოდვილისა ჩემის პირით“; „ფუ, შენ ცაყო ხაწუთროო“). ცნობილია ასევე, რომ როცა საკუთარ სახელს მოსდევს პროფესიის ან თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, როგორც ძველ. ისე ახალ ქართულში მხოლოდ მსაზღვრელი იბრუნვის, საზღვრული უბრუნველი რჩება. ასეთი კანონზომიერება გურამიშვილთანაც დასტურდება („მე ვახტანგ მეფეს შევრიგდი“); მაგრამ ჰარბობს და ამის გამო ორიგინალურს ხდის დ. გურამიშვილის ენას, როცა მსაზღვრელ-საზღვრული სრულ შეთანხმებას იძლევა ამა თუ იმ ბრუნვაში: „ვახტანგ მეფეს მოუყვიდა ამ ნადიშას ჩაფარ-ელჩი“; „მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქალაღი. საწერ-კალამი“; „იესოს ქრისტეს მშობელო“...

ამგვარი შეთანხმება ჰქვლია და ახალ ქართულს არ ახასიათებს, არც კილოებში დასტურდება. იგი უნდა იყოს იმ აღრინდელი დროის ნაშთი, როცა საკუთარი სახელი, როგორც წესი, პროფესიის ან ხელობის აღმნიშვნელ მსაზღვრელს ბრუნვაში ეთანამებოდა (ნართანიანი მრავლობითის მსგავსად).

ეს მრავლობითიანი საზღვრული, წესით, მსაზღვრელს რიცხვში არ ეთანამება (დიდი მთები). ეს წესი გურამიშვილთან დატულია, მაგრამ არის შემოტევები, როცა ამ ებიან მრავლობითიანი საზღვრულს რიცხვში წარიანი მრავლობითს ათანამებს („ნუ ხართ თქვენ უცები, ზოგნი ტუტუცება ღედაკაცები“). „ჩინიო რიუფლში ბერები“).

საკმაო რაოდენობით არის იმის მაგალითებიც, როცა მიცემიან ბრუნვაში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება (როგორც ძველ წართქლდში): „ჯერ თქვენ ლოცვასა იქ წაგაკითხავ“; „თქვენ გიჭირს და არა გშველას“; „მან უბრძანათ“; „ღმერთმა უბოძათ“.

კუთხური მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი აზრობრივი შეთანხმება, როცა რიცხვითი და კრებითი სახელები ზმნას მრავლობითში მოითხოვს: „უყვლა ისევე შერთმევთან, რაც მაქვს ღვთისგან ნაბოძები“: „იქ მოგვეპარნენ. დაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირალი“...

საინტერესოა ისეთი მოვლენაც, როცა სუბიექტი და ობიექტი მხოლოდ ერთ რიცხვშია. ზმნა კი მათ მრავლობითში ეთანხმება. „რად არ გიცინიან პირნი“; „თუ გული ენას ემზიან“, „მზგავსი მზგავსი ემზგავსებთან“ და ა. შ.

ზმნის ფორმები დ. გურამიშვილთან იმდენ თავისებურებებს ამჟღავნებს, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ არ შეიძლება აქ გვერდი ავუხვიოთ ერთ გარემოებასაც. ახალ სალიტერატურო ქართულში, ასევე დიალექტებშიც გავრცელებულია ორმაგი უარყოფა, ძველ ქართულისათვის კი დამახასიათებელი იყო ერთმაგი უარყოფა<sup>1</sup>. დ. გურამიშვილისათვის ჩვეულებრივია ერთმაგი უარყოფა („არვინ დარჩა ქვეყანადა“; „არცად ჩანდა თანის საფარი“), თუმცა არც ორმაგი უარყოფა მისთვის უცხო („ესთქვი, არვინ არ ამბულოსა“; „არაოდეს ჯავრს არ ვიყრი“). ერთმაგი უარყოფის გამოყენების მხრივ დ. გურამიშვილი გამოირჩევა მის თანამედროვე მწერლებისაგან, რომლებთანაც ეს ფორმა სისტემატური ხასიათის არ არის.

ამრიგად, დ. გურამიშვილის ენის სირთულეს ქართული ენისათვის დამახასიათებელი და არადამახასიათებელი ფორმების მრავალფეროვნება და სიკვარზე ქმნის. მაგრამ მისი ღირსება და დიდი მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ ამ სირთულეს საოკარი უბრალოება და გაგებაც ახლავს. ძნელი წარმოსადგენია მკითხველი, რომელმაც წაიკითხოს და ვერ გაიგოს „დავითიანი“. სწორედ იმაშია ის დიდი მომხიბლობა და „საიდუმლოება“, რითაც დ. გურამიშვილი იზიდავს მკითხველს, ხოლო თავის უკუდავ წიგნს „დავითიანი“ ევლასათვის ძვირფასსა და ახლობელს ხდის. ეს „საიდუმლოება“ კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ „დავითიანის“ ავტორი დიდი პოეტი-მოქალაქეა, დიდი რეალისტი-შემოქმედია, რომლის გუნება-განწყობილების ხასიათს საზოგადოებისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები განსაზღვრავდა“<sup>2</sup>.

#### მითითებული ლიტერატურა

1. კ. კ ე ე ლ ი შ ვ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1952, გვ. 543.
2. დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბილისი, 1955, შესავალი (ალ. ბარამიძისა), გვ. 17.
3. ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1947, ბ ე ს ი კ ი, თხზულებათა სრული კრებული ალ. ბარამიძისა და თოფურას რედაქციით, თბილისი, 1962, სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოვზაურობა ევროპაში, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1947, თ ე ი მ უ რ ა ზ შ ე ო რ ვ ე, თხზულებათა სრული კრებული, გ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939.
4. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ფრეიდელის მთავარი თავისებურებანი, უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.
5. არ. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ე ი, თანდებულები ქართულში. იმპერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბილისი, 1946.
6. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, -ყუ ნაწილაკი ფრეიდელში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, „წელიწადი“, 1—II, 1923—1924.
7. გ. ა ხ ლ ე ლ ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1947, გვ. 234.

8. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა. ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, „ენიშკის მოამბე“, I, 1937.

9—10. ავ. შ ა ნ ი ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 105—126.

11. ავ. შ ა ნ ი ე, სუბოქტური პრეფიქსი შორეუ პირსა და ობოქტური პრეფიქსი შესაშე პირსა ქართულ ზმნებში, თბილისი, 1923.

12. არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 60—61.

13. ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ორმაგი უარყოფა ქართულში, „წელიწდეული“ I—II, 1923—1924.

14. ალ . ბ ა რ ა შ ი ე, ნაკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბილისი, 1964, გვ. 203.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოყენებული გვაქვს დ. გურამიშვილის ავტოგრაფული ხელნაწერი (S1598), რომელიც დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. საილუსტრაციოდ მორიანილი მავალითები თანამედროვე ორთოგრაფიით წარმოვადგინეთ.

Р. А. КУСРАШВИЛИ

## ОСОБЕННОСТИ ЯЗЫКА ДАВИДА ГУРАМИШВИЛИ

### Резюме

Известный грузинский поэт XVIII века Давид Гурамишвили является одним из крупнейших новаторов в развитии грузинского литературного языка.

В отличие от своих современников (Бесики, Теймураз II, Вахтаंग VI, Сулхан-Саба Орбелиани и др.), Д. Гурамишвили в грузинском литературном языке окончательно утверждает народную речь, в результате чего в «Давитиани» параллельно с литературными обильно представлены диалектные формы.

Характерной особенностью поэтического языка Д. Гурамишвили является то, что в нем представлены почти все этапы развития грузинских грамматических форм с преобладанием (в «Давитиани») неологизмов.

В богатом языке Д. Гурамишвили встречаются также искусственные грамматические и лексические формы, созданные автором и свойственные только ему. Они естественно сливаются с грузинской речью и грамматическим строем всего грузинского литературного языка, что еще раз подчеркивает своеобразие языка Д. Гурамишвили.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## ენის მელიზმული

საკუთარი სახელები იოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების  
ქართული თარგმანის მიხედვით

ძველ ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიოსის (ნ. წ. 37—95 წწ.) თხზულება „იუდეველთა სიძველენი“ ბერძნულ ენაზეა დაწერილი. ქართულ თარგმანში<sup>1</sup>, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით, ბერძნულიდან ჩანს შესრულებული. წარმოდგენილია 1910 პირის, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელი და მათი 600 ვარიანტული ფორმა.

თხზულებაზე მუშაობისას ფლავიოსისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ბერძნული ბიბლია<sup>2</sup>. ამიტომ ძირითადი რაოდენობა ტექსტში წარმოდგენილი საკუთარი სახელებისა ბიბლიურია. მაგრამ რაკი იოსები ეყრდნობოდა თავისი დროისა და აღრინდელ ისტორიკოსთა ნაწერებსაც, ამიტომ გარკვეული ნაწილი ამ სახელებისა არაბიბლიური წარმოშობისაა. ბიბლიურ სახელებს ქართველები ძველთაგანვე იცნობდნენ და მათი ერთი ნაწილი ტრადიციით დაკანონებული სახით იხმარებოდა წერილობით თუ ზეპირ წყაროებში. იოსების თხზულების ქართული თარგმანი მეტად საინტერესო სურათს გვთავაზობს: მთარგმნელი უმრავლეს შემთხვევაში არ უწევს ანგარიშს ამ ფაქტს და საკუთარი სახელები გადმოაქვს თარგმანის შესრულების პერიოდში (XI—XII სს.) მოქმედი ფონეტიკური შესატყვისობების გათვალისწინებით.

**Y ბერისა და ი. დიფთონგის გადმოცემა.** XI—XII სს-ებში *v* გრაფემის ქართული შესატყვისი ძირითადად იყო *უ*. ნ. მახარაძე *v* გრაფემისა და *ი* დიფთონგის ცვლილების პროცესს შემდეგნაირად წარმოადგენს:  $v[u] > [ü] > [i]$  ||  $iu[iu] > [ü] > [i]$ . ავტორი ვარაუდობს, რომ თუ ბერძნულიდან შესრულებული ქართული თარგმანი შემოსული არ არის სინურ-პალესტინური გზით. მაშინ *v*-ის და *ი*-ს შესატყვისად დადასტურებული უ მიგვანიშნებს თარგმანის სიძველეზე ან ტრადიციით დაკანონებულ უძველეს ნასესხობაზე<sup>3</sup>.

იოსების თხზულების ქართულ თარგმანში 2500 სახელიდან მხოლოდ 9 სახელში დასტურდება *v*—*უ* შესატყვისობა, რაც შეეხება *ი*—*უ* შესატყვისობას, არც ერთი მაგალითი არ გვხვდება. ზემოთ აღნიშნული ცხრა სახელადან ექვსი ერთი, „სურ“ ძირისაა, იხმარება თითოჯერ და თითქმის ყველას მოეპოვება *v* ბგერიანი პარალელური და ძირითადი (მრავალჯერ ნახმარი) ფორმა:

სურნი (წ. 8, თ. 14, 4) || სკრნი<sup>4</sup> Σκρνοι: ასურ<sup>5</sup> 5ა (წ. 5, თ. 3, 2) || ასკრნი Δσάρκνοι: || ასსურელნი (წ. 5, თ. 3, 3) || ასსკრელნი Ἀσσκρელი: ასურეთის დელე (წ. 1, თ. 6, 4) αἰ:λ: Σαῖρ: უროს (წ. 7, თ. 6, 2) Σαῖρ: იასურის (წ. 4, თ. 7, 1)

<sup>1</sup> „მოთრობანი იუდეებრივისა დასაბამსიტყუობისაჲ“. ტექსტი გამოსაცემად მოვაშაადეთ XIII ს-ის ხელნაწერის A—675-ის მიხედვით. გაკეთვალსწინებთ XVI ს-ის ხელნაწერის „წიგნი პურიისაჲ“ (ქუთაისის აღწერა, ტ. 1, № 10) ჩვენებებოც.

<sup>2</sup> J o s e p h u s, Jewish Antiquities, London, MCMLXVI. IV, Introduction by H. St. J. Thackeray, M., A. გვ. XI.

<sup>3</sup> ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოშობის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 9.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>5</sup> პარალელურ ფორმათა დგილებს არ ვუთითებთ. ისინი რაღაც ბევრჯერ დასტურდებიან

'Iασαήης<sup>6</sup> ვაველონი (წ. 1, თ. 7,2) || ბაბკლონი Βαβυλων; ტელიოს (წ. 14, თ. 4,3) Τηλιος; ლუკულუს (წ. 14, თ. 7,2) Λευκουλος.<sup>7</sup>

როგორც მოსალოდნელი იყო, იოსების თხზულების ქართულ თარგმანში ა-ისა და ი-დიფთონგის შესატყვისად საქუთარ სახელებში ყველაზე ხშირად კ დასტურდება. ა-ვ შესატყვისობის 83 შემთხვევაა, ი-ვ შესატყვისობის—9 (აქედან 3 ვერთა, „ფვნიე“ ძირია):

ფრკვია (წ. 12, თ. 3,4) Φρακία; ტკრო (წ. 12, თ. 4, 11) Τύρος; სკმეონ (წ. 1, თ. 19, 8...) Σκυμαίον<sup>8</sup>; იეროსოლკმა<sup>9</sup> (წ. 9, თ. 1, 4; წ. 11 თ. 3,10...) 'Ιεροσόλυμα და სხვ. მრ.; ფვნიეი (წ. 1, თ. 3,6...) ფვნიეეთი (წ. 11, თ. 4,4—6), ფვნიეია (წ. 1, თ. 6,2...)—Φωνία; ეკოტო (წ. 14, თ. 10, 14) Βιοατίν. ვერკა (წ. 12, თ. 9, 7...) Βήρια.

რაც შეეხება ა-ი და ი-ი შესატყვისობებს, რომლებიც შედარებით მოგვიანებით იკედებს ფეხს ბერძნულიდან შესრულებულ ქართულ თარგმანებში, სულ 6 შემთხვევა დასტურდება, აქედან ხუთ სახელს მოეპოვება პარალელური და ძირითადი, კ ბგერაინი ფორმა:

იერუსალიმი (წ. 5, თ. 1, 16) || იეროსოლკმა 'Ιεροσόλυμα<sup>10</sup>; ვაველონი (წ. 11, თ. 3,9—10...) Βαβυλων; ბაბილონელნი (წ. 10, თ. 2,2) || ბაბკლონელნი Βαβυλωνίαι; ზაველონიტელნი (წ. 5, თ. 1,22) Ζαβαλωνίται; ფინიეი (წ. 7, თ. 4,1) || ფვნიეი. Φωνία; ფინიეიელნი (წ. 8, თ. 5,3) || ფვნიეელნი Φωνίαι.

პოზიციაში ხმოვნებს შორის და ხმოვანი ++ თანხმოვანი, ა-ისა და ი-ს იოსების თხზულების ქართული თარგმანის საქუთარ სახელებში ვ შეესატყვისება ე-სა და უ-ს ნაცვლად ხმოვანთა თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით (ა-ვ—44 სახელში, ი-ვ—5 სახელში): ევა (წ. 1, თ. 1, 2—4) Εβα; დავიდი (წ. 7, თ. 1,3...) Δαβιδης; ავრან (წ. 12, თ. 9,4) Αβραν; ლევი (წ. 1, თ. 19,8...) Λευεις; ვარონ (წ.15, თ. 10,1). Οβραων.

თარგმანში მხოლოდ ერთი შემთხვევაა, რომელიც გამონაკლის წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული წესიდან: მოკსი<sup>11</sup>.

**II-ს შესატყვისება.** იოსების თხზულების ქართულ თარგმანში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჟ-ს შესატყვისად ძირითადად ი იხმარება. „ქართულში იტაციზმი გაცილებით ფართოდაა დადასტურებული, ვიდრე ეტაციზმი. ეს არის შედეგი უმთავრესად ათონელთა მემკვიდრეობისა და პეტრიწის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობისა“<sup>12</sup>.

თარგმანში არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ჟ-ს შესატყვისად ე დასტურდება. ამათგან 8 სახელს მოეპოვება პარალელური და ძირითადი ჟ-ი შესატყვისიანი ფორმა. 9 სახელს კი ასეთი პარალელი არ ეძებნება. მოსალოდნელია, რომ ჟ-ე შესატყვისობისას საქმე გვექონდეს ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმასთან, თუმცა რიგ შემთხვევაში არც ფონეტიკური კანონების, ანალოგიისა და გრაფიკული აღრევის დაშვება ჩანს შეუძლებელი.

<sup>6</sup> მალანიტელთა მეფე, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე ურის ობერჟ (წ. 4, თ. 7, 1) სახელწოდებითაჲ. შესაძლებელია, „იასურის“ ფორმა გაკეთებული იყოს „ურის“ ფორმის ანალოგიით.

<sup>7</sup> ამ სახელის ქართულ ფორმას დაკარგული აქვს ე.

<sup>8</sup> მრავალწერტილს ვსაშთ იქ, სადაც კიდევ ბევრი მსგავსი მავალი არსებობს.

<sup>9</sup> იხმარება რამდენიმე ათეულჯერ.

<sup>10</sup> შესატყვისი ბერძნული ფორმები მოგვაცხადს: Namenwörterbuch zu Flavius Josephus von Abraham Schalit, Leiden. E. J. Brill, 1968.

<sup>11</sup> მოსალოდნელი ვ-ს შემკველი ფორმა ერთადერთხელ არის ნახმარი: მოკსე წ. 2, სარჩევი.

<sup>12</sup> ნ. შ ა ხ ა რ ა ბ ე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 29.

იმის გამო, რომ η-ე შესატყვისობის სულ 17 მაგალითი დასტურდება თარგმანში, მოვიყვანთ ყველა მათგანს:

ბეთლემი (წ. 5, თ. 9.2) || ვითლები Βηθλεεμ; ვეთსანი (წ. 12, თ. 8,5) || ვითსანო, ვითსა. ვითსონ Βηθλεεμ; ვერსოვა (წ. 6, თ. 3,2) ვირსო Βηθლეთ; მსე (წ. 1, თ. 1.1; 3.6...) მოსე (წ. 2 სარჩევი) || მოსი, მოსი Μωσής; იორდანე (წ. 4, თ. 5,2; 8.1...) || იორდანი 'Ιερδάνης; რომე (წ. 14, თ. 14, 2) || რომი Ρώμη; ევერსავე (წ. 7, თ. 7.1—2.4) || ვირსავი Βερσάβη; პეტეფრე (წ. 2, თ. 4,3; 6,1) || პეტეფრი Πετεφρίς; ვეთილა (წ. 1, თ. 19.2...) Βηθλელ; ვეთსურა (წ. 12, თ. 7,7...) Βηθλεεμ. ვეთსურელნი (წ. 12, თ. 9.4—5) Βηθლეთაίαι; იეზერელა (წ. 9, თ. 6,2—4) 'Ιεζερήλα; დიოკლეს (წ. 10, თ. 11,1) Διοκλήδης<sup>13</sup>; ეპიკრატე (წ. 13, თ. 10,2—3) 'Επικράτης; ეპიფანე (წ. 10, თ. 11, 7...) 'Επιφάνης; ევროპე (წ. 1, თ. 6,1...) Εὐρώπη; ლალიცე (წ. 13, თ. 13, 4) Λαλιζή.

I კანკელდობის α impurum-იანი სამი სახელი, რომელაც მხ. რიცხვის ყველა ბრუნვაში ა-ს ო-ზე ცვლის, თარგმანში ა დაბოლოებით დასტურდება. მაშასადამე, ქართულ თარგმანში ისინი შემოვიღწენ არა რომელიცა ბრუნვის ფორმით, არამედ ფუძის სახით: სპარტა (წ. 13, თ. 5.8) Σπάρτη; პალესტინა (წ. 1, თ. 6, 2—4...) Παλαιστίνη; კრატა (წ. 13, თ. 4, 3—9) Κρήτη.

B-ს გადმოცემა. B-ს ქართულ შესატყვისს საკუთარ სახელებში, როგორც მოსალოდნელი იყო XI—XII სს-ებში ნათარგმნ ძეგლში, ძირითადად წარმოადგენს ვინი. სულ შვიდ საკუთარ სახელში თითო-ორორჯერ β-ს შესატყვისად გვევლინება ბანი, ამასთან. მათ ყოველთვის მოეპოვებათ პარალელური და ძირითადი, ვინიანი ფორმები. ეს ის სახელებია, რომლებიც ძველადვე ჰქონდათ ქართველებს ხმარებაში და ბანი, ალბათ, ტრადიციის წყალობით შემორჩა თარგმანში აქა-იქ, თუმცა მთარგმნელი დიდად არ უწყევს ანგარიშს ამ ფაქტორს და თითქმის უგამონაკლისოდ ასახავს მისი დროის ვითარებას. მოვიყვანთ თარგმანში დადასტურებულ β-ბ შესატყვისობის ყველა მაგალითს:

არაბნი (წ. 1, სარჩ. თ. 12, 4; წ. 2 თ. 9.3) || არაენი 'Αραβες; აბრამოს (წ. 1 სარჩ.), ავრამოს, აერამოს 'Αβραμ; ბეთლემი (წ. 5, თ. 9,2) || ვითლები, ვითილემო, ვითილემო, ვითლემე, ვითლემო, Βηθλεεμ; ბაბკლონი (წ. 1, თ. 4,3) || ვავკლონი Βαβυλωνία; ბაბკლონელი (წ. 1, თ. 6,2) ბაბილოვნი (წ. 10, თ. 2,2) || ვავკლონელი Βαβυλωνίαι; ებრაელი (წ. 1, თ. 1,2...) [11 ჯერ] ევრაელი 'Εβραῖοι; ლიბანი (წ. 1, თ. 6, 2) || ლივანო Λιβανος.

რაც შეეხება β-ე შესატყვისობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანში უმეტესად სწორედ იგი გვხვდება. იგი მრავლად დასტურდება ისეთ სახელებში, რომლებიც ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ქართველთათვის და, ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ მათში ბანი ყოფილიყო ნახმარი. მაგრამ ვინიანი ფორმა არის მათთვის ერთადერთი და ძირითადი:

ვენიაემენ (წ. 1, თ. 21, 3; წ. 2, თ. 6,2...) Βενιαμῖν; ვალამოს (წ. 4, თ. 6,3—6—13) Βελαμ; ავესალომოს (წ. 7, თ. 1,4; 3,3...) 'Αβσαλωμ; და სხვა მრავალი.

Δ-ს შესატყვისობანი. „ქართული წყაროები ვერ ასახავს ბ-ს ბიზანტიური წარმოთქმის თავისებურებას და გადმოსცემს მას ტრადიციულად, დ-თი“<sup>14</sup>.

<sup>13</sup> „-ი ბოლოკიდურით არის გადმოცემული ქართულში... ის ბერძნული სახელები, რომელთაც ნომინატივში ჰქონდათ -ης“ (ს. ყ ა უ ზ რ ი შ ვ ი ლ ი. ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, „არლი“, თბილისი, 1925. გვ. 102).

<sup>14</sup> ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 40.

იოსების თხზულების ქართულ თარგმანში მ-დ შესატყვისობა უგამონაკლისოდ არის გატარებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ შემთხვევას, როდესაც მ-ს შესატყვისად გვევლინება ლ და მ: დალანის (წ. 1, თ. 15) *Δαδάνης*; ელმოლამოს (წ. 1, თ. 6,4) *Ἐλμολάμωδ*.

რაც შეეხება მ-დ შესატყვისობას, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება: დოიკოს (წ. 6, თ. 12, 1—4—6—8) *Δάικωδ*; დრუსო (წ. 15, თ. 9,6) *Δρουσίωδ* და სხვ. მრ.

Γ-ს შესატყვისობანი. იოსების თხზულების ქართული თარგმანი არ აკეთებს გამონაკლისს იმ წესიდან, რომ „როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალურ ქართულ თხზულებათა ხელნაწერები არა მხოლოდ X, არამედ XI—XII საუკუნისა ცი ერთხმად იცავს γ-ს გადმოცემის პრინციპს [e] [i] ხმოვნების წინ ველარულ ხშულ გ-თი, ხოლო [a] [o] [u]-სა და თანხმოვნების წინ ველარულ სპირანტ ლ-თ<sup>15</sup>“.

γ-გ: გილეუე (წ. 6, თ. 14,2) *Γελεῦαῖ*; გიონ (წ. 1, თ. 1,3) *Γήων*; სერგია (წ. 14, თ. 10, 10) *Σεργία* და სხვ. მრ.

γ-ლ.

ა) γა—ლა: ლალადინი (წ. 5, თ. 7,8) *Γαλαδηνί*; ლავათა (წ. 5, თ. 1,29) *Γαβαθα* და სხვ. მრ.

ბ) γი γა—ლო; ანტილონოს (წ. 13, თ. 10,2...) *Ἀντίλωνος*; ვალოას (წ. 11, თ. 7,1) *Βαζώας* და სხვ.

გ) γიჲ—ლუ: რალუილოს (წ. 2, თ. 1,2...) *Ῥαλούηλος* (ერთი შემთხვევა).

დ) თანხმოვნების წინ: აღრიპა (წ. 12, თ. 3,2...) *Ἀγρίππας*; ელლონი (წ. 5, თ. 4, 1—2—3) *Ἐγλών*; ტილრისი (წ. 1, თ. 1,3) *Τίγρις* და სხვ. მრ.

ნ. მახარაძე γ-ი/ა მეტად იშვიათი შესატყვისობის ორ მაგალითს ასახელებს იოსების თხზულების ქართული თარგმანიდან: იეთრონად *Γεθράαμυ* (ფლავ. 114v), ივილოსა *Γιβζლ* (ფლ. 74v)<sup>16</sup>.

„იეთრონ“ -ის შესატყვისად თხზულების ბერძნულ ტექსტში ძირითად ფორმად დასტურდება *Ἰεθράαυ*<sup>17</sup>. ასევე, საკუთარ სახელთა საძიებელშიც ძირითადი ფორმა ამ სახელისათვის არის *Ἰεθράαυ*<sup>18</sup>. სხვადასხვა ხელნაწერში დასტურდება განის შემცველი ფორმებიც: *Γεθრაαυ ROM*; *Γεθრაαμυ ex. cod. vat. Hudson*<sup>19</sup>.

ასევე, მეორე მაგალითშიც: ივილოსა *Γιβζლ* (ფლ. 74v)—ბერძნულ ტექსტში „ივილოს“ ძირითადი შესატყვისი არის *Ἰβζήლ*<sup>20</sup>, საკუთარ სახელთა საძიებელშიც ძირითადი ფორმაა *Ἰβζήლ*<sup>21</sup>, თუმცა ორ სხვა ხელნაწერში დასტურდება განიანი ფორმაც: *Γιβζήლ ML (A. V, 321)*.

ასე რომ, მოსალოდნელია, ამ სახელთა ქართული ინიანი ფორმები მომდინარეობენ ბერძნული *i* და *η*-იანი და არა *γ*-იანი ფორმებიდან. ამიტომ, γ-ი შესატყვისობის ილუსტრაციისათვის იოსების თხზულების ქართული თარგმანი ნაკლებად გამოდგება.

X-ს შესატყვისობანი. „X-ს ქართულ შესატყვისთა არაერთგვაროვანება ნათელს ხდის, რომ X—XII საუკუნეთა ბიზანტიურ ბერძნულ წარმოთქმაში იგი არსებითად შეცვლილი ფონემაა.“

<sup>15</sup> ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 48.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 50—52 (ნ. მახარაძესთან ადგილი მითითებულია A—675 ხელნაწერის მიხედვით).

<sup>17</sup> *Josephus. Jewish Antiquities*, London, MCMLXVI, V, გვ. 368.

<sup>18</sup> *Namenwörterbuch*, გვ. 58.

<sup>19</sup> *Josephus, Jewish Antiquities*, V, გვ. 370 (სქოლო).

<sup>20</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>21</sup> *Namenwörterbuch*... გვ. 58.

X უკვე სპირანტა და საკმაოდ შესამჩნევ სხვაობას იძლევა პოზიციათა მიხედვით. სურათი ასეთია: [i] და [e] ხმოვნების წინ X-ს შეესატყვისება „ქ“, ხოლო [a] [o] [u] ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ— „ხ“. ეს პრინციპი ძალიან მტკიცედ არის გატარებული და, გარდა ტრადიციით დამკვიდრებული უძველესი ნასესხობებისა, იშვიათად ირღვევა XII—XIII საუკუნეების ხელნაწერებშიც კი<sup>22</sup>.

იოსების თხზულების ქართული თარგმანის საკუთარი სახელები მხარს უჭერენ ამ სურათს:

X—ქ [i] ხმოვნის წინ: ასოქი 'Aax̄ic (წ. 13, თ. 12,4); რაქილა (წ. 1 თ. 19,7—8—9—11... 'Paχ̄iლა და ა. შ.

X—ქ [e] ხმოვნის წინ: ქეტტელი (წ. 7, თ. 12,2) χετταῖος; მიქეა (წ. 8, თ. 14,5) M:χαια; და ა. შ.

X—ხ [a] [o] [u] ხმოვნების წინ: ახავოს (წ. 8, თ. 12,5...) 'Aχ̄av̄ios; ანოხოს (წ. 1, თ. 2,2...) 'Aχ̄av̄ios; ხუსის (წ. 7, თ. 9,2—6) X̄us̄is და ა. შ.

X—ხ თანხმოვნების წინ: მახმა (წ. 6, თ. 6,1—2; წ. 13, თ. 1,6) Mαχ̄m̄x̄; ახრათოს (წ. 11, თ. 6,7) 'Aχ̄r̄ath̄os (სულ ორი შემთხვევაა X-ს ხმარებისა თანხმოვნების წინ).

დასტურდება ორი სახელი, რომლებშიც [i] ხმოვნის წინ X გადმოდის არა ქ-თი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ხანით. მაგრამ რასავე შემთხვევაში ქართულ ფორმაში ხანის შემდეგ დგას არა [i], როგორც ეს იყო ბერძნულ ფორმაში, არამედ ო და ა ხმოვნები, რომელთა წინაც სწორედ ხანია მოსალოდნელი და არა ქ: მესხო (წ. 1 თ. 6,1) Mēs̄x̄h̄; ახამანოს (წ. 7, თ. 11,4). 'Aχ̄im̄av̄os.

სახელები, რომელთა ნომინატივის ქართულ თარგმანში ბერძნული სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა წარმოადგენს. „იუდეველთა სიძველათას“ ქართულ თარგმანში არცთუ იშვიათია საკუთარ სახელთა პარალელური ფორმების ხმარება. ეს ფაქტი იმით არის გამოწვეული, რომ, მართალია, უმრავლეს შემთხვევაში ქართულ თარგმანში ფუძის სახით აღებულია ბერძნული სახელის ნომინატივის ფორმა, მაგრამ დასტურდება მაგალითები, როდესაც ბერძნული სახელის გენეტივის ან აკუსატივის ფორმა არის მიჩნეული თარგმანში შესატყვისი სახელის ფუძედ. სშირ შემთხვევაში გენეტივის ან აკუსატივის ფორმით ნახმარ საკუთარ სახელს არ ეძებნება ნომინატივის ფორმიანი პარალელი.

1. გენეტივის ფორმიანი სახელები: დანიტილოს (წ. 7, თ. 2,2) || დანის Δαν̄is; ოჟი Δαν̄is̄is; A, 7<sub>30</sub><sup>23</sup>; ტანიდიოს (წ. 1, თ. 8,3) 'T̄an̄is; T̄an̄is̄is A, 1<sub>170</sub>; ლატილოს (წ. 5, თ. 1,1) || ლაღი Γαδ̄is; Γαδ̄is̄is; A, 5<sub>3</sub>:

„თარგმნის დროს ისე ძლიერია დედნის გავლენა, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე სახელი ან სიტყვა სხვადასხვა ძირეული ბოლოკიდურით მოგვევლინოს იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმა წარმოადგენდა მთარგმნელისათვის გამოსავალ წერტილს“<sup>24</sup>.

სწორედ იმიტომ, რომ -იჯ და -იჯ ბოლოკიდურიან სახელებში მთარგმნელისათვის რიგ შემთხვევაში ამოსავალს წარმოადგენს ნომინატივის ფორმა. რიგ შემთხვევაში -ის დაბოლოების მქონე გენეტივი, ეს სახელები პარალელური ფორმით არიან წარმოდგენილი: ხან -ოს და -ის დაბოლოებით, ხანაც -ო ბოლოკიდურით:

<sup>22</sup> ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, გვ. 59.

<sup>23</sup> ბერძნულ ფორმებს ვიშოუებთ: J o s e p h u s, Jewish Antiquities.. ტ. IV—IX, London, MCMLXVI.

<sup>24</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული იმამაყატა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, გვ. 90.



აერამოს (წ. 1, თ. 7, 2...) || აერამო (წ. 1, თ. 8, 2...) 'Αβραμᾶς; აქტოფელოს (წ. 7, თ. 9, 5—6—8) || აქტოფელო (წ. 7, თ. 9, 2—5—6—7) 'Αχτίφελος.

ზშირად -os ბოლოკიდურიანი სახელები მხოლოდ -ო დაბოლოვებით არიან წარმოდგენილნი და -ის ბოლოკიდურიანი პარალელური ფორმა არ მოეპოვე-ბათ:

ამორეო (წ. 1, თ. 6, 2) 'Αμορραῖος; ედომო (წ. 2, თ. 1, 1) 'Εδωμᾶς და ა. შ. ასევე, -ης ბოლოკიდურიანი სახელები ზოგჯერ -ო დაბოლოვებით არიან წარმოდგენილნი, არის რა მათთვის ამოსავალი მხ. რ-ის გენეტივის ფორმა: ეფ-რემო (წ. 2, თ. 6, 1; 7, 4) || ეფრემი 'Εφραῖμης; იეთრანო (წ. 7, თ. 15, 1) 'Ιεθραῖνος; იოადო (წ. 7, თ. 5, 4) 'Ιωάδα და ა. შ. (სულ 17 სახელია).

2. აკუზატივის ფორმაინი სახელები: ამათუნტა (წ. 13, თ. 13, 3) 'Αμαθύντα—აქ. ბრ.: 'Αμαθύντα A, 13<sub>355</sub>; ალარინ (წ. 1, თ. 10, 4) || ალარი 'Αλάρη—აქ. ბრ.: 'Αλάρη A, 1<sub>187</sub>; ელლადა (წ. 12, თ. 10, 6...) 'Ελλάδα—აქ. ბრ.: 'Ελλάδα A, 12<sub>414</sub>; მოავიტლანი (წ. 13, თ. 15, 4) || მოავიტი Μωσῆντι—აქ. ბრ.: Μωσῆντιδος A, 13<sub>387</sub>; პტოლემაიდა (წ. 13, თ. 2, 1) Πτολεμαῖδα—აქ. ბრ. Πτολεμαῖδα, A, 13<sub>35</sub>.

სულ 41 მაგალითია, როდესაც ბერძნული სახელის აკუზატივის ბრუნვის ფორმა მიჩნეულია ქართული სახელისათვის ფუძედ.

ენაში მიმდინარე ამა თუ იმ ფონეტიკური პროცესის ანალოგიური ცვლი-ლებები თარგმანში წარმოდგენილ საკუთარ სახელებში:

1. ასიმილაციური ცვლილებები: ნომმა (წ. 6, თ. 12, 6) Νομβᾶ; რუვიმი-ტელნი (წ. 9, თ. 8, 1) 'Ροβηνται; რუვიმოს (წ. 1, თ. 18, 8) || რუვილოს 'Ρουβί-λοι; სუმანეოს (წ. 10, თ. 1, 2) Σουβαναιος; ედიდას (წ. 1, თ. 15, 1) 'Εβῆδα; ას-ტკახოს (წ. 10, თ. 11, 4) 'Ασταχῶς.

2. ორმაგი თანხმოვნების გადმოტანა: ფრანლა (წ. 1, თ. 18, 2) Φάραγγα; ელნაი (წ. 9, თ. 1, 2) 'Εγγαῖδι; ლანგისი (წ. 1, თ. 1, 3) Γάγγης; ტონგიოს (წ. 14, თ. 10, 13—19) Τύγγιος; ანგეა (წ. 11, თ. 4, 7) || ანგია (წ. 11, თ. 4, 5) 'Αγγαῖος; ანგიო (წ. 7, თ. 1, 4) 'Αγγίση; ვოკქიას (წ. 8, თ. 1, 3) Βοκκίας; ვრა-კტოს (წ. 14, თ. 10, 13—19) Βράκκος; საქქია (წ. 10, თ. 7, 1—2—3—4...) Σαχχίας; სალდუმოს (წ. 10, თ. 8, 6) Σάλλουμος; ეტტეო (წ. 1 თ. 6, 2) Ζετταῖος; ასპიოს მინას (წ. 14, თ. 10, 19) 'Ασπίος Μηνᾶς.

3. დისიმილაციური დაკარგვის მსგავსი ცვლილებები: ახანის (წ. 10, თ. 10, 2) 'Ασχάνης; კსტაპოს (წ. 11, თ. 3, 1) 'Υστᾶσπη; პსინოას ხარაკი (წ. 1, თ. 6, 4) Σπασίους Χαραξί; ვითა (წ. 14, თ. 15, 10) Γίθηξ; ვიზითო (წ. 12, თ. 10, 2) Βηρζηθῶ; თალაფალასაროს (წ. 9, თ. 12, 3) Θαλαμφαλασάρης; ლიკა (წ. 1, თ. 6, 2) Λιβή; კარპუნიოს (წ. 14, თ. 10, 10) Καρπύριος.

4. მეტათეზისი. ფლავიოსის ქართულ თარგმანში საკუთარ სახელებში დას-ტურდება როგორც კონტაქტური. ასევე დისტანციური მეტათეზისის რამდენიმე შემთხვევა.

ა) კონტაქტური: სომეოს Σῆαμος (წ. 15, თ. 7, 4) (|| სომეოს): ილეროს 'Ιουήλος (წ. 10, თ. 8, 6); იაკამოს 'Αίχαμος (წ. 10, თ. 9, 1); ედენოს 'Εδῶνιος; (წ. 8, თ. 15, 2); კორჯდელს მთა τῶν Κορδασίων (წ. 1, თ. 3, 6); თორლამოს Ἡσυχράμης (წ. 1, თ. 6, 1); თორლამელნი Ἡσυχράμιοι (წ. 1 თ. 6, 1); ვკთინია Βιθυνία (წ. 14, სარჩ. № 32); ნირველასაროს Νηρευζίσσαρος (წ. 10, თ. 8, 2).

ბ) დისტანციური: ისახემოს 'Ισαμῆχος (წ. 3, თ. 6, 1); ვითელ Ιακῆθ (წ. 8, თ. 6, 1); ამათალოს 'Αμαθύνος (წ. 11, თ. 6, 5—12).

5) ხმოვანთა რედუქცია. „ხმოვანთარედუქცია ხდება მეტწილად ბგერათ-კომპლექსში „თანხმ.+ ხმოვ. (ა, ე ან ო) + სონორული თანხმოვანი“, რომელშიც ხმოვნის რედუქცირება დაკავშირებულია არა სიტყვათმახვილის გაგენას, არამედ კომპლექსის მომდევნო ხმოვანს. საყურადღებოა, რომ ხსენებულ ბგერათკომ-პლექსში სონორულის ნაცვლად შეიძლება იყოს ე: ალბათ იმიტომ, რომ იგი ძლიერ უახლოვდება აკუსტიკურად სონორულს“<sup>25</sup>.

მოვიყვანთ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ზემოთ აღნიშნულ პონიციანში დადასტურებულ ხმოვანთა რედუქციის შემთხვევებს: ფლავის (წ. 4, თ. 2,2) Φαλαγίς; ხასლევი (წ. 12, თ. 5,4-7-6) Χταλαίφ; სერვეოს (წ. 11, თ. 3,10) Σερεψαίος; თესეონი (წ. 8, თ. 13,2) Θεσεψώνη.

თარგმანში ხშირია ხმოვნის დაკარგვა. შესაძლებელია, ეს ხდება ხმოვანთა თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით:

ა) იკარგება η პოზიციანში ხმოვ. + η + სონორი: ზოდმილოს (წ. 11, თ. 4,2) Ζοδμίηλος; ლაონელნი (წ. 13, თ. 13,4) Γαόνელი; მარულოს (წ. 1, თ. 3,2) Μαρούηλος; ინაზილოს (წ. 9, თ. 1,2) 'Ιναζήλος; იესევილოს (წ. 10, თ. 5,1; 6,3; 7,2; 8,2) 'Ιεζεβήλος.

ბ) სხვა პოზიციებში: ზავადა (წ. 9, თ. 1,1) Ζαβαδάς; ზეველოს (წ. 5, თ. 1,10) Ζεβελάος; სევოს (წ. 15, თ. 3,2) Σεψίβαν; ესტეოს (წ. 1, თ. 3,9; 4,3) 'Εστει-αίος; იოზია (წ. 10, სარ.ჩ.) 'Ιωζαίος; ლუკულლოს (წ. 14, თ. 7,2) Λεζούλλος; იო-ზანია (წ. 10, თ. 9,2) 'Ιωζανιά.

ყველა ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მთარგმნელის ან გადამწერის უბრალო შეცდომასთან გვეზღვრება საქმე, რადგან ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი არა აქვს: მსგავს პოზიციანში ხმოვანი შეიძლება შენარჩუნებული იყოს.

6. თანხმოვანთა სუბსტიტუცია.

ა) სონორების ურთიერთმონაცვლეობა:

ν/მ—ელიკამ (წ. 9, თ. 12,1) 'Ελικάν.

β/მ—არამათა (წ. 10, თ. 8,2) 'Αραμαθ; აქიძას (წ. 10, თ. 3,1) 'Αχιψ; ამე-ლოქია (წ. 7, თ. 11,4) 'Αβλαχέα; ამასა (წ. 9, თ. 6,1) 'Αψαα; ამინადამოს (წ. 6, თ. 1,4) 'Αμινάδης.

λ/ნ—ნემონია (წ. 14, თ. 10,1) Λεμωνία.

μ/ნ—ეტსან Αζάμ (წ. 5, თ. 8,8).

μ/ვ—ავიტელი (წ. 10, თ. 5,2) 'Αμιαλέη; ახავონ (წ. 8, თ. 15,4) 'Αχάμων; ვასიამოს (წ. 9, თ. 12,1) 'Αμιανά; ტოვანი (წ. 10, თ. 5,2) Τωμάνη; ზარეუნი (წ. 5, თ. 6,5) Ζαρεούνη.

ბ) მონაცვლეობა წარმოების რავგარობის მიხედვით:

θ→დ: ლოლიადოს (წ. 6, თ. 9,5) Γολιάθ (≠ ლოლიათოს).

Δ→თ: არითეოჲ (წ. 5, თ. 1,23) 'Αριθεοί.

Θ→ტ: ვეტილი (წ. 8, თ. 8,9) Βήθηλα (≠ ვეთილა).

κ→ქ: ქეფირიტნი (წ. 5, თ. 1,16) Κεφηριται; ვოსქეთი (წ. 10, თ. 4,1) Βοσ-κίθι.

χ→ჯ: მისაკი (წ. 10, თ. 10,1) Μισάκης.

7. თანხმოვანთა რედუქცია. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში საკუთარ სახელებში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა β-ს დაკარგვისა ხმოვანთა გარემოცვაში: აქინადაოს (წ. 8, თ. 2,3) 'Αχινάδης; ახაოს (წ. 7, თ. 5,2) 'Αχაίος (≠ ახავონ); ათანდილო (წ. 10, თ. 11,2) Ναθανήλος; ისტოს (წ. 7,

<sup>25</sup> გ. ა. ხ. ე. ლ. ი. ა. ნ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1942, გვ. 215.

თ. 6,1) 'Iασιβίς; აქიაოს (წ. 15, თ. 7, 8) 'Αγίαβίς; ელიასიოს (წ. 11, თ. 5, 4) 'Ελεβίβίς; მირეონ (წ. 6, თ. 6,6) Μειρεβίον.

ტექსტის არასწორი წაკითხვის გამო დამახინჯებული საკუთარი სახელები:

1. სახელისმდებელი სამთაჲ: აფერან, სურინ, იაფრან (წ. 1.თ. 15, 1.).  
... 'Αφέραν, Σούριον, 'Ιαφραν A. 1<sub>241</sub>.

აქვე, წ. 1,თ. 15, 1-ში, ოღნავ ქვემოთ, ეგვევ საკუთარი სახელები სხვა ფორმით არიან წარმოდგენილი: „ხოლო ორთაგან, ფრადი და იაფეროჲსგან— ქალაქ აფრაჲ და სოფელი აფრისკი... ἀπὸ μὲν τῶν μὲν 'Ιάφρα τῆ καὶ 'Αφέρου...

... A. 1<sub>241</sub>. „'Ιάφρα“ საკუთარ სახელს მთარგმნელმა ჩამოაცილა პირველი ორი ასო—'Ια და მიუერთა მას მისი მომდევნო τῆ ნაწილაკი, რის შედეგადაც მიიღო საკუთარი სახელი „ფრადი“. რაც შეეხება მეორე სახელს, „იაფერო“-ს, შეიძლება გვევარაუდო, რომ ეს ვარიანტული ფორმა „აფერან“ სახელისა, რადგან ბერძნულში ძირითად ფორმას, „'Αφέρας“, აქვს ვარიანტული ფორმაც, „'Ιαφέρας“, მაგრამ რაკი ორი წინადადებით ზემოთ ნახმარია „აფერან“, ალბათ აქაც „აფერან“ იქნებოდა, ხაი კავშირის რომ არ მიეერთებინა მთარგმნელს „აფერან“ საკუთარი სახელისათვის.

2. „რომელსა ეწოდების მენილატ“ (წ. 8, თ. 7,3) μὲν 'Ιτάν A. 8<sub>188</sub>. მთარგმნელს ნაწილაკი μὲν მიუერთებია გეოგრაფიული სახელისათვის და გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიუღია „მენილატ“ ფორმა.

3. თხზულების ქართულ თარგმანში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საკუთარ სახელს, ბერძნულისაგან განსხვავებით, თავში სანი აქვს დამატებული. ყველა ამ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტში ამ სახელს წინ უძღვის s-ზე დაბოლოებული სიტყვა. როგორც ჩანს, სწორედ ეს s იჩენს თავს მომდევნო საკუთარ სახელში ზედმეტი სანის სახით. სოფირას (წ. 1, თ. 6,4) Σοφας 'Οφίρη A. 1<sub>147</sub>; სეაროს (წ. 2, თ. 7,4) Βάρης 'Αβιάρ A. 2<sub>183</sub>; სავლა (წ. 8, თ. 12, 6) ὄσων: ἄξ: 'Αξიმῶ A. 8<sub>315</sub>.

4. ურილად სახელდებულს... (წ. 1,თ. 6,5) Οὐρη λεγομένη... A. 1<sub>151</sub>. როგორც ჩანს, მთარგმნელმა მომდევნო სიტყვის λ მოაკუთვნა Οὐρη საკუთარ სახელს და მიიღო არასწორი ქართული ფორმა: „ურილ“, ნაცვლად „ური“-სა.

5. იოსიიუვის (წ. 2,თ. 7,4) 'Ιωσιαιὸς 'Ηϊσῖβης A. 2<sub>183</sub>. როგორც ჩანს, მთარგმნელმა 'Ιωσιαιὸς სახელის ბოლო ნაწილი -იოს მიუერთა მომდევნო სახელს 'Ηϊσῖβης-ს და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა: „იოსიიუვის“.

6. პროტანიდოს (წ. 1,თ. 8,3) παρ Τάνιδος A. 1<sub>178</sub>. მთარგმნელმა პარ წინდებული შეუერთა Τάνι; საკუთარი სახელის აკ-ის ბრუნვას და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა.

7. ტეტროლოდოტიუ მიიწინეს... (წ. 1, თ. 15,1) τῆ Τρωχλοδον... A. 1<sub>239</sub>. მთარგმნელმა τῆ ნაწილაკი მიუერთა ბერძნულ საკუთარ სახელს და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა.

8. დაადგრა სადანა ქალაქსა შინა (წ. 10 თ. 9.1) καὶ 'Ιερεμῆς μὲν κατέμαυσεν + εἰς 'Αδαναν (L-V)<sup>26</sup> A. 10<sub>158</sub>. εἰς წინდებულისც შეერთებულია 'Αδαναν სახელისათვის და მიღებულია „სადანა“ ფორმა.

9. ტიტანაჲ პაკკარონისაჲ (წ. 5.თ. 1,22). 'Ιτταν ἀπ' Ἀχαρῶνας A. 5<sub>87</sub>. როგორც ჩანს, მთარგმნელმა ἀπ' წინდებულის პირველი ასო α მიუერთა 'Ιτταν

<sup>26</sup> L=Codex Laurentianus plut. t. 9. ccd. 20, cent. XIV. v=Codex Vaticanus gr. nr. 147, cent. XIV.

გეოგრაფიულ სახელს, თანაც თავში გ-ს ნაცვლად დაწერა ტ, ხოლო მეორე ასო—π მიუერთა გეოგრაფიულ სახელს 'Αχαΰαν-ს. შეიძლება ხელნაწერში გადაბმულად ეწერა ეს ორი სახელი და ამიტომ იქნა მთარგმნელის მიერ ეს შეცდომა დაშვებული.

10. რომელთა თანა დაეცა კეფალიონ, ძმა ანტიპატრომის (წ. 14, თ. 2,3) μὲθ' ὃ ἐπῆε καὶ Φαλλίαν... A, 14<sub>38</sub>. καὶ ὁ ნაწილაკის მნიშვნელობით მიერთებულია Φαλλίαν საკუთარი სახელისათვის და მიღებულია დამახინჯებული ქართული ფორმა ამ სახელისა.

11. რომელსა ჟამსა ანტონიოს კესარიის მიერ კატაკტიონს იძლია (წ. 15, სარჩ. № 8) ἐν τῇ κατ' ἹΑκτίου νικῆται μάχῃ A, 8<sub>510</sub>. თანდებული κατ' მიერთებულია გეოგრაფიული სახელისათვის.

12. ხოლო მიეყვანა უწინარესცა ცოლი, სახელით დიმონტინ, დორის ნათესავისაგან (წ. 14, თ. 12,1). ...γυναίκα θημάτιν Δῶριον ὄνομα A, 14<sub>300</sub>. „θημάτις“ ნიშნავს „იმავე ტომის ქალს“. მთარგმნელს იგი საკუთარ სახელად გაუგია, ხოლო ცოლის სახელი—Δῶριον ტომის სახელად. უნდა ყოფილიყო: ცოლად მოიყვანა მისივე ტომის ქალს, სახელად დორის.

**ნათარგმნი საკუთარი სახელები.** ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არცთუ იშვიათია საკუთარი სახელები (პირთა და გეოგრაფიული), რომლებიც თარგმნილნი არიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ საკუთარ სახელს ბერძნულში საფუძვლად დაედო გარკვეული მნიშვნელობის საზოგადო სახელი, ე. ი. მაშინ, როდესაც ესა თუ ის პირის სახელი თუ გეოგრაფიული პუნქტი მიიჩნეის საზოგადო სახელად მისი გარკვეული მონაცემების გამო.

1. მიმყვანებულად მათმან მოკია ჯეჳად წოდებულისადმი (წ. 3, თ. 14,1) Ἁναταχῶν... εἰς τὴν καλομαίην Φάραγγα A, 3<sub>310</sub>.

2. მისრულმან ადგილსა, ... პირველად ვიდრემე არკიდ სახელდებულსა, ხოლო აწ კლდედ წოდებულსა (წ. 4, თ. 4,7). ... Πῆτραν δὲ πρὸ ὄνομαζομένην A, 4<sub>83</sub>.

3. მიიწინეს ადგილსა რომელსამე, დაწუ ეწოდების აწ (წ. 5, თ. 8,8). καὶ γυνομάχων κατὰ τὴν χερσὶν, 8 Σιαγῶν καλεῖται A, 5<sub>310</sub>.

4. ხოლო სამეფოა იქმნა მისდა მსოფლიოასა ვიდრემე ენისაებრ მანალი, ხოლო ელლანთა ენასაებრ ბანაკად სახელდებული (წ. 7, თ. 1,3). ...Παραμυσιάς λεγομένην A, 7<sub>10</sub>

5. ავიდოდა რაა იგი მთისა შორის ზეთისხილთაჲსა (წ. 7, თ. 9,2). ...τὸν Ἐλαίνους θρύου A, 7<sub>202</sub>.

6. უბრძანა... არა ქონებაჲ ქელმწიფობისაჲ განსლვად ნარლუევსა ნამოვნათასა (წ. 8, თ. 1,5). ...τὸν χερσῶν Κεθρῶνα A, 8<sub>17</sub>.

7. პოენეს იგინი საშუეალ იეროსლკმათა და ელნადისა აღსავალისა, წოდებულა მწუერვალად (წ. 9 თ. 1,2). ... ἑλεγομένη δ' Ἐξοχῆ A, 9<sub>11</sub>.

8. კრანოს... გარე-მოადგა... პტოლემეოსს სამცველოსა შინა, წოდებულსა შემაწუდეველი (წ. 13, სარჩ. № 15). Ἱραχῶν... ἐπιστοβήτης τὸν Πτολεμαίων εἰς τὴν φρούριον ἐχλεῖται Δαγῶν καλομένην A, VII, 712.

9. კრ-იყო ჩემდა მოკემაჲ დამკვდრებულთაგან იუდეასა შინა და ადგილი სამთავროთაგან იუდეასა მანლობელთა, სამარაასა და ღალილეასა და წიად მყოფისაგან (წ. 13, თ. 2,3). ...Σαμαρείας καὶ Γαλιλαίας καὶ Περαιάς... A, 13<sub>50</sub> პერაი(ა=1) ქვეყანა, რომელიც მდებარეობს საპირისპირო მხარეს. 2. Περαιά—ადგილი პალესტინაში. ეს საკუთარი სახელი ქართულ ტექსტში ხან თარგმნილია, ხან არა.

10. დედოფალმან მოთვარემან, კლესიასათრად სახელდებულმან... (წ. 13, თ. 16,4). ...*βασίλισσα γὰρ Σελήνη ἦ καὶ Κλεοπίτρα καλομένη* A, 13<sub>42a</sub>. აქ იგულისხმება პტოლემოს ფეისკონის ქალიშვილი და მეუღლე პტოლემოს ლათურისა—*Κλεοπίτρα Σελήνη*.

11. მორკინალი იყო ძლიერთაჲ (წ. 13, თ. 16,5). ...*ἐνθα Παλαιστῆς ἦν τῶν θυνατων* A, 13<sub>42a</sub>.

12. მიიწინეს რაჲ ლელესა, გმირთად წოდებულსა... (წ. 7, თ. 4,1). ...*τῆς καλῆς τῶν Γυζντων* A, 7<sub>11</sub>.

13. ...სერტყთანთა შინა, წოდებულთა გოდებისად... (წ. 7, თ. 4,1). ...*οὐδὲ καλομένης Κλασιανῆς*... A, 7<sub>38</sub>.

14. ... ტაძარსა შინა თანმოსახელისასა... (წ. 14, თ. 8,5). ...*ἐν τῇ τῆς Ὁμοιοῦς ναῦ*... A, 14<sub>145</sub>. (ბაბ—ვიე ἦ=ერთსულოვნება).

15. სიმონ იყო იეროსოლკმელი, ძე ალექსანდრიელისა ვისმე, შემწისა (წ. 15, თ. 9,3). ... *Ἰεροσολιμῆτης υἱὸς Βοηθῆ* A, 15<sub>320</sub>.

16. წარვიდა, მის თანა მიმეყანებელი მსახურისა მისისაჲ მცველისაჲ (წ. 5, თ. 6,4). *παρῶν δὲ ἦν: Φρουρῶν τῶν ἐχουσῶν ἄρχοντας παραχρῆσιν* A, 5<sub>219</sub>.

ბევრი ეს სახელი ჩვენთვის სწორედ ნათარგმნი სახით არის ცნობილი, რადგან ბიბლიაში ისინი ასე არიან წარმოდგენილნი. მაგრამ იოსების თხზულების მთარგმნელი იძლევა ისეთი სახელების თარგმანსაც, რომლებიც მანამდე ქართველი მკითხველისათვის უცნობი იყო.

თხზულების მთარგმნელის ვინაობისათვის. დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ იოსებ ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთა“ ქართველი მთარგმნელი არის XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი — იოანე პეტრიწი.

ამ აზრს, როგორც ჩანს, საფუძველი ჩაეყარა XVIII—XIX სს-ებებში. პირველ ცნობას პეტრიწის, როგორც ამ ძეგლის მთარგმნელის შესახებ, ვხვდებით XVI ს-ის ხელნაწერ ქუთ. — 10-ში, რომელშიც დაცულია მინაწერი დავით დადიანის ბიძის, თავად გრიგოლ წერეთლისა:

პეტრიწისა გვარი წერილისა განმაცკვრებს,  
ენაშუობისა მისისა სიძარქჲს განმაცვიფრებს,  
მსურს მისი იგი ლექსთ-მკობილება,  
აღნაქსთა მისთა მახარებს მშვენიერ-წყობილება.  
ის აქ შესაბამ არს  
თ<sup>რ</sup>ი გრიგოლ წერეთელ<sup>ა</sup>.

პეტრიწს მიაწერს ამ თარგმანს დავით დადიანის კარის მღვდელიც, დავით ინანიშვილი, რომელმაც XIX ს-ის პირველ ნახევარში რუსულიდან გადმოიღო ფლავიოსის თხზულების ის უკანასკნელი ხუთი წიგნი<sup>28</sup>, რომელთაც ვერ ვხვდებით ადრეულ ნუსხებში (A—675-სა და ქუთ. 10-ში).

როგორც ჩანს, ამ ცნობებზე დაყრდნობით წერდა კ. კეკელიძე, რომ მთარგმნელი „მოთხრობათა იუდაებრივისა დასაბამსიტყუაობისაჲს“ არის იოანე პეტრიწი<sup>29</sup>.

<sup>27</sup> ეს სიტყვები ეკუთვნის ანტონ კათალიკოსის და მოთაყვებელი არის 1770 წლის მხითარ სეპასტიელის „რიტორიკის“ ქართულ რედაქციაში, რომელიც ანტონმა თარგმნა სომხურიდან.

<sup>28</sup> მოიპოვება ამ თარგმანის ორი ნუსხა. ორივე დაცულია S ფონდში 315—321 და 371—374 ნომრებით.

<sup>29</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 267.

თუ ცნობა იოანე პეტრიწის მიერ „იუდეველთა სიძველეთას“ თარგმნის შესახებ საქმის რეალურ ვითარებას ასახავს, მაშინ ამ თარგმანსა და იოანე პეტრიწის მიერ შესრულებულ სხვა თარგმანებსა და ორიგინალურ თხზულებებში საერთო ხმარების საკუთარი სახელები ერთი და იმავე ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. ჩვენ ერთმანეთს შევუდარეთ იოანე პეტრიწის ორიგინალური თხზულების „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათჳს“<sup>30</sup>, ნათარგმნი ძეგლის „ბუნებისათჳს კაცისა“<sup>31</sup> და „იუდეველთა სიძველეთას“ საერთო ხმარების საკუთარი სახელები:

აღმოჩნდა, რომ საერთო ხმარების საკუთარი სახელები ძირითადად სხვადასხვა ფორმით არიან წარმოდგენილნი „იუდეველთა სიძველეთას“ ქართულ თარგმანში და ზემოთ დასახელებულ ორ სხვა ძეგლში. „იუდეველთა სიძველეთას“ მთარგმნელი ბერძნული ორიგინალის ძალიან დიდ გავლენას განიცდის. იგი თითქმის არ უწყევს ანგარიშს ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმებს და საკუთარი სახელები ბერძნულიდან ქართულად გადმოაქვს ისე, როგორც ამას მისი დროის ფონეტიკური ნორმები მოითხოვენ. რაც შეეხება იოანე პეტრიწის მიერ შესრულებულ თარგმანს „ბუნებისათჳს კაცისა“ და მის ორიგინალურ თხზულებას — „განმარტებაჲ დიადოხოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათჳს“, აქ საკუთარი სახელები იხმარება ძირითადად ისე, როგორც არიან ისინი ტრადიციულად დამკვიდრებულნი ქართულ წერილობითს ძეგლებსა და ზეპირმეტყველებაში. მოვიყვანთ საერთო ხმარების ყველა საკუთარ სახელს ამ სამი ძეგლის მიხედვით:

„იუდეველთა სიძველენი“	„ბუნებისათჳს კაცისა“	„განმარტებაჲ...“
1. აერამოს    აერამო (ძირითადი) თითო-ორორჳერ: აბრამოს, აერამოს, აერამამო	—	აბრამამი
2. აღამოს	—	აღამი
3. ალექსანდროს (ძირითადი) იშვითად: ალექსანდრე	—	ალექსანდრე
4. აპოლონოს	აპოლონ	აპოლონი    აპოლოჲ
5. ვავლონი (ძირითადი) იშვითად: ბაბლონი, ვავლონი, ვავლონი, ვავლონი	ბაბლონი	—
6. დავიდი (ძირითადი) ერთხელ: დავითი	დავითი	დავითი
7. დანილოს	დანიელ	—
8. დოო	დოა	დოჲ
9. ებრაელი (ძირითადი) იშვითად: ებრაელი	ებრაელი	—
10. ენოხოს	ენოქი	—
11. თეოდოროს	თეოდორე	—
12. იოანნი	იოანე	იოანე
13. იოსიპოს	იოსეფ	—
14. ლაკედემონელნი	ლაკედემონელნი	—

<sup>30</sup> იო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი. შრომები, ტ. I თბილისი, 1940, საკუთარ სახელთა საქიებელი, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, გვ. 233-234.

<sup>31</sup> ნემესისი ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914, საკუთარ სახელთა საქიებელი, გვ. 222—228.

15. მაკაბეოს	მაკაბელნი	—
16. მარსო    მოქსის (ძირითადი) იშუათად: მოსე (7-წერ) (მოვსე, მოსე)	მოსე	მოსე
17. სოლომონ (ძირითადი) სოლომონ (7-წერ)	სოლომონ	სოლომონ
18. ფინიკი, ფინიკელნი (ძირითადი) ძალიან იშუათად: ფინიკი, ფინიკელნი	—	ფინიკი, ფინიკელი

არის რამდენიმე დამთხვევაც ამ სამ თხზულებაში საერთო ხმარების საკუთარ სახელთა ფორმებში. ესენია: ათინა, ელინი, ისაია, ხალდეველი, ალექსანდრია, დიონუსიოს, ეგვიპტე, ეგვიპტელი, იამვლიხოს, ილია, ლაოდაკია, მენანდროს, რომი.

რა თქმა უნდა, მხოლოდ საერთო ხმარების რამდენიმე საკუთარი სახელის განსხვავებულ ფორმაზე დაყრდნობით ვერ გადაწყდება საკითხი თხზულების ქართული მთარგმნელის ვინაობის შესახებ. მაგრამ ამ საკითხის შემდგომი კვლევისას საკუთარი სახელების ჩვენებები უთუოდ გასათვალისწინებელია.

Н. Г. МЕЛИКИШВИЛИ

## ИМЕНА СОБСТВЕННЫЕ ПО ГРУЗИНСКОМУ ПЕРЕВОДУ «ИУДЕЙСКИХ ДРЕВНОСТЕЙ» ИОСИФА ФЛАВИЯ

Резюме

В статье изучены вопросы передачи собственных имен в грузинском переводе памятника Иосифа Флавия «Иудейские Древности». Показано, что переводчик в основном не следует традиции передачи собственных имен, существующей в древнегрузинском языке, и передает их в соответствии с фонетическими нормами греческого языка XI—XII вв.

Представлена попытка объяснения нерегулярных передач на основе фонетических процессов, имеющих место в древнегрузинском языке. Выявлены случаи неадекватной передачи собственных имен в результате неправильного прочтения текста.

Вследствие сопоставления форм собственных имен общего пользования в нашем памятнике, в оригинальном труде Иоанна Петрици «Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадохса» и в его переводном памятнике Немесия Эмесского «О природе человека», выяснилось, что в «Иудейских Древностях» эти имена употребляются в отличной от двух других памятников форме. Этот факт поставил под сомнение представленную в научной литературе версию о том, что переводчиком «Иудейских Древностей» является Иоанн Петрици.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. აველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. აველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

## ლიანა ჟღანბი

სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგი თაშისებურება  
საერო მფარელოგის ენაში (XVIII ს.)

მეთრამეტე საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ისტორია ყურადღებას იქცევს იმ მხრეზე, რომ თანდათანობით ქრება ძველი ქართული ენის ფორმები და მკვიდრდება ახალი ქართული ენის დამახასიათებელი ნიშნები. წინამდებარე შრომაში წარმოდგენილია ბესიკის თხზულებებში დაცული ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი შემთხვევები სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით.

ბესიკის ენაში, ისევე როგორც საერთოდ საერო მწერლობის ძეგლების ენაში, მოგვეპოვება ზოგი ისეთი მოვლენა, რაც ძველ ქართულში გვაქვს, „ანდა გარდაშავალ საფეხურს წარმოადგენს ახალი ქართულისავენ“<sup>1</sup>.

ბესიკის თხზულებებში დაცულია ძველი ქართულისათვის სპეციფიკური ბრუნვა წრფელობითი. ისევე, როგორც ძველ ქართულში, აქაც წრფელობითი ბრუნვის ფორმა ნახმარია:

ა) შედგენილი შემსამენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით და ძირითადად ბესიკის პროზაში დასტურდება: „... და მუნამდე ცოცხალ ვიყო...“ (132,4)<sup>2</sup>; „... რომლითაც კაცთმოყვარება თქვენი ჩვენდაპო აღნთებულ არს...“ (197,7); „დაძველებულ იუვენეს მეფეთა წერილი“ (207,30).

ბ) წრფელობითი გამოიყენება სახელობითი ბრუნვის ფუნქციით ძირითადად საკუთარ სახელებში: „დღეს იხარებს დავით“ (122,1); „ბასისტად მანუჩარ გვრგვინავს...“ (88,9); „... ვინათგან იმყოფების აქა არქიმანდრიტი გაიოხ...“ (202,33).

გ) იშვიათად წრფელობითის ფორმა საკუთარ სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციითაც არის გამოყენებული: „... მეფემან ჩვენმან დავით განიშორა ყოველი სიმძიმე...“ (197,21); „წყალობის წიგნი გაბოძეთ... ბაქარის ძემან ბატონისშვილმან აღექსანდრე...“ (205,2); „ყელყვიციანმან უარამან“ (97,10).

დ) წრფელობითის ფორმა განსაზღვრებად: გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც წრფელობით ბრუნვაში დასმულ სახელს ახლავს მსაზღვრელი, როგორც ცნობილია, საზღვრული და მსაზღვრელი ძველ ქართულში ბრუნვასა და რიცხვში ყოველთვის შეთანხმებულია, ამიტომ, თუ საზღვრული წრფელობითის ფორმითაა მოცემული, წრფელობითისავე ფორმა ექნება მსაზღვრელსაც<sup>3</sup>.

ბესიკის პროზაულ თხზულებებშიც დაცულია ძველი ქართულის ეს ვითარება მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევაში:

<sup>1</sup> არნ. ჩ ი ჯ ბ ა ე ა, „ველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისთვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, 1966, გვ. 5.

<sup>2</sup> მასალები ამოღებულია ბესიკის თხზულებებიდან: ბესიკი, თხზულებანი, თბილისი, 1962. ქვემოთ მივუთითებთ ამ გამოცემიდან მხოლოდ გვერდსა და სტრიქონს.

<sup>3</sup> ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 657.



„გვამ გულისსათქმელ, სქეს უცვაგეს იალქიალთა და ცების ცობათა...“ (100,7); „... რიტორ უებრო...“ (189,1); „... შენ... ერმის სიტყვამცემლობით ღვთიე ნათქმულ ხატკაც...“ (100,5).

დასტურდება ისეთი მაგალითიც. სადაც დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ეს წესი: წოდებითი ბრუნვის ფუნქციით ნახმარი საზღვრული ფუძის სახითაა, მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელს კ- წოდებითის ფორმა აქვს: „სუნნელ ნარდისაო დამატებოზელ...“ (189,1).

ე) ფუძის სახითაა ნახმარი ვითარების გარემოება სიტყვებში ხრულ და მწწრაფლ: „... მთა-ველ-წყალი სრულ დავლახე...“ (121,23); „როს ვნახე ჳერ-ში კიღული, მწწრაფლ დამეპართა ბნედაი“ (164,20).

სახელობითი ბრუნვა. ფუძემოვნის სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება როგორც **ო**, ასევე **ე**. **ო** სახელობითი ბრუნვის ნიშნად ბოლომთონიან სახელებთან შემორჩენილი აქვს ზეესურულს<sup>4</sup>, ქართლურს<sup>5</sup> და სხვა კილოებს. ბესიკის თხზულებებში სახელობითი ბრუნვის ი იშვიათად დასტურდება, მაგრამ მაინც გვაქვს: „... თუ მე ვსთქუ:“ ძმაო ცოფად გეენის მეგზებმან“ (105,19); „დასცხრაო ზღვაი გონიერი...“ (104,16). **ე**-ის ხმარების შემთხვევები ძალზედ იშვიათია და მხოლოდ ავტოგრაფებში დასტურდება: მოხსენებაჲ, დაყენებაჲ.

მოთხრობითი ბრუნვა. მოთხრობითის ნიშნად უმეტესად არქაული მან არის წარმოდგენილი: „დაგებერნა ქარმან“ (46,10); „ვარღმან პირი არა შალა...“ (58,15); „ცხენმან შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა“ (82,13); „კაცმან უთხრა ტერტერასა“ (161,25).

მიცემითი ბრუნვა. დასტურდება მიცემითი ბრუნვის უმეტესად გავრცობილი და იშვიათად გაუვრცობელი ფორმები: „... მივარდა ცოლსა ვით ლომი...“ (164,24); „მივხედნეთ დღესა, რა აღმართების ხესა...“ (140,15); „... აღვმართავ ალამსა და მის ხუვილის ნეშტსა ვიპყრობ ვითა კალამსა...“ (188,15).

ბესიკის პოეზიაში გავრცობილი ფორმების ხმარება გარკვეულ შემთხვევაში ლექსთწყობის საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ზოგჯერ ბესიკი გაუვრცობელ ფორმებაც იმავე ლექსთწყობის მიზნით იყენებს: „კაზანს ევედრე მოგიტეოს დანაშაული“ (34,6).

ძველი ქართულიდან უთანდებულო მიცემითს შემორჩენილი აქვს ადგილისა და დროის გარემოებას და უბრალო დამატების გამოხატვის ფუნქციები. ბესიკის თხზულებებში მიცემითის ადგილის გარემოებად ხმარების შემთხვევები საკმაო რაოდენობით გვხვდება, შედარებით იშვიათია მიცემითის ხმარება უბრალო დამატებულ ფუნქციით, ხოლო დროის გარემოებად გამოყენების შემთხვევები კი მხოლოდ თითო-ორჯერ მოიძებნება და იიც პარანაში.

მიცემითი ადგილის გარემოებად: „რამანეთთ მოსრული იმერეთს ვახლავ მეფესა...“ (116,21); „სახლხ უნდა ეგლო მძუნავი“ (153,22); „... შიველით ქალაქსა, რომელსა ეწოდების რამტი“ (184,14); „მინდორს დარაზმდენ“ (126,25).

მიცემითი დროის გარემოებად: „მაისხ... წაბრძანდა უგანათლებულესი კნიაზი პოტემკინი...“ (186,19).

<sup>4</sup> ევლ ქართულში მწწრაფლ ფორმის პარალელურად იხმარებოდა მწწრაფლ (იხ. იმ ნ ა მ ვ ე ლ, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 654).

<sup>5</sup> ალ. ქ. ე. ქ. ა. უ. ლ. ი. ზეესურულს თავისებურება: ნი, თაილისი, 1950, გვ. 48.

<sup>6</sup> ე. თ. ლ. უ. რ. ი. ა. ქართლური, „არილი“, თბილისი, 1925, გვ. 138.

მიცემითი უბრალო დამატების ფუნქციით: „... ბებერს მივარდ... თავს დაკრა“ (151,24); „იგი კეტი მხარს გაიდვა...“ (159,4).

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შეენიშნავეთ, რომ როგორც უკვე ითქვა, ბესიკი თავისუფლად ეპყრობა სიტყვის და ზოგჯერ ცვლის მის ფორმას, როდესაც ამას ლექსთწყობის საჭიროება მოითხოვს. მაგალითად, ამ მიზნით ბესიკი ფუძეს და ბრუნვის ნიშანს შორის უმატებს ა ხმოვანს: „... ბებერა კრეველის მკერდასა...“ (153,26); „... სისხლი ჩასდინდა ქელასა“ (153, 25).

მოქმედებითი ბრუნვა. მოქმედებით ბრუნვას ძველი ქართულიდან შემორჩენილი აქვს გამომავლითი ფუნქცია: „**იამანეთით მოსრული იმერეთს ეახლავ მეფესა...**“ (116,21); „... ცით კრთოდეს ამარტანია“ (84,17); „...**მოით ნაღენსა ტბილსა წყაროსა...**“ (134,1).

ძალიან იშვიათად მოქმედებითი ბრუნვა დროის გარემოების ფუნქციითაც იხმარება: „**სიყრმით ჩეუელი ომს, არძლეული**“ (133,13).

„უძველეს დროს ქართულ ენას უნდა ჰქონოდა ერთი ბრუნვა, რომელსაც იგი აწარმოებდა. ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა... მას ამჟამად ზმნიზელური გამოყენება აქვს“.

ასეთი ფორმები დასტურდება ბესიკის თხზულებებშიც:

ა) დროის გარემოების ფუნქციით: „**რომ მე მქონდა შენდა მიწუფე სამსახურად ჩემი ღონე**“ (149,17); „**ძირთანთ ძეგლევს მარე მოვისწრაფდი მშვიფ და მთვარე...**“ (120,15).

ბ) ვითარების გარემოების ფუნქციით: „**უსხვენებლივ სამს საათსა სცა და ხეეწნა არ იაჭა**“ (152,28).

გ) იგი დასტურდება აგრეთვე სიტყვაში მღვთივ ღვთივ: „**ტანი გამირგნომი, ღვთივ დანაშთომი**“ (132, 14); „... დიდად სახელოვანის შეფისა მღვთივ კურთხეულია ბაქარის ძეჴან“ (205,1).

ვითარებითი ბრუნვა. ვითარებითი ბრუნვა ძველი ქართულსა მსგავსად გვხვდება:

ა) **ლოკატივის ფუნქციით**: „**შენნი მიჭნურნი ველად რბიან...**“ (98,13); „**ოდეს ავლაბრად მოვიდა აქალო თარემ-ფრენითა**“ (79,16); „**წარველინე ერანად შირაზს ქალაქად**“ (184,6).

ბ) ისევე როგორც ძველ ქართულში, ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი გადმოგვეცემს მიზანს: „**განსვენებად მიიყვანეს...**“ (18,15); „... **ვაჴურს შეველე ოვსთა ნახვად**“ (118,2); „**ტყავნი სუიღვად შევიგროვე**“ (120,14).

ვითარებითი ბრუნვა ერთ შემთხვევაში სიტყვაწარმოებითი ფუნქციითაც გამოიყენება: „**მალაღლირსებას ჴამაღი მსუყე, მძიმედ მოსვლია, ვთ მიწ. უყე**“ (95,1).

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართულის ვითარება დაცულ სიტყვაში სიკვდილი, სადაც ვითარებით ბრუნვაში ლ გაუჩინარებულა. ეს მოვლენა დასტურდება არქაული ენით დაწერილ პროზაულ ნაწარმოებში „**ზხუკვაბულ რბეღლიანს**“: „...**მოქადი სიმდაბლისა ქვის ტყორცებით ვიდრე სიკვდილ დამორეჴმან**“ (103,32); „... **მტყორცოლა ლოდი ძმასა სიკვდილ მწეგნელი**“ (103,19).

**ე მ ფ ა ტ ი კ უ რ ი ა**. ბესიკის თხზულებებში, ისევე როგორც ძველი ქართულში, ემფატკური ა გვხვდება მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებთან, აგრეთვე თანაინ მრავლობითში.

<sup>7</sup> ა. შ ა ნ ა ჯ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1. თბილისი, 1973, გვ. 76.

მიცემით ბრუნებასთან: „ეტყვის საკვადესა სიტყვასა“ (154,13): „... რო-  
ნელიცა სრულიად აღმოაჩენს დამნაშავესა“ (197,9).

ნათესაობით ბრუნებასთან: „ვიყავ ბედისა დამბრალეები“ (31,2): „მოკაცეშ-  
ნეთა მოგიძღვნით მუფარახისა მფენელსა“ (148,4).

მოქმედებით ბრუნებასთან: „ვარდი მით არს გულდაკლებითა“ (30,19):  
„საქმეცა უდიდესი სიმდაბლითა მოიბოვეს“ (126,2).

რ ი ც ხ ვ ი. ბესიკის თხზულებებში ჭარბად ვხვდებით ძველ ქართულში  
გაბატონებულ ნარ-თანთან მრავლობითის ფორმებს. ამ სახის მრავლობითი  
გვხვდება:

ა) სახელობით ბრუნებაში: „... დამას ცრემლნა...“ (105,21): „მის ქალს  
დღენი დალიენა მან ყვედრებამან სრულადმან“ (154,11).

ბ) მოთხრობით ბრუნებაში: „... დესპანთა ფრენით მოიხმნეს ლაშქარნი  
ქვეყნის მგრვეანი“ (123,27); „იტყვის ღიღინსა: სალ გულო, კაემანთა ვერ  
დაგფარეს“ (159,11).

გ) მიცემით ბრუნებაში: „ღრიანკალი გესლთა სწვიმდა“ (130,14): „... მივე-  
გებნეთ მომავალთა...“ (126,7).

დ) ნათესაობით ბრუნებაში: როდესაც იგი მართულ მსაზღვრელად არის  
გამოყენებული: „არს მისი სახე საგლოფელთ მახე“ (51,2): „... დაიწყო ხელთა  
და ფეხთა წყვეტანი“ (155,19).

ბესიკის თხზულებებში ნარ-თანთან მრავლობითის ფორმები გაცილებით  
უფრო ჭარბადაა წარმოდგენილი, ვიდრე ებ-იანი მრავლობითისა. ამის ნათელ-  
საყოფად საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ მარტო ერთ ნაწარმოებში „მზე-  
ქაბუკ ორბელიანს“, რომელიც ბესიკის თხზულებებიდან გამოირჩევა ანტონისე-  
ბური მძიმე, არქაული ენით, დაახლოებით 70 შექმთხვევაში ნარ-თანთან მრავ-  
ლობითია ნახმარი და მხოლოდ ოთხ შემთხვევაში იხმარება-ებ სუფიქსიანი  
მრავლობითი. ასეთი ვითარებაა მრავლობითი რიცხვის ხმარება-ებ მხრივ ბესი-  
კის თხზულებებში მაშინ, როდესაც ბესიკის წინამორბედი პოეტების თეიმურაზ  
პირველს, დ. გურამიშვილს, თეიმურაზ მეორის ნაწერებში ნარ-იანი და  
ებ-იანი ფორმების რაოდენობრივი შეფარდება „ვეფხისტყაოსანთან“ შედარ-  
ებით შეცვლილია: გაზრდილია ებ-იანი წარმოების ხვედრითი წონა.

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი. ამგვარის მნიშვნელობით დასტურდება ესგვარი:  
„შენითა სიფლორციითა ესგვარი საქმე ივნეო“ (154,8); „უკნობნი ვარდნი,  
ესგვარ დარდნი, დავიბარენით“ (46,4) ასეთის მნიშვნელობით იხმარება ეს-  
რეთი: „არ გიკვირს, ძმაო, ესრეთი ვითა მქნა სავალალოდ?“ (51,5).

ძველი ქართულის ვითარებისამებრ III პირის ნაცვალსახელად ნახმარია  
იგი: „იგი გსურს აღრე მოგიკვდე...“ (151,20): „...იგიც ვნახე“ (121,20). დას-  
ტურდება ამ ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაც: „... საჭურველ-  
მან რუსეთისამან იხსნა იგინი“ (197,24).

აქა-იქ შეინიშნება იგი-ს გამარტივებული ფორმაც იგ: „იგ მეყოფა სიხა-  
რულად“ (160,4); „ბებერი კრევედის მკერდასა, იგ უფრო მოგერის ბნედასა“  
(153,26). ეს ფორმა დასტურდება დ. გურამიშვილის ენაშიც<sup>8</sup>.

გვხვდება აგრეთვე ძველი ქართულის ფორმა ეგვეითარი იმავე მნიშვნე-  
ლობით, რაც მას ძველ ქართულში ჰქონდა (მაგნარი). ეს ფორმა დასტურ-

<sup>8</sup> შ. ძ ი ბ ი გ უ რ ი, ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1965, გვ. 71.

დება ერთ-ერთ პროზაულ ნაწერში — ბესიკის პოტიომკინისადმი მიწერილ წერილში: „ეგვიფთარი ქებული და შესაბამი პოლიტიკა...“ (201,7).

გვხვდება ესოდენი || ესდენი: „ესოდენს ცემას არ იკმაროდა“ (158,27); „ესდენ ხანთა...“ (46,8).

ზოგჯერ მსაზღვრელად გამოყენებული პირველი პირის ჩვენებთი ნაცვალსახელი მოქმედებით ბრუნვაში არქაული სახით არის წარმოდგენილი საზღვრულთან: „არა ცუდ რად მოუბარნი ვაზირობდენ ამა პირით...“ (126,4).

ნახმარია ნაცვალსახელთა შემდეგი ფორმები: ჩვენდა, შენდა. მისდა.-და შინაარსობრივად ცვლის თვის, კენ თანდებულებიან ფორმებს: „ცრემლთა ისხარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით“ (46,1); „შეწევნად მისდა მოცალენით“ (77,24).

შენდა ფორმის გვერდით დასტურდება მისა შემოკლებული ფორმაც --- შენდ: „ბაგედ ვსტქე შენდა ლალო. შეგბრალდეს შენდ ალალო“ (57,8).

ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი კუთვნილებითი ნაცვალსახელი თვისი. მსაზღვრელად გამოყენებული, რაც ძირითადად პროზაულ ნაწერებში გვხვდება: „რათა ამით უკვე საწადელი თვისი სცნას...“ (201,25); „... მეზობელმან ჩვენმან დაფუძნა... შემოყვანად რუსეთს შინა მეთვალენი ერთგულნი ყმანი თვისნი...“ (201,23).

რედუცირებული სახით დასტურდება აგრეთვე უარყოფითი ნაცვალსახელი არავის: „არვის უქნია ეს საქმე, ქართლი კვირობენ, იმერი“ (161,8).

რედუცირებული სახით გვხვდება ნაცვალსახელი ყოველი-ც:

ა) სახელობით ბრუნვაში: „ყოვლი მოყვარე შენგან ჩივის...“ (44,14); „... ღონე ყოვლი მიაბარნეს...“ (126,14).

ბ) იგივე ნაცვალსახელი რედუცირებული ფორმით წარმოდგენილია მსო-ლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში, სადაც იგი მსაზღვრელად არის გამოყენებული: „კათოლიკოსი ყოვლისა საიშერეთოსია...“ (190,21) და სხვ.

როგორც ჩანს, ნაცვალსახელი „ყოველი“ მსაზღვრელად ხმარების დროს ისევე როგორც ძველ ქართულში, ძირითადად საზღვრულს წინ დასტურდება.

გ) საზღვრული მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი ყოველი ნაცვალსახელის რედუცირებული ფორმა კ. მასთან მსაზღვრელად არის შეწყობილი ნათესაობით ბრუნვაში: „თორემ კრახანა შენ დაგზაგრავს ყოვლის გზებითა“ (34,4).

დ) გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა მოქმედებითი დასმულ საზღვრულს იგივე ნაცვალსახელი მოქმედებით ბრუნვაში ეწყობა: „ყოვლით ასოთ გამოჟონა ყირმიზულმა სისხლმან გარედ“ (158,20).

ე) მოცემული ნაცვალსახელის რედუცირებული ფორმა დასტურდება მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშიც. აქაც იგი მსაზღვრელად არის გამოყენებული: „ყოვლთა გულიც მასთან დალობს“ (127,25).

ვ) მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი დასმულ საზღვრულთან მოცემული ნაცვალსახელა ფუძის სახით არის წარმოდგენილი: „ყოვლ ფერობათა მონაო“ (69,11).

როგორც ვნახეთ, აღნიშნული ნაცვალსახელის რედუცირებული ფორმა ყველა შემოდასახელებულ შემთხვევაში მსაზღვრელს ფუნქციით იხმარება.

ამავე სიტყვის რედუცირებულ ფორმას ერთვის თანდებულებიც. ეს თანდებულებია -გან და -თვის: „... არს ყოვლგან დანაფუცარი“ (113,1); „ბრძენთა ენამ როდეს გაქოს ყოვლითვის შესაფერადია?“ (132,2).

ზოგჯერ თანდებულდართული რედუქცირებული ფორმა ხელახლაა ნაბრუნები და წარმოდგენილია მოქმედებით ბრუნვაში, სადაც იკარგება თანდებულისეული ხმოვანიც და სიტყვა ორმაგად არის შეკუმშული: „დავბრუნდი ყოველგნით შეუბრალები“ (30,25).

როგორც მიუთითებენ, ყოველი ნაცვალსახელის რედუქციის შემთხვევაში ნშირია საერო მწერლობის ძეგლებში.

პარალელურად შეინიშნება ამავე ნაცვალსახელის ურედუქციოდ ხმარების შემთხვევებიც:

ა) მხოლოდითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში მსაზღვრელად წარმოდგენილ ამ ნაცვალსახელს დღევანდელი ვითარებისამებრ ნაწილობრივ აქვს მოკვეცილი ბრუნვის დაბოლოება: „აზრი ყოველი მეფისა შება იყო...“ (126,9).

ბ) იგივე ნაცვალსახელი მსაზღვრელად გვხვდება ნარ-თანიანი მრავლობითის სახელობით ბრუნვაში „...მოწამედ არიან ყოველნი დიდებულნი თავადნი...“ (209,21).

გ) ნარ-თანიანი მრავლობითის ნათესაობით ბრუნვაში. როდესაც საზღვრულიც მრავლობითშია: „ყოველთა მახლობელთა და შორიელთა...“ (193,2).

დ) ნარ-თანიანი მრავლობითის ნათესაობითში, როდესაც საზღვრული მხოლოდითშია: „...ყოველთა სახლისა შენისა შთამომავალთა...“ (205,9).

ე) იგივე ნაცვალსახელი გვხვდება ვე ნაწილადართულიც. ეს ნაწილადადართვის ნარ-თანიანი მრავლობითის სახელობითი ბრუნვის ფორმას: „...ჩვენ ყოველნივე სამღთონი და საერონი...“ (192,25); „...რომელსა ყოველნივე ზოგად მინდობილ ვართ...“ (193,30).

ნახშირია უარყოფითი ნაცვალსახელის არა-ს ამოსავალი, გაუმარტივებელი ფორმა — არრასა (არაფერის მნიშვნელობით): „...ნაცვალნი მაგნე არრასა მგონებელსა...“ (105,16).

პირის ნაცვალსახელი შენ გვხვდება შენას სახითაც: „...გიბრწყინავს პირისსახე... დახატული ხარ შენა“ (111,2).

დასტურდება პირველი პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის მართული მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული მრავლობითი რიცხვის ფორმა — ამეზის: „...მეფემან იმერეთისამან, ამეზის მცნობელმან...“ (202,6).

ამ ფორმას ორი შესაძლებელი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: 1. კვეცადი ფუძის ბოლოვიდური ა შეიკვეცა ებ მრავლობითი რიცხვის ნიშნის დართვით (ამეზის — ამეზის) და 2. არსებობდა ასიმილაციური ფორმა — ამეზის, რომელშიც ერთ-ერთი ე ხმოვანი დაიკარგა.

ებ-ით არის ნაწარმოები აგრეთვე I პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის მრავლობითიც — ესეზი, ესენის მნიშვნელობით: „დღედამთილისგან არას ჟამს არ მოესმინა ესეზი“ (151,22).

არქაული ფორმითა და მნიშვნელობით დასტურდება ურთიერთობითი ნაცვალსახელი ერთიერთი (ერთმანეთი, ერთიმეორე): „ერთიერთის მიმდევარნი, ერთპირნი“ (55,9); „...ერთიერთის მომწოდნი“ (129,26); „აყვედრიან ერთიერთსა...“ (149,28).

გვხვდება ერთმანეთის არქაული ფორმაც ერთმანერთი: „ზოგნი ერთმანერთს ზოცდიან...“ (149,14).

<sup>9</sup> არ. მ ა რ ო ს ვ ი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი, ივე, VI, 1954, გვ. 128-129.

ცნობილია, რომ ვინ კითხვით ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს, მაგრამ „ცდა კი არის გაჩენისა“<sup>10</sup>. სიმრავლის გამოსახატავად ჩვეულებრივ ვინდავინ იხმარება. ზაყურადღებოა, რომ ბესიკი სახელობით ბრუნვაში ზმარობს ამ ნაცვალსახელის II მრავლობითის ფორმას ვინანს: „... აწ ესეც გითხრათ საკვირველი შური ვარსკვლავთაგან მეფისა და თუ მასთან შემწვედ ვინანი მოვიდოდეს...“ (129,23).

ეს ფორმა ძველი ქართულის ტექსტებშიც დასტურდება და ნიშნავს „საიდან, სადაური“<sup>11</sup>. ბესიკი კი მას „ვინდავინის“ მნიშვნელობით ხმარობს.

პოეტის პროზაულ ნაწერებში ზოგჯერ დამოკიდებული წინადადების კავშირი, მიპართებითი ნაცვალსახელი რომელიც ძველი ქართულის ვითარებისამებრ ც ნაწილაკის გარეშეა წარმოდგენილი: „... მივედით ქალაქსა, რომელსა ეწოდების რაშტი“ (184,15); „... აღვირჩიეთ... დიდი უფალი... კათოლიკოსი მაქსიმე, რომელსა ყოველნივე ზოგად მინდობილ ხართ...“ (193,30).

**რ ი ც ხ ვ ი თ ი ხ ა ხ ე ლ ი.** დასტურდება არქაული სახით ნახმარი რიცხვითი სახელები: „...გმართებს ეგვანო ათხუთმეტის დღისა მთვარეს“ (159,12); „... ათორმეტის წლის მოუერქვენელა გულის ქეყყანასა მამულაყვებს“ (101,6).

გვხვდება ათორმეტის შემოკლებული ფორმაც: „... ოდეს მარტოდ მბრძოლი ჰიმადლე მოიხილეს მათ ათორთა ციურთა...“ (129,24); „ათორ რიცხვნი ცისა ზოდნი, ურთიერთის მოპაწოდნი“ (129,26).

გვხვდება აგრეთვე ორმოცის არქაული ფორმა ორშეოცი: „... რომელსა ეერცალა ორშეოცი ერმაულნი ენანი უძლებენ კოზმაობასა“ (101,1).

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ორმოცდაათს ეწოდებოდა ერგახისი. ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვხვდება ბესიკის ერთ-ერთ პროზაულ თხზულებაშიც: „... ჩემ ძლითთა ერგახისთა ორგზის წარწყმედით...“ (104, 11).

დასტურდება რიგობითი რიცხვითი სახელის არქაული ფორმაც: „... ოცდამეთათხრამეტესა დღესა შინა... განვედით მამულსა გილანისასა...“ (184,13).

როგორც ცნობილია, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში რიცხვითი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები საზოგადოდ არ იხმარება.

იშვიათად მათ შეიძლება შევხვდეთ პოეზიაში. ძველ ქართულში კი ასეთი ფორმები იხმარებოდა. ბესიკის თხზულებებშიც დატულია ძველი ქართულის ეს ვითარება: რიცხვითი სახელები ორი და სამი მსაზღვრელის ფუნქციით არის ნახმარი ნარ-თანთან მრავლობითში: „... თქვენ ორთა მამა-ძეთათვის მათ სამთა მეფეთა ძღვენნი შეიწირვიან...“ (122,12).

ორი ცალკე მდგომიც დასტურდება ნარ-თანთან მრავლობითში: „... რადგან ორნი ჩვენ ერთხორციი შევიქმნენით“ (156,1).

მრავლობით რიცხვშია ნახმარი ზემოდასახელებული შემდეგი რიცხვითი სახელებიც: ორშეოცი (101,1), ერგახისთა (104,11).

<sup>10</sup> ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 103.

<sup>11</sup> იხ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 159. („არა გიცი თქვენ, ვინანი ხართ“).

D. G. ŽGENTI

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ, СВЯЗАННЫЕ СО СКЛОНЕНИЕМ  
ИМЕН В ЯЗЫКЕ СВЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ (XVIII в.)

## Резюме

История грузинского литературного языка XVIII века привлекает внимание тем, что в этот период в данном языке постепенно исчезают формы древнегрузинского и появляются признаки, характеризующие новый грузинский язык. В связи с этим в данной статье рассматриваются такие факты из области склонения имен (они найдены нами в произведениях поэта XVIII века Бесики), которые характерны для древнегрузинского языка.

Имена существительные встречаются у поэта в специфическом для древнегрузинского неоформленном падеже. Он применяется в функции именительного падежа, в основном в собственных именах: იმყოფების აქა არქიმანდრიტი გაიოს — imqorebis aka arkimandriṭi gaios — «Находится здесь архимандрит Гайоз».

В роли падежного окончания повествовательного падежа засвидетельствован архаичный суффикс — მან — man: ცხენმან შეგატყო სხემთჳნ სეგატყა — «Лошадь заметила». რომელმან ქმნა — romelman kṃna — «Кто сделал».

В подавляющем большинстве случаев множественное число образовано посредством древнегрузинских суффиксов: ნ-ი и თ-ი: ღღენი-dyeni — «дни», ხელთა — xelta — «рук».

В характерном для древнегрузинского литературного языка виде представлены также местоимения и имена числительные: ჩვენდა — čvenda — «к нам», თვისი — tvisi — «свой», ეგევითარი — egevitari «такой», ვინანი — vīnani — «кто» (мн. число), ოცდამეათცხრამეტე — ocdameatcx-gamete — «тридцать девятый», ერგასისი — ergasisi — «пятьдесят».

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი  
ქართული ენის კათედრა  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიმიჯურმა

გიორგი გომოლაშვილი

ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში

I. ნამყო ძირითადის წარმოების ტიპის განსაზღვრისათვის. ნამყო ძირითადის წარმოებაში ორ ტიპს გამოყოფენ: ა) უნიშნოს, რომელიც რიგ შემთხვევაში მიიღებს ნართაულ -ი-ს და ბ) -ე სუფიქსიანს. ნამყო ძირითადის წარმოების საკითხის გარკვევისას ძირითადად განიხილავენ გარკვეულ მორფოლოგიურ ტიპებს და მსჯელობენ, თუ რომელი ტიპის ზმნა როგორ აწარმოებს განსახილველი ნაკეთის ფორმებს. ამგვარი ანალიზი არსებულ ვითარებას მხოლოდ ართულებს და ჭირს რაიმე ზოგადი კანონზომიერების დადგენა.

ნამყო ძირითადის წარმოების საკითხის განხილვა ზმნის გვარის ფორმათა ნიხედვით (შდრ. [1]) ერთნაირ სურათს იძლევა: • ელემენტი გვხვდება როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნათა ნამყო ძირითადის მაწარმოებლად: მოქმ.: მოვკალ-ი, დავძარ-ი, გავცერ-ი... ვნებ.: გავთბ-ი, ავშენდ-ი, დავებრდ-ი...

იგივე ითქმის -ე სუფიქსის მიმართაც: მოქმ.: ავაშენ-ე, გავზარდ-ე, დაეხატ-ე... ვნებ.: გავიზარდ-ე, დავიბად-ე...

არც პირველი სერიის ფორმათა წარმოების გათვალისწინება (შდრ.: [1]) ანატრეებს საქმეს, რადგან ერთი და იგივე თემისნიშნაინი ზმნები ნამყო ძირითადს აწარმოებენ როგორც -ე სუფიქსით, ასევე • ელემენტით: -• თემისნიშნაინი ზმნები: ვშლ-ი — ვშალ-ე, ვთლ-ი — ვთალ-ე, ვმკ-ი — ვმკ-ე... მაგრამ: ვჭრ-ი — ვჭერ-ი, ვცრ-ი — ვცერ-ი, ვქმნ-ი — ვქმენ-ი... იგივე ითქმის სხვა თემისნიშნაინებზეც: -ებ თემისნიშნაინი ზმნები: ვაკეთ-ებ — ვაკეთ-ე, ვაშენ-ებ — ვაშენ-ე, ვაქ-ებ — ვაქ-ე. მაგრამ ეუშვ-ებ — გავუშვ-ი, ეუშლ-ებ — გავუშლ-ი, ვთბ-ებ-ი — გავთბ-ი...

-ობ თემისნიშნაინი ზმნები: ვგმ-ობ — დავეგმ-ე, ვთმ-ობ — დავთმ-ე..., მაგრამ ვგრძნ-ობ — ვიგრძნ-ი, ვიპყრ-ობ — დავიპყარ-ი...

-ავ თემისნიშნაინი ზმნები: ვხატ-ავ — დავხატ-ე, ვკერ-ავ — შევეკერ-ე... მაგრამ ვკლ-ავ — მოვკალ-ი, ვძრ-ავ — დავძარ-ი...

როგორც ჩანს. ზმნური კატეგორიებისა და მორფოლოგიური ტიპების გათვალისწინება ვერ ხსნის ნამყო ძირითადის წარმოების საკითხს: სხვაგვარად, ზმნური კატეგორიები და მორფოლოგიური ჯგუფები არ განსაზღვრავენ ნამყო ძირითადის წარმოების ტიპს.

ვფიქრობთ. საკითხს ისიც ართულებს. რომ ნამყო ძირითადში გამოვლენილი -ე სუფიქსი, ისევე როგორც -• ელემენტი, ყველა შემთხვევაში ერთ და იმავე ოდენობად არის მიჩნეული ([1], 427, 450).

ნამყო ძირითადის წარმოებასთან დაკავშირებით საინტერესოა ვ. თოფურიას შენიშვნა: „წყვეტილი ორი სახით იხმარება: უნიშნოდ ან ნართაული -ი-თ და -ე სუფიქსით. უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო -ი. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა, ან კუმშვადი. -ე სუფიქსით იწარმოება ფუნქციუმშვადი ზმნები“ ([2], 453). მოვლენის ასახსნელად მართებული ჩანს საკითხისადმი ამგვარი მიდგომა. მასალის ანალიზი



ადასტურებს, რომ ნამყო ძირითადის წარმოებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საყრდენი მორფემის სტრუქტურას<sup>1</sup>. განსხვავებულია ვითარება ამისდა მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო, მარცვლოვანთაგან— უმშვადია თუ უკუმშველი. აქვე დაეძინო: როცა ვსაუბრობთ საყრდენი მორფემის კუმშვაზე, მხედველობაში გვაქვს კუმშვა-უკუმშველობა ნამყო ძირითადის ფორმებში. შეიძლება საყრდენი მორფემა საერთოდ კუმშვადი იყოს, მაგრამ განსასილველი ნაკეთის ფორმებში ყოველთვის სრული სახით იყოს წარმოდგენილი; მაგ.: აწყყო: ე-შლ-ი, ე-თლ-ი... ნამ. ძირ.: ე-შალ-ე, ე-თალ-ე... ასეთ შემთხვევებს უკუმშველებს ვუწოდებთ, რადგან საუბარი გვაქვს ნამყო ძირითადის წარმოებაზე.

წარმოების ტიპზე მსჯელობისას მხედველობაშია მიღებული I და II სუბიექტური პირის ფორმები, რადგან მაწარმოებლები სრული სახით აქ არის წარმოდგენილი. სუბიექტური მესამე პირის ფორმებში პირის ნიშანთა გავლენით მომხდარი ფონეტიკური პროცესების შედეგად წარმოების ტიპის გარჩევა, ძირითადად, არ მოხერხდება.

II. ი ელემენტია ნამყო ძირითადი. ნამყო ძირითადში ზმნათა ერთ ნაწილს I და II პირში მაწარმოებლად -ი ელემენტი მოუდის. სათანადო მასალის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ განსახილველ ნაკეთში გამოვლენილი ი ელემენტი ყველგან ერთ და იმავე ოდენობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ამთავითვე შევნიშნავთ: ი ელემენტია ნამყო ძირითადის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გაიჩნდეს. ერთი, როცა ი ელემენტი მონაცვლეობს ნულთან და, მეორე, როცა ი ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან.

თუ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და დრო-კილოთა მეორე სერიის გარკვეულ ფორმებში (ე. ი. სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში) ხმოვანს კარგავს, ნამყო ძირითადი ი ელემენტით იწარმოება, ან უნიშნოდაა წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნიშნო ტიპი წარმოებისა ამაჟამად იშვიათია; გამონაკლისის გარდა, თხრობითი კილოს ფორმებში არ გვხვდება. უნიშნო ტიპი შედარებით გავრცელებულია ბრძანებითი კილოს ფორმებში, ისიც მხოლოდობით რიცხვში.

აღნიშნული კანონზომიერებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური. საყრდენი მორფემა ძირეულია:

მოვ-კალ-ი//მოვ-კალ  
მო-კალ-ი//მო-კალ  
მო-კალ-ა

მოვ-კალი-თ  
მო-კალი-თ  
მო-კალ-ეს

ამ ტიპის ზნებია ა) ა ხმოვნია ძირეული მორფემით: შევ-კარ-ი (შე-კარ-ა), მოვ-ხან-ი (მო-ხან-ა). ღავ-წან-ი (ღა-წან-ა), ღავ-ძარ-ი (ღა-ძარ-ა) და სხვ.

ბ) ე ხმოვნია ძირეული მორფემით: გავი-ნძერ-ი (გაი-ნძერ-ა), გავ-ჭერ-ი (გა-ჭერ-ა), გავ-ცერ-ი (გა-ცერ-ა). გავი-ქვც-ი (გაი-ქვც-ა) და სხვ.

წარმოების ტიპი არ იცვლება, როცა საყრდენი მორფემა ისეთი სუფიქსია, რომლის ხმოვან-ც გარკვეულ ფონეტიკურ გარემოცვაში მონაცვლეობს ნულთან. თანამედროვე ქართულში დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებთან ამგვარი სუფიქსური საყრდენი მორფემა არა გვაქვს, მაგრამ ძველ ქართულში

<sup>1</sup> საყრდენს ვუწოდებთ იმ მორფემას, რომელსაც უშუალოდ დაერთვის ჩვენთვის საინტერესო, ამ შემთხვევაში ნამყო ძირითადის. მაწარმოებელი.

გვეყონდა; მხედველობაში გვაქვს პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის -ენ და ვნებითი გვიარის -ენ მაწარმოებლები. ძველი ქართულს მონაცემთა მოშველიებას, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს; კერძოდ, დგინდება, რომ კანონზომიერება საკმაოდ ძველი და გავრცელებული ჩანს.

როგორც ცნობილია, პირდაპირი ობიექტის მრავლობითობისა და ვნებითი გვიარის აღნიშნული მაწარმოებლები ნამყო ძირითადის I და II პირის ფორმებში სრული სახითაა წარმოდგენილი, III პირში ხმოვანი რედუცირდებოდა. როგორც ზემოვანხილულ შემთხვევაში, ნამყო ძირითადი ან უნიშნოა, ან დაირთავს ი ელემენტს (ძირითადად მრავლობითის ფორმებში). მნიშვნელობა არა აქვს ძირეული მორფემის ტიპს:

ა) ძირეული მორფემა კუმშვადია:

მოე-კლ-ენ — მოე-კლ-ენ-ი-თ

მოპ-კლ-ენ — მოპ-კლ-ენ-ი-თ

მო-კლ-ენ-ა — მო-კლ-ენ-ეს

ბ) ძირეული მორფემა უკუმშველია:

დაე-ხატ-ენ — დაე-ხატ-ენ-ი-თ

დაპ-ხატ-ენ — დაპ-ხატ-ენ-ი-თ

და-ხატ-ენ-ა — და-ხატ-ენ-ეს

ამგვარივე ვითარებაა -ენ სუფიქსიან ვნებითებშიც:

განვკა-ენ — განვკა-ენ-ი-თ

განკა-ენ — განკა-ენ-ი-თ

განკა-ენ-ა — განკა-ენ-ეს

ამრიგად, თუ საყრდენი მორფემა არის მარცვლოვანი და ნამყო ძირითადის გარკვეულ ფორმებში ხმოვანი რედუცირდება, ნამყო ძირითადი დაირთავს ი ელემენტს, რომელიც მონაცვლეობს ნულთან. მონაცვლეობა უფუნქციოა. მსგავსი წარმოების ზმნებს ვუწოდებთ „მოვკალი“ ტიპის ზმნებს (კუმშვადი საყრდენი მორფემა + ი//0).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყოფა ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც ნამყო ძირითადს ი ელემენტით იწარმოებს, მაგრამ სხვაობა ზემოთ განხილულ ზმნებთან ის არის, რომ ეს ი თვისობრივად განსხვავებულია მოვკალ-(ი) ტიპის ზმნებთან გამოვლენილი ი ელემენტისაგან: იგი არ მონაცვლეობს ნულთან. თუ გვაქვს მოვკალი//მოვკალ პარალელური ფორმები, არ გვხვდება გავთბი//გავთბ ფორმები. ამ ფაქტს ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა აქვს განსახილველი ტიპის ზმნათა ფორმობრივი ანალიზისას.

ზმნათა იმ ჯგუფს, რომელთა ნამყო ძირითადში გამოვლენილი ი ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან, ვუწოდებთ „გავთბი“ ტიპის ზმნებს. „გავთბი“ ტიპის ზმნებში ძირითადად სამი მორფოლოგიური ჯგუფი გამოიყოფა: 1. -ამ თემისნიშნაინები, 2. -ღონიანი ვნებითები და 3. თბება ტიპის ზმნათა ერთი ნაწილი.

ამ ზმნათა მორფოლოგიური თავისებურებანი რომ არაფერ შუაშია წარმოების ტიპის განსაზღვრისას, იქიდანაც ჩანს, რომ თბება ტიპის ზმნათა ერთი ნაწილი (გავთბ-ი, დავთვერ-ი...) პირველ ყალიბში თავსდება, ნაწილი კი აქ შემოდის.

განვიხილავთ ცალ-ცალკე მეორე ყალიბის ზმნათა ჯგუფებს. -ამ თემისნიშნაინი ყველა ზმნა ნამყო ძირითადს ი ელემენტით იწარმოებს. ამგვარ

ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. საყრდენი მორფემა ნამყო ძირითადში -ამ თემისნიშნაწებში ძირეულია და, რაც მთავარია, უმარცვლო:

დავა-ბ-ი (ვაბ-ამ)	დავა-სხ-ი (დავა-სხ-ამ)
ლაგ-ღგ-ი (ვღგ-ამ)	შემოვი-რტყ-ი (შემოვირტყ-ამ)
გავა-რთხ-ი (გავართხ-ამ)	დავა-რქვ-ი (დავარქ-ამ)
გავ-თქვ-ი (გავთქვ-ამ)	(დავარქვ-ევ)
შევ-სვ-ი (შევსვ-ამ)	ჩავი-ცვი (ვიცვ-ამ)

წარმოდგენილ ზმნათა ძირეული მორფემები ნამყო ძირითადში ისტორიულად სხვაგვარი შედგენილობისა იყო. ორი ძირეული მორფემა ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო ა ხმოვნით, რომელიც მესამე პირის ფორმებში რედუცირდებოდა:

განვი-რათხ — განი-რთხ-ა, შევი-რატყ — შეი-რტყ-ა.

რამდენიმე ძირეულ მორფემაში დადასტურებული ბოლოკიდური ვ თანხმოვანი ისტორიულად უ ხმოვანია, რომელიც III პირის ფორმებში ნაწილობრივ რედუქციას განიცდიდა: ვ-თქუ — ს-თქუ -- თქუ-ა; ასევე; შევ-სუ, ვა-რქუ, შთავა-ცუ, მივა-რთუ. ღგ-ამ ზმნისათვის ღგგ ფუძეა ამოსავალი. ამ ზმნებთან მრავლობითი რიცხვის ფორმებში ი ელემენტი იჩენდა თავს: ვთქვო, შევსუთ...

როგორც ვხედავთ, ძველი ქართულის ჩვენება ამ ზმნებს „მოკვალა“ ტიპის ზმნათა რიგში აყენებს (კუმშვადი საყრდენი მორფემა +ი//ო).

ხმოვნის აღდგენა არ ხერხდება ბ-ამ, სხ-ამ ზმნათა ძირეულ მორფემებში. იგივე ითქმის და ამ ზმნათა რიგში ღგება დავ-ფქვ-ი, დავ-წვ-ი, გავუ-შვ-ი. თუ იმ მოსაზრებას გავითვალისწინებთ, რომ „უმარცვლო ზმნური ფუძეები ისტორიულად მიღებულია ხმოვნის რედუქციის შედეგად. უმარცვლო ფუძეები ქართულისათვის არაა ტიპური, დამახასიათებელი არც სინქრონიულ და (მით უმეტეს) დიაქრონიულ პლანში“ ([3] 285). საკითხი თითქოს იოლად წყდება, მაგრამ ბ-ამ, სხ-ამ... ძირეულ მორფემებში ამოსავალი მარცვლოვანი ვარიანტის მტკიცებისათვის არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, გარდა ამ თეორიული მოსაზრებისა. კონკრეტული შემთხვევისათვის კი, ვფიქრობ, ეს საკმარისი არ არის.

როგორც აღვნიშნეთ, თბება ტიპის ზმნათა ერთი, მცირე, ნაწილი „მოკვალა“ ტიპისაა, ხოლო მეორე ნაწილის ძირეული მორფემა ნამყო ძირითადის ყველა ფორმაში უმარცვლოა: შევ-კართ-ი — შე-კართ-ი — შე-კართ-ა. ასევე იუღღლის გავ-თბ-ი, გავ-ზმ-ი, დავ-ღნ-ი და სხვ. ამ ზმნათაგან ზოგი ძველ ქართულში ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში ხმოვანს წარმოაჩენდა: განვ-ტეფ — გან-ტეფ — გან-ტფ-ა. ამგვარი ზმნებია: განვ-ქემ (=გავხ-მი). განვ-კართ (შეკართი), დავ-ცხერ (დავცხრი) შევს-ცეთ (შევეციდი), მოვ-კუედ (მოკვდი) და სხვ. მაგრამ ზმნათა ერთი ნაწილი ძველი ქართულის დონეზეც უმარცვლოა: გავ-შრ-ი, დავ-ღნ-ი... სარწმუნო და დამაჩერებელი ჩანს ვ. თოფურის მოსაზრება იმის შესახებ. რომ თბება ტიპის ყველა ზმნაში ისტორიულად ხმოვანი ივარაუდება, რასაც მხარს უჭერს ზანურის შესატყვის ფუძეთა ჩვენება ([4] 300).

ამგვარად, ივარაუდება, რომ თბება ტიპის ზმნები ისტორიულად „მოკვალა“ ტიპისაა, საყრდენი მორფემა კუმშვადი იყო.

საყრდენი მორფემა უმარცვლოა და ნამყო ძირითადში -ი ელემენტს და-

ირთავს დონიანი ვნებით. ფაქტიურად ძველსა და ახალ ქართულში არ დასტურდება დონიანი ვნებითის პირველი და მეორე პირის ფორმა (მხოლოდობითსა თუ მრავლობითში), რომ ამ ელემენტს არ დაირთავდეს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ -დ სუფიქსი ვნებითობის -ნ (-ენ) სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტია [5], რაც თავისთავად სევამს საკითხს მისი -ედ ფორმანტიდან მომდინარეობის შესახებ. მაგრამ მკვლევართა ერთი ნაწილი არ იზიარებს ამ ვარაუდს და დ, ნ(-ენ) ფორმანტებს გენეტურად განსხვავებულ ოდენობებზე მიიჩნევს ([6, 7, 8]). ჩვენთვის სარწმუნო და დამაჯერებელია მეორე მოსაზრება. ამგვარად, საკითხის განხილვისას ვემყარებით დებულებას, რომ ეს სუფიქსი ვნებითი გვარის ზმნებში დამოუკიდებელი ოდენობაა და არაა გენეტურ კავშირში -ნ (-ენ) ფორმანტთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ -დ სუფიქსის თავდაპირველი სახე იყო -ედ ([6, 7, 8]). თუ ამ მოსაზრებას ვაღიზიარებთ (და ვფიქრობთ, სარწმუნოა), მაშინ გამოდის, რომ დონიანი ვნებითის ფორმებიც ისტორიულად პირველი ყალიბისაა.

„გავთბი“ ტიპის ზმნათა მორფოლოგიური ჯგუფების განხილვამ გვიჩვენა, რომ ამ ყალიბის ზმნათა ძირითად ნაწილში ისტორიულად მარცვლოვანი (კუმშვადი) საყრდენი მორფემა ივარაუდება, მაგრამ ისტორიული ვითარება ამჟამინდელ მდგომარეობას არ უნდა განსაზღვრავდეს.

ეს კი იმაზე მიგვიბრუნებს, რომ ი ელემენტის არსებობა განხილული ტიპის ზმნებში არაა ოდინდელი მარცვლოვანების შედეგი. ნამყო ძირითადის წარმოებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდდამხოლოდ საყრდენი მორფემის ამჟამინდელ სტრუქტურას. აქედან გამომდინარე, მართებული ჩანს დაკვირვება [2], რომ ი ელემენტს დაირთავს უმარცვლო საყრდენი მორფემა.

მაშ, თუ ასეა, რა გვაძლევს საფუძველს „გავთბი“ ტიპის გამოყოფისას? ხომ არ შეიძლება -ი ელემენტის ი ელემენტთან ყველა ზმნის ერთ ყალიბში მოქცევა და წესის ამგვარად ჩამოყალიბება: -ი ელემენტს დაირთავს ნამყო ძირითადში კუმშვადი და უმარცვლო საყრდენი მორფემა.

რა თქმა უნდა, არა! როგორც უკვე შევნიშნავდით, აქ უეჭველადაა გასათვალისწინებელი -ი ელემენტის თვისობა და ქმედების უნარი.

-ი ელემენტი, როგორც ამას მიუთითებენ, „უფუნქციოა“. გაჩენილია თანხმომავნასაყარად I და II სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმებში, შემდეგ გადავიდა მხოლოდობითში [9]. ამგვარადაა ახსნილი ი ელემენტის არსებობა როგორც „მოკვალი“. ასევე „გავთბი“ ტიპის ზმნებში, თუმცა იმასაც შევნიშნავენ, რომ ი ელემენტის გამოყენების თვალსაზრისით სხვაობა შეინიშნება ამ ორი ტიპის ზმნებს შორის: „ჩართული ი... თანხმომავნათ ვასაყარად არის გაჩენილი მრავლობითში და იქიდან მხოლოდობითშია გადასული. ეს ი დღეს მხოლოდობითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში, სხვებში კი აუცილებელი არაა, თუმცა კი მისი დართვა ჩვეულებრივია“ ([1] 427). როგორც ვხედავთ, ნამყო ძირითადში გამოვლენილი ი ელემენტი ყველა შემთხვევაში ერთ და იმავე ოდენობად არის ჩათვლილი.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტა სადავოა.

ჩერ ერთი, თუ ი ელემენტი „მოკვალი“ და „გავთბი“ ტიპის ზმნებთან ერთი ვა იგივე ოდენობაა, რატომ არის, რომ „მოკვალი“ ტიპის ზმნათა პარალელური ფორმები არსებობს ი ელემენტითა და მის გარეშე: მოკ-ვალ/მოკ-ვალ-ი..., ხოლო „გავთბი“ ტიპის ზმნებში არ ვხვდებით ამგვარი პარალელუ-

რი ფორმები: გვაქვს ვავ-თბ-ი, დავა-ბ-ი, ავშენ-ლ-ი, მაგრამ არა გვაქვს ვავ-თბ, ავშენ-ლ, დავა-ბ<sup>2</sup> და სხვ.

ნეორეც, თუ „მოვკალი“ ტიპის ზნნებში ი ელემენტი საყრდენი მორფემის ხმოვანზე გავლენის უნარს მოკლებულია, ვერ კარგავს მას (მოვკალ-ი და არა მოვ-კალ-ი), ამას ვერ ვიტყვი „გაღთბი“ ტიპის ზნნებთან გამოვლენილ ი ელემენტზე. ყველა შემთხვევაში აქ საყრდენი მორფემა შეკუმშულია (გავ-თბ-ი—განვ-ტეფ-ი, ვავ-ხმ-ი—განვ-ვემ-ი...). სხვა ფაქტორი, გარდა ი ელემენტის გავლენისა, ფიქრობთ, გამორიცხულია.

ამგვარად, „გავთბი“ ტიპის ზნნებთან გამოვლენილი ი ელემენტი არსებითი ხასიათის სხვაობას აელენს „მოვკალი“ ტიპის ზნნებთან დადასტურებულ ი ელემენტთან: არ მონაცვლეობს ნულთან და კარგავს საყრდენი მორფემისეულ ხმოვანს.

ყოველივე ეს კი სემს საკითხს იმის შესახებ, რომ ი ელემენტი სხვადასხვა ოდენობად უნდა იქნეს მიჩნეული „მოვკალი“ და „გავთბი“ ტიპის ზნნებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვნებითი გვარის ზნნებთან ნამყო ძირითადში გამოვლენილი -ი ელემენტი ისტორიულად მეორე ხოლმეობითის ნიშანია [1]. მოსაზრება გაზიარებულია: „გავ-თბ-ი, დავ-ბერ-დ-ი წარმოშობით I ხოლმეობითის ფორმებია, მაგრამ ახლა წყვეტილის (ნამყო ძირითადის) ფუნქციით გაპოიყუნებთან. ეს საერთოდ დამახასიათებელი ჩანს სუფიქსიანი და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითისათვის:

ნამყო ძირითადი: განვ-ვ-ტეფ (ახლა ვავ-თბ-ი), შე-ვ-ცებ (ახლა შე-ვ-ცბ-ი), და-ს-ცხერ (ახლა: და-ცხრ-ი) და ა. შ.

ნეორე ხოლმეობითი: გან-ვ-ტჟ-ი (III ჰ. გან-ტფ-ი-ს), შე-ცბ-ი (III ჰ. შე-ცბ-ი-ს), და-ს-ცხრ-ი (III ჰ. და-ცხრ-ი-ს) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ახლა წყვეტილად გაგებული ეს ფორმები წარმოშობით ხოლმეობითებია. ასეთი ფორმების გავრცელება სავარაუდოა იმ ხნიდან, როცა ქართულში რღვევა დაიწყო II ხოლმეობითის ფორმამ, რაც ახალ ქართულში (გარდა ზოგიერთი დიალექტისა) მისი დაკარგვით დასრულდა“ ([12] 133).

წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, „მოვკალი“ და „გავთბი“ ტიპის ზნნებთან ნამყო ძირითადის ფორმებში გამოვლენილი ი ელემენტი სხვადასხვა ოდენობაა გენეტურად და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული ქმედებისანი არიან საყრდენ მორფემაზე.

შენიშვნა იმის შესახებ, რომ ი ელემენტი ნამყო ძირითადში აუცილებელია I და II პირში უმარცვლო ფუძეებში (რაც იმას გულისხმობს, რომ ი ელემენტი ამგვარ ფორმებში არ მონაცვლეობს ნულთან) ([1] 427), რამდენაღმე დასაზუსტებელია: ი, როგორც არ მონაცვლეობს ნულთან, გვხვდება არა მხოლოდ უმარცვლო ფუძეებთან, არამედ საერთოდ უმარცვლო საყრდენ მორფემასთან და, მეორეც, საყრდენი მორფემის გაუმარცვლოვნების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში თვით -ი ელემენტია.

„გავთბი“ ტიპის ზნნები ისტორიულად „მოვკალი“ ტიპისაა. ყალიბის შეცვლა, უფრო სწორად, ახალი ყალიბის შექმნა დონიან ვნებითებში უნდა

<sup>2</sup> ძვ. ქართლის შევა-ბ, შეხუა-ბ-თ ფორმათა არსებობა იმაზე მოგვანიშნებს, რომ ეს ზნნა „მოვკალი“ ტიპისა იყო. „გავთბი“ ტიპის ზნნათა რიგში მისი გადასვლა გვიანდელი შთავლენაა.

დაწყებულიყო: ძველსავე ქართულში ეს პროცესი უკვე დამთავრებულია: არ გვხვდება ფაქტიურად არც ერთი შემთხვევა, რომ ღონიანი ვნებითი ი ელემენტის გარეშე იყოს წარმოდგენილი. სხვა ტიპის ზმნებთან ეს პროცესი ჩვენს თვალწინ ხდებოდა. -ამ თენისნიშნისებში უკვე დასრულებული სახე მიიღო, ხოლო თბება ტიპის ზოგი ზმნა დღესაც „მოვკალი“ ტიპისაა. ყოველივე ზემო-აქმულიდან გამომდინარე, „გავთბი“ ტიპი შეიძლება ამგვარად დავახასიათოთ: უმარცვლო საყრდენი მორფემა + ი ელემენტი, რომელიც არ მონაცვლეობს ნულთან.

III. -ე სუფიქსიანი ნამყო ძირითადი. ნამყო ძირითადში ზმნათა ერთ ნაწილს I და II პირში მაწარმოებლად -ე სუფიქსი მოუდის. სათანადო მასალის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ ნამყო ძირითადში გამოვლენილი -ე სუფიქსი ყველგან ერთ და იმავე ოდენობად არ შეიძლება ჩაითვალოს.

-ე სუფიქსიანი ნამყო ძირითადის წარმოებაში ორი შემთხვევა უნდა გავიჩინოთ: ერთი, როცა ამ სუფიქსით წარმოებულ ზმნებს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა სუფიქსი მოუდით და, მეორე, როცა სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ი სუფიქსი აქვთ.

პირველი შემთხვევა მეორისაგან, გარდა იმისა, რომ მესამე პირში განსხვავდება, კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის სხვაობას ავლენს: -ე სუფიქსს დაირთავს და -ა-ს მიიღებს სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ისეთი ზმნები, რომელთა ბოლოკიდური საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და მეორე სერიის ფორმებში არ კარგავს საყრდენი მორფემისეულ ხმოვანს. არა აქვს მნიშვნელობა იმას, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური. ჩვენება ყოველთვის ერთგვარია.

ა) საყრდენი მორფემა ძირეულია:

ავა-შენ-ე	გავ-შალ-ე	მოვ-ღრიყ-ე	შევ-ღობ-ე
აა-შენ-ე	გა-შალ-ე	მო-ღრიყ-ე	შე-ღობ-ე
აა-შენ-ა	გა-შალ-ა	მო-ღრიყ-ა	შე-ღობ-ა

საყრდენი მორფემა სუფიქსურია:

მოაკვლ-ვეინ-ე	დავაწერ-ინ-ე
მოაკვლ-ვეინ-ე	დააწერ-ინ-ე
მოაკვლ-ვეინ-ა	დააწერ-ინ-ა

ამგვარად, ნამყო ძირითადის წარმოებაში კიდევ ერთი ყალიბი გამოიყო, რომელიც შეიძლება ამგვარად დახასიათდეს: მარცვლოვანი უკუშეველი საყრდენი მორფემა + ე სუფიქსი. წარმოების ამ ტიპისათვის ნიშანდობლივია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ა სუფიქსი. ნამყო ძირითადის წარმოების ამ ტიპს ვუწოდებთ „ვაშენე“ ტიპს<sup>3</sup>.

„ვაშენე“ ტიპის ზმნებს აშკარად უპირისპირდება და სხვაგვარ ყალიბს ქმნის ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც ნამყო ძირითადს ასევე -ე სუფიქსით იწარმოებს, მაგრამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიუდის -ო სუფიქსი. ყველა ამ ზმნის საყრდენი მორფემა უმარცვლოა.

<sup>3</sup> სისტემიდან გამონაკლისს ქმნის მხოლოდ ერთადერთი ზმნა. მოველ-მოხველ-მოკლ-ა. ამ ზმნაში საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და მოკლ-ა. მეორე სერიის ყველა ფორმაში. ამდენად, საყრდენი მორფემის ტიპის მიხედვით ეს ზმნა მესამე ყალიბისაა უ (და იგონს, იწარმოება კი პირველი ყალიბის ზმნათა მსგავსად. ვედ/ვიდ ზმნა თავისებურია.

ამგვარად უმარცვლო საყრდენი მორფემა და I და II პირში ნამყო ძირითადის -ე მაწარმოებელი არის აუცილებელი პირობა იმისა, რომ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად -ო სუფიქსი გამოვლინდეს. სხვაგვარად: S ვ ო ყოველთვის ვარაუდობს I და II პირში -ე მაწარმოებელს. წესი პირუკუ არ მოქმედებს. საგულისხმოა ის ფაქტორი, რომ ამგვარ ზმნებში საყრდენი მორფემა ყოველთვის ძირეულია:

ავა-გ-ე	ღა-თმ-ე	გავა-თბ-ე
აა-გ-ე	ღა-თმ-ე	გაა-თბ-ე
აა-გ-ო	ღა-თმ-ო	გაა-თბ-ო

ამგვარ ყალიბს — უმარცვლო საყრდენი მორფემა + -ე I და II პირში და -ო — მესამე პირში — უწოდებთ ნამყო ძირითადის წარმოების „ავაგე“ ტიპს. „ავაგე“ ტიპის ზმნათა რაოდენობა არცთუ დიდია. მათი რიცხვი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის<sup>1</sup> მიხედვით ცხრა ათეულს აღწევს. საყრდენი მორფემა შეიძლება იყოს ცალთანხმოვნიაანი (ავა-გ-ე — აა-გ-ო, ავი-ღ-ე — აი-ღ-ო, შევა-ჭ-ე — შეა-ჭ-ო...), ორთანხმოვნიაანი (გავა-გღ-ე — გაა-გღ-ო, ღა-გმ-ე — ღა-გმ-ო, და-გმ-ე — და-გმ-ო...), სამთანხმოვნიაანი (ღა-გა-ტკმ-ე — ღა-გა-ტკმ-ო, ეუ-მტრ-ე — ე-მტრ-ო...) და ოთხთანხმოვნიაანი (ღა-გა-ფრთხ-ე — ღა-გა-ფრთხ-ო...).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნული იყო, რომ სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ო უმარცვლო ძირებთან გვხვდება [1], თუმცა ო-ს გამოვლენისათვის I და II პირში -ე სუფიქსის არსებობას ყურადღება არ ექცეოდა. აქვს კი ამას მნიშვნელობა? ვფიქრობთ, კი.

აქვე, უუპველია, თავს იჩენს, ერთი: საკითხი: ვთქვით, რომ ნამყო ძირითადის წარმოების ტიპის განსაზღვრისას გადამწყვეტი როლი ენიჭება საყრდენი მორფემის სტრუქტურას. როგორც ვხედავთ, „ავაგე“ და „ავაგე“ ტიპის ზმნათა საყრდენი მორფემა ერთგვარია — უმარცვლო, და რიგ შემთხვევაში შეკუმშული (ერთი მხრივ, ღა-გა-ბ-ი, გავ-თბ-ი და, მეორე მხრივ, ავა-გ-ე, გავა-თბ-ე...). მივიღეთ: ა) ერთგვარი საყრდენი მორფემა და სხვადასხვაგვარი წარმოება (გავ-შრ-ი — გავა-შრ-ე) და, პირიქით, ბ) განსხვავებული სტრუქტურის საყრდენი მორფემა და ერთგვარი წარმოება (ავა-შენ-ე — ავი-ღ-ე).

მასალის ანალიზი და ფაქტის ისტორიის გათვალისწინება მოკლენას ხსნის. კერძოდ, დგინდება, რომ ე სუფიქსი „ვამენე“ და „ავაგე“ ტიპის ზმნებში სხვადასხვა ოდენობაა გენეტურად.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ნამყო ძირითადის -ე სუფიქსის გენეზისის შესახებ.

ზიუთითებენ, რომ ნამყო ძირითადის -ე სუფიქსის თავდაპირველი სახე იყო -ევ [13]. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ძირითადი საბუთი ის არის, რომ -ე სუფიქსიან ნამყო ძირითადს ო სუფიქსიანი II კავშირებითი შეესაბამება და ევარაუდება, რომ ო-ვ-ე-ევ-ე. მიუთითებენ, რომ ამ მოსაზრებას ზანაურის ჩვენებაც უჭერს მხარს. ამგვარად, ამ მოსაზრებზე თანახმად ე-ევ-

არსებობს სხვაგვარი თვალსაზრისი: -ე არ მომდინარეობს -ევ სუფიქსისაგან და იგი მიჩნეულია ნამყო სახეობათა საერთო ნიშნად (გაიგივებულია ნამყო უსრულსა და I თურბოებითში გამოვლენილ -ე სუფიქსთან) [2].

ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა საფუძველი სწორედ ისაა, რომ ნამყო ძირითადში გამოვლენილი -ე სუფიქსი ყველა შემთხვევაში არ არის

ერთი და იგივე ოდენობა. „ავაგე“ ტიპის ზმნებში -ე სუფიქსი -ევ-იდან მომდინარე ჩანს, „ვაშენე“ ტიპის ზმნებში კი — არა.

ამრიგად, სადაც მესამე პირში ო სუფიქსი გვაქვს, შესაბამის პირველ და მეორე პირის ფორმებში დადასტურებული -ე სუფიქსის პირველსახე უნდა ყოფილიყო -ევ. ო-ვ-ა-ევ-ა. ო სუფიქსის ამგვარი წარმომავლობა, საერთოდ, განსაზღვრულია.

ამგვარ ვარაუდს, ვფიქრობთ, სარწმუნოს ხდის რამდენიმე ფაქტის გათვალისწინება:

ამჟღად ქართულში, და რიგ შემთხვევაში ძველშიც, ამ ტიპის ზმნებს -ევ შენარჩუნებული აქვთ. აღნიშნულია, რომ „-ევ სუფიქსი ძველი ჩანს (წერილობით დოკუმენტებში მისი ფიქსაცია სისტემებზე გვაქვს უკვე მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში: ძველ ქართულშიც შეინახნება „დავიცე“ ტიპის ზმნებში). მესამე პირში ყველა ამ ტიპის ზმნას ო ნიშანი აქვს“; იქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ -ევ „იხმარებოდა ხალხურ მეტყველებაში და მას ასახავდა მწერლობის ენაც“ [14]. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის მონაცემთა მიხედვით -ევ გვხვდება მხოლოდ უმარცვლო ძირეულ მორფემებთან. არაა შემთხვევა მისი არსებობისა მარცვლოვან საყრდენ მორფემასთან. ეს ფაქტი არ ჩანს შემთხვევითი. აღმოსავლურ დიალექტებში -ევ სუფიქსი ამ ტიპის ზმნებთან — გავაკეთევი, ვავაშენევი... გვიანდელია და დავდები ტიპის ფორმათა ენაფორმაციის შედეგი ჩანს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თბება ტიპის ზმნათაგან წარმოებული მოქმედებითი გვარის ფორმები სისტემებზე „ავაგე“ ტიპისაა. საყრდენი ძირეული ძორფემა ამ ზმნებში „გავთბი“ ტიპის ზმნათა საყრდენი მორფემის მსგავსია (უფრო სწორად — იდენტური): გავა-თბ-ე, გავა-ხმ-ე... (შდრ. გავ-თბ-ი, გავ-ხრ-ი). როგორც ო ელემენტიან ზმნათა განხილვისას ვნახეთ, ამ ტიპის საყრდენ მორფემასთან მოსალოდნელი იყო ო ელემენტი ნამყო ძირითადადში, გვაქვს კი -ე მაწარმოებელი. საგულისხმოა ისიც, რომ პირველ სერიაში ამ ტიპის ზმნებს სისტემებზე -ობ თემის ნიშანი აქვთ, რომელიც -ებ თემის ნიშნისეულ -ე-სთან ვ-ს შერწყმის შედეგად მიღებულად ივარაუდება. ვ-ებ-ობ (115, 16). მოსაზრება სარწმუნო ჩანს. ამგვარად, I სერიის ფორმათა ჩვენება ვ-ს ვარაუდობს ამ ფორმებში. ვფიქრობთ, ეს ვ თანხმონითი ნაწილია ნამყო ძირითადადში არსებული -ევ სუფიქსისა, რომელიც სხვა ფორმებშიც გადაჰყვება ზმნას (-ევ სუფიქსი ივარაუდება II კავშირებშიაც [13] და, შეიძლება, I თურნეობათშიც, თუნცა იქ ვითარება უფრო რთული ჩანს). ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ -ევ (-ე) ისტორიულად არ ჩანს ნამყო ძირითადის მაწარმოებელი, მას სხვა ფუნქცია გააჩნდა (ეს საკითხი ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანს არ შეადგენს). -ევ სუფიქსის ფონეტიკური სახის ცვლა და ფუნქციურად მ-სა გოგავება ნამყო ძირითადის -ე მაწარმოებელთან გვიანდელი პროცესია. ვა-ო პროცესი უფრო ადრინდელია. ეს პროცესი სდებოდა მანამ, სანამ -ევ სუფიქსი გამარტივდებოდა. -ევ გაუმარტივებელი სახით დიალექტმა შემოგვინახა ხოლო შემდეგ მოხდა დიალექტური ფორმების შემოჭრა სამწერლო ენაში.

ევ სუფიქსისა და ო-ს ურთიერთმიმართების თვალსაზრისით საინტერესოა ბევსურულს ჩვენება: ბევსურულ დიალექტში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ო არა გვაქვს: ყველა შემთხვევაში -ა სუფიქსითა წარმოდგენილი. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ის ზმნები, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში ო აქვთ სუბიექტური მესამე პირის ნიშნად, ბევსურულში ნამყო ძი-



რითადს ი სუფიქსით იწარმოებენ: ავიღ-ი, გავიგ-ი, დავაგდ-ი... შესაბამისად III პირის ფორმებია: ავიღ-ა, გავიგ-ა, დავაგდ-ა... როგორც ვხედავთ, იმ ფაქტმა, რომ ნაყოფიერი ძირითადს ეს ზმნები ე სუფიქსით არ იწარმოებენ, გამოიწვია ის, რომ არა გვაქვს მისამდე პარაზი ო სუფიქსი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ორი პირობა: უპარცვლო საყრდენი მოჩვენა და -ე სუფიქსი აუცილებელია ი-ს გამოვლენისათვის. ხეცხურულისათვის სამართლიანი ჩანს შენიშვნა, რომ „ხეცხურული იმ ენობრივი კლექტივის წევრი არ უნდა ყოფილიყო, სადაც აიღევ, აავიგ, დავაგდე... წარმოება გვექონდა. ეს ზმნები ხეცხურულში უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ“ ([17] 105).

ზემოთქულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ „ავაგე“ ტიპის ზმნებში -ე სუფიქსი -ევ-ის გამარტივებული სახეა, ხოლო -ო ვა კომპლექსის შერწყმის შედეგადაა მიღებული.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ო აღმოსორჟა პირისა ფონოლოგიურად შეპირობებული არაა ძველ ქართულში“... „შესაძლოა ი მიღებული იყოს ვა/ ვე/ ჴა/ ჴე-საგან უფრო ადრინდელ პერიოდში ან საერთო ქართველური ფუძე ენის დიფერენციალდე“ [!]. ჩვენს შემთხვევაში ვა-ო პროცესი რომ ძველია, ეს კარგად ჩანს ძველი ქართულის ჩვენებიდანაც: იმ პერიოდისათვის ზემოწარმოვლენილი ყალიბები შექმნილია და მკაცრად დაკანონებულიც.

როცა ვლასარაკობთ ო-ვა პროცესზე, არ ივარაუდება, რომ სუბიექტური მესამე პირის ო ყველა შემთხვევაში ანგვარი პროცესის შედეგია. მიუთითებენ, რომ ო-ს წარმოქმნისათვის „ამოსავალი ფონეტიკური ვითარება იყო (ვ-ს მგზობლობა). მაგრამ შემდეგ ო ანალოგიის მიხედვით სხვა ზმნებსაც გაუჩნდათ [19]. დებულება სარწმუნოა. ო სუფიქსი ყველა შემთხვევაში ვა კომპლექსის შერწყმის შედეგი არ არის. ანგვარი პროცესი ივარაუდება ისეთ ფორმებში, რომელთაც ხელი შეუწყვეს ყალიბის შექმნას. რომელიმე ზმნის ამ ყალიბში მოქცევა იწვევს III პირში ო სუფიქსის გამოვლენას.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნასახელარ ზმნათა ჩვენება. ნასახელარი ზმნები გვიანდელია. თუ ზმნური ფორმების საწარმოებლად უპარცვლო სახელური ფუძეა გამოყენებული, ვიღებთ „ავაგე“ ტიპის პარადიგმას: ვუ-მტრ-ე — უ-მტრ-ო, დავა-ტკბ-ე — დაა-ტკბ-ო, მოვი-ხმ-ე — მოი-ხმ-ო, მოვი-მხრ-ე — მოი-მხრ-ო, ვე-ძმ-ე — ე-ძმ-ო, ვე-ყმ-ე — ე-ყმ-ო, ვე-ქმრ-ე — ე-ქმრ-ო... ხოლო ზმნური ფორმების საწარმოებლად თუ მარცვლოვანი სახელური ფუძეა გამოყენებული, „ვაშენე“ ტიპის პარადიგმას ვიღებთ: ვი-მეფ-ე — ი-მეფ-ა, დავე-სახლ-ე — დე-სახლ-ა, ვავა-მართლ-ე — ვაა-მართლ-ა, ვავა-ლამაზ-ე — ვაა-ლამაზ-ა...

„ავაგე“ ტიპის ზმნებში ე სუფიქსის პირველსახედ -ევ მივიჩნით. რას უნდა გამოეწვია ვ-ს დაკარგვა პირველი და მეორე ტიპის ფორმებში? ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესია აუსლაუტში სპოვნის მომდევნო პოზიციაში თანხმოვნის დაკარგვა: კარგა-კარგად, მაღლა-მაღლად, დაბლა-დაბლად [20]: ეს წინსართებში. სხვაგან: დავჯე-დავჯად („დავჯე რუსთველ ან გავლექსე“). აღე-აღექ, კიდე-კიდევ... სწორედ ეს მოვლენა უნდა იყო. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი -ევ სუფიქსისეული ვ-ნის დაკარგვისა. ამ პირ ექსპანსიის გარკვეულად ხელი უნდა შეეწყო იმავე ნაკვთში ე სუფიქსიან ექსპანსია არსებობას და მოხდა ფორმობრივი დამთხვევა -ევ და -ე სუფიქსებისა. როცა გახდა მიზეზი მათი ერთ აფიქსად მიჩნევისა.

აქედან გამომდინარე, მეოთხე ყალიბის პარადიგმის სახე გამარტივებამდე ამგვარად წარმოვიდგება:

ა-ი-ლ-ე	} აილ-ე	
ა-ი-ლ-ე		} აილ-ე
ა-ი-ლ-ე-ა		} აილ-ა

როგორც ვხედავთ, „ეაგე“ ტიპის ზმნებზე ისტორიულად „მოკალი“ ტიპისაა. მომხდარმა ფონეტიკურმა პროცესმა და -ე სუფიქსის მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვიეს ახალი ყალიბის შექმნა. არის შემთხვევები, როცა ნესამე პირში **ო** სუფიქსია. მაგრამ ნამყო ძირითადის მაწარმოებელი არ არის -ე სუფიქსი (შევიპყარ—შეიპყრო, ვიყავ—იყო...). მსგავსი გამოწვევების ასხნა ხერხდება [10].

IV. ნამყო ძირითადის წარმოების ამოსავალი ტაპისათვის. ჩვენ განვიხილეთ ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში და ოთხი ფორმობრივი ჯგუფი გამოვყავით. დაყოფის ძირითადი საფუძველი საყრდენი მორფემის სტრუქტურა იყო. მეორე და მეოთხე ყალიბის ზმნათა განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ორივე ეს ჯგუფი ისტორიულად პირველი ყალიბისა იყო. მომხდარმა ფონეტიკურმა პროცესებმა და მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვია ყალიბის სახის შეცვლა და ახალი ყალიბის შექმნა. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ვითარება ნამყო ძირითადის წარმოებისა მეორეულია და შედარებით რთული. როგორც ჩანს, ამოსავალი ვითარება უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო. ორი ძირითადი ყალიბი იყო: უნიშნო და -ე სუფიქსიანი. ვ. თოფურიას შენიშვნა ([2] 453) საკვებით სპარტოლიანის სწორედ ამ პერიოდისათვის: 1. უმარცვლო და კუმშვადი საყრდენი მორფემა ნამყო ძირითადში წარმოდგენილი იყო უნიშნოდ: მოვ-კალ — მოვ-კალ-თ, შეხუა-ბ — შეხუა-ბ-თ... და 2. მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა დაირთავდა -ე სუფიქსს: ვა-კეთ-ე...

როგორც აღვნიშნეთ, „მოკალი“ ტიპის ზმნებში მომხდარმა გარკვეულმა ცვლილებებმა გაართულა წარმოება და არსებული ყალიბების დასახასიათებლად საჭირო გახდა (გარდა საყრდენი მორფემის სტრუქტურისა) დამატებითი ნიშნების შემოტანა: ფაქტი ერთია: ფორმობრივი ხასიათის ცვლილებებს შინაარსობრივი ცვლილებები არ გამოუწვევია.

დასკვნები:

1. ნამყო ძირითადის წარმოების ტიპს არ განსაზღვრავს გარკვეული ზმნური კატეგორიები და მორფოლოგიური ჯგუფები. ნამყო ძირითადის წარმოებაში გადაწყვეტი როლი ენიჭება საყრდენი მორფემის სტრუქტურას. ნიშნულობა არა აქვს, საყრდენი მორფემა ძირეულია თუ სუფიქსური.

2. ნამყო ძირითადში გამოვლენილი **ე** ელემენტი გენეტურად ყველა შემთხვევაში არ არის ერთი და იგივე ოდენობა (არნ. ჩიქობავა). ორი ვარიანტი გვიჩვენებს: ა) როცა **ე** ელემენტი არის ე. წ. „უფუნქციო“, გაჩენილი თანხმონაგასაყარად მრავლობითის ფორმებში და გავრცელდა მხოლოდობითშიც, ამგვარი **ე** ელემენტი ჩვეულებრივ მონაცვლეობს ნულთან; ბ) როცა **ე** არის გენეტურად მეორე ხოლმეობითის ნიშანი. ამგვარი **ე** არ მონაცვლეობს ნულთან. გენეტურად და თვისობრივად განსხვავებული ელემენტები სწავობას ავლენენ ქმედების თვალსაზრისითაც: ი/მ საყრდენი მორფემისეულ ხმოვანზე გავლენის უნარს მოკლებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში -**ე** ელემენტი იწვევს საყრდენი მორფემისეული ხმოვნის დაკარგვას.

3. ასევე იოჭმის -ე სუფიქსის მიმართაც: ნამყო ძირითადში გამოვლენილი -ე სუფიქსი ერთ შემთხვევაში თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია, ხოლო მეორე შემთხვევაში -ევ სუფიქსის გამარტივებული (თანხმონდაჲარგული) სახე.

4. ნამყო ძირითადში მაწარმოებლად გამოყოფილ გენეტურად განსხვავებულ ოთხ ელემენტს გამოყენების სხვადასხვა სფერო აქვთ.

ა) „უფუნქციო“ ო ელემენტი დაერთვის მარცელოვან კუმშვად საყრდენ მორფემას:

მო-კალ-ი	მო-კალ-ი-თ
მო-კალ-ი	მო-კალ-ი-თ
მო-კალ-ა	მო-კალ-ეს

ბ) ო ელემენტი. რომელიც წარმოშობით II ხოლმეობითის ნიშანია, გვხვდება უმარცელო საყრდენ მორფემასთან:

გა-თბ-ი	და-ბერ-ღ-ი
გა-თბ-ი	დაბერ-ღ-ი
გა-თბ-ა	დაბერ-ღ-ა

რიგ შემთხვევაში საყრდენი მორფემის გაუმარცელოვნების მიზეზი თვით -ი ელემენტია.

გ) -ე სუფიქსი (I შემთხვევა) გვხვდება მარცელოვან უკუმშველ საყრდენ მორფემასთან:

აა-შენ-ე	გააჲეთებ-ინ-ე
აა-შენ-ე	გააჲეთებ-ინ-ე
აა-შენ-ა	გააჲეთებ-ინ-ა

დ) ე (-ევ) გვხვდება მხოლოდ ძირეულ უმარცელო საყრდენ მორფემასთან. წარმოების ამ ტიპისათვის ნიშანდობლივია სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ო სუფიქსი.

აა-გ-ე	გაა-თბ-ე
აა-გ-ე	ვაა-თბ-ე
აა-გ-ო	გაა-თბ-ო

5. დღევანდელი ვითარება ნამყო ძირითადის წარმოებისა მეორეულია და რთული. ამოსავალი ვითარება უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო: მეორე და მეოთხე ყალიბი პირველი ყალიბის სახესხვაობაა. პირველი ყალიბის ზმნებთან მომხდარმა ფონეტიკურმა პროცესებმა და აფიქსთა მორფოლოგიურმა რენეტერპრეტაციამ გამოიწვია ახალი ყალიბების შექმნა. ფორმობრივი ხასიათის ცვლილებებს ფუნქციური ცვლილებები არ გამოუწვევია.

ლიტერატურა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
2. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში, იყე, VII, 1955.
3. ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ზმნური ფუძეების ფონმატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970.
4. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ტუმ. X, 1930.
5. ა. შ ა ნ ი ძ ე, ნასახლარი ზმნები ქართულში, თხზ. ტ. I, თბ., 1957.
6. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, ენმყის შოამბე, V—VI, 1940.

7. ფ. ერთელიშვილი, დ. 5(ენ) ვნებთობის სუფიქსთა გენეზისი, თუშ. ტ. 93, 1960.
8. გ. შაკვაჯარიანი, ვნებთობის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართულურენებში, „მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია“, № 1, 1973.
9. არნ. ჩიქობავა, რევენზია შრომზე— Н. М а р р. Грамматика. древнескитературного грузинского языка. М., 1925: მიმოხილველი, 1, ტფ., 1926.
10. გ. გოგოლაშვილი, შერეული პარადიგმები ნაყო ძირითადის წარმოებაში: ზოგადი და იზოგლ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.
11. არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
12. ბ. ჯორბეგაძე, ზმნის გვარის ფორმთა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები, ქართულში, თბ., 1975.
13. გ. როგავა, აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სფ-ფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: სმამ, ტ. VI, № 8, 1945.
14. ივ. ქავთარაძე, ევ სუფიქსი II და III სერიის ზმნებში: აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973.
15. G. Deeters. Das Karthwelische Verbum, Leipzig, 1930.
16. ე. ოსიძე, ერთი ტიპის ზმნათა აწმუოს ფუძის აგებულებისათვის ქართულში, ქესს, III, 1963.
17. ა. კინქარაული, ხეესურულის თავისებურებანი, თბ., 1961.
18. ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, [ვა], [ქა], [ქი] და [ო] სეგმენტოურთიერთმართებისათვის ძველ ქართულში: შრავალთაფი, III, 1973.
19. არნ. ჩიქობავა, ქართულიენის ზოგადი დახასიათება: ქეგლ, I, თბ., 1950.
20. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.

Г. Б. ГОГОЛАШВИЛИ

## ОБРАЗОВАНИЕ АОРИСТА В СОВРЕМЕННОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

1. Решающее значение в образовании аориста имеет структура опорной морфемы, при этом не важно, представлена она корнем или суффиксом.

2. В роли показателя аориста выступают 4 гетерогенных элемента, каждый из которых имеет свою область применения: а) «нефункциональный» элемент -l- *tochkal-l* «убил» присоединяется к слоговой редуцируемой опорной морфеме; б) элемент -l- (генетически — формант II итератива) *gavtb-l* «согрелся» употребляется при неслоговой опорной морфеме; в) суффикс -e (самостоятельный, независимый аффикс) встречается при нередуцируемых слоговых опорных морфемах *avašep-e* «построил»; г) суффикс -e (←ev) употребляется только при корневых неслоговых опорных морфемах: *avtʰ-e* «взял». Показателем S<sub>3</sub> в этом типе образования служит суффикс -o.

3. Современное образование аориста вторично и сложно. Исторически система, видимо, была проще.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## იზაბელა ნადარეიშვილი

ტექსტის მორფოლოგიური სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი

## (კ. გამსახურდიას პროზის მაგალითზე)

მეტყველების ნაწილი (მ. ნ.) ერთ-ერთი ძირითადი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიაა, რომლის მიხედვითაც იყოფა ენის ლექსიკა. მეტყველების ნაკადის მორფოლოგიური სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ამ ნაკადში მეტყველების ნაწილების განაწილების სახით. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი მეტყველი ხასიათდება მეტყველების ნაწილებს ინდივიდუალური განაწილებით. მ. ნ. განაწილების ანალიზი ფართოდ გამოიყენება ავტორობის დადგენის მიზნით [1].

წინამდებარე შრომა ეძღვნება ქართულ მხატვრულ პროზაში მ. ნ. განაწილების გამოკვლევას. დასათვლელ მასალად გამოყენებულ იქნა ბარათები, რომლებიც ავტორმა გამოიყენა ადრინდელ ნაშრომებში — კ. გამსახურდიას ნაწარმოებების სიხშირული შედგენილობის შესასწავლად [5, 6]. შეფასებულ იქნა მ. ნ. განაწილების მუდმივობის ხარისხი კ. გამსახურდიას ზოგიერთ ნაწარმოებში, როგორც ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ხერხით აღებულ არჩევანში, ასევე სხვადასხვა ტექსტებში. გამოკვლეულ იქნა მ. ნ. პროცენტული რაოდენობა არჩევანის ლექსიკონში (არსებითი სახელების რაოდენობა უნდა გაიყოს არჩევანის ლექსიკონის მთელ რაოდენობაზე) და ტექსტში (ამ შემთხვევაში, შესაბამისად, ყველა არსებითი სახელის რაოდენობა ტექსტში უნდა გაიყოს მთელ მოცულობაზე).

სულ გაანალიზებულ იქნა 6 არჩევანი:

„დავით აღმაშენებელი“ I—20000 სიტყვის მოცულობით; არათანამიმდევრობით აღებული არჩევანი; საანალიზოდ აღებულ იქნა რომანის ყოველი მე-17 გვერდი.

„დავით აღმაშენებელი“ II—20000 სიტყვის მოცულობით; არათანამიმდევრობით აღებული არჩევანი; გაანალიზებულ იქნა ყოველი მე-4 გვერდი III წიგნიდან.

„დავით აღმაშენებელი“ III—10000 სიტყვის მოცულობით; თანამიმდევრობით აღებული არჩევანი; რომანის დასაწყისიდან თანამიმდევრობით აღებულ იქნა 10000 სიტყვის მოცულობის ტექსტი.

„დიდოსტატის მარჯვენა“ — 10000 სიტყვის მოცულობით; თანამიმდევრობით აღებული არჩევანი.

„ფოტოგრაფი“ — 4348 სიტყვის მოცულობით; მთლიან ნაწარმოები.

„ვაზის ყვავილობა“ — 5000 სიტყვის მოცულობით; რომანის დასაწყისიდან თანამიმდევრობით აღებული არჩევანი.

დათვლის შედეგად მიღებული მონაცემები იხ. ცხბ. 1. ცხრილის ქვედა სტრიქონი გვიჩვენებს, თუ როგორცაა მ. ნ. განაწილება საშუალოდ ყველა ტექსტისათვის.

ცხრილი I

არჩევანი		მოცულ.	არს. სახ.	ზნა	ზედ. სახ.	ზმნიხ.	ნაცვალსახ.	სხვა დან.
„დავით აღმაშენებელი“—I	ს	5959	37,50	32,93	17,10	7,27	2,24	2,96
	ტ	20000	40,40	20,54	8,93	6,93	7,85	15,35
„დავით აღმაშენებელი“—II	ს	5508	33,62	35,46	18,40	6,46	2,08	3,98
	ტ	20000	39,00	21,08	9,45	5,68	8,06	16,73
„დავით აღმაშენებელი“—III	ს	3394	35,58	33,91	16,20	7,04	2,72	4,55
	ტ	10000	44,43	21,16	8,53	5,73	6,77	13,38
„დოდოსტ. შარჯი“	ს	3320	35,03	34,50	17,30	6,74	2,20	4,23
	ტ	10000	43,10	20,86	9,70	5,56	5,80	14,98
„ფოტოგრაფი“	ს	2002	38,13	32,13	16,30	6,10	2,55	4,80
	ტ	4381	43,70	23,70	11,98	4,60	5,33	10,69
„ვახის ყვავი“	ს	1964	35,62	29,48	17,60	7,17	3,26	6,87
	ტ	5000	38,40	19,45	10,84	6,20	9,85	15,30
	ტ	69381	41,10	20,96	9,45	5,97	7,43	15,09

როგორც I ცხრილიდან ჩანს, ტექსტის დაახლოებით 70% უჭირავს არსებით სახელებს, ზედსართავ სახელებს და ზმნებს. არსებითი სახელების რაოდენობა ტექსტში ორჯერ მეტია, ვიდრე ზმნებისა, რაც შეესაბამება მარტივი გავრცობილი წინადადების კონსტრუქციას ენაში (S—V—O). ზედსართავი სახელების რაოდენობა ორჯერ ნაკლებია, ვიდრე ზმნებისა. დანარჩენი მეტყველების ნაწილების რაოდენობა შეადგენს ტექსტის 30%-ს, ხოლო ლექსიკონში ეს რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლებია.

ჩვენ მიერ დასახელებულ არჩევანთა ანალიზის შედეგად მიღებული პროცენტული შეფარდებები საკმაოდ მყარია, თუმცა „სტილდენტის კრიტერიუმით“ ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ მ. ნ. სისშირეთა მერყეობა უმეტეს შემთხვევაში ერთი ტექსტის ფარგლებშიც კი სტატისტიკურად ღირებულია (შეადარეთ ერთმანეთს არსებითი სახელების სისშირეები „დავით აღმაშენებელი“ I და „დავით აღმაშენებელი“ III არჩევანებში); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაუშვებელია არსებობდეს ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის შეხვედრის რალაც მუდმივი ალბათობა ტექსტში. უნდა აღინიშნოს, რომ სხვაობა ორ განსხვავებულ ტექსტში მ. ნ. შეხვედრის ალბათობებს შორის ისეთივეა, როგორც ერთი ტექსტის ფარგლებში (შეადარეთ „დავით აღმაშენებლის“ მონაცემები სხვა ტექსტებს).

ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ არსებითი სახელების პროცენტული რაოდენობა ყველა არჩევანის ტექსტში მეტია, ვიდრე შესაბამისი ტექსტის ლექსიკონში, მაშინ როდესაც ზმნებთან და ზედსართავ სახელებთან შებრუნებული სურათი გვაქვს. რამდენადაც ტექსტის ლექსიკონი უმეტესად იშვიათად შემხვედრი სიტყვებისაგან შედგება, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ არსებითი სახელების რაოდენობა უხშირესი სიტყვების ჯგუფებში მეტი იქნება, ხოლო ზმნებისა და ზედსართავი სახელების რაოდენობა მეტი იქნება იშვიათად შემხვედრი სიტყვების ჯგუფებში. ამ ვარაუდის შესამოწმებლად არ-

ჩვენათა სიხშირის ლექსიკონები დაიყო სიხშირეთა შემდეგ ჯგუფებად: I ჯგუფში შევიდა ერთჯერ შემხვედრი სიტყვები მთელ ტექსტში, II ჯგუფში — ორჯერ და სამჯერ შემხვედრი სიტყვების ჯამი, III ჯგუფში — 4—7-ჯერ შემხვედრი სიტყვები, IV ჯგუფში — 8—15-ჯერ შემხვედრი სიტყვები და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ყოველ ჯგუფში სიტყვათხმაარების მთლიანი რაოდენობა მუდმივი სიდიდეა.

ამ დაყოფამ გვიჩვენა, რომ სიხშირის ზრდასთან ერთად არსებითი სახელების სიტყვათხმაარების პროცენტული რაოდენობა სიხშირეთა ჯგუფებში თანდათან იზრდება, აღწევს რა მაქსიმუმს 8—15 სიხშირის ჯგუფში, ზმნებისა და ზედსართავეების პროცენტული რაოდენობა კი მცირდება. ნაცვალსახელებისა და მეტყველების სხვა ნაწილების პროცენტული შეფარდება ისეთივეა, როგორც არსებით სახელებთან გვაქვს. საილუსტრაციოდ მოყვანილია არჩევანი „დავით აღმაშენებელი“-I-ის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები იხილეთ ცხრ. 2. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს დანარჩენ ტექსტებშიც.

ცხრილი 2

სიხშირეთა ჯგუფები		ჯგუფის მოცულ.	არსებითი სახელი	ზმნა	ზედ. სახ.	ზმინზ.	ნაცვალსახ.	სხვა დანარჩ.
1		3473	33,52	36,81	19,98	6,92	1,27	1,50
2—3	ბი	1490 3424	40,39 40,47	31,51 31,06	17,15 16,70	6,92 7,69	1,98 1,95	2,15 2,13
4—7	ბი	579 2929	47,50 47,30	25,39 24,34	9,15 9,42	9,67 9,92	3,28 3,14	5,01 5,49
8—15	ბი	227 2368	51,12 51,42	18,96 18,88	6,17 6,18	8,37 8,23	3,95 3,80	11,42 11,43
16—31	ბი	116 2542	46,57 47,25	12,10 10,78	1,72 1,30	8,62 8,41	15,50 15,95	15,49 16,33
32—63	ბი	42 1833	40,40 40,58	9,52 10,03	4,77 3,87	9,53 9,93	16,65 17,78	19,00 17,78
64—127	ბი	28 2047	35,68 36,94	7,15 9,62	0 0	0 0	25,00 19,49	32,17 33,95
128—255	ბი	3 473	33,33 36,40	0 0	0 0	0 0	33,33 30,60	33,33 33,00
911	ბი	1 199	0 0	0 0	0 0	0 0	0 0	100 100

სამწუხაროდ, არ გვაქვს შესაძლებლობა მიღებული შედეგები შევედაროთ ქართულ ენაზე სხვა ტექსტების ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებს. მით უფრო საინტერესოა ჩვენი მონაცემები შევედაროთ სხვა ენაზე მიღებულ მონაცემებს. მე-3 ცხრილში მოცემულია რუსული [3], უკრაინული [2] და ესტონური [9] ტექსტების მონაცემები. შედარებამ გვიჩვენა, რომ რუსულ და ესტონურ ტექსტებში არსებით სახელთა პროცენტული რაოდენობა გაცილებით ნაკლებია (25—31), ვიდრე კ. გამსახურდიას ტექსტებში (საშუალოდ 41%); ზოლო ლექსიკონში არსებით სახელთა პროცენტული რაოდენობა ისეთივეა,

არჩევანი		მოცულობა	არს. სახ.	ზმნა	ზღვსართავი სახ.	ზმნიზ.	ბუნებრივი სახე	სხვა დანარჩ.
Частотный словарь русского языка (п/р Л. Н. Засориной)	ს	9044	44,2	27,4	15,7	7,8	0,8	4,1
რომელიც იყოფა ტექსტებად	ტ	1056382	26,6	17,1	9,4	8,1	13,3	25,5
გაზეთის და ჟურნ. ტექსტ- დრამა	ტ	251419	32,8	14,5	12,0	6,9	10,0	23,8
სამეცნიერო პუბლიკ.	ტ	287336	20,4	20,9	6,2	9,0	16,2	27,3
მხატვრული ნაწარმ.	ტ	249306	31,0	13,5	12,5	7,3	11,5	24,2
	ტ	268321	23,4	19,0	7,4	9,0	14,9	26,3
Частотн. словарь Штейн- цельд, 1963	ს	24224	37,4	24,8	15,5	6,9	0,3	15,1
Компл. ЧС русской научно- технич. лексики, 1978	ს	3047	43,1	23,5	20,8	6,3		6,3
ესტონური პროზა (ავტორის წინა) Ю. А. Түлдава 1976	ს	14654	44,2	26,6	9,5	10,7	4,4	4,6
	ტ	99898	31,7	22,5	6,0	15,8	11,4	12,6
კრიუკოვის ტექსტები	ტ	10000	29,6	17,3	12,8	10,3	9,5	20,5
მოლოხოვის ტექსტები	ტ	10000	36,7	18,3	12,7	7,7	4,8	19,8
„წინარი დონი“	ტ	10000	36,9	18,2	14,4	6,9	5,2	18,4
დოქვენკო „პოემა ზღვის“ შესახებ	ს	4195	37,9	27,7	18,7	8,4	1,1	6,2
	ტ	20000	26,9	16,5	8,9	9,2	12,7	25,8
სმოლჩი „მშვიდობა ქო- ხებს“ ომი სასახლეებს	ს	4907	38,1	29,1	18,0	8,3	1,1	5,4
	ტ	20000	27,2	15,9	9,6	8,7	8,7	29,9
ტურუნეიო „მორვეი“	ს	4761	34,6	37,6	14,2	7,9	1,0	4,7
	ტ	20000	24,5	21,4	6,1	7,2	11,7	28,7
გონჩარი „მედროშენი“	ს	4960	32,2	34,3	17,8	10,2	1,1	4,4
	ტ	20000	24,9	19,4	8,8	10,0	11,4	25,5
სტელმახი ადამიანთა სისხლი „წყალი არ არის“	ს	4791	34,2	34,1	17,9	8,9	0,9	4,0
	ტ	20000	26,3	18,5	8,5	7,9	10,7	28,1
სტელმახი „პური და მარილი“	ს	5116	34,1	33,1	19,3	9,0	0,9	3,5
	ტ	20000	25,2	18,3	9,5	7,6	10,9	28,5

როგორც კ. გამსახურდიას ლექსიკონში (37 — 42) გვაქვს. ასეთვე ვითარებაა დარჩევის მიერ გამოკვლეულ ზოგიერთ უკრაინულ მწერალთა ცალკეულ ნაწარმოებში [2]. ტექსტში არსებით სახელთა პროცენტული რაოდენობა ძალიან უახლოვდება ზასორინას სიხშირის ლექსიკონის [3] ტექსტში არსებით სახელთა პროცენტულ რაოდენობას (24 — 27), მაშინ, როდესაც არსებით სახელთა პროცენტული რაოდენობა უკრაინულ მწერალთა ცალკეული ნაწარმოების ლექსიკონში გაცილებით მეტია (32 — 38), თუმცა ისეთი დიდი რაოდენობის არ არის, როგორც ზასორინას სიხშირის ლექსიკონის ლექსიკონში (44,2%).

სავარაუდოა, რომ გამსახურდიას ტექსტებში არსებით სახელთა მაღალი სიხშირე უნდა იყოს დამახასიათებელი თვით მწერლისათვის. იგი შეიძლება ჩაითვალოს მისი სტილის განმასხვავებელ თვისებად, ამის ანალოგიური მოვ-



ლენა გვაქვს შოლოხოვის ტექსტების [1] ანალიზის დროს, სადაც არსებით სახელთა პროცენტული რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე რუსული ენის სიხშირის ლექსიკონში. ეს ფაქტიც მწერლის ინდივიდუალობაზე უნდა მიგვა-ნიშნებდეს. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს მეტყველების სხვა ნაწილებთანაც (მაგ., იხ. ცხრ. 3. შედარეთ შოლოხოვის და კრიუკოვის ტექსტში ნაცვალსა-ხელთა ხმარების სიხშირე).

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დამხმარე სიტყვების პროცენტული რაოდენობის სიმცირე შესაძლებელია გამოწვეული იყოს ქართული ენის თავ-სებურებით, მისი აშკარად გამოხატული აგლუტინაციითა და სინთეტურობით.

ქართულ ენაში თანდებულები: ვით, თან, ზე, ში, თვის, გან, კენ არ წარ-მოადგენენ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს; ისინი სიტყვასთან არიან შერწყმულნი. რუსულში კი ეს თანდებულები ცალკეულ ლექსიკურ ერთეულს ქმნიან. მაგ., в (ზასორინას სიხშირის ლექსიკონში მისი სიხშირე უდრის 42 854), на (17 262), с (12 975), к (6246), у (4623), для (3254), от (3572), до (2063) ამ თანდებულების სიხშირეთა ჯამი უდრის 92 849. მათი რაოდენობა ტექსტში კი 92849/1056382. 100% = 8,8%.

გამოვიანგაროთ „სხვა დანარჩენი“ სიტყვების პროცენტული რაოდენო-ბა ისეთი ვარაუდით. რომ რუსულ ტექსტში, ისე როგორც ქართულ ტექსტში. ზემოთ ჩამოთვლილი თანდებულები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ერთეუ-ლებს, ე. ი. შერწყმულნი არიან სიტყვებთან. თუ სხვა დანარჩენი სიტყვების პრო-ცენტულ რაოდენობას გამოვაკლებთ თანდებულების პროცენტულ რაოდენობას ტექსტში მივღებთ 25,5 — 8,8 = 16,7%. სხვა მეტყველების ნაწილთა პროცენ-ტული რაოდენობა უდრის 100 — 8,8 = 91,2%, 100%-ის ნაცვლად. დარ-ღვეული ნორმირების პირობების (условие нормировки) აღსადგენად (დარ-ღვევა მოხდა იმის გამო, რომ თანდებულების სიტყვებთან შერწყმის შედეგად არჩევანის მოცულობა შემცირდა 92 845 ერთეულით) ჩვენ მიერ ზემოთ მი-ღებული პროცენტული რაოდენობანი უნდა გავამრავლოთ სიდიდეზე 100/91,2 = 1,096, რის შედეგადაც არსებითი სახელებისათვის გვექნება შემდეგი სიდიდე 26,6% . 1,096 = 29,2%. ზმნებისათვის — 18,7% (17,1-ის ნაცვლად), ზედსართაეებისათვის — 10,3% (9,4%-ის ნაცვლად), ზმნიზედებისათვის — 8,9% (8,1%-ის ნაცვლად) და სხვა დანარჩენისთვის — 8,3% (25,5%-ის ნაც-ვლად).

მამასადამე, აგლუტინაციის მოვლენა საგრძნობლად ამცირებს ტექსტში დამხმარე სიტყვების პროცენტულ რაოდენობას, ხოლო ტექსტის მორფოლო-გიური სტრუქტურა. როგორც დავინახეთ, იცვლება უმნიშვნელოდ.

ასე რომ, ტექსტის მორფოლოგიური სტრუქტურა დამოკიდებულია რო-გორც ენის ზოგად თავისებურებაზე. ასევე ინდივიდუალური ავტორის სტილ-ზე. ამ ფაქტორების სრულყოფილი შეფასება, ენობრივი (უზუალური) ნორმე-ბის გამოკვლევა საშუალებას იძლევა გადაწყდეს როგორც ტიპოლოგიური ანა-ლიზის ძირითადი პრობლემები შედარებით ენათმეცნიერებაში, ასევე ტექს-ტოლოგიური (კერძოდ სტილომეტრიკის) ანალიზის კონკრეტული ამოცანება.

## ლიტერატურა

1. G. Kjetsaa. Storms on the Quiet Don. Apilot study. SCAINDO-SLAVICA, t, 22, Munksgaard, Copenhagen.

2. Н. П. Д а р ч у к, Индивидуальное и общее в лексической системе авторского стиля (на материале современной украинской художественной прозы), Автореферат диссертации на соискание уч. ст. канд. филологических наук, Киев, 1975.

3. Л. Н. З а с о р и н а (ред.), Частотный словарь русского языка, Москва, 1977.

4. И. Ш. Н а д а р е й ш в и л и, Ю. К. О р л о в, Об употреблении слов различной частотности в поэме Ш. Руставели «Витязь в тигровой шкуре», Сообщения АН ГССР, т. 55, № 2, 1969.

5. И. Ш. Н а д а р е й ш в и л и, Ю. К. О р л о в, Описание роста словарного запаса с помощью модели частотной структуры лексики, в сб. тезисов научной сессии «Вопросы взаимосвязи искусства и науки», Тбилиси, 1974.

6. И. Ш. Н а д а р е й ш в и л и, Сравнительный статистический анализ лексики как метод изучения творчества писателя, в сб. «Структурная и математическая лингвистика», Киев, 1978, № 6.

7. Ю. К. О р л о в, О статистической структуре сообщений, оптимальных для человеческого восприятия, Научно-техническая информация, серия 2, 1970, № 8.

8. Ю. К. О р л о в, Модель частотной структуры лексики, в сб. «Исследования в области вычислительной лингвистики», вып. II, ч. I, Москва, 1976.

9. Ю. А. Т у л д а в а, А. В и л л у п, О частотности частей речи в авторской речи художественной прозы (на эст. яз., рез. русск.), в сб. «Труды по лингвостатистике», I (на эст. яз.), Тарту, 1976.

10. Э. А. Ш т е й ф е л ь д, Частотный словарь современного русского литературного языка, Таллин, 1963.

И. Ш. НАДАРЕЙШВИЛИ

## СТАТИСТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ МОРФОЛОГИЧЕСКОЙ СТРУКТУРЫ ТЕКСТА

(на материале прозы К. Гамсахурдия)

### Резюме

Исследовалось распределение частей речи в словаре и в тексте художественных произведений К. Гамсахурдия. Показано, что для глаголов и прилагательных, процент которых в словаре выше, чем в тексте, характерно уменьшение их доли с ростом частоты; для остальных частей речи картина обратная.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენობერეტიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილება  
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

## მანა ანდრონიკაშვილი

## აზ-ზაჯჯანის გრამატიკული ტრაქტატი „ალ-ჯუმალ“

აზ-ზაჯჯანს „ალ-ჯუმალ“ არაბული გრამატიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი ჩვენამდე მოღწეულ გრამატიკულ ტრაქტატებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი და სრულია. „ალ-ჯუმალ“ დაწერილია X საუკუნეში, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მრავალი გრამატიკოსი უკვე აღარ მისდევდა ბასრისა და ქუფის სკოლებში მიღებულ თვალსაზრისს, არამედ იღებდა ორივე სკოლიდან იმას, რაც ყველაზე საფუძვლიანად ეჩვენებოდა<sup>1</sup>.

აზ-ზაჯჯანს, რომლის სრული სახელია აბუ კასიმ ცაბდ არ-რ-რაჰმან იბნ ისჰან აზ-ზაჯჯანს, დაბადებულა ნაჰვანდში<sup>2</sup>, ას-სუჟუტის ცნობით კი—სამარაში ბაღდადის ახლოს<sup>3</sup>. შემდეგ მას ბაღდადში, დამასკოში, აილასა და ტაბარიაში უცხოვრობდა და აქვე გარდაცვლილა 330-იანი წლების ბოლოს (ჰიჯრით), იბნ ხალიფანის აზრით. ზოგი მეცნიერი მისი გარდაცვალების ადგილად დამასკოს ასახელებს<sup>4</sup>.

აზ-ზაჯჯანს იყო ბასრის სკოლის ცნობილი წარმომადგენლის აზ-ზაჯჯანის<sup>5</sup> მოწაფე და თავისი მასწავლებლის სახელს დაუკავშირა საკუთარი ნისბა. ბენ შენები მის მასწავლებელთა შორის ასახელებს სხვა ცნობილ გრამატიკოსებსაც: იბნ ას-სარაფს, ალ-ახტაშ უმცროსს, ნაჰტავამის, იბნ ღურაჲდ ალ-აზდნს, ალ-ანბარნს, ალ-მაზნდნს, იბნ აჰმად ალ-ჰამიდს და სხვებს<sup>6</sup>.

აზ-ზაჯჯანს, გარდა „ალ-ჯუმალ“-ისა, მიაწერენ სხვა თხზულებებსაც. რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ: *ايضاح في النحو*, მოხსენიებული „ალ-ჯუმალ“-ში<sup>7</sup>, *الكاف في النحو*<sup>8</sup>, *كتاب الهماء*, და რამდენიმე სხვა ნაშრომს ფონეტიკისა და პოეტიკის საკითხებზე. მიუთითებენ აგრეთვე მის მიერ შესრულებულ კომენტარებს<sup>9</sup>.

ძირითადი ნაშრომი. რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, იბნ ხალიფანის ცნობით, მექაში უნდა იყოს შედგენილი<sup>10</sup>.

<sup>1</sup> В. Ф. Гиргас, Очерк грамматической системы арабов, Спб., 1873, стр. 16.

<sup>2</sup> С. Brockelmann. GAL, Weimar, I, стр. 112.

<sup>3</sup> السيوطي، بغية الوعاء، مصر، 1326، ص 105

<sup>4</sup> 379 ص، 1 ج، 1310، مصر، وفيات الاعيان، ابن خلكان

<sup>5</sup> 13 ص... وفيات الاعيان، ابن خلكان

<sup>6</sup> 6 ص، المقدمة، 1376، باريس، الجمل، الزجاجي

<sup>7</sup> 264. ج. الجمل، الزججى

<sup>8</sup> بغية...، السيوطي

<sup>9</sup> الجمل، الزجاجي

<sup>10</sup> 176. 403. ج 1، 1311، قسطنطينية، كشف الظنون، الحاج خليفة

<sup>11</sup> 105. ج. وفيات...، ابن خلكان

„ალ-ჯუმალ“-ის რამდენიმე ხელნაწერი არსებობს. ო. რეშერის ცნობით, ერთ-ერთი უსრულესი და კარგად შენახული ხელნაწერი დაცულია სტამბულის ბიბლიოთეკაში<sup>12</sup>. „ალ-ჯუმალ“-ის ხელნაწერები არის მადრიდში, კაიროში, ესკურიალსა<sup>13</sup> და ალყირში<sup>14</sup>.

ცნობილ ლიტერატორსა და სწავლულს ალ-ბატალაგისის (გარდაიცვალა 521 წ. ჰიჯრით)<sup>15</sup> ეკუთვნის „ალ-ჯუმალ“-ის ლექსების განმარტება, რომლის ხელნაწერი დაცულია სტამბულის ბიბლიოთეკაში<sup>16</sup>.

კ. ბროკელმანი მიუთითებს ამ ხასიათის რამდენიმე ნაშრომსა და მათ ხელნაწერებზე<sup>17</sup>.

ი. ვოლფს ეკუთვნის „ალ-ჯუმალ“-ის ლექსების გარკვეული ნაწილის გერმანული თარგმანი.

ჩვენ ხელთ გვქონდა 1957 წ. პარიზის გამოცემა, რომლის შემდგენელი ბენ შენები ეყრდნობოდა ალყირის ბიბლიოთეკაში დაცულ ორ ნუსხას (№ 38, დათარიღებული 745 წ. ჰიჯრით და № 39).

გამომცემელმა ტექსტში ციტირებულ ბეითებს დაურთო სიბავეჰის **الكتاب**-ის ამ-შანთამარსეულ კომენტარებთან შედარებული შენიშვნები.

გამოცემას ერთვის აგრეთვე პოეტთა და ბეითების ზომების საძიებე ი.

ტრაქტატი შეიცავს 133 თავს. იგი ძირითადად ეხება მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს, დალაგებულს არათანმიმდევრულად. უკანასკნელი ხუთი თავი ფონეტიკას ეძღვნება.

წინამდებარე წერილის მიზანია მკითხველს ზოგადად გააცნოს ხსენებული თხზულების შინაარსი, რომლის გადმოცემისას არ ვცვლით საკითხთა დალაგების ავტორისეულ წესს.

ტრაქტატი იწყება მეტყველების ნაწილთა დახასიათებით. აზ-ზაჯჯაჰი მეტყველების სამ ნაწილს გამოყოფს: სახელს, ზმნასა და ნაწილაკს. სახელი წინადადებაში ქვემდებარეს ან დამატებას წარმოადგენს. მას ახასიათებს ხაფდის ნაწილაკთა დართვა. ზმნა მოქმედებას გამოხატავს და აქვს დროის კატეგორია. ნაწილაკი ავტორს დამოუკიდებელი მნიშვნელობის ელემენტად მიიჩნია.

მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციისას არ არის დაცული ერთიანი პრინციპი. ზმნა და ნაწილაკი დახასიათებულია შინაარსისა, ხოლო სახელი კი — წინადადებაში მისი ფუნქციის საფუძველზე.

1. სახელისა და ზმნის ზუსტი და დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია იყრანბის კარში. ჩამოთვლილია სახელისა და ზმნის დაბოლოებანი, დამახასიათებელი კატეგორიები. აღნუსხულია დაუშვებელი ფორმებიც (რაც ჩვეულებრივია არაბი გრამატიკოსებისათვის). დაწვრილებითაა განხილული რაჭყის, ნსბის, ხაფდისა და ჯაზმის მაწარმოებლები, რომელთაც სათანადო ილუსტრაციები ახლავთ.

2. ზმნა. ზმნის დახასიათებისას ხაზი გაესმის დროის კატეგორიას. ღრო სამია: **ماضٍ, مستقبل** და **الحال**. ამა თუ იმ დროს განსაზღვრავს ზმნის

<sup>12</sup> O. Rescher, Mitteilungen aus Stambuler Bibliotheken. ZDMG. 64, 1912, გვ. 512.

<sup>13</sup> C. Brockelmann, GAL, Weimar, S I, გვ. 170.

<sup>14</sup> المقدمة, الجمل, الزجاجي, გვ. 14.

<sup>15</sup> وفيات ... ابن خلكان, გვ. 333.

<sup>16</sup> O. Rescher, Kütübخانه-i-Feizije, ZDMG. 68, 1914, გვ. 385.

<sup>17</sup> C. Brockelmann, GAL, S I, 170, 171, 541.

ფორმასთან შეთანხმებული ზმნიზდა. დროის თითოეულ ფორმასთან მითითებულია სათანადო მაწარმოებლები. აღნიშნულია აწმყოსა და მყოფადის განურჩევლობა, რომელთა ღიფერენციაცია კონტექსტის ან ნაწილაკების საშუალებით ხდება.

3. ორობითისა და მრავლობითის წარმოება: გარჩეულია ფორმები სხვადასხვა სტატუსის მიხედვით.

4. შეთანხმებული მსაზღვრელი (ნაყთი). აღწერილია ნაყთისა და საზღვრული სახელის ურთიერთობა. აქვეა ჩამოთვლილი თავისთავად განსაზღვრული სახელუბის ხუთი სახეობა.

5. მაერთებელი კავშირები (ყატჭი) დახასიათებულია სათანადო ილუსტრაციებით.

6. თავქრდი. ავტორის თქმით, იგი ახლავს ყოველგვარ სახელს, გარდა განუსაზღვრელისა. თავქრდსა და წინამავალ სახელს შორის სრული შეთანხმებაა.

7. დანართი (ბადალი). განხილულია ბადალის ოთხი სახეობა: ა) მთელის შენაცვლება ნაწილით, ბ) საგნის შენაცვლება იმავე რივის საგნით, გ) სახელის შენაცვლება მასდართით, დ) ე. წ. შეცდომის ბადალი. ამასთან აზ-ზაჯჯანში, მიუთითებს, რომ ეს მოვლენა არ გვხვდება ყურანსა და კლასიკურ არაბულში.

8. ზმნის გარდამავლობა. ამ თავში განხილულია: გარდაუვალი ზმნები, რომელთაც არა აქვთ ობიექტი; გარდამავალი ზმნები ერთი ობიექტით; ზმნები, რომელთაც ობიექტის ნიშანი არა აქვთ, და ორობიექტიანი ზმნები.

9. გარემოებები — წინადადების წევრები, რომლებიც შემასმენელს მირთვის წესით უკავშირდებიან.

10. ნომინალი წინადადება.

11. მეშველი ზმნები, რომლებიც სახელს რაჭყში მოითხოვენ.

12. ნაწილაკები: ა) ნაწილაკები, რომლებიც სახელს ნისბში მართავენ (كن, إن, და მისთ.); ბ) დაწვრილებითაა აღნუსხული ان-ს და ان-ს ხმარების შემთხვევები და სხვაობა მათ შორის; გ) ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკები (عن, الى, مع, على და მისთ.); დ) حتى ნაწილაკის ხმარების შემთხვევები სახელებთან და ზმნებთან; ე) ე. წ. ფიცის ნაწილაკები.

13. ვნებითი გვარის ზმნები. აღწერილია არა მარტო ვნებითი გვარის ფორმების წარმოება, არამედ ამასთან დაკავშირებული სინტაქსური საკითხები.

14. მიმღეობები. ავტორი დაწვრილებით ანალიზებს მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფუნქციებს წინადადებაში. თავის დებულებათა დასასაბუთებლად იმორწმუნებს ბასრელ და ქუფელ გრამატიკოსებს და აღნიშნავს მათ აზრთა სხვადასხვაობას. აზ-ზაჯჯანში არ იფარგლება საკუთრივ მიმღეობის ანალიზით, არამედ მიმღეობის ფუნქციით ხმარებულ სხვა ფორმებსაც დაწვრილებით ახასიათებს, მაგ.: فعل, مفعول, مفعول, და فعل.

15. ექსკლამატიურ წინადადებათა ტიპები.

16. სპეციალური მსჯელობის საგანია ე. წ. ჰიჯაზური ما, هم, بس, وحبذا.

17. ავტორი განიხილავს შემასმენლისა და დამატების ურთიერთობის თითქმის ყველა საკითხს.

18. რიცხვითი სახელები. მათთან მოცემულია აღსარიცხი სახელისა და რიცხვითი სახელის შეთანხმების წესები.

19. ჰეაქრადაა განსაზღვრული სახელით, ნაცვალსახელით და მასდართ

გამონათული წევრების პოზიცია წინადადებაში და ზოგიერთი ნაწილაკის სინტაქსური ფუნქციები.

20. იზაფეთი. მოცემულია ლაკონიური განსაზღვრა: პირველი წევრი (المضاف) იყრანბის მიხედვით იცვლება, მას ჩამოეყვება თენვინი, ხოლო ორობითსა და მრავლობითში—ნენი, მეორე წევრი (المضاف إليه) შეიძლება იყოს განსაზღვრულიცა და განუსაზღვრელიც.

21. სქესის საკითხი თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით. ჩვენი ავტორის თანახმად თარიღის აღნიშვნისას მდებარეობითი სქესის ფორმებს უპირატესობა ენიჭება მამრობითთან შედარებით.

22. მიმართვა (إلى). გამოთქმათა ტიპები, ნაწილაკები და ფორმები, რომლებიც სპეციფიკურია ამ კონსტრუქციისათვის.

23. ცალკე პარაგრაფებშია განხილული საშველად მოხმობის ფორმა (استغناء), სხვადასხვა შემოკლებანი (ترخيف), პოეზიაში დასაშვები სპეციფიკური ფორმები და გამოთქმები, რომლებიც მწუხარებას გამოხატავენ. (أند).

24. სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა. განსაზღვრული სახელის (معرف) კვალიფიკაციის ნაცვლად ავტორი მხოლოდ მის სახეობებს ჩამოთვლის: საკუთარი სახელები, ნაცვალსახელები. ჩვენებითი ნაცვალსახელები და სხვ.

25. ნაწილაკები, რომლებიც ზმნის იმპერფექტივის ფორმას ნასბში მართავენ. აღნუსხულია ف კავშირის, او ნაწილაკის, او ნაწილაკის, و კავშირის, و احد-ს ხმარების შემთხვევები, حتى ნაწილაკის ხმარება იმპერფექტივის ფორმასთან, რამდენიმე თავი ეთმობა და კავშირს.

26. ან კავშირი, მისი ხმარება კავშირებით და თხრობით კილოსთან. უკანასკნელ შემთხვევაში მას წინ უძღვის მდგომარეობის, მტკიცებისა და დარწმუნების აღმნიშვნელი ზმნები.

27. მეშველი ზმნები, რომლებიც გამოხატავენ მიახლოებას.

28. კონსტრუქციები, დასაშვები მხოლოდ პოეზიაში.

29. ჯაზმის ნაწილაკები (لم, لى, له, ბრძანებითი ل ნაწილაკით, აკრძალვის لا და პირობითი კილოს სხვა ნაწილაკები).

30. ბრძანებითი კილოს ფორმები აზ-ზაჯჯაჯნს მიხედვით ფორმაუცვლელად ბოლოვდება პაუზით (مبنى على الوقف).

31. პირობითი კილოს ფორმების ხმარება დამოკიდებულ წინადადებაში.

32. პირობით-შედგობითი წინადადება სინტაქსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ჩვენი ავტორისათვის. აქ გაანალიზებულია პირობითი კილოს ნაწილაკების ხმარების სპეციფიკა სხვადასხვა ზმნასთან.

33. არაბული მორფოლოგიის კარდინალურ საკითხს ე. წ. მუნსარიფისა და ლაჰრ მუნსარიფს აზ-ზაჯჯაჯნც დიდ ყურადღებას უთმობს: „მუნსარიფი ისაა, რომელიც ხაფდსა და თენვინს იღებს, ლაჰრ მუნსარიფი კი არ იღებს ხაფდსა და თენვინს და ხაფდის ადგილას ფათჰითაა“<sup>18</sup>. ასეთია აზ-ზაჯჯაჯნსეული განსაზღვრება. ლაჰრ მუნსარიფს ავტორი ორ ჯგუფად ყოფს: ა) ლაჰრ მუნსარიფი, რომელიც ასეთია როგორც განსაზღვრულ. ისე განუსაზღვრელ მდგომარეო-

<sup>18</sup> الجمل، الزجاجة، ص. 224.

ბაში, ბ) ლაჯრ მუნსარიფი, რომელიც ასეთია მხოლოდ განუსაზღვრელ მდგომარეობაში. ლაჯრ მუნსარიფთან კავშირში ავტორი იხილავს ზოგიერთ ეთნიკურ სახელსა და ტოპონიმს.

34. ტიპი **ساف**, რომელსაც ბრძანებითის ფუნქცია აქვს.

35. გამორიცხვის ნაწილაკი. დეტალურადაა გაანალიზებული ყველაზე გავრცელებული ნაწილაკი **لا**.

36. სრული უარყოფა (**لا النفي**). აღნიშნულია მართული სახელის ფორმა **لا** ნაწილაკთან, სხვა სიტყვებით დაშორებული უარსაყოფი სიტყვა (**منفي**), **لا** კითხვით **أ** ნაწილაკთან ერთად.

37. სპეციფიკატივი (**تمييز**).

38. კინობითი (**تصغير**). აზ-ზაჯჯან გუბლევს კინობითის წარმოების წესებს სამ, ოთხ და ხუთთანხმოენიანი ძირებისაგან: განხილულია აგრეთვე ზმნიზედებისა და ნაცვალსახელებისაგან ნაწარმოები კინობითები.

39. მიმართებითი ზედსართავეები (**نسبة**). ავტორი მათ ორ ჯგუფად ყოფს: „დამოწმებული ფორმები, რომლებიც არ იწარმოება საერთო წესით“ (**...مع حفظ ولا يقاس عليه...**)<sup>19</sup> და მეორე სახეობა, „რომელიც არ გვხვდება, მაგრამ იწარმოება გარკვეული წესით“ (**يذكر بالقياس**)<sup>20</sup>.

40. ეასლიან და ჰამზიან ალიქს აზ-ზაჯჯან განიხილავს მეტყველების სხვადასხვა ნაწილთან.

41. ფლექსიის მქონე და უფლექსიო მეტყველების ნაწილებს ეთმობა **باب المعرب والمبني**<sup>21</sup>. აზ-ზაჯჯანის განმარტებით, ფლექსიის მქონეა მხოლოდ ზმნის იმპერფექტივის ფორმა (**مضارع**) და სახელი, რომელიც დაბოლოებას იცვლის მმართველების გავლენით (**اسم متمكن**), ხოლო მეტყველების ნაწილი, რომელიც დაბოლოებას არ იცვლის, მმართველების გავლენით, უფლექსიოა (**مبني**).

42. მიმართვა.

43. ორთოგრაფიის საკითხები (მათ შორის ჰამზის ორთოგრაფია).

44. სქესი. ავტორის თვალსაზრისით, სქესის დაპირისპირება მხოლოდ სახელებს ახასიათებს. ზმნებისათვის პირველადია მამრობითი სქესი, ოღონდ ისინი იღებენ მდებარეობის ნიშნებს. ნაწილაკისათვის კი დასაშვებია ორივე სქესი. ავტორს არ გამოჩნა ე. წ. საერთო სქესის ფორმები და მდებარეობის ფორმები, რომელთაც სათანადო ნიშანი არა აქვთ.

45. მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღობათა წარმოება.

46. რაჭყის ნაწილაკები.

47. გამოტოვებული ან დაფარული სიტყვის გამო ნასბში დასმული ფორმები.

48. კითხვით წინადადებათა თავისებურებანი.

49. პაუზალური ფორმები (**وقف**). ყურადღებას იქცევს სასაღბრო ენისათვის დამახასიათებელ ფორმათა ანალიზი.

<sup>19</sup> الجمال، الزجاجي، გვ. 253.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 260.

50. ორობითი რიცხვის ფორმების მრავლობითი ჩანაცვლება და ხმარების სიხშირის გამო თენეინის მოკვეცის შემთხვევები.

51. დამატებათა ხუთი სახე: აბსოლუტური ობიექტი, რომელიც მასდარით გადმოიცემა (مطلق), პირდაპირი ობიექტი (مفعول به), მოქმედების დროის ან ადგილის გამომსატველი ნასბი (مفعول فيه), თანაობის აღმნიშვნელი ნასბი (مفعول معه) და მიზეზის გამომხატველი ნასბი (مفعول من اجله).

52. სხვათა სიტყვა (قولاً أو حكماً).

53. ჩვენებითი ნაცვალსახელი (إنا), კავშირი أن ზმნების წინ, მიგებითი წინადადებანი بلى და نعم ნაწილაკებით. او და ام ნაწილაკები.

54. ენერგეტივის ფორმები. ავტორი ერთმანეთისაგან მიჯნავს I და II ენერგეტივს, რომელიც. მისი აზრით, ნაკლებად გამოხატავს ინტენსივს.

55. الصلوات — რელატიური კავშირები: ما، الـ، الـ، الـ და სხვ.

56. მსხერეული მრავლობითის ტიპები „ალ-ჯუმალ“-ში განხილულია სათანადო მხოლობითებთან კავშირში. ამასთანავე მითითებულია როგორც ე. წ. სიმციროს მრავლობითი (جمع فى العدم)، ასევე التكمير جمع فى المكثر მრავლობითის ტიპი, რომელიც, ჩვეულებრივ, ათზე მეტი საგნის აღსანიშნავად იხმარება. მოცემულია ოთხთანხმოვნის სუსტი თანხმოვნის შემცველი ძირებისაგან მსხერეული მრავლობითის ტიპების წარმოება, მრავლობითის ტიპები. ნაწარმოები ფორმებიდან فعل، فاعل، فاعلة და فعل.

57. მასდართა ტიპები. პირველი თემის მასდარებთან ნაჩვენებია კავშირი ზმნის პერფექტივისა და იმპერფექტივის ხმოვნებისა მასდარის ტიპთან. მასდარის წარმოებასთან აკავშირებს ავტორი ადგილის სახელთა წარმოებასაც.

58. სახელთა ტიპები დაჯგუფებულია ძირში შემავალი თანხმოვნების რაოდენობის მიხედვით.

59. დარღვევები. რომლებიც აზ-ზაჯჯჟის დასაშვებად მიაჩნია, ლექსში ვერსიფიკაციული შეზღუდვების ნორმების რეალიზაციისათვის.

60. თანხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაცია.

61. ზმნების ტიპები, ისევე, როგორც სახელები, დაჯგუფებულია ძირში შემავალ თანხმოვანთა რაოდენობის მიხედვით.

62. თაქრიფის აფიქსთა მორფოლოგიური ფუნქციები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკანასკნელი ხუთი თავი ფონეტიკის საკითხებს ეთმობა: ასიმილაცია (إغما) და მისი იშვიათი შემთხვევები, მეღერი თანხმოვნები (حروف مجاورة) და ველარიზებული თანხმოვნები (حروف الاطباق).

აზ-ზაჯჯჟის ტრაქტატის აგებულების სიბავეჟის كتابთან შედარებისას ჩანს, რომ მათ შორის გარკვეული მსგავსება არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ كتاب-ის დასაწყისში განიხილება არაბული სინტაქსის საკითხები, შემდეგ მორფოლოგიისა და ბოლოს ფონეტიკისა. გვიანდელი ხანის გრამატიკები ამ თვალსაზრისით უფრო დახვეწილია<sup>22</sup>. სიბავეჟის გველენა უმთავრესად საერთო ციტატებში ჩანს.

ავტორი თავის მსჯელობას ხშირად ასაბუთებს ცნობილ გრამატიკოსთა ნააზრე-

<sup>22</sup> შტრ.: المفصل فى النحو، الزمخشري



ვის ციტირებით. სიბავეეჰი<sup>23</sup>, ალ-ხალლი<sup>24</sup>, ალ-ჩერრა<sup>25</sup> და ალ-ქისა<sup>26</sup> აოა-ერთგზის არიან მოხსენიებულნი ტრაქტატში. ციტირებულია აზ-ზაჯჯანის თანამედროვის აბუ ალ-აღ-ჩარისის كتاب الايضاح (الاجل, გვ. 264). ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გარჩეულია როგორც ბასრელი, ასევე ქუფელ გრამატიკოსთა თვალსაზრისი<sup>27</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ აზ-ზაჯჯან არ დაკმაყოფილებულა ყურანისა და კლასიკური არაბული პოეზიის ნიმუშთა ანალიზით. სათანადო შემთხვევებში მას დიალექტური მასალაც მოაქვს: ბანუ თამრისის<sup>28</sup> და ბანუ სალმის<sup>29</sup> ტომის შეტყველების ნიმუშები და მაგალითები ჰიჯაზური დიალექტისა<sup>30</sup>.

М. О. АНДРОНИКШВИЛИ

## ГРАММАТИЧЕСКИЙ ТРАКТАТ АЗ-ЗАДЖДЖАДЖИ «АЛ-ДЖУМАЛ»

Резюме

Среди дошедших до нас грамматических трактатов одним из наиболее полных и пространных является «Ал-джумал» аз-Заджджаджи.

Как явствует из изложенного в статье содержания трактата, его основную и большую часть составляют вопросы морфологии вперемежку с вопросами синтаксиса, и лишь последние пять глав уделены фонетике.

Наблюдается некоторое сходство в отношении структуры и цитации с первой арабской грамматикой Сибавейхи; как видно, автор был знаком и с работами других выдающихся арабских грамматиков.

Аз-Заджджаджи не обходит в своем трактате ни одного из кардинальных вопросов арабской грамматики и наряду с материалом литературного арабского языка использует также данные различных диалектов.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კა-  
ოედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-  
კორესპონდენტმა კ. წერეთელმა

<sup>23</sup> **الاجل** გვ. 85, 89, 105, 111, 132, 318, 320, 324, 365.

<sup>24</sup> **იქვე**, გვ. 166, 299, 325.

<sup>25</sup> **იქვე**, გვ. 86, 124, 178, 192.

<sup>26</sup> **იქვე**, გვ. 95, 125.

<sup>27</sup> **იქვე**, გვ. 95, 111, 124, 150, 153, 178, 279, 325, 336, 360.

<sup>28</sup> **იქვე**, გვ. 264.

<sup>29</sup> **იქვე**, გვ. 315, 317.

<sup>30</sup> **იქვე**, გვ. 316, 317.

### ქ რ ო ნ ი კ ა ლ ა ი ნ ფ ო რ მ ა ტ ი ა

ს ა პ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ე ც ნ ი ე რ ა ბ ა თ ა ა კ ა დ ე მ ი ის შ . რ უ ს თ ა ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ო ბ ის  
ქ ა რ თ ე ლ ი ლ ი ბ ე რ ა ბ უ რ ის ი ს ტ ო რ ი ის ი ნ ს ტ ი ტ უ ტ შ ი

მიმდინარე წლის 29 მაისს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, გამოჩენილი ქართველი პოეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის დაბადების 80 წლისთავს. მოხსენებებით, სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: ალ. ბარამიძე, გ. ასათიანი, ნ. მახათაძე, გ. მარგველაშვილი, შ. თნიანი, ი. ლოლაშვილი, დ. გოგოჭერი, ლ. ანდლელაძე, შ. ვაშაყმაძე, გ. ციციშვილი.

ამა წლის 16 ივნისს თბილისის საერთა-სატრიოტაეო კომბინატში. რომელსაც შეფობას უწევს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. გაიმართა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელი სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის დაბადების 90 წლისთავს. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: ალ. ბარამიძე, გ. მერკვეილაძე, გ. იმედაშვილი, ლ. ანდლელაძე, ბ. არველაძე, გ. შარაძე. საერთა-სატრიოტაეო კომბინატის კადრების განყოფილების ინსპექტორი ც. ჩოხელი, უფროსი ოსტატი ე. გამყარელიძე.

მიმდინარე წლის 24 და 25 ივნისს ჩატარდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო სესია. სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ა. მერიანაშვილი (-გ. ი. ლენინის სახე ქართულ ლიტერატურაში-), შ. თნიანი (-ვეფხისტყაოსნის ერთი ახლად გამოვლინებული ფრაგმენტი და ინდო-ხატაელთა ამბის პრობლემა-), გ. არაბული (-ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდის შესახებ-), ბ. დარჩია (-მუხრანელის თავისებურებანი-), ნ. სულავეა (-ნათლის ტროიკა ქართულ პიროგრაფიაში-), რ. ბარბაქაძე (-ფეროი ელემენტი ქართულ სასულიერო მწერლობაში-), ქ. ბართაყვლიძე (-ხალხური ლექსი და თანამედროვეობა-), ა. ცანავა (მითოსური ასპექტები ოთარ ქილაძის პოეზიაში-), ლ. კრელაშვილი (-ეპოა-ფშაველას უცნობი თხზულებანი-), დ. ჭინჭარაძე (-პოეტიკ-დეკაბრისტები საქართველოს შესახებ-), გ. ახვლედიანი (-თქმულება ღარიალის ციხე-კოშკზე და შ. ლერმონტოვის ბაღადა-თამარი-).

კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. ალ. ბარამიძემ, პროფ. მ. ჩიქოვანმა, პროფ. გ. მერკვეილაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. იმედაშვილიძემ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წ ა რ ი ლ ე ზ ი

ა. ჩ ხ ა რ ტ ი შ ე ი ლ ი, 20-იანი წლებს ქართული სალიტერატურო კრიტიკა და ჟურნალი „მნათობა“	5
ბ. გ ე ე ნ ე ტ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან	25
ვ. ბ ე რ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის ზოგიერთი ივანე-არაქის ხალხური პარალელები ჟაეხეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით	33
ნ. ც ხ ვ რ ე ბ თ ვ ი, რუსული ლიტერატურა და XX საუკუნის ქართული პოეზიის შედარებითი შესწავლის პრობლემები	42
ბ. ა რ ა ბ ლ ი, ნანუჩა და „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციები	52
ქ. კ ა რ - პ ა რ ი ს ი, მაქსიმე აღმსარებლის პიროვნების ფოლკლორიზაცია	64
ლ. კ ო ტ ა შ ე ი ლ ი, ბერნარდოსეულ კოლეჯის XI ზღაპარი	76
ვ. ა ხ ა ლ ა ი ა, უიარაღო თხზულებათა სტილური თავისებურებანი	84
რ. კ უ ს რ ა შ ე ი ლ ი, დავით გურამიშვილის ენის თავისებურებანი	96
ნ. მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი, საუთარი სახელები იოსებ ფლავიოსის ერთი თხზულების ქართული თარგმანის მიხედვით	110
დ. ე ლ ე ნ ტ ი, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ზოგი თავისებურება საერო მწერლობის ენაში (XVIII ს.)	122
გ. გ ო გ ო ლ ა შ ე ი ლ ი, ნამყო ძირითადი წარმოება ახალ ქართულში	130
ი. ნ ა დ ა რ ე ი შ ე ი ლ ი, ტექსტის მორფოლოგიური სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი (კ. გამსახურდიას პროზის მაგალითზე)	143
მ. ა ნ დ რ ო ნ ი ე ა შ ე ი ლ ი, აზ-ზაყჩიყის გრამატიკული ტრაქტატი „ალ-ქუმალ“	149

### პ რ ო ნ ი ა ა ლ ა ი ნ ე მ ო რ მ ა ს ი ა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი	156
---	-----